


Digitized by Google

W R W L O O G O



Handwritten signature

საქართველო

KAVKASSIONI

საქართველოსა და მისი მკვლევარების კავშირი

RECUEIL GEORGIEN ARTISTIQUE ET SCIENTIFIQUE

წიგნი მეორე

ბაზონი-1928

5-200



I

რ გ ე ა მ ე ნ ი.

დ ე ლ ა - ნ ი მ ი

მკალ-გამსდარი სსეული,
ცრემლი გამოკვეთილი;
მსხვილად ჩამომსწვრეული,
სმინად ჩამოწყვეთილი.

სახე მჭკნარი, ხნიერი,
ჯვდრებამი გართული;
ლოცვა კულისხმიერი,
ზეცხსკენ მიმართული.

დრო გადასულ ღოინით,
ახე თუ დადონდები!
ჩემი ტკბილი მშობელო,
ნუჯარ მოგაჯინდები.

ხალიჩებზე მიყრილი
შურგ-დამწვარი კლდეები,
სდაპრებით დატვირთული
ჩვენი ქვეყნის მღვივები;

ტან-მიშველა ჩანჩქერი
შხის სვევებში გართული,
მამაჩემის სასველი
მთიულეთში განთქმული;

დაუტოვე ყველაფერი..
ბეგმა ახე გაშალა
ქვან შავი ნაქვარი,
წინ ქარები აშარა.

ცურა დამწნა იმედი,
თან დამქონდა, მიეცა რდა.
როცა წყალთან მივედი
ისიგ გადამივარდა..

წამერთვა, განაპირობა
ნუგეში წაგებულნი,
ვიღაც ჩემთან ატირდა
იხივ წყალ-წაღებულნი..

არვინ იყო მეზობლად,
რადღაც ვავარდებდი..
და დაბრუნა მნის მგეღმრად
ყოფნის მყოვარი ბედი.

ძვალ-გამსდარი სხეული,
ცრემლი გადმოვარდნილი.
მწუსრად შემოღწეული
მშობლიური მანდილი.

ძეკანკაღე სელები,
შავერში მესამინვეცი;
მწარედ განსელები,
მვირფახი დედა-ჩემი

გამიხწორებს ღოვინს და
თვალწინ წანძეუდგენი,
ამბობს: არად არ მოვიფას
ხწამს, რომ დაუბრუნდგენი.

თუ ვერ მნახე ცოცხალი,
ვეღარც გამოვიტოვო;
მოხუცავდგენ სევედა მწვავი,
ხატრები უნაბირო,

დღე-ღამ ღოვებას მოუწეო,
იმედი მაინც ვწამდგენ;
ბოლოც აღარ მოვიდგე,
დღეები გავიმწარდგენ;

ცრემლი თვალზე მიიწყო,
ვერ შეძლო შეაჩერო!
ხჯობს, რომ გადამივიწყო,
ვეთილო დედა-ჩემო!

მ. შარტლი



არ ხმინავს ნიხლში—ქალაქს დამისას,
თუთრდება ღამეც, მღწამე ვნების,
წამებრთვა ღონე, ღვინო დამისხას
თახში მე ვინმემ მწიფე მტვენების.

ვიღლე სტირის, მასთან მაესტრო,
თითქელ გლეჯაა, ჩგენი, ყოველის,
ღამე გვიკვდება, ყველა მოცხრო...
ჩვენ კი არ ვიცი, რაღა მოკვლის.

ღამის ქალაქელ, გამზრდელა, მიწავ!
მღმევი თასი, დამისხი ღვინო,
ზედმა სიცოცხლით მე დამაღიდა,
ცხოვრება ასე დავაკვირგინო.

ღ ი ლ ა

მარგალიტის წვრილ კაკლებათ
დაიტანტა მინდვრად ცვარი,
ლაქვანდ-ფერად გაანათა
ამომავალ მწემ ცის გარი;
ნაწი იას შთის ნიაგი
საარსიყოფ ეზარება.
და მის ფლთლებს საიდუმლო
ჩუმი გოგნით გკარება.
ღრინველებმა ტკბილ ჰანგებით
აამღერეს მთლად სამყარო,
ათასფერად ათამამდა,
აბრწყიალდა ბრელი წყარო.
მთელი დამის არსიყოფით
და განგწრღმით დაღალული..
დღის ხინათლით დარგსვენილი
ეთხოვება ვარდს ბუღბული.
ნღრნი ცირა ფეხსმისველი
პირსაპანად მიდის წყაროს;
აფხუხია, რღმ დიღის მზე
მის ხიტუნებს შეგდარღს.
მისი მღრგნვი თვალთ ხიდრმემი
ბუღღებს გუში, მღხჩანს ვნება;
იმის უსწორ-მასწორ გულმკერდს
თვით მყინვარიც დაადნება.
ასეთია ჩემი ქვეყნის,
ჩემს მამულში, მუღამ დიღა;
ამ ბუნებას ბეღმან შავმან
გამაშორა, გამაგიღა.
თუ კი ვრთხელ კიდევ ვიგონებ:
— გადავიზღი ყლველ ქირას—
მზის თბილ ხსივებს, ბუღბულთ სტვენას
და წყარღსთან ხოღღის ცირას.

შ ა ლ დ ი

. ს ა მ უ ო ბ ლ ო

შერს უშენეთ დღეებს ვათრევ,
ცივს და მძიმეს, თუ ვერც ლოდი,
რამ მცოდნეობა, თუ რა ღირდი,
თქურმე უნდა დამკარგოდი!

აწ შერიდან გეფერნები,
ვით ხაკუთარ ხისხლსა და გულს,
ჩემი ხელი შედ ანია
შენს მდამავალს და შენს წარხულს!

გამარტყული, განწირული
ვნატრობ, მინდა შენი ხლება,
შენ გეკუთვინის, ჩემო კარგო,
ძღვნათ მიიღე ეს წება!

შენ ინახავ მათ საფლავებს,
ვინც მიყვარდა და აღარ მყავს,
ვინც ცოდნალი ვეღარ ვნახე,
და მკვდრისთვის არ დამისწევავს!

შენ ინახავ არე-მარეს,
სადაც ხიჯრმის კლიდენ წლები,
სადაც ისე გარვი იყო
სიამე თუ ტკივილები!

უსვენარი ხელი დამყვა
ზღმობარი ხურვილები,
შელოთიანი და თავსუდი
მიყვარს შენი ვივი წყლები!

სად შეხვედები ხულ ჭადარას,
მაღალ მენი მთებისთანას,
სიამაყით რემ უმზერგენ
ზევით ცას და ძირს ქვეყანას?

ჩემო უშბა! სად ხარ, სადა?
მენი ხასე დამდგვს მარად,
უკანასკნელ გნახე, მაგრამ
თურმე გამოსათხოვარად!

ღამაზი ხარ, გე მწვერვალი
თითქვს მაღლა ცასა სწედემა,
მგზავნი რაგინდ იჩქაროდგეს
შენს სამზერად გაჩერდება!

ხან თეთრ ღვჩაკს დახურავ,
ვით კვკლუვი პატარძალი,
ხან მზის შუქი წითლათ გაზის,
მზე გეხვევა ჩამავალი!

ხან ღრუბლებში არც მენ, არც ცა
არა ხჩანხართ არცა ვრთი,
ავ ქარიშხალს თითქვს ვრთად
ჰქმნით და გზავნიო მენ და ღმერთი!

ღღვით ღმერთს არ ვაწუნებდი,
არასა ვთხოვ უფალს არც დღეს,
მაგრამ ხიონს იხე ვნახავ,
ვით ხანახავს უხაყვარღვებს!

ჭადარა ქვებს მეტეხისას,
რცხდაც მზრუნველ ზვლით ნაგებს,
ვინ ახველებს, ვიხი სიხსლით,
ვინ პატრონობს, ვინ განაგებს?!

სად ვარ, სადა, ოცნებაში
ვით ვატარებ იმ კუთხეებს,
სადაც ჩემთვის ენა ჰქონდა
ქვეშ, ყვავილებს, წყლებს და სევტს.

მტკვრის ნაბიჯას მართაშვილს,
რამ ხდიოდა ცრემლის ღვარი,
ამოდენი ტანჯვის მომხსნე
არ ყოფილა მამინ მტკვარი!

რათ შევიკენ ლამაზ ტფილისს
მივლეჯილი, მონყვეტილი,
იქ მერნია მეგობრებთან
ჯვარ ქვეშ ყოფნა, ან ხიკვილი!

მაცრამ ყველა არ დანთქმულა,
წინ გევრია საიმედო,
ენა არ მიჩანს უხინათლოდ,
გაგხწორდებით დრო და პედი!

შორს, სამშობლოდ, დღეებს ვათრევ
ცივს და შშიმებს, რაჯორც ღლდი,
რამ მცოდნოდა, თუ რა ღირდი,
თურმე უნდა დამკარგოდი!..

ოდენკური
ნოემბერი 1928.

ს. ტაიფუნი

ა ჳ მ ს ა ვ ლ ე თ ი

მღვერცხლილ მთვარის შუკ-ყლვასე
ქანაღბს ტაღლა,
სძინავს ბოხფორს და ყარაფსანას
უძაზის დაღლა;
წღვად გაფანტული ნავ-გემების
დაჰკრთის ხანათი,
ისმის სიმღერა შაჰაბაზი,
სევეით დანართი.

ვიწრო ქუჩების დაღმართებზე
ხრიალღბს ჩრდილი;
ქვიტკირ ნაშეინ კემკემბიდან,
მღხჩანს მანდილი.
ცად აწიდეული შეჩეთიდან
უსმღბენ მღღვავთ,
მწვანე ქუჩების მღღენებზე
შეჩერდენ მღრცხვად.

მღრს კი გაიხმის ბაიათი,
გუღისთქმა სევეთს;
გარდახულ დრღთა იაღქანი,
ღბღღბა ბეღის..
თეთრთვალა დაძის სიმღრეში
ის იძირღბა;
მღრეულ ვეღის დაღმართებზე
მიეძინღბა.

ღამაზ კლერების შწკრივეებიდან
ჩამოწვა ბოლი,
და მის ტალღებში გამღეპწყვდა
ძველი სტამბოლი.
გაღმა ბეჭიდან მთვარემ ლანდი
ნაბირს მიჰქვინა,
ძველი ხიდივე ბიჭანტიის:
აია ხელთა.

სმინავს ბეხდორს, ანლო ნაბირებს,
სმინავენ შუკებს..
ჩუმი ტალღების ქანაღებას
მთვარე აშუქებს;
მწოლლედ არ სმინავს ილდიზ-გიოზებს
და მონა-ქალებს;
მტრედისფერ ფაზე მოკამკამე
ხოვლიან ვარსკვლავებს.

ფ ა ტ მ ა ნ

ბ ა რ ა თ ი ს ა ძ ა რ თ ვ ე ლ ო ლ ა ნ

შაისის დღეა—ხარბი, ელვარე,
ტლში მივივის მკვეთრი ხარება,
ჩემს ტანჯარაში იტუნება სწივი
და ჩემს თეთრ ბაღის ენარნარება.

შინდა გავეცნო საყვარელ ბარბს:
აგიღე წინი, ავიღე რუქა;
ვინ იგის, იქნებ ამ მზემ ამ დილას
თქვენთანაგ ასე შემლამუქა.

თუ ეს ასეა, არა აქვს აზრი:
ბედს ვემღუროდე, უმისნოთ ვემოხდე;
მჯერა, რომ ეს მზე ასე ანათებს
ხაფრანვეთიდან—საქართველომდე!

შაისი 1929 წ.

II

პრ. აბულაძე

მ თ ვ ა რ ი ლ ა

გრძელ მდინარეთა წყნარი დუღუნი, შორეული... ლურჯ ტალღებად იძირება შენს თვალებში.

გადაწმენდილი ლურჯი სივრცე, უნაპირა—უნაპირა... დრო მარადისი... თვალები; სავანე სათნოებისა, წყარო სიყვარულისა, დაუღვევლი გზა გულკეთილობისა; მაგრამ, მუდამ უღრუბლო, როგორც მშობლიური ტკბილი ცა—შენი თვალები...

ვის უნახავს ისინი იმ წუთს, როდესაც მზის მოციქული—თავშიშველა განთიადი, შორიდან ეპარება შავი ტბის ნაპირს და სინათლის ოქროს წვერი დიდებულად ეშვება უძირა ტალღებში! მაშინ, რა მშვენიერი ხართ თქვენ, თვალებო!

მშობლიურ მინდვრებზე დამწიფებული სათიბების სურნელებმა შეუწყვეტლად ჩამოდის სქელ თმებიდან შენს რძისფერ სხეულზე.

უსასღვრა, იმიტომ არის შენი მკერდი, რომ უზომოდ მიბნედილ ნაკვთებში დნება და ილევა მარმალოსფერი ჩრდილები.

შენი მკერდი უსპეტაცესი სიყვარულის აკვანია; უხვია, როგორც კოლხეთში მოსული ცეცხლისფერი ხილი; მღელვარე, როგორც ნიავეი ღიზიდან.

განსაცვიფრებლად გამშვენიებენ სინახეში გადმოღვრილი და მოთენთილი მხრები; მთვარადი მხრები შენი სინათლით ჩამობანილნი.

შენს სულში იძირება, აღმოსავლეთის მშრალ ამინდებზე წყნარ მთვარეულებში დაბნეული გრძელი საღამურების, მსხვილი ხმები; ო! შენი სული ვინ იცის; როდის გამოცხადდება მზის ქვეშ იგი!

მუდამეას ჩაცკერის მაისის ტკბილი თვალები სახეში!

ქუქუნა ყვავილების აბრეშუმითი შრიალი, ყოველთვის, სიამოვნებით შეგირხევს ძვირფას მოსასხამს.

სიცხით დამოტრალი კვირიკობისთვე მოელის შენს მობრძანებას კეთილ-მცენარეთა საგრილობებლში.

მაშინ, როდესაც შუადღის ფრინველი რუხი ხაყურა ხვარტის ისრებით გულგანგმირული გაგვალულ ბელტზე ეცემა კუზიან სარიდან; ვნებიანად გადაწლენილი ბროწეული სისხლის ცრემლებს აბნევს მალალ სათიბში და რიონის ველების ბრუნდი ვაზები სულ ჩამოიბანა საკუთარი ზეთით...

კვირიკობისთვე, აღმოდებულ სურვილით, მოგელის სქელფოთლოვან საგრილობებლში, ხვზილის ხეივნების ნაპირებზე, რომელსაც უხვად იხსმება მსხვილი სხივე-



ბის წვიმა; საიდანაც, მწიფობისთვის მოლოდინში, მოისმის მწიფობის შრიალი: ნაცოფთა კანის სკდომა.

ნოემბრის ქარებში გადატეხილი ლერწამი გიმღერებს სევდას...

იანვრის თეთრი ფიქრებით აიგსა წითელი ბუხარი და შემდეგ ყალიონის ლურჯ კვამლში გაიშალა მოკლე-მოკლე ლეგენდებთან... თეთრი ბაბუას ლეგენდები... და საკვირველმა შენმა მოჩვენებამ სორცი შეისხა მომღიძმარ ბავშვების ცნობაში.

ისე, რომ არავინ იცის დიდის მზრუნველობით ვინახავ ერთ უანგმოღებულ პერგამენტს. იგი ეკუთვნის «სამიათსა...» (შემდეგ წაშლილია. აღბაღ წელს!) პერგამენტის რკინისფერ ფონზე მოთხრობილია მზიურ ახრებში შესანიშნავი ამბავი.

ძალიან ძველია იგი! იმდროინდელი, როდესაც ხდებოდა საშიში ბოძოლები წყვილიდან! წყვილი—შენი მოპირდაპირე მეორე!!

მოთხრობილია, რომ შენ იყავი პირველყოფილი თ ვ ი თ ს ი ნ ა თ ლ ე სა-მყაროში; რომ, შენ იყავი პირვანდელი სინათლე მწვანე დედამიწაზე; შემდეგ, თუ როგორ მოიკვია სინათლემ ძველი საქართველას ცნობა, გადმოიღინდა მის სულში და მოახსახ უღამაზესი ჭურჭელი; და შენ შეიქენი ადრინდელი სინათლე-სული ხალხისა; რომ, შენ ზარ დღევანდელი სინათლე-ქალწული, თეთრად განათებულ ივერიის ცის ქვეშ; და ბოლოდელი ღმერთი სიყვარულისა, მსოფლიო სული, დედამიწის უკანასკნელი მოჩვენება; მაგრამ...

იქ, სადაც ოქროს ტახტებზე სოფლმდენ ცეცხლის ღმერთები და მათი დაქვევის შემდეგ, იქ, სადაც მოკრძალებით პირქვე ეცემოდენ მორწმუნე მოლოცველები უწმინდესი ბარძიფეშსუის წინაშე; იქ... დღეს თუ თავაღამა დაიმსხვრევა უძველესი მცხეთა, არავის ნაპირებზე... (ოჰ, რა სამგლოვიარო მწუხარებით გადახვევა ორი მდინარე ერთმანეთს!)

თუ წითელ ალში სულ ერთიანად დაიწვებიან ჩემი წინაპართა რაინდი ლანდები.

გრძელი ქარები, თუ კუდიანური კივილით ამოყრის საკუთარ ბინიდან ქართველ მიცვალებულს და კლდეთა და ღრეში გადახვეტავს მშვიერ მაწანწალებად! რისხვის ქარები, საშინელი ეჩინოთ, ამოხვეტავენ თეთრ ძვლებს ღრმა საფლავებიდან; პირი მოგმიწნება მშობლიურ აკლდამებს! თუ გუმბათ-გადატეხილი სიონი ლოცვად წამღვარი წველას დაანთხვეს! სამუდამოდ ჩაპტრება თამარის პირისინათლე სამყაროში! მთვარიდა! ვინდა გიხილოს ასეთი უნაზესი სრულქმნილი, უზენაეს სიღამაზეში, შენ; პირველო ასულო სიყვარულისა! სადა გიპოვონ ასეთი ყოვლისშემძლე სიყვარული, უსაზღვრო გულკეთილობა, გამოუღვეველი სათნოება უღამაზეს ტანში გადმოსული! ვინდა იხილოს... მოპკრიფოს ახალ დილაზე წყნარი-ქუჭუქუ ყვავილები ბედნიერებისა.

უი! იქნებ არც კი დარჩეს არც ერთი მოძრავი ჩრდილი ყვითელ ქაშში! არც საუკუნო კლდე სადმე, რომელიც შეინახავს შენს ხსოვნას, მშვენიერო!

უამრავ ქარებში აწყვეტილი და ტიტველ კლდეებზე დამსხვრეული ქარიშხალი თუ ისტერიული კივილით დახვეს რვაასი წლის პოემას და უკაცურ ადგილებში გაჰფანტავს მის ფურცლებს! თუ უწინდელი საყდრებში დანგრეულ ქვიტკირების სიჩუმეს სამუდამოდ მოიკვამს გველების ტირილი! ფართე შარაზე დადებული დიდი, წითელი მზე უკანასკნელად გამოეთხოვება სოფლის სევდიან ანარჩილს და ამ დროს

აღარც თუ გაისმება ყანების კიდურებზე გამრგვლებული ნადური, იმედის მომტანი და ტკბილი... ძალიან ახლოს გამოჩნდება სისხლის ღვარებით გადარეცხილი მთვარე და მის პრაქულ განათებას უალოოდ შეპყვივლებენ მამლები! თუ მთვარის უჩვეულად გადახრილ გაქანებას თან გაედევნება სოფლიდან ძალღების ყმული, საქონლის ბღავილი გულსაკლავი... ბუნების შრიალს შეიპყრობს ცხოველთა შიში! თუ დედამიწის სახეს აედარება ცეცხლის ანრდილი და საკუთარი უინით თვით ბოროტი ღმერთებიც კი დაიღუპებიან...

მაშინ, ვინღა იხილოს შენი სახის ღვთიური ფორმა, მთვარიდა! უშენოდ, ვინღა განიცადოს მზიანი სიცოცხლე, დედამიწაზე რომ არსებობდა!

ქარებს ცეცხლი დასწვავს და შენს არსებობაზე ვეღარც ვერაფერს მოუთხრობენ ისინი ვინმეს სადმე!

გუშინდელი დღის დასასრულში ვიგრძენი შენი მსუბუქი მოსახამის ნახი შრიალი ჩემს სულში

შრიალი იყო სევდიანი...

შემდეგ მე ვნახე შენი გამხდარი სახის მკვდარი ნიღაბი! ხმელი სახის მაღალი კედლები მკვდრის ჩრდილებში!

ღმერთო! საიდან არის ეს საშინელი გამოცხადება! ასეთი სასტიკი სასჯელიც კი, ვიცი, ვიცი... ეს უნდა იყოს ჩემი მგლოვიაზე სულის მოჩვენება!

ხვალინდელ დღის დასაწყისში კიდევ მოვალ იმ ადგილს, სადაც სიჩქარით გამოდიან ქალაქიდან ღრუბლების ჩრდილები და მოუცდი შენს სანატრელ გამოცხადებას! და მაშინ ვიხილავ შენს ნეტარ ღიმილს, სიყვარულში რომ იშლებდა.

ბევრჯერ გიტირია ტკბილი ხმით წარსულში ზის ჯვართან... ყოველთვის შენი საკუთარი სიყვარული ვანიჭებდა ამ ტანჯვას. იტანჯებოდი, მაგრამ უშეშარიტად, მარადის უკვდავი ხარ, რადგან შენი სიყვარული ძლიერია, როგორც ცხრაასი მგზის შეერთებული დიდი ტალღა.

ხვალ დღის დასაწყისში მოვალ შენთან...



ს ა ნ ა პ ი რ ო ძ ა ლ ა ძ ი

I.

მწვიდათ ეძინა ჩვენს სანაპირო ქალაქს, როცა მოულოდნელად გაისმა ზარის ხმა.

უთუოდ, გაუქმებულ სამრეკლოზე დიდი ზარა რომ ეკიდა, ის იყო, რადგან ზარის გუგუნის შიშველ დააწვა ქალაქს. ღამე შეარყია და რყევითა და ტორტმანით გაიჭრა შორს. ცის დასავალისაკენ.

რალაღ გაურტყვეველ მწუხარებისა და ძრწოლების მომგვრელი იყო ეს ზარი; ზარზე ძალღებმა ყმული ასტეხეს და სანაპირო ქალაქი აბორგდა.

მალე ცარიელ ქუჩაში თოფიანი მამაკაცი გამოჩნდა; ის მხრებში ცოტათი მოხრილი შუა ქუჩით მიდიოდა და ნაბიჯზე ეტყობოდა, რომ შემკრთალია და კრთომისაგან მიიჩქაროდა.

— ზოსიმე უი!—უყვილა ვილაკამ.

თოფიანი შესდგა და ვიდრე გამოეხმაურებოდა, თოფი მოიშხადა.

— ვინ ხარ, ვერ გიცანი!—ყრუ ხმით იკითხა მან.

— მე ვარ, მომიცადე.

თოფიანმა ესლა კი იცნო ხმაზე, ვინც იყო, მაგრამ განგებ არ გაამქალენა:

«ლაწირაქია» —გაიფიქრა უკმაყოფილოდ, «სიმხდალეს დამწამებს; მაინც და მაინც რაღა ესლა ამიღია თავი და მოვდივარ ამ შუაქუჩით, ვითომ მართლა მეწინოდეს; ცხადია ლაწრობას დამწამებს, ფუჰ!»—და როცა ასე გაიფიქრა თოფიანმა, გული მოეცა და მოგონილის ქადილით დაიძახა: — კარგათ მოგიცდი ყაძახს მე შენ, ვინ ხარ მითხარი თვარა!

— ანდრო ვარ, შე კაი კაცო, მართლა ვერ მიცანიეთ?

ამ სიტყვებისთანავე ხეების ჩრდილს გამოეყო კაცი და შუა ქუჩაში გადმოხტა; მას თეთრი ხალათი ეცვა და ილლით თოფი ეჭირა.

— ჰოო, ანდრო? თითქოს გაიკვირვა ზოსიმემ: შემდეგ სველა აუტყდა; ახველებდა ხნიერ კაცის წესზე, გაბმითა და ანჩნლად, თანაც ხანდაზმით; როცა ხველება ნებას აძლევდა, ახლად მოსულს არიგებდა:

— ანდრო თუ ხარ კაი, მარა, რა ვიცი, ჩემო ბიძია, მართლა ანდრო ხარ თუ სხვა ვინმე. ხო სედავ. ყოლგან ღალატია, ყოლგან აჯანყებაა, რა ვიცი, ვინ ხარ!

ეს დარიგება ბუნებრივი გამოვიდა და ზოსიმე კმაყოფილი დარჩა, სიმხდალეს ვერ დამწამებსო, მაგრამ თეთრ-ხალათიანს ყურადღება არ მიუქცევია ამ სიტყვებისათვის, მან მოკლედ მოსჭრა:

— ჰო, დიან, დიან—და ერთბაშად იკითხა:



— ნეტა რისია ეს ზარი. ამხანაგო ზოსიმე?

ზოსიმეს არაფერად იამა ასე ახალგაზდასაგან ამხანაგობით მომართვა, მაგრამ წინააღმდეგ არა ეთქმოდა, მხოლოდ კილოში წყენა გამოუკრთა:

— გვიბარებენ, ბიძია, ხომ ხედავ?

კი. ამას ვხედავ, მარა...

— მარა რა? აჯანყება დაწყებულა, აჯანყება!

უკანასკნელი სიტყვები ზოსიმემ ხმა მალლა წამოიძახა; მართალია ამ წამოძახილით ის აჯანყებას ემუქრებოდა, მაგრამ საბიჭვით იყო; სხვა ვინმეს რომ ეკვებოდა პასუხს მოსთხოვდენ: პარტიულ კომიტეტს ჯერ არაფერი უთქვამს, თქვენ ვინ მოგახსენათო?»

ამიტომ ზოსიმემ უნებურის შიშით ირგლივ მიმოიხედა, მაგრამ ქუჩაში არავინ სჩანდა და ზოსიმე დაშვიდდა.

არც ხმაური ისმოდა ენლა არავითარი.

ზარის რეკა შეეწყვიტათ და თუმცა მისი გუგუნი კიდევ თრთოდა გაუჩებულ ღამის ჰაერში, მაგრამ ნელდებოდა და შესამჩნევად ილეოდა.

— არ დაიჯერო, ამხანაგო ზოსიმე, არ მოგატყვილოს არავინ...

უფროს კაცივით ამბობდა ამ დროს თეთრ-ბალათიანი და აუჩქარებლად მისდევდა მოსაუბრეს; მისი მოსაუბრე კი, თანისთან ბრახდებოდა, რომ ხნესა და გამოცდილ კაცს არ უჯეროდენ და რადგან ვერც ეს გაემხილა, სიბრაზისაგან მიიჩქაროდა; მხოლოდ დროგამოშვებით ამბობდა საყვედურით:

— რავე გეკადრება, შე კაცო, რავე გეკადრება... ვერ გაბედავენ რომელია, გაბედეს, გაბედეს...

ასეთი საუბრით მათ გაიარეს თეთრი და მთვლემარე ქვევით მოკირწყლული ქუჩა და ხიღს შეუღდენ.

ხიღზე ყრუდ გაისმა მათი ნაბიჯი.

ხიღის დაბლა უბზოდ გატვრენილიყო ფართე მდინარე.

მდინარეს თავს დასდგომოდა ლიბრი მთვარე, რომელსაც უხვი წყალი მდინარისა თითფერივით გაენათებია და ასე განათებული და მდუმარე, მიჰყავდა დასავლისაკენ, საითაც თვითონვე მიირხეოდა; დასავლეთით კი, მდინარის ორივ ნაპირას მოსჩანდა ფშანები, ტყე მოსჩანდა, ხოლო გასწვრივ, უფრო შორს, მოსჩანდა ზღვაც-დიდი და მუქი.

მოსაუბრეებმა ხიდი გალიეს.

ამ ადგილას მდინარის ნაპირს მისდევდა ზნორი ხეივანი, სადაც მთვარის მუქი ვერ ახწევდა და ბნელოდა. მოსაუბრენი აჰყვენ ხეივანს; ისინი ერთმანეთის სახეს ვერ ხედავდენ. ამიტომ საუბარი ძალაუვნებურათ შესწყდა და ეხლა ჩუმად მიდიოდენ. დროგამოშვებით ზოსიმე დინჯად ახველებდა.

— «ნეტაუ თუ დამიჯერა ამ ბიჭმა აჯანყების ამბავი?» — თავის თავს ეკითხებოდა ზოსიმე. «ცხადია დიდი გამარჯვება არაა, დაარწმუნებ თუ ვერ დაარწმუნებ ვინმეს რამეში, მარა რაც არ უნდა იყოს—ხნე კაცო, შენ ხარ ჩემი ბატონი, ტყვილიც კი დეეგერება, ეს კილო ახალგაზდაა... კანონით დაჯერებული უნდა იყოს...» —





ხეივანი შეთხელდა.

შოახლოვებულ განთიადის ბინდ-ბუნდში გამოჩნდა შესახვევი, ქუჩა, შენობები. შორს, ქუჩაში ეტლი მიდიოდა ხმაურით; ეტლი ერთ ძუნწად განათებულ შენობასთან დადგა და დადგომისთანავე იქიდან კაცი გადმოხტა, მეეტლემ სანათურები ჩააქრო.

იმ შენობიდან ზოსიმეს არეული ხმები მოესმა; უთუოდ ეხოში დარბოდენ, რომ ხმები სხვა-და-სხვა ადგილიდან ისმოდა:

— პირველი ნომერი, პირველი ნომერი!

— მაკარო ბიჭო, მაკარო!

— ეინ მოდის!

— მე ვარ!

ზოსიმე თანამგზავრითურთ უახლოვდებოდა შესაკრებ ადგილს. ეს იყო პარტიული კომიტეტი.

ზოსიმემ ნაბიჯს აუჩქარა. უეცრად მან იგრძნო, რომ თანამგზავრი შესდგა და ზოსიმესაც მხარზე ხელი დაჰკრა.

— ჰო!— გაუკვირდა ზოსიმეს.

— ეუუუნა სადაა ზოსიმე?— იუვით ეკითხებოდა მას თეთრ ხალათიანი.

— ეუუუნა? სახშია... არა, სახში არაა... — ზოსიმე დაიბნა, შემდეგ გაჯავრდა:

— რა ვიცი მე სადაა! ახლანდელ ახალგაზღვრებას, ჩემო ბიძია, თავისი უკუა გაქვთ ხან აღმა დადიხართ, ხან დადმა; ვერც გზა გვეიგე მე თქვენი, ვერც კვალი—თითქმის წყრომით დაასრულა მან.

თეთრ ხალათიანი რაღაც მოსაზრებაში იყო გართული და სმას არ იღებდა. ზოსიმემ ეს მორჩილებათ მიიღო და დაცხრა:

— წამოდი ახლა, რას გაჩერებულხარ?

თეთრ ხალათიანი უხალისოდ გაჰყვა, ზოსიმემ ჰკითხა:

— მაინც რა იყო ბიჭო, რაშია საქმე?

— რაშია საქმე? დიდი არაფერი, ოღონდ ის გოგო არაა კარგი სული, დასაქვრია უთუოდ—

— ეჰ, კაი, თუ კაცი ხარ, გაიუმდი—თითქოს ხუმრავა ნარეუ დაციწვივით მიუგო ზოსიმემ, მაგრამ ამ სიტყვებში საყვედური და თხოვნა მეტი იყო.

თანამგზავრმა მხოლოდ გადახედა ზოსიმეს, ისინი მიუახლოვდნენ კომიტეტის შენობას.

შენობის წინ, ქუჩაში იდგა ავტომობილი. ალაყაფისა და ასავალ კარებს თოფიანი პარტულეები იცავდნენ. ეზოდან ისმოდა ბევრთა-ხმა. ფანჯრებში მოსჩანდნენ თოფიანი მამაკაცები. ზოსიმე და თეთრ ხალათიანი ალაყაფეში შევიდნენ.

— აჰა, ანდრო მოვიდა. ანდრო, პირველი ნომერი; სადა ხარ კაცო ანდრო! განგავით მივარდა თეთრ ხალათიანს ერთი, მოკლე ტყაბუქიანი რუსი. მას ნაყვავილარი სახე ჰქონდა, კისერი ბინტებით შეეხვია; წელზე მაუხური ეკიდა.

— აბა, ეს ფრინველიც ჩაიბარე.. ანდროა.

იარაღის საწყობი გუფოთ და იქიდან ორი ახალგაზდა მაქსიმას სისტემის



ტყვიათმფრქვევს შოაგორებდა. სხვები შაშხანა თოფებს ახხარუნებდენ, ვაზნებს ლებუ-
ლობდენ, იარაღდებოდენ.

— ნუს, ანდრეი, შენი საგუშაგოა ხიდი, აქეთურა ყურე; სამხილო ხომ იცი? არ იცი—ტყაპუკიანმა ჩემად უჩურჩულა:

— დუმდუმში შემდეგ ხმაშალა განაგრძო:

— თუ ვინმე წამოვიდეს, თქმა არ უნდა, გაუმასპინძლები! გესმის!

ანდრამ უხალისოდ მიუგო:

— ჰო—არაგისათვის არაფერი უკითხავს, არაფერი გაუგია, ხელში ვაზნების ყუთი აიღო და მოდუნებულის ნაბიჯით გავიდა ეზოდან, მის უკან, მისი ორი ამხანა-
გი, მეორე და მესამე ნომერი ტყვიაფრქვევს ეხიდებოდა ალაყაფიდან.

— მაკარჩუკ! სხდომა! — მეორე სართულიდან რუსულად გადმოსძახა ეზოს ვილაკამ; დაძახებულ კისერ შეხვეული მაკარჩუკი ეზოდან ქუჩაში გამოვიარდა და კა-
რებს მიაშურა. გზაზე მაუჭერი მენჯზე სცემდა და მაკარჩუკი მოღიმარის სახით ტყა-
პუკს იხდიდა:

— ან რათ ჩამიცვამს ეგ ეშმაკის ტყავი ამ ზაფხულში, ამ სიცხეში... თავისთავს ელაპარაკებოდა მაკარჩუკი დაუდგრომლად; ტყაპუკი მკლავზე გადადგო, ანდრას რაღაც მიაძახა, რაიც ახალგაზნდა კაცს არ გაუგონია და მაკარჩუკმა მკვიციხლათ იწ-
ყა ხლტომა კიბეებზე, მეორე სართლისაკენ.

დიდ დარბაზში თავი მოეყარა სანაპირო ქალაქის ხელისუფლებას: რევკომის თავმჯდომარე და სამიოდე წევრი; საგანგებო დანიშნულების რაზმის კომანდირები; რამდენიმე საქმიანი გამომეტყველების ხნიერი ქალი; ზოსიმეც აქ იყო; ის პარტიულ ქალს რაღაცას ცხარედ უმტკიცებდა.

მაკარჩუკი მივიდა:

— მაშ, ამხანაგებო, სახელოვანი ჩეკის თავმჯდომარეც აქ არის—ძალის-ძალათ გაიღიმა პარტკომის თავმჯდომარემ.

ეს სიტყვები ისე, როგორც ღიმილი პარტკომის თავმჯდომარისა, ეკუთვნოდა მაკარჩუკს.

მაკარჩუკმა ქება შეიფერა. ტყაპუკი კუთხეში მიაგდო და ხელები დაისრისა:

— დავიწყით ამხანაგებო!—მაკარჩუკი რუსულად ლაპარაკობდა, სხვებიც, ზო-
გნი ძლივს ამტვრევდენ ენას.

სკამები მისწი-მოსწიეს.

გაისმა თავმჯდომარის ხმა, ოღნაე გაბზარული. უმადური და სხდომა დაიწ-
ყა. ვილაკამ ზარი გააწყარუნა, მაგრამ თავმჯდომარემ ზარს ხელი მოსკიდა და ზარის ხმა დააშოშო.

გამოირკვა:

— იქნებ, ამხანაგებო, ბევრი ჩვენთაგანი არ მოელოდა, მაგრამ აჯანყება ფაქტია...



ჯერ კიდევ დღის ნათელი ებრძოდა ღამის ბინდს, როცა კომიტეტის ეზოდან გამოვიდა პარტიულთა შეიარაღებული რაზმი.



რანში სამად გაიყვ.

პირველი გუნდი, უფრო მრავალ-რიცხოვანი და სამხედრო დოვლათით უკეთ მომარაგებული, წავიდა სადგურისაკენ, მახლობელ ქალაქში გასამგზავრებლად.

მეორე სამხრეთით გაემართა. ხოლო მესამე უნდა გასულიყო ნავთსადგურში, საიდანაც გემებით გასკურავდენ მახლობელ სანაპიროებისაკენ.

ქალაქის დასაცავად ბრძანება გაიცა პარტიულ ძალთა, ყველასი, ვისაც იარაღის ტარება შეეძლო—მობილიზაციისა.

ქალაქში ცხადდებოდა საალყო წესები.

შედგენილ იქნა დაწვრილებითი სია იმ საეპეო მოქალაქეთა, რომელთა ქალაქში თავისუფლად დარჩენა სახიფათო იყო და რომელნიც სასწრაფოდ უნდა დაეტრუსალებით.

სია იყო ძალიან დიდი.

კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ ოპერაციებს ზელმკვანელობდა საგანგებო სამეული.

II

გუშინაც ასეთივე იყო ეს სანაპირო ქალაქი—პატარა და დასიკხული. ქარი არ ჰქროდა. ცაზე ღრუბლები არ იძროდა, ხოლო შავი ზღვა, თვალუწვდენელი და ლურჯი, დარბაისლურად ქშინავდა და სულდათქმით ალაპლაპებდა თავის ტალღებს.

მზზე ტალღები ფერადათ ელვარებდა. ცხელოდა. ნავთსადგურის მალალსა და ქვით ამოყვანილ ნაპირზე მიმდგარიყო მანგანუმისათვის მოსული უცხოეთის ვეებერთელა გემები. ისინი, ფლადის მსხვილ თოკებით დაბმულნი, ზანტად აბოლებდენ ნაპირის კვამლს, ჭვარტილით სქელსა და მზროლავს და კვამლი ერთგოდა ჰაერს და ფვინებოდა ზღვას.

გემებთან უძრავად იდგა მანგანუმით საგსე ღია რონოდათა რიგები და ერთადერთი გამურული ორთქლმავალი, კაპას დედაკაცივით რომ გაჰკიოდა, ქაქანით უტრილიებდა გემებს და თითქო საქმობსო, ზან ერთ წყებას დაეჯახებოდა რონოდებისას, ზან კიდევ მეორეს.

იდგა ბამანი ლითონისა; ჰაერში იგრაგნებოდა მანგანუმის ბული და ბულშივე მოსჩანდა თვით მანგანუმი, რამდენიმე ეჯზე მთებთ დაზოჯილი და ესლა მხენე შავად მოელვარე.

ასე იყო გუშინაც.

მაგრამ გუშინ აქ მუშაობდა ოთხსი კაცი. მადანით იტვირთებოდა ნუთივე გემი და გემების ჯალამბართა რახრახს, გამუდმებით ერთგოდა მუშების ყიყინა და მათი ნიჩბების ხმაური.

დღეს ხმაური ნაკლები იყო; არც ხმაური იყო ესა.

მხოლოდ ერთ ამერიკულ გემის წინ, ორიოდე ღია რონოდანე შემდგარიყო მტვირთავთა მცირე ჯგუფი და ეს ოცდასამი კაცი, უზალისოდ მოძრაობდა. დაგვიანებით ისროდენ ისინი ბარებით მადანს, ბაგეები მოეკუშათ და სდუმდენ.

ბევრჯერ სცადეს მუშებმა ერთმანეთში საუბარის გაბმა; ბევრმა კიდევ ჩვეულებრივ დასუკივლა:



— დატრიალდით, ბიჭებო, კერძალენი გაწყრებაო!—მაგრამ ზუმრობამ ვერა-
ვინ გააცინა. კვლავ მოდუნებით მუშაობდენ და ყოველი მათგანი თავის საფიქრალს
ფიქრობდა. ამერიკული გემი «კერძალენი»-ც ხანტად ისროდა ყომრალ კომლს და მის
კინზე არაიენ სჩანდა, გარდა საგანგებო განყოფილების აგენტისა.

აგენტი უძრავად იდგა საგუშავო კიბეზე და ნალვლიან თვალებს ადევნებდა
პატარა კატარლას, რომელიც გაშმაგებით მოჰქრდა ნაპირისაკენ.

კატარლა მტვირთავებმაც შენიშნეს.

— ბიჭოს, ისევ ახალი ამბავია რაცხა!—სთქვა ერთმა მოხუცმა მუშამ. ამ სიტ-
ყეებზე მუშაოსას სხეებმაც თავი ანებეს, დაეყრდნენ ბარებს და დაუწყეს მზერა პა-
ტარა ხომალდს.

- ტარიელია!
- ნეტაი რას აპირობს?

კატარლა მოადგა ნაპირს და საყვირი აუშვა: ბოხი ხმა გააჩნდა პაწია ხომალდს
და ერთმა მუშამ იოხუნჯა:

- თბილისს უძასის ნამდვილად...
- ამ შენიშვნაზე მეორემ გული მოიოხა:
- კი, ვაცხონე მამა-მისი...

ამის შემდეგ საუბარი ისევ შეწყდა. ან რა ჰქონდათ სასაუბროა?!

ქვეყანა აჯანყებულიყო.

ქვეყანა იბრძოდა და რადგან ეს სანაპირო ქალაქიც ქვეყანა იყო— აქაც უნდა
დაწყებულიყო ბრძოლა.

აგზნებული მტვირთავებიც ნიშანს მოელოდენ და ეს იცოდა ყველამ.

ისიც იცოდა ყველამ აგრეთვე, რომ დღეს დილით საგანგებო სამეული ავიდა
გემ «კერძალენზე» და რადიოთი დიდხანს უძახეს დედა-ქალაქს:

- ტფილისი! ტფილისი! ტფილისი!
- ხოლო ტფილისს პასუხი არ გაუცია.

აჯანყება!

სად ეცალა დედა-ქალაქს პატარა სანაპირო ქალაქისათვის.

მაღე კატარლის ბანზე ხალხი ამოძრავდა და შორიდან, ხმელეთით გამოჩნდა
ჯარი, რომელიც მისკენ გაემართა.

ჯარს წინ მიუძღოდა სამი ცხენი, ტყვიამრეკვევის ნაწილებით დატვირთული.
მუშები დადგენ. ისინი ათვალიერებდენ ჯარს.

ცხადია—ეს ჯარი მოთავსდებოდა ხომალდზე და ხომალდით გასცურავდა მა-
ხლობელ სანაპიროსაკენ, აჯანყებულთა წინააღმდეგ.

აღელდენ მუშები:

- ჰაი დედასა!
- რისი მჟნისა, ბიჭებო, ეს ბარები! რა დროს ბარები!
- ჰერი ბიჭებო, დავერიოთ.

დრტვინავდენ მტვირთავები და განრისხებულნი ჰკუმშავდენ მუშტებს. ისი-
ნი ერთმა მოხუცმა მტვირთავმა დაამშვიდა:



— არ შეცდეთ, ბიჭებო! აფრთოვანებულის ხმით დაიძახა მან.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს—მოხუცს სპეტაკი წვერ-ულვაში ჰქონდა და თაფლისფერი თვალები ავზნებოდა სპეტაკსავე წარბებში. მას დაუჯერეს:

— მართალია სოლომონ!

— სოლომონი მართალია!

— ყველაფერს თავისი დრო აქვს!

ფეხით მომავალი ჯარი ხომალდის წინ შესდგა. ხომალდიდან კიბე ჩამოუშვეს და ჯარი აირია და არეულად იწყო ასვლა ხომალდის ბანზე. ყოველ მათგანს მიჰქონდა შანხანა თოფი და ზურგზე გადაკიდული ვაზნებისა და სანოვავის ჩანთა.

ცხენებს ტყვიაფრქვევი ჩამოხსნეს და ხომალდის ვიწრო კიბეზე, რანდენიმე კაცი უხერხულად ეწიდიებოდა. მხოლოდ ერთს, თეთრ ხალათიან ახალგაზდას, მართოს გაედო მხარზე მძიმე ლულა და ასასვლელად ეშვადებოდა.

სოლომონმა თეთრ ხალათიანს თვალი მოჰკრა და დააკვირდა, უთუოდ იცნო მოხუცმა ახალგაზდა, რომ წამით ელვარე თვალები ჩაუქრა, ნაღვლითაც აეცსო და უნებურათ ამოვიგინა.

— რაო სოლომონ, ანდროა, “შენი ვაჟი”—თანაგრძნობით შეეკითხა სოლომონს ერთი, მასავით ჰალარა მტვირთავი.

სოლომონს პასუხი არ გაუცია, ბარს ხელი ღონივრად მოსჭიდა და მუშაობა დაიწყო.

მალე ჯარი ხომალდზე მოთავსდა. ტყვიაფრქვევებიც ბანზე დაამყარეს და ხომალდი სწრაფად მოიხსნა, ზვირთები ძალეულად ავდნო და გასცურა ღია ზღვაში.

ჯერ კიდევ კარგად მოსჩანდა ზღვაში ხომალდი, რომ მტვირთავეებმა შორიდან შენიშნეს მათკენ მომავალი ზოსიმე, ხოლო მეორეს მხრივ დიდი ორთქლმავალი ოთხიოდე საბარგო რანოლით; რაგორც ორთქლმავალი, ისე რანოდები საგვს იყო ბარებიტა და თოფებით შეიარაღებული პარტიულებით. უცნაური მატარებელი მიექანებოდა სილაში დაგებულ ლიანდაგზე და სანამ ზოსიმე მტვირთავეებს მიუახლოვდებოდა, იგი დადგა. დადგომისთანავე, რანოდებიდან ბარიანი ხალხი გადმოცვივდა, ტომრები გადმოიტანეს და დაიწყეს მათი სილით ავსება და რანოდებზე ატანა.

— ერიპა!—მხირულად ალაპარაკდნენ მუშები.

— ბარიკადებს აკეთებენ—იტყოდა ერთი; მეორემ სთქვა:

— ჯავშნოსანია ბიჭებო!

ხოლო ქართლელი ღვთისო, სოლომონივით ჰალარა კაცი რომელიც იყო და რომელმაც ამას წინად ანდრო იცნო, ლოყაზე ხელის დათათუნებით ამბობდა:

— ჩემმა მზემ, ამისა მზემ, საქმე გასჭირებით შეიღოსან რომა...—მაგრამ სიტყვა აღარ დაესრულებია, ზოსიმე მოახლოვდა და სოლომონმა ამხანაგს ხელი გაჰკრა:

— გაჩუმიდ ღვთისო-ო.

— თქვენი კაი გამარჯვება, ამხანაგებო—მოსვლისათანავე მიესალმა ზოსიმე მტვირთავეებს; მას უგულოდ უპასუხეს:

— გაგიმარჯოს ზესიმე.

ამის შემდეგ მტვირთავეები მუშაობაში გაერთნენ და ზოსიმეს თითქოს ვერც

ამხნეედენ. ზოსიმე მკირე ხანს უხმოდ იდგა; მერე წასვლა დააპირა, მაგრამ შესდგა და ისევ დაბრუნდა: უნდოდა რაღაც ეთქვა, ვერ გადაეწყვიტა. ბოლოს დამნაშავე კაცივით გაიღიმა და ღიმილს თან დაურთო:

— ეჰ, რა დროს მუშაობაა, თქვე კაი კაცებო!

მუშები დადგენ და მოსაუბრეს მოგონებულის განცვიფრებით მიაჩერდნენ.

— მაინც რათაო ზოსიმე, განა რა დროა ასეთი, რომ მუშაობის დრო არ იყოს? ასე ჰკითხა ლეთისომ მოსაუბრეს და მოსაუბრე აღაპარაკდა; უთუოდ ძალიან ადელგებულ იყო ზოსიმე, მან ხელები გაშალა:

— დიახაც მუშაობის დრო არ არის. თელი ქვეყანა აჯანყებულია. აქეთ გურია, იქით სამეგრელო, იმერეთი, ქართლი, კახეთი და კილო რა ვიცი ვინ—ნმა მალა იძახდა ზოსიმე და ხელეხს ქვეყნის ოთხივე მხარეს იშვერდა—მერე კილო, ქალაქში რა ამბავია ვინ იცის!—თუმცა რა ცოდნა უნდა ჩემო ბიძია! ამდგარა დიდი და პატარა, ხალხს თურმე, წინ ეროვნული დროშა მოაქვს და იძახის, დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოსო, მერე? ზოსიმემ ამას ებრაძლოს? არა, ჩემო ბიძია, ზოსიმე ამას არ ებძვის, აგი ზოსიმესაც უნდა! ვისაც არ უნდოდა იგი ქე წაეიდა კატერით და ვნანოთ რა გამაგა. მე კი, ღმერთმა დამიფაროს... ხალხს რომ ვებრაძდე, იმ დღეს ნუ შევსწრებოდე...—ყვედრებით დაასრულა ზოსიმემ და პასუხი არ მოუხსენია, გაგული-სებული შეტრიალდა.

მტკიერთავები მოღიშარის სახით უცქეროდენ მიმავალ ზოსიმეს.

— რა სიტყვები დახარჯა კაცო ამ კაცმა!

— რა მუანია ნეტაი—თითქოს ვერ იცნობსო, ხუმრობით იკითხა ერთმა. მას მეორე მიჰყვა:

— სოლომონ, აი კაცი მე პარტიული მახოვდა!

სოლომონმა გაიღიმა, მაგრამ თქმით არა უთქვამს, მხოლოდ თანხმობით თავი დაუქნია ამხანაგებს:

— როგორ არა, პარტიულიაო.

(გაგრძელება იქნება)



(დღიურიდან)

26 მარტი, 1922 წელი, კონსტანტინეპოლი.

მზიანი დღე გათენდა, სასიერნოთ ქალაქ გარეთ გავედი; მინდორი ყვავილებით აქარგულ-ახატულია, ატამ-ალუჩის ხეხილები თაიგულეზათ შიგ ჩარგულია! ხეხილის პოწკეებზე ჩიტები ფრთხილაობენ. ქვეშ პეპელასავით მართულ-მოკანშული თაქოჩო-რა ბავშვები მერცხლებსავით უიკვიკობენ, ყვილ-ხვილით ერთმანეთს დასდევენ,—სი-ცოცხლით არე-მარეს ავსებენ...

ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, წელზე ხელშემოხვეულნი, ირემივით ყვლმოდერებულნი ლალათ დადიან; მტრედ-გვრიტებივით ღულუნებენ; ვითარცა ფუტკარნი ყვავილებზე, ისე ერთმანეთს ტუჩებს უწოწნიან—სტკბებიან; მათი გულიანი სიცილ-კისკისი გაზფხ-ხულის მშვენიერების გამოძახილია...

მე კი ყოველივე ეს მალონებს, შორეულ-ახლო წარსულს მაგონებს...

მე კი არ მშურს მათი მზიარულება. არც დავცინი მათ; ბიროქით, ამ ჯოჯოხეთად ქვეულ დროში, გაზაფხულზე ადამიანი გაზაფხულობდეს—ეს გულს სიამით მიესებას, მაგრამ... რა ცოტანი შესტრფიან ბუნების გაღვიძებას! რა ცოტას ერგო წილათ დიადი ბედნიერების გამოცდა?! აი, რა მალონებს მე...

თვალი გადავაღვე მზის სხივებზე მოელვარე ბოსფორს, მის კიდენაპირებზე მარ-მარილოს სასახლეებს, სალოცავ ჯამე-მინარეტებს, საუცხოვოთ, ცის კამარაში ანი-დულ გუნდის ხეებს და ფიჭრმა გამოიტაცა... გამოიტაცა და გარინდებული ვიდექი. აზ-რით მივსდევდი ცისარტყელასავით მზის სხივებზე ზოლივით გაწოლილ ბოსფორს, რომლის ზედაპირს გაზაფხულის ნიაგი ათამაშებდა; მისი ჭავლი თვალს მიჭუტავდა...

ბოსფორი ხომ შვე ზღვა უერთდება! იქ, შავი ზღვის პირას ქალაქ ტრაპეზონის ბერძნულ ეკლესიის გალავანში ხომ განისვენებს ჩვენსავით რუსებისმიერ დევნილი მე-ფე სოლომონი?! ისიც ხომ რუსეთის ჯალათებს ნარჩევალის ცინიდან გამოექცა და სამ-შობლოს დანატრულმა უცხოეთში დალია ტანჯული სული! ოჰ, რა მზავსებაა მისს და ჩვენს შორის!..

ტრაპეზონს იქით რიზე-ჭანეთი, ლაზისტანი—ეს; ჩვენი წარსული კულტურის აკვანი—დღეს გათათრებული!.. შემდეგ ბათოში, აჭარა, შავშეთი, ახალციხე—მესხე-თი—ეს ჩვენი ქვეყნის მშვენება! და იქით... საყვარელ—სანატრელი, ჩვენი სასოება, სა-მშობლოს გული—თბილისი.

თბილისი—მუდამ ქაშს გაუხარელი, მაგრამ მაინც მიმზიდველი; თავპირ დამ-ტრეფულ-დაღწეული, როგორც მისი ციხე სიმაგრენი, მაგრამ მაინც ამაყი, ქედმოუხრე-



ლი, საქართველოს აღმდგენი და გამაერთიანებელი! თბილისი! ოპ, რა ტკბილი, რა-
ძლიერი, რა სასიამოვნო სახეა ეს სიტყვა! ვითარცა ჩვენი ყრმა თავის ფუნჯულა, პაწია
თითებს ათამაშებს დედის მკერდზე და ალისფერ ტუჩებით უცმატურებს, სწავს საყ-
ვარელ ძუძუებს, ასე ვიზრდებოდით ჩვენ თბილისის ქალაქში! აქ გაეზიდავით ჩვენ თვა-
ლები, აქ დავაქვადით, აქ აღვმართეთ ჩვენ ძმობა—ერთობის დროსა ბირველათ, ამ
დროის სხივებით ვავაცისკრავენეთ კავკასიის მთები და ამ სასწულმომხდენი დრო-
ის ქვეშ აღვადგინეთ მშვენიერი საქართველო!

და ეზლა ვითარ ერემია გვოდებთ და ვსტირით... ტაძარი ჩვენი დანგრეულია,
ვითარცა სიონიბრძოლაში დახოცილ გმირებს საფლავი არა აქვთ გათხრილი და ყვაე-
ყორნები თვალებს კორტინას... მებრძოლი მეტეხის ციხეში არიან გამომწყვდეულნი
და ასულნი ჩვენი ილტვიან მთებში, ვით შველნი მხეცთავან.

ნუ მიწყენ სიცოცხლით სავსე ბუნება, თუ დღეს ჩვეულებრივ ვერ ვსტკბები
შენი მშვენიერებით და ძველებურათ ვერ ვყვირ-გვიჩინებ შენს დანახვაზე... დღეს სუ-
ლი ჩემი დახურულ არს, გასაღები მისი საქებნელ და გზანი სავალნი დახშულ...

გულდაწყვეტილი ვეთხოვები სიცოცხლით გაღვიძებულ ბუნებას და მივდი-
ვარ ქალაქისაკენ...

ჩემს წინ ფართედ გადებულა ბერძენთა სასაფლაოს კარები და მე შევდივარ-
საუცხოვო ქანდაკებანი და ყვაილი—მცენარენი თვალს მიტაცებენ...

რა კარგათ არის მოვლილი თვითველი საფლავი! რა ხელოვნება მარმა-
ლოს ძეგლები! რა სინაზით არის ყვაილები საფლავის გულზე დარგულ—მორთული!
ავერ ქანდაკება ვინმე ბერძნისა, რომლის ტანი მარმარილოთაა გამოკვეთილი, მისი
სახე ცოცხალათაა ამოჭრილი! წინ მისი მეუღლე ამოსხმული მწუხარე თვალებით; თავ-
ქოჩორა გოგონა თაიგულს უძღვნის საყვარელ მამას.

ამ სურათმა ცოტა ხანს გამიტაცა, გულს ჯგერი გადამყარა, მაგრამ გონება
შორს, საყვარელ მხარეში გაიჭრა და მტრის მიერ აოხრებული საფლავები თვალ წინ
დამიყენა, სულისა და გულის შემზარავი სურათები ნათლად ამისტა...

იმ საფლავთ არამც თუ მეუღლე—ბავშვთა მოსიყვარულე გულის ყვაილების
სურნელება ამკობს, არამედ ბარბაროსი უცხო დარაჯნი წმინდა საფლავებს აბინძუ-
რებენ...

და მე ბუნების მოსიყვარულე შეგვრთი, თითქოს მწეს ვუსაყვედურე: ვისთვის
ანათებ ან რათ იძლევი მაცოცხლებელ სითბოს?!

და კვლავ ჩემი სული მწუხარებაში შეიპყრა...

მშვენიერ ბუნებაში, ოდეს ყოველივე ხარობდა, — ჩემი სამშობლო და მე სუ-
ლიან—ხორციანათ ვიტანჯებოდით...

რათ? რისთვის? როდემდის?

აი, ამ ფიქრებით, თავჩაქინდრული (თუმცა მუდამ ამაყი და ლალი) ჩემსავით
ტანჯულ—დენილ თანამემამულეებისაკენ გავსწიე...



გ ბ რ ლ ა ხ ვ ე წ ი ლ ი
(ფრანგულით)

და ვიღოდა იგი, ვით ეული, პირსა ქვეყნისასა. უფალიცა უძლოდეს გზათა საბრალო გარდახვეწილისა.

მე განვლე ქვეყანანი და ვრნი; იგინი შემომცქეროდენ მე და მე შევცქეროდი მათ, და ჩვენ ვერა ვსცანით ურთიერთი, გარდახვეწილი ყოველგან ეულია.

როს დღის დასავალს გხედვიდი მე ხეობის სიღრმიდან ამომავალ კვამლსა ქოხებისა, მე ვიტყვოდი: ნეტარ არიან ვინცა კჳოვოს საღამოს ეამს კერა ოჯახური და დასჯდეს შორის თვისთა: გარდახვეწილი ყოველგან ეულია.

საით მიქროლენ ეს ღრუბლები, დენილნი ქარიშხლისაგან? მათსავით მერეკებიან მე და ვინ იცის, საით? გარდახვეწილი ყოველგან ეულია.

ღამაზი არიან ეს ხენი, და ტურფა—ყვავილეები, მაგრამ ეს არ არიან ხენი ჩემი ქვეყნის და ყვავილნი ჩვენი ბაღების. და ისინი არას ეტყვიან ჩემს გულს. გარდახვეწილი ყოველგან ეულია.

ეს წყარო ღბილათ მისრიალებს გაშლილ მდელოზე, მაგრამ მისი ლიკლიკი არ არის ის, რაც ჩემს ბავშობას მოუსმენია. იგი არ აღვიქვს მოგონებას ჩემს სულში, გარდადეწილი ყოველგან ეულია.

საამონი არიან ეს სიმღერანი, მაგრამ დარდნი და სიამენი მათით აღჭრულნი, არ არიან ჩემი დარდი და სიამენი: გარდახვეწილი ყოველგან ეულია.

მეკითხებოდენ: რათა სტირით თქვენ? და როს მე ვამცნე, თუ რათ, არავინ აცრემლდა, ვინაიდან ვერაინ განიგო მე. გარდახვეწილი ყოველგან ეულია.

ვიხილე მე მოხუცი ბავშვებით შემორტყმულნი, როგორც ზეთის ხილი ატეხილი ყლორტებით, მაგრამ მოხუცთ არ მიწოდეს მე თავის შვილათ; არც ბავშვები მისმობდენ თავის ძმათ. გარდახვეწილი ყოველგან ეულია.

მე ვიხილე ქალწულნი მოღიმაზნი ნაზი ღმილით, ვით დიღის სიო, მათთვის, ვინც მათ გულს თავის სატრფოთ აურჩევია; მაგრამ ერთი მათგანიც არ მიღიმოდა მე, გარდახვეწილი ყოველგან ეულია.

ვიხილე ახალგაზდანი, მკერდით მკერდზე გადაქდობილნი, ჩაკრულნი. თითქოს სურდათ ორი სიცოცხლე შეედულათ ერთ არსებაში... ხოლო მე ხელიც არავინ დამიკერა ჩამოსართმევით: გარდახვეწილი ყოველგან ეულია.

მხოლოდ სამშობლოში მოიპოვებიან მეგობრები, მეუღლე, მამა და ძმები:— გარდახვეწილი—ყოველგან ეულია...

საბრალო გარდახვეწილი! შესწყვიტე გმინვა, ჩვენც ყველანი დენილი ვართ ისე, როგორც შენ. ყველას განეშორება და წარუვალს მამა და ძმები, მეუღლე და მეგობრები.

და დაიარება იგი, ვით ეული, პირსა ქვეყნისასა. უფალიცა უძლოდეს გზათა საბრალო გარდახვეწილისა.

თარგმანი . . .



დ ე ლ მ ა მ ი ს მ ა კ ვ ლ ე ლ ი

დამცველი ამტკიცებდა, რომ მან ეს სიგეიის გამო ჩაიღინა. აბა, როგორ გნებეთ ასეთი ბორატმოქმედების ახსნა?

ერთ დილას, შატუს მახლობლათ, მდინარის ნაპირა ბუჩქებში აღმოაჩინეს ერთი შეორეზე გადახლართული დედაკაცისა და მამაკაცის გვამი. ისინი იყვნენ ერთი წლის წინათ ჯგარდაწერილნი (ქალი დაჯარაწინებამდე სამი წლის ქვრივი), მაღალ საზოგადოებაში კარგათ ცნობილი, მდიდარი, საშუალო ხნის პირები.

გამოირკვა, რომ მათ მტერი არა ჰყოლიათ, და მკვლელს მათი გაცარცვა მიზნათ არა ჰქონია. გამოძიებიდან გამომდინარეობდა, რომ ბორატმოქმედების ჩამდენს მათთვის უცემია გრძელი რკინის იარაღით და შემდეგ გვამები გადაუგდია მაღალ კიდიდან მდინარეში.

მკვლელი ვერ აღმოაჩინეს. მენავეებმა, რომელთაც დაჰკითხეს, ვერავითარი ჩვენება ვერ მისცეს, რადგან მათ არაფერი დაუნახავთ და არც გაუგონიათ. ისიც იყო საქმე უნდა მოესპოთ, როცა მეზობელ სოფლიდან გამოცხადდა ერთი ახალგაზრდა დურგალი, გვარათ—ჯორჯ ლუი, ეგრეთ წოდებული «ბურჯუა» და აღიარა, რომ იგი იყო მკვლელი.

ყველა დაკითხვანზე, იგი ერთდამიშვეს იმეორებდა:

ორი წელია, რაც მე მამაკაცს ვიცნობდი, ხოლო ქალი ექვსი თვის წინათ გავიცანი. რადგან მე ძლიერ დახელოვნებული ვარ ჩემს დარგში, მათ ხშირად მოჰქონდად ჩემთან ძველი დროის ავეჯი გადასაყეთებლათ.

და როცა მას ეკითხებოდენ, რისთვის მოჰქვია მან ის ორი ადამიანი, იგი დაუინებთ უპასუხებდა:—მე მოვკალი ისინი იმიტომ, რომ მე მსურდა მათი მოკვლა! ვერას გზით მისგან სხვა ჩვენების მიღება ვერ მოხერხდა.

ეს კაცი იყო უკანონოთ დაბადებული და შემდეგ უპატრონოთ მიტოვებული. მას არ ჰქონდა სხვა სახელი და გვარი—ჯორჯ ლუის გარდა, მაგრამ, როცა იგი გაიზარდა, შეიქნა საკვირველი უკუის პატრონი. იგი იჩენდა თანდაყოლილ თავისებურ გემოვნებას, რასაც მოკლებული იყვნენ ყველა მისი ამხანაგები; მას უწოდეს ზედმეტ საზულათ—«ბურჯუა» და ეს სახელი მას სამუდამოთ შერჩა. თავის ხელობათ მან გაიზარდა დურგლობა, რომელშიდაც იგი ძლიერ კარგი ოსტატი იყო. ამას გარდა, იგი ზისავან ქანდაკებას აკეთებდა. ამბობდენ აგრეთვე, რომ იგი იყო აღტაცებული ადამიანი, კომუნისტური და ნილილისტური დოქტრინის მიმდევარი, სისხლოვანი დრამებისა და რომანების მკითხველი, გავლენიანი ამომრჩეველი და მუსეა-გლენთა საჯარო კრებების მოქნილი მოსიტყვე.

ვეჭილი ბორბოტმოქმედებას სიგიჟით ხსნიდა.

და მართლაც, როგორ შეიძლება იმაზე ფიქრი, რომ მუშას მოეკლას თავისი საუკეთესო მუშტრები, მდიდრები, გულუხვნი (იგი მათ იცნობდა), რომელთაც მას დაუკვეთეს სამი ათასი ფრანკის სამუშაო (საანგარიშო წიგნები ამის მოწამე იყო). წარმოსადგენი იყო ერთად ერთი ახსნა: სიგიჟე, იდე ფიქსი გადაგვარებული ადამიანის, რომელიც ორ ბურჟუაზე შურისძიებით ყველა დანარჩენ ბურჟუაზე შურს იძიებს. და დამცველმა მოხერხებულათ გამოიყენა თავისი კლიენტის ზედმეტი სახელი «ბურჟუა», რომლითაც ეს მიტოვებული ბავში მონათლა მხარემ, სადაც იგი აღიზარდა და დასძინა:

— ეს ხომ დაცინვია! ისეთი, რომელსაც შეუძლია კიდევ უფრო გაახელოს ეს საბრალო ყმაწვილი, რომელსაც არ ახადია არც დედა და არც მამა! ეს გახლავთ რესპუბლიკანელი. აბა, რას ვამბობ? ის ეკუთვნის იმ პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც დიდი ხანი არ არის, რაც რესპუბლიკა ზვრეტდა და აძევებდა და რომელსაც დღეს ის გულში იკონავს; იმ პარტიას, რომლისთვისაც ხანძარი პრინციპია და მკვლელობა სულ უბრალო საშვავლება.

ეს კაცი დაჰკარგა ასეთმა უბადრუკმა დოკტრინებმა, რომელთაც ეწოდა საჯარო კრებები აღდგომიანი ევანგელის. იგი უსმენდა რესპუბლიკანელებს—ქალებსაც კი, დიან, დიან, ქალებსაც, რომელნიც მოითხოვდნენ ბ. გამბეტას სისხლს, ბ. გრევის სისხლს! მისი ავადმყოფი გონება შეირყა, მას სწყუროდა სისხლი, ბურჟუის სისხლი!

— თქვენ უნდა დასაჯოთ, ბატონებო, არა ეს კაცი, არამედ კომუნა! დარბაზში მოწონების ხმა გაისმა. ყველამ იგრძნო, რომ დამცველი საქმეს მოიგებდა. სახელმწიფო წარმომადგენელმაც ვერ გაუძლო მის საბუთებს. მაშინ თავჯდომარე.—როგორც ეს წესია,—შეეკითხა ბრალდებულს: — ბრალდებულო, გაქვთ რაიმე დასამატებელი თავის დასაცავათ? მკვლეელი ზე წამოდგა.

იგი იყო პატარა ტანის კაცი, ქერა, და გამოიყურებოდა ქალი, ღია და გაშტერებული თვალებით. მაგარი, მუქეპავი, გულწრფელი ხმა გამოისმოდა ამ სათუთ აგებულების ყმაწვილისაგან, რომელმაც პირველ სიტყვიდანვე უტბათ შესცვალა აზრი მის შესახებ რომ იყო შექმნილი.

იგი ლაპარაკობდა მაღალი ხმით და ისეთი მკაფიო გამოთქმით, რომ თვითეული მისი სიტყვა გარკვევით ისმოდა ევანგელის დარბაზის უკანასკნელ კუნძულამდე.

— ბ. თავჯდომარე! ვინაიდან არა მსურს საგიჟეთში წასვლა, რადგან მე მას მიჩრეწენია გილიოტინა, ამიტომ ყოველივე უნდა მოგახსენათ:

მე მოვკალი ის მამაკაცი და ქალი იმიტომ, რომ ისინი ჩემი მშობლები იყვნენ. ესლა გთხოვთ მომიხსინათ და მერმე გამასამართლოთ.

ერთმა ქალმა დაბადა რა ვაჟი, ვაგზავნა იგი სადღაც გასაზრდელათ. არ შემიძლია ვსთქვა, იცოდა თუ არა მან, რომელ მხარეს წაიყვანეს ის უმანკო. პაწია არსება, მაგრამ დანამდივლებით ვიტყვი, რომ მას მისჯილი ჰქონდა საუკუნო წამება, მუდ-



მივთ უკანონო შვილის სასირცხველ სახელი, კიდევ მეტი—სიკვდილიც კი, რადგან იგი სრულიად უპატრონოთ მიტოვებულ იქნა, ვინაიდან აღმზღელს, შიძას,—როცა ის აღარ ღებულობდა ბავშსისთვის თვითურ საჩხოს,—შეექლო, როგორც ამას ზშირათ სხადიან,—მისი უყურადღებოთ დატოვება და მოსალოდნელია სიმშლის გამო ბავში კიდევაც წუთისოფელს გამოსალმებოდა!

ქალი, რომელმაც მე ძუძუ მაწოვა, გამოდგა პატიოსანი, უყეთესი ქალი, უკეთესი პირივნება, უფრო დედა, ვინემ მკვიდრი დედა. მან მე აღმზარდა. იგი შექდა, რომ მან შეასრულა თავისი მოვალეობა. უმჯობესია დაიღუპონ ეს საწყალი არსებანი, რომელთაც მიაგდებენ სადაც სოფელში ისე, როგორც გადაპკრიან ხოლმე ნეხეს.

მე ვიზრდებოდი რალაც გამოურკვეველი და ბუნდოვანი შთაბეჭდილებით, რომ მე უსირცხვობასა და უპატიოსნებას თან ეატარებდი. ბავშვმა ერთ დღეს ბუში მიწოდეს. მათ არ იცოდენ, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვა, რომელიც მათ აღბათ მშობლებსიგან მგნოდათ. არც მე მესმოდა იგი, მაგრამ იგი ვიგარბენი მე.

შემიძლია ვსთქვა, რომ სკოლაში მე ვიყავი ერთი ჭკვიანთაგანი. მე შემეძლო გამოვსულეიყავი, ბატონო თავჯდომარე, პატიოსანი ადამიანი, გამხდარყავ დიდი პირივნებაც, ჩემს მშობლებს რომ დანაშაული არ ჩაედინათ და უპატრონოთ არ მივეტოვებინეთ.

ეს ბაროტმლაქმდებდა მათ ჩემს მიმართ ჩაიღინეს. მე გავცანი მსხვერპლი, ისინი იყენენ დამაშავენი. მე არ ძალმოძიდა თავი დამეცვა. ისინი იყენენ შეუბრალებულნი. მათ უნდა ვეყარებოდე, მათ კი გადამაგულეს.

მათ მე სიცოცხლე მოამნიეუს, მაგრამ სიცოცხლე განა დიდ სიმდიდრეს წარმოადგენს? ჩემი სიცოცხლე ყოველ შემთხვევაში იყო მხოლოდ უბედურება.

ჩემი უსირცხვილოთ მიტოვების შემდეგ, მათდამი მხოლოდ ერთი მოვალეობა დამრჩა: ეს იყო შურისძიება. მათ ჩემს მიმართ ჩაიღინეს ყოველად არადამიანური მოქმედება, ყველაზე უფრო საძაგელი და საშინელი, რომელიც კი შესაძლებელია ცოცხალ არსების წინააღმდეგ.

შეურაცხელი ადამიანი დაპკრავს ხოლმე; გაძარცული ადამიანი ძალით იბრუნებს ნაძარცვს. მოტყუებული, ნაწამები ადამიანი ჰკლავს; სილაგარტყმული ადამიანი მახვილს მიმართავს; პატივყარილი ჰკლავს. მე ვიყავი ზეობრივით ყველა მათზე უფრო გაქურდული, მოტყუებული, ნაწამები და სილაგარტყმული, რომელთაც თქვენ აპატიებთ ხოლმე.

მე შური ვიძიე, ჩავიღინე მკვლელობა. ეს იყო ჩემი კანონიერი უფლება. მე მათ მოვსტაცე მათი ბედნიერი სიცოცხლე ნაცვლად იმ საშინელება—სიცოცხლისა, რომელიც მათ მე იძულებით მოამნიეს.

თქვენ აქ ილაპარაკებთ მშობელთა მკვლელობაზე! იყენენ კი ისინი ჩემი მშობლები, ეს ხალხი, რომლისთვისაც მე ვიყავი აუტანელი სიმძიმე, შიში, მათი ცხოვრების შავი წერტილი; რომელთათვის ჩემი გაჩენა იყო უბედურება და ჩემი სიცოცხლე კი სირცხვილი? ისინი ეძებდენ გგოისტურ დროსტარებას, მათ გაუჩნდათ შვილი. მათ მსაჰეს ეს შვილი. მოაღწია ჩემმა რიგმაც, რათა იგივე ჩამედინა მათ მიმართ.

მე კი—დიდი ხანი არ არის მას შემდეგ—მზად ვიყავი ისინი შემეყვარებია.

როგორც მოგახსენეთ, ორი წლის წინათ, პირველათ მოვიდა ჩემთან მამა ჩემი მე არავითარი ეჭვი არ ამიღია. მან შემიკვეთა მე ორი ავეჯი. მას, როგორც შემდეგში გავიგე, ცნობები შეეკრიბა ჩემს შესახებ ადვილობრივ მღვდელთან, —რა თქმა უნდა, საიდუმლოების დაცვის პირობით.

შემდეგაც იგი ხშირათ მოდიოდა ჩემთან. იგი მაძლევდა სამუშაოს და კარგს გასამარჯლოსაც ვლებულობდი მისგან. ხანდახან საუბარსაც დამიწყებდა ხოლმე რო- მელიმე საჯანზე. ჩემში კიდევ აღიძრა მისდამი სიყვარული.

ამა წლის დამდეგს, მან თან მოიყვანა ცოლი, —დედა ჩემი, როცა იგი ჩემთან შე- მოვიდა, ისე კანკალებდა, რომ ნერვების სენით შეპყრობილი მეგონა. მან მოითხოვა სკამი და ერთი ჰიჭა წყალი. არა უთქვამს რა. იგი შეჩერებოდა ჩემს ავეჯულს შე- შლის თვალებით და თვითულ შეკითხვაზე ქმარს უპასუხებდა: კი ან არა-თი, უგზო- უკვლოთ, უადგილოთ! როცა წავიდენ, დარწმუნებული ვიყავ, რომ იგი შესწლილი იყო- ერთი თვის შემდეგ იგი ხელშეორეთ მოვიდა. იგი იყო დამშვიდებული და თავშეკავებული. იმ დღეს ისინი ჩემთან დიდ ხანს დარჩენ სამსლათოდ და ბევრი სა- მუშაო შემიკვეთეს. ამას შემდეგ სამჯერ კიდევ ვინახულე დედა ჩემი ისე, რომ არას მიგზედარვარ. ერთ დღეს მან დამიწყო მუსაიფი ჩემს შესახებ; გამომკითხა ჩემი ბავშო- ბისა და მშობლების ამბავი; მე მას ვუპასუხე: —ჩემი მშობლები, ქალბატონო, იყვნენ საზიხლარი, რადგან მათ მე უპატრონოთ მიმატოვეს. ამ სიტყვებზე მან ხელი წავივლო გულის ადგილას და უგრძობლათ დაეცა. მე მაშინვე ვიფიქრე: —ეს არის ჩემი დედა! მაგრამ ყოველივე ვიღონე, რომ მას ჩემს სახეზე ჩემი ფიქრი არ ამოეკითხა.

შემდეგ, ჩემი მხრივ, მეც შეეკრიბე საჭირო ცნობები. გავიგე, რომ მათ ჯვარი დაეწერათ გასულ კვირიკობისთვეში და რომ დედა ჩემი წინათ სამი წლის ქვრივი ყო- ფილა. მითქმა-მოთქმა იყო, თითქოს მათ ერთმანეთი უყვარდათ ჯერ კიდევ პირველი ქმარის სიცოცხლეში. მაგრამ ამის საკმაო საბუთები არ არსებობდა. ამის საბუთი ვი- ყავი მე, რომელიც ჯერ გადამაღეს და რომელსაც შემდეგ გაქრობა მოუწოდოდა.

მე ვიცაღე. და აი, ერთ საღამოს შესტუმრა იგი თავის ქმართან ერთად. იმ სა- ღამოს, არ ვიცი რატომ, იგი ძალზე აღელვებული მომჩვენა. წასვლის წინ მან მომ- მართა: «მე თქვენთვის კარგი მსურს, ვინაიდან თქვენ უნდა იყოთ პატრონანი ყმაწვილი, მშრომელი ადამიანი; თქვენ ალბათ, ერთ დღეს დაქორწინებაზე იფიქრებთ; მე მსურს თქვენ დაგებნაროთ და ამოგირჩიოთ თქვენი საკადრისი ქალი. მე თვითონ ერთხელ გავთხოვდი ჩემი სურვილის წინააღმდეგ და ვიცი, თუ რას ნიშნავს ეს. ესლა მე ვარ მდიდარი, უშვილო, თავისუფალი და ჩემი ავლადიდების სრული პატრონი. აჰა, თქვე- ნი მზიბთი!» —და მან გამომიწოდა დახურული დიდი კონვერტი.

მე მას თვალი თვალში გავუყარე და შევეკითხე:

— თქვენ ხართ დედა ჩემი?!

მან სამი ნაბიჯით უკან დაიწია და თვალებზე ხელი აიფარა, რათა აღარ დაე- ნახე. მამა ჩემი მას მხრებში შეუღღა და მომბრუნდა ყვირილით: —თქვენ გიყი ხართ, ვილაცა ხართ!

მე ვუპასუხე: —სრულიადაც არა! მე ძალიან კარგათ ვიცი, რომ თქვენ ჩემი მშობლები ხართ! ჩემი მოტყუება არ არის ადვილი! აღიარეთ ეს და საიდუმლოებას

დავიცავ, მე თქვენგან არაფერს არ მოვიტხოვ, დავრჩები, რაც აქამდე ვიყავ, დურგლათ. იგი გაექანა გასავალ კარისაკენ და თან მიათრევედა თავის ცოლს, რომელიც ეხლა ცრემლებსა ღვრიდა. მე მაშინვე კარები ჩაკეტე და კლიტე ჯიბაში ჩავიდე და კვლავ ვეუბნებოდი:—შეხედეთ თქვენს ცოლს და აბა! უარყავით, რომ ის ჩემი დედა არ არის!

მაშინ იგი გაცხარდა, ფერი დაეკარგა მის სახეს. აშკარა იყო, რომ მას აშინებდა ფიქრი, რომ აქამდე თავიდან აშორებული სკანდალი უცებ არ მომხდარიყო; რომ მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, მისი სახელი და პატივი ერთის დაცვრით ქრებოდა, ილუპუბოდა; იგი ჩურჩულებდა:—თქვენ ხართ გაიჭვრა, რომელსაც გსურთ ფული გამომტყუოთ!

დედა ჩემი, განება ამღვრეული, ერთი მეორეზე იმეორებდა:—წავიდეთ აქედან, ჩქარა წავიდეთ!

ვინაიდან კარები ჩაკეტილი იყო, მამამ მიყვირა:—თუ კარები ეხლავ არ გავილიათ. მე თქვენ ციხეში გამოვალპობთ შანტაჟისა და ძალმომრეობისათვის!

მე თავი შევიკავე, კარები ვავლე და ისინი გაჭრენ დამეში.

მაშინ უცებ მომეჩვენა, რომ მე სწორეთ მაშინ ვახდდი ობოლი, უპატრონო მიტოვებული, საშინელმა ბოღმამ, რომელსაც ერეოდა ბრანი, სიძულელი, მოიცვა მთელი ჩემი არსება. ჩემში აღიმართა შელახული სამართლიანობისა და პატივის, ხელწაკრული მშობლიურ სიყვარულის გრძობა. დავედევნე მათ უკან და დავეწიე სენის ნაპირზე, რომელსაც ისინი მიჰყვებოდნენ შატუს სადგურზე მისასვლელათ.

დამე იყო მეტათ ბნელი. მე მათ უკან მივყვებოდი ფესაკრეფით. ისე, რომ მათ არ იცოდნენ ჩემი ახლყოფა. დედა ჩემი კიდევ ტირიდა. მამა ჩემი კი ეუბნებოდა:—ეს შენი ბრალია. რათ გინდოდა მისი ნახვა! ჩვენს მდგომარეობაში, ეს ნამდვილი სიგიჟე იყო, ჩვენ შეუმჩნეველათ შეგვეჭლო მას დავსმარებოდი. რა საჭირო იყო ეს სახიფათო დარბაზობა, რადგან ჩვენ არ შეგვიძლია იგი ჩვენ შეილათ აღვიართო! მაშინ მე მათ წინ გადაველობე და შევევდარე:—აი, ხომ ხედავთ, რომ თქვენ ჩემი მშობლები ხართ! თქვენ ერთხელ უკვე მომიშორეთ თავიდან, ნუ თუ ეხლაც ხელსა მკრავთ?

ბნო თავჯდომარე! მაშინ, მამა ჩემი მუშტით მომგარდა. ფეიცავ პატიოსნებას, კანონს, რესპუბლიკას. დამიწყო სასტიკათ ცემა და როცა მას საყვლოში ხელი ჩავიკიდე, მან რეველვერს იქრა ხელი.

მე განება ამგმღერა და აღარ მახსოვს შემდეგ რა მოხდა. ჯიბეში თარაზო მქონდა, და მით ვცემე რაც ძალი და ღონე მქონდა, სანამ შეშქლო.

მაშინ დედა ჩემმა მორთო ყვირილი:—გვიშველეთ, გვალავენ! და ხელები წვერებში ჩაჰკიდა, დამავლიჯა. თურმე იგიც მომიკლავს! აბა, განა კი ვიცი, თუ რას ვშვრებოდი და რა ჩავიღინე იმ წუთში?

შემდეგ, როცა ორივე მიწაზე გაშვართული დავინახე, ავიდე და სენაში გადავისროლე.

აი, ბატონებო, რაც მქონდა სათქმელი...ებლა... გამასამართლეთ!

ბრალდებული სკამზე დაეცა. ასეთი განცხადების შემდეგ საქმე გადაიდო. მალე მოხდებოდა მისი გარჩევა.

ჩვენ რომ ნაფიცი მსაჯული ვიყოთ, რას მიეუხადით ამ დედამამის მკვლელს?

მთარგმნელი: ა ნ . ე - ი .



რამინდრანათ ტაგორე:

ს ა ხ ლ ი ღ ა მ ვ ე უ ა ნ ა .

(თარგმანი ინგლისურით)

თ ა ვ ი II.

ნ ი კ ი ლ ი ს მ ო თ ხ რ ო ბ ა .

1.

წინაღ ურყევი რწმენა მქონდა: ავიტანდი ყველაფერს, რასაც ჩემი ღმერთი და-
მაკისრებდა. ამის გამოცდა ჯერ არ მქონია. მგონია ეხლა მოდის იგი.

ხშირად ვშინჯავდი ჩემი გონების სიმტკიცეს იმ ყოველგვარ ბოროტებათა
წარმოდგენით, რომელნიც შესაძლებელია შემშთხვევოდენ—სიღარიბე, პატივრობა,
უპატიოსნება, სიკვდილი,—თუნდ ბიძალასი. და ოდეს ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ
მე ყველაფერს ამას მედგრაღ შევხვდებოდი, დარწმუნებული ვარ, არ ვაქარბებდი. მა-
გრამ არასოდეს არ წარმომედგინა ერთი რამ, და ოდეს სწორედ ესაა, რაზეც ვფიქრობ
და არ ვიცი მართლა ავიტან ამას თუ არა. ჩემს გულს ეკალივით ესობა რაღაც; მუღ-
მივ მტანჯავს იგი მე მაშინაც კი, როცა მე დღის მუშაობითა ვარ გაართული. იგი მა-
წუხებს თვით ძილშიც. და ოდეს დილით ვიღვიძებ, იმ წუთში, ასე მგონია, თითქოს
ცის სახეს ფერი ეცვალა. რა არის? რა მოხდა?

ჩემი სული შეიქნა ისეთი მგრანობიარე, რომ თვით ჩემი წარსული ცხოვრება,
ბედნიერების სამოსით რომ მომეფლინა, მგონია, თითქოს თვით ჩემს გულსაც სიყალ-
ბითა სტანჯავს. სირცხვილი და მწუხარებანი ჩემთან რომ მოიპარებიან, თავის განდე-
გილობის საბურს იმდენათ უფრო იხდიან, რამდენათაც ისინი თავისი სახის დამალვას
სცილობენ. ჩემს გულს გაუჩნდენ ურიცხვი თვალები. ყველაფერი, რასაც წინაღ ვერ
ვამჩნევდი და არც მჭირდებოდა,—ეხლა კი უნდა დავიინახო.

დაბოლოს, მომიახლოვდა დღე, ოდეს ჩემმა ცუდათ დაწყებულმა ცხოვრებამ
მრავალ გამოცდათა რიგში უნდა გამოამყლავნოს თავისი სიბადრუტე. ამ ყოველად მო-
ულადნელმა სიღატაკემ დაიბუდა ჩემს გულში, სადაც თითქოს სიმდიდრე მეფობდა.
და ხარკი, ჩემი სიკბაბუის მთელი ცხრა წლის განმავლობაში ჩემს გრძნობათა სიკრუ-
ეს რომ ეუბდიდი, ეხლა უნდა სარგებლით ვაძლიო ჭეშმარიტებას—უკანასკნელ
ჩემს დღემდე.

რა გამოვა იქიდან, რამ ჩემი სიამაყის შესანარჩუნებლად ჩემი ძალღრნე დავი-
ქიმი? რა ბედენაა, თუ აღვიარებ, რომ მე რაღაც ნაკლი მქონდა? შეიძლება ეს არის ის

გამოუცნობი ძლიერება, რომლის აღმოჩენა მამაკაცში დედაკაცს უყვარს? მაგრამ განა ეს ძლიერება მარტო ღონეშია? განა ღონეს არ უნდა ჰქონდეს სინიდისი, ოდეს იგი სუსტს ფეხქვეშ სთვლავს?

მაგრამ რა საჭიროა ყველა ეს საბუთი? ღირსება მის შესახებ უბრალო კამათით არ მოიხვეჭება. და მე ვარ უღირსი, უღირსი, უღირსი.

რაა მერმე; თუ უღირსი ვარ? სიყვარულის ქეშმარიტი ღირებულებაა, თუ მას შეუძლია თავისი საკუთარი სიუხვით უღირსსაც მოეფინოს. რადგანაც ღვთის დედამიწაზე ღირსეულთ ისედაც ბევრი წყალობა აქვთ, ამიტომაც ღმერთმა სიყვარული უღირსთათვის განსაკუთრებით შეინახა.

აქამდე ბიძალა იყო ჩემი შინაური ბიძალა, განსაზღვრული ადგილისა და მცირე მოვალეობათა ყოველდღიური ფუნქციის ნაყოფი. ვეკითრებოდი ჩემს თავს, განა ის სიყვარული, მისგან რომ ვღებულობდი, სჩქეფდა მისი გულის უღრმეს ნაკადულისაგან, თუ ემზგავსებოდა იგი ყოველდღიურად წყლის მომწოდებელ ქალაქის ორთქლმანქანათა საზოგადოების წყალსადენ მილს?

მწყურთა, მენახა ბიძალა, საესეებით აყვავებული მთელ მის ქეშმარიტებით და ძალით. დამვიწყდა ყურადმეღა, რომ კაცმა პირობით უღლებებზე დაფუძნებულ ყველა მოთხოვნაზე უარი უნდა სთქვას, თუ მას სურს ქეშმარიტებაში თავისუფლად გამოაშკარავებული პიროვნება იზილოს.


რატომ შემცდა და ამაზე არ ვფიქრე? განა იმიტომ, რომ ჰმარს თავისი ცოლის კუთვნილების სიამაყე აქვს?—არა. იმიტომ, რომ საესებით სიყვარულს დავედგა. ამოღე ფიქრობდი, მე ჩემში სასტიკ გაშიშვლებულ ქეშმარიტებისათვის პირდაპირ შემეხედა. ეს იყო უმაღლესი ბედის გამოცდა, მაგრამ მე ახლაც ვებღაუბები ჩემს ამაყ გარდაწყვეტილებას, რათა გამოცდიდან გამარჯვებული გამოვიდე.

ბიძალამ ერთი რამეს ვაგება ვერ შესძლო. მას საესებით ვერ წარმოუდგენია, რომ მე ძალის ხმარება სისუსტედ მიმჩნია. მხოლოდ სუსტები ვერ ბედავენ სამართლიანი იყვნენ. სამართლიანობის წინაშე თავის პასუხისმგებლობის მათ ეშინიათ და სკდილობენ მოხანს უსამართლობის მოკლე გზით სწრაფად მიადწიან. ბიძალა მოთმინებას ვერ იტანს. მას უყვარს მამაკაცში კპოვოს სიმშაგე, წყრომა, უსამართლობა. მის პატრივისცემას შიშის ნაწილიც უნდა ჰქონდეს.

ვიმედოვნებდი, თუ რომ ბიძალა გარეშე ქვეყანაში თავს თავისუფლად იგრძნობდა, იგი მაშინ ტირანისათვის ვაგიყენისაგან თავს დაიხსნიდა. მაგრამ ეხლა უკვე დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარი ვაგიყება ღრმად მის ბუნებაშია. მისი სიყვარული შლეგისთვისა არის. რათა ისიამოვნოს უბრალო ცხოვრების ტრაპეზით, მან წითელი პილპილით უნდა აწვას ენის წვეროს სტომამქამდე.

გადაწყვეტილი მქონდა, ჩემი მოვალეობა არასოდეს გადარეული სისწრაფით არ შემესრულებია. ბიძალასათვის ძნელია ამისგამო პატრივი მცეს.—ჩემს სინდისიერებას იგი ღებულობს სისუსტედ,—და იგი ჩემზე საესებით გაჯავრებულიცაა, რადგან მეც გახლებული არ დავრბივარ და არ ვაგიძახი:—ბანდე მატარამ.

ხო, რაც ამას შეეხება, ყველა ჩემი თანამემამულე ეხლა ცუდათ მიყურებს, ვინაიდან მე მათ ამ სიგიჟეში არ შევეურთლი. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მე რაიმე



ჯილდოსაკენ ვისწრაფი ან პოლიციის მეშინია, და პოლიცია თვითონ კი ეჭვიანობს, რომ მე მაღულად ვმოქმედებ და დიდ პროტესტს აცხადებს ჩემი სათნოებისა გამო.

რასაც მე მართლა ვგრძნობ არის ეს: ისინი, ვისაც არ შეუძლიათ იპოვონ საკვები თავის ენტუზიაზმისათვის საკუთარ ქვეყანაში, როგორც იგი არის, ან ისინი, რომელთაც არ შეუძლიათ უყვარდეთ ადამიანები სწორედ იმიტომ, რომ ისინი ადამიანები არიან,—ისინი რომელთაც სკირდებთ ბევრი ყვირილი და აღმერთებენ თავის ქვეყანას, რათა თავისი აღფრთოვანება მუდამ ჰქონდეთ,—მათ უყვართ ეს აღფრთოვანება-ალტაცება უფრო მეტად, ვინემ თავისი ქვეყანა.

ეცადო მისტე ჩვენს გადარევა-გაბრუნებას უმაღლესი ადგილი, ვინემ ჭეშმარიტებას,—ეს მონობის თანდაყოლილი ნიშანია. იქ, სადაც ჩვენი გონება თავისუფალია, იქ ჩვენ თავს დაკარგულად ვგრძნობთ. ჩვენს მომაკვდავ სიცოცხლეს, რათა იგი მოძრაობაში მოვიდეს ტაყუად უნდა ჰყავდეს ან ოცნება ან ვინემ ბატონი, ან განსწავლული ბრამანის დასტური. სანამ ჩვენთვის ჭეშმარიტება შეუცნობელი არის, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ თვითმმართველობისათვის ჩვენ უნარი გვაკლია. როგორც ვითარებაც არ უნდა გვეჩინდეს, ჩვენ უნდა გვექნეს ან ზელოვნურად შექმნილი მოჩვენება ან გვეყვდეს მოამქმელი ექიმი, ჩვენ რომ დაგვაშინებს და დაგვიპყრობს.

ერთ დღეს, როდესაც სანდიპი მამტყუნებდა, თითქოს მე აღმადრენა მაკლდეს და ამბობდა. რომ ეს მე ზელს მიშლის ჩემი ქვეყანა ცხად მოჩვენებად წარმოვიდგინო, ბიშალა მას დაეთანხმა. თავის დასაცავად არაფერი მითქვამს, ვინაიდან საბოლოო მოგებას ბედნიერებისაკენ არ მივეყვარ. ბიშალას შეხედულების სხვაობა გამაჩვენებელია არა ჩვენი გონებათა უთანასწორობით, არამედ უფრო ჩვენი ბუნებათა განსხვავებით.

ისინი მამტყუნებენ, რომ მე აღმადრენას მოკლებული ვარ.—მათი აზრით, ეს იმას ჰგავს, რომ მქონდეს ჩემს სანათურში ზეთი, მაგრამ ალი კი არა. ეჭლა ეს არის სწორედ ის ბრალდება, რომელსაც მე მათ ვუდგენ. მე მათ ვეტყვოდი: «თქვენ ხართ ბნელი, ვით კაცი. თქვენ უნდა მიხვიდეთ სასტიკ დაჯანებად და გააჩინოთ ხმაურობა, რათა თქვენი ნაპერწკლები მიიღოთ. მაგრამ კაცის ნაპერწკლები უბრალოდ თქვენ სიამაყეს ესმარებიან და არა იმას, რომ თქვენ ცხადათ დაინახოთ».

ერთი ხანია სანდიპის დიდი სიბარბე შევნიშნე. მისი სხეულებრივი გრძობანი აიძულებენ მას თავისი ვაურკვევლობა რელიგიის შესახებ დამალოს და აყენებენ მას მის პატრიოტიზმთან ტრანსიულ დამოკიდებულებაში. მისი გონება მახვილია, მაგრამ მისი ბუნება უხეში და ამგვარად იგი თავის თავმოყვარულ სიბარბეს ზოტბას ასხამს და მას ლამაზი სიტყვებით ჰფარავს. იაფი ნუგეში მქულვარებისათვის ისე აუცილებლად საჭიროა მისთვის, როგორც მისი მადის დამამაფილებება. სხვა დროს ბიშალა ხშირად მაფრთხილებდა, რომ სანდიპი ფულზე ნადირობს. ეს მე მესმოდა, მაგრამ ვერ ვაიძულე ჩემი თავი სანდიპთან მეჯანჯლა. მრცხვენიადა ჩემი თავისათვის გამეშხილა, რომ იგი ცდილობდა მე მოვეტყუებინე.

ეჭლა მაინც ძნელი იქნება დღეს ბიშალას აუხსნა, რომ სანდიპის სიყვარული ქვეყნისადმი არის მისი საკუთარი თავისადმი გაუმადარი სიყვარულის ერთი განსხვავებული მოვლენა. ბიშალა მას რაინდათ სთელის და პატრიუსასცემს და ეს მე უფრო მაფრთხებს ამის შესახებ მას ველაპარაკო, ვინაიდან ჩემმა ეჭვიანობამ შეიძლება უნე-



ბლიედ გადამეტებამდე მიმიყვანოს. შესაძლებელია, ჩემი გულის ტკივილი უკვე მიძულდება მე სანდიპის დამახინჯებული სურათი დავინახა. მაგრამ მაინც, იქნებ უკეთესია გამოვსთქვა ყველაფერი, ვინემ ჩემში დავმალა აცნესებული გრძობები.

2.

ოცდაათი წელიწადია რაც ჩემს მასწავლებელს ვიცნობ. არც ცილისწამება, არც უბედურება, არც თეთი სიკვდილი მას არ აშინებს. ვერაფერი მე ვერ დამისხნიდა, მე, რომელიც ჩვენი ოჯახის ადათში ვცხოვრობდი. მაგრამ მან დაამკვიდრა თვისი ცხოვრება ჩემი ცხოვრების ცენტრში მისი მშვიდობით, სიმართლით. სულიერი განკურნებით და ამით მან შესაძლებელი გახადა ჩემთვის სიკეთე თავის ქეშმარიტებაში შესილა.

ერთ დღეს მოვიდა ჩემი მასწავლებელი და მითხრა: «განა საჭიროა სანდიპი აქ კიდევ მეტ ხანს დარჩეს?»

მისი ბუნება იყო ისეთი მგრძობიარე ბოროტების მოვლენის ყველა ნიშანი-სადმი, რომ იგი მსწრაფლ ყველაფერს მიხედებოდა ზოლმე. მას ვერც აღვიღად ვერ შეარყევდი, მაგრამ იმ დღეს მან იგრძნო მომავალ უბედურების ბნელი ჩრდილი. განა არ ვიცი, მას როგორ ვუყვარებარ?

ჩაის მიროთმევის დროს სანდიპს ვუთხარი: «სწორედ ესაა მივიღე წერილი რანგპურიდან. ისინი იქ სჩვიან, რომ მე შენ აქ ჩემი გულისთვის გტოვებ. როდის გავმგზავრები იქით?»

ბიძალა ჩაის ამზადებდა. მისი სახე უცბად მოიღურბლა. მან მყისვე მიაპყრო სანდიპს შემკითხავი თვალები.

«მე ვფიქრობ», სთქვა სანდიპმა, «ეს სეტიალი უზარმაზარი ენერჯის უბრალოდ ხარჯვას ნიშნავს. მგონია, თუ მე შემეძლება ერთი ცენტრიდან ვიმუშაო. მაშინ უკეთესს მუდმივ შედეგებს მივაღწევდი».

და ამასთან მან შესხდა ბიძალას და ჰკითხა: «თქვენც ასე არა ჰფიქრობთ?»

ბიძალა ჯერ დაეკვიდა პასუხისათვის და მერმე სთქვა: «ორივე გზა მგონი კარგია: იმუშაოთ, როგორც ცენტრიდან, ისე მოგზაურობითაც, რომელშიც თქვენ მეტ კმაყოფილებას ჰგრძნობთ. ის გზაც აირჩიეთ».

«მაშინ ნება მომეცით აღვიარო», სთქვა სანდიპმა. «მე აქამდე არასოდეს არ მიბოძენია ზესთავონების ისეთი წყარო, რომელიც მე დამაკმაყოფილებდა. ეს იყო იმის მიზეზი, რომ მე მუდმივ ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდიოდი, ვიწვევდი ხალხში აღფრთოვანებას, რომლისგანაც ჩემი მსრივ ჩემი საკუთარი ენერჯის მარაგს ვღებულობდი. ეწლა კი თქვენ გასდით ჩემი ქვეყნის მოციქული. ამოდენა ცეცხლი არც ერთ ადამიანში მე ჯერ არ შემინიშნავს. მე შემეძლება გავეგრძელო აღფრთოვანების თქვენგან ნასუსხები ცეცხლი მთელს ჩვენ ქვეყანაში. არა, ნუ შეგრცხვებთ. თქვენ ხართ ყოველგვარ მორცხვობაზე და კრთომბაზე მაღლა. თქვენ ხართ ჩვენი სკის დედა-ფუტკარი და ჩვენ მუშაკნი თქვენ გარშემო შემოგვრბებით. თქვენ იქნებით ჩვენი ცენტრი, ჩვენი ზესთავონება».



ბიძალა გაწითლდა მორცხვი სიამაყით, და მისი ხელო ცახცახებდა, ოდეს იგი ჩაის ასხამდა.

ერთხელ მოვიდა ჩენი მასწავლებელი და მითხრა: «რატომ ორივე არ წახვალთ დარჯილინგში ჰაერის გამოსაცვლელად? შენ კარგად არ გამოიყურები. გძინავს საკმაოდ?»

საღამოს ვკითხე ბიძალას, იქნებ მოისურვებდა მთებში წავსულიყავით. ვიცოდი, მას დიდი სურვილი ჰქონდა ჰიშალაია ეხილა, მაგრამ მან უარი სთქვა... აღზად ქვეყნის გულისათვის, ასე მგონია!

არ უნდა დავკარგო ჩემი რწმენა: მოვიციდი. ვიწრო ქვეყნიდან ფართო ქვეყანაში გადასასვლელი ბილიკი ქარიშხლიანია. როდესაც იგი თავის თავისუფლებას გაეცნობა, მაშინ მეცოდინება მე, თუ სად იქნება ჩემი ადგილი. თუ მე აღმოვაჩენ, რომ გარეშე ქვეყნის მოწყობილებას მე არ შევეფერები, მაშინ ჩემს ბედს არ წავეჩნებები და ჩუმიად დავსტოვებ მას... ძალა ვინმართ? მაგრამ რისთვის? განა ძალას შეუძლია ქვეშაობის დასტრგუნა?

ს ა ნ დ ი ბ ი ს მ ო თ ხ რ ო ბ ა

I.

უქალური ამბობენ: «ის, რაც მე წილად მხვდა, ჩემია». სუსტნი ეთანხმებიან. მაგრამ მთელი ქვეყნიერების გაკვეთილი კი ესაა: «მართლა ჩემია მხოლოდ ის, რის მოტაცებაც მე შემძლია. ჩემი სამშობლო არ გახდება ჩემი მართლი იმით, რომ მე იქ დავიბადე. იგი გახდება ჩემი იმ დღეს, როდესაც მე შენდება მექნება ძალით მოვიგო იგი».

თვითუღს აქვს მფლობელობის ბუნებრივი უფლება, და ამიტომ სიხარბეც ბუნებრივია. ბუნების სიბრძნეში არ შედის ის, რომ ჩვენ გაკვირვებით კმაყოფილი ვიყავით. ჩემს სულსა სურს ყველაფერი გარემომ მომეწოდოს. ეს არის ერთადერთი მართალი შეთანხმება ჩვენ შინაურ და გარეშე ბუნებას შორის ამ ქვეყანაზე. დეე, ზნეობრივი იდეალები დარჩენ მხოლოდ საწყალ, სისხლნაკლულოვან ქმნილებათა შვიერ სურვილებისათვის, რომელთა წაგლეჯის უნარი სუსტია. ისინი, რომელთაც შეუძლიათ მოისურვონ მთელი თავისი სულით და ისიამოვნონ მთელი თავისი გულით; ისინი, რომელთაც არა აქვთ რაიმე გვერდ ან სინდისიერება, ისინი არიან უფლისა მიერ მითრაცხებული. მათ სასარგებლოდ ბუნება თავის უმდიდრეს და უსაყვარლეს განძებს იძლევა. ისინი გადასცურავენ მდინარეებს, გადააბტებიან კედლებს, შეამტკრევენ კარბთ, რათა მოიპოვონ ის, რაც წალებისათვის ღირსია. აი, ასეთ მიღებაშია სიხარული; აი, ასეთი ცარცვა აძლევს ღირებულებას მოტაცებულ საგნებს!

ბუნება ქედს იხრის, მაგრამ მხოლოდ ავაზაკის წინაშე. ვინაიდან მას ახარებს ეს ძლიერი სურვილი, ეს ძალადობითი მოტაცება. იგი არ შეამკობს თავისი დამორჩილების ყვავილთა გვირგვინით ასკეტის გამხდარ, დამუღვევებულ კისერს. საქორწინო სელის მუსიკა გაისმის. ქორწინების დრო არ უნდა გამომეპაროს. ამიტომ ჩემი გული ენებითი სურვილებითაა სავსე. ვინ, ვინ იქნება სასიძო? ეს ვარ მე. სასიძო ადგილი ეკუთვნის მას, ვისაც ჩირადანით ხელში, თავის დროზე მოსვლა შეეძლება. მოულოდნელად და მოუწვევლად შევა სიძე ბუნების საქორწინო დარბაზში!



სირცხვილია? ოჰ, არა! მე არასოდეს არ მრცხვენია! მე მოვიტოვებ, რაც მე მსურს; და მე ყველთვის არ ვიციდი ვიკითხო, სანამ მივითვისებდე. ისინი, ვინც თავის საკუთარი მორცხვობის გამო გაუიერებულნი არიან, თავის გაუიერებას მორცხვობის სახელით ქებადიდებს ასხამენ. ქვეყანა კი, რომელშიც ჩვენ დაგიბადეთ—არის სინამდვილის ქვეყანა. როდესაც ნამდვილ-საგანთა ბაზრიდან ცარიელი ხელითა და ცარიელი კუთხით ბრუნდები და ტრუსიკა გავსებული გაქვთ ლამაზ-ლამაზი სიტყვებით, მე განცვიფრებული ვჩრები: რატომ გაჩნდი საერთოდ ამ უხეშ, სასტიკ ქვეყანაზე! იქნებ ასეთები ლეზულობენ თავის დანიშნულებას სარწმუნოებრივი ქვეყნის ეპიკურებისაგან, რათა მათ შენმატებლებულად იგალობონ საამო სათნოების ტექსტი ამ მხიარულების ბაღში, სადაც ჰყვებიან პაეროვანი არარაობანი? მე არაფერად მჭირდება ეს ხმები, არც რაიმე საკვებს ვხედავ იმ ყვავილებში.

რაც მსურს, მსურს დაბეჯითებით, უმაღლესად. მე უნდა მოვხილო იგი ჩემი ორივე ხელით და მოვსრისო იგი ჩემი ორივე ფეხით; მე უნდა წავისვა იგი მთელ ჩემს ტანზე; მე უნდა ჩავახლო ჩემი თავი სურვილებში. ვერასოდეს ვერ მოაღწევ ჩემს ყურამდი მათი საღამურის ხმები, ვინც იქამდე სცივითა თავისი თავი ზნეობრივი მარხულობით, მანამ არ ვახდა თხელი და ფერწასული, როგორც მშვიერი რწყილი დიდი ხნით მიტოვებულ ლოგინში.

მე არაფერს დავმალავ, ვინაიდან ეს იქნებოდა სილაჩრე. მაგრამ თუ არ შემიძლია დავფარო, როცა ეს საჭიროა, ესეც არის აგრეთვე სილაჩრე. ვინაიდან შენ გაქვს შენი სიხარბე, შენ ამოვყავს კედლები და რადგან მე მაქვს ჩემი სიხარბე, მე გავანგრევე მათ. შენ ისმარ შენს ძალას: მე ვიხმარ ჩემს ღონეს. ასეთია ცხოვრების სინამდვილე. ამაზე არიან დამოკიდებული სამეფოები და იმპერიები და ადამიანთა ყველა დიდი წამოწყებანი.

ავატარების *) სიტყვები კი, თავის სამოთხიდან ძირს რომ ჩამოვიდნენ ჩვენთან წმინდა ენით სალაპარაკოთ.—მათი სიტყვები არა ნამდვილი არიან. ამიტომ, მათთვის საერთო ტაშის დაკვრის მიუხედავად, მათი თქმანი პოულობენ სადგურს მხოლოდ სისუსტის მიმალულ კუნძულებში. ისინი სძულთ იმათ, ვინც ძლიერები არიან:—ქვეყნის მმართველთ. ვისაც ჰქონდა სიმხნევე დაენახა ეს, მან მიაღწია კიდევ გამარჯვებას, ვინაიდან ის საწყალი უბადრუკნი, ბუნებამ რომ ერთი გზით წაათრია და ავატარებმა მეორე გზით, ისინი სდგამენ ერთ ფეხს სინამდვილის და მეორეს არასინამდვილის ნაგში, და ასეთ შესაბრალის მდგომარეობაში, მათ არც წინსვლა შეუძლიათ და არც ადგილზე გაჩერება.

ბევრი არიან ქვეყანაზე ისეთები, რომელნიც მგანი მხოლოდ სიკვდილზე მუდმივი ფიქრისთვის არიან დაბადებულნი. შეიძლება მზის ჩასვლის მზგავსი სილამაზე იყოს მთელ სიცოცხლეში ამ მტანჯავ სიკვდილის მოლოდინი, მათ რომ აღფრთოვანდნ. ნიკილს უყვარს ასეთი სიცოცხლე, თუ შეიძლება მას სიცოცხლე ვუწოდო. რამოდენიმე წლის წინად მე მას ამ საკითხზე ცხარედ ვედავებოდი.

*) განხორციელება ლეთორ არსებათა, რომელნიც გაჩნდნ ქვეყნად ადამიანების ან ცხოველების სახით.

«მართალი არის», სთქვა მან. «თქვენ მიაღწევთ რაიმეს მხოლოდ ძალით. მაგრამ რა არის ეს ძალა? და მერმე რა არის ეს მიღწევა? ძალა, მე რომ მრწამსს, არის უარყოფის ძალა».

«მაშ ასე», წამოვიძახე, «შენ თავბრუ დაგასხა გაკოტრების დიდებამ!»

«სწორედ ისეთივე უიმედობით, როგორც წიწილას, ოდეს მას თავბრუ ესხმის ნაუქუთა გაკოტრების დროს», მიპასუხა. «ნაუქუტი საქმაოდ ნამდვილია, მაგრამ წიწილა სცვლის მას შეუხებელ სინათლესა და პაერზე. სამწუხარო გაცვლია. მგონია შენ ასე დაუძახებდი მას, არა?»

როცა ნიკილი შედარებებს მიმართავს, მაშინ აღარავითარი იმედი არ არის მას დანახო, რომ იგი მხოლოდ სიტყვებს და არა სინამდვილეს ესება. კარგი, კარგი, დეე იყოს იგი ბედნიერი თავისი შედარებით, ჩვენ კი ვართ ამ ქვეყნის ადამიანები, ხორცის მუამელები; ჩვენ გვაქვს კბილები და ბრჭყალები; ჩვენ ვნადირობთ, ვიჭერთ და ვგლეჯთ. ჩვენ არ ვართ კმაყოფილები იმით, რომ საღამოს ვცოხნოთ ბლაახის ბლუჯა, დილას რო შევჭამთ. სხვა რომ არა იყოს რა, ნებას ვერ მივცემთ შედარებით მოვუპრებებს ჩვენს მადას კარები გადაურახონ. ამ შემთხვევაში ჩვენ უბრალოდ მოვიპარაეთ ან მოვიტაცებთ, ვინაიდან ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ.

იტყვიან, თითქმის მე ახალ მოძღვრებას ვიგონებდე, სწორედ იმიტომ, რომ ამ ქვეყანაზე მოძრავ ადამიანებს ჩვეულება აქვთ ნაირ-ნაირად ილაპარაკონ, თუმცა ისინი სინამდვილეში ყოველთვის ასე მოქმედებენ. ამიტომ მათ არ ძალუძთ გაიგონ, როგორც მე მაქვს შეგნებული, რომ ეს არის მხოლოდ ერთად ერთი მამქმელი ზნეობრივი პრინციპი. მართლაც, ვიცი, რომ ჩემი იდეა სრულეზობით არ არის ცარიელი თეორია, ვინაიდან იგი პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოცდილი მაქვს. ვიცი, რომ ამ ზნით ყოველთვის ვიმარჯვებ ქალთა გულზე. რომელნიც ამ ქვეყნიურ სინამდვილის ქმნილებანი არიან და არ დაეხეტებიან ნისლოვან სივრცეში, ვით მამაკაცები იდეათაგან გატენილ საპაერო მანქანებით.

ქალები პოულობენ ჩემს ხასიათში, ჩემს ქცევაში, ჩემს სიარულში. ჩემს სიტყვაში, —წარმოც ვნებას, —და არა ვნებას, ასევეტიზმის სიცხით გამომშრალს, —არა ვნებას, ყოველ ნაბიჯზე ზურგს რომ იბრუნებს ეუვით და კამათით, არამედ სისხლით აღსავსე ვნებას. იგი ჰყვირის და მიტორტმანობს, ვით ნიაღვარი, ძახილით: «მე მს ურს, მე მს ურს». ქალები გრძნობენ თავის საკუთარ გულის სიღრმეში, რომ ეს დაუმორჩილებელი ვნება არის ქვეყნის სიცოცხლის სისხლი, თავის-თავის მეტს რომ არავითარ კანონს არა სცნობს და ამიტომ მუდამ გამარჯვებულია. ამის გამოა, რომ ისინი ასე სწორად ვარდებიან ჩემი ვნების ნიაღვარში და არ კითხულობენ, თუ რა მოვლით მათ: სიცოცხლე თუ სიკვდილი. ეს ძალა, ქალებს რომ იყარობს, არის ძლიერ მამაკაცთა ძალა, ძალა, სინამდვილის ქვეყანაში რომ იმარჯვებს.

მათ, ვისაც სხვა ქვეყნის ნდომა უფრო მეტი აქვთ, მათ გადააქვთ თავისი სურვილები დედამიწიდან—ცაზე. ისლა დაგვრჩენია დავინახოთ, თუ მათი მტკიცეარე შედრეგანი როგორ სიმაღლემდე აითამაშებს და რამდენნანს. ერთი უქვევლია: ქალები არ არიან შექმნილი ასეთ უფერულ არსებათათვის—იდეალიზმის ლეტოხით რომ თავის თავს ჰქვევებენ.



«სულთა ნათესაობა» ოდეს ეს მე შესაპირობება, ხშირად მითქვამს, რომ ღმერთმა შექმნი მამაკაცთა და დედაკაცთა განსაკუთრებული წყვილები, და რომ ასეთების კავშირი არის ერთად ერთი შესაფერისი კავშირი, უფრო მაღალი, ვინემ ყველა კანონით ქმნილი კავშირი. ამის მიზეზია ის, რომ ადამიანს თუშკა სჭირდება ბუნებას მისდოის. იგი სიამოვნებას მასში ვერ იპოვის, თუ რაიმე სიტყვით არ დაჰფარა იგი,—და ანტიომია სწორედ, რომ ეს ქვეყანა სიტყვითა აღსავსე.

«სულთა ნათესაობა» მაგრამ რატომ უნდა იყოს იგი მხოლოდ ერთთან? შესაძლებელია სულის ნათესაობა ათასთან. არასოდეს ბუნებას არ დაეთანხმებივარ იმაზე, რომ ჩემს ურიტზე ნათესაობას მხოლოდ და მხოლოდ ერთის გულისათვის ყურადღებას არ მივაქცევდი. ჩემს საკუთარ ცხოვრებაში არა ერთჯერ აღმამიჩენია ეს ნათესაობა,—მაგრამ ეს მაინც ვერ დამიხურავს კარებს კიდევ ერთის წინაშე.—და ეს ერთი ჩემ თვალთათვის ცხადად დასანახია. ამ ქალმა აღმოაჩინა თავისი საკუთარი ნათესაობა ჩემდამი. და მერმე?

მერმე, თუ ვერ გავიმარჯვებ, ვიქნები მე ლაჩარი.

თავი III.

ბ ი მ ა ლ ა ს მ ო თ ხ რ ო ბ ა

6.

განცვიდრებულნი ვარ რა დეჰართა ჩემი სირცხვილის გრძნობას. მართალია, ჯერ დრო არა მქონდა ჩემს შესახებ შეფიქრა. ჩემი დღენი და ღამენი გადიოდენ გრძელში, და მე ვგრძნობდი ჩემს თავს ვით მორევში დატრიალებულს. არ დარჩა უწყურტანა ეჭვისათვის ან გარკვევისათვის.

ერთ დღეს ჩემმა მანლისკოლმა ჩემს ქმარს შენიშნა: «ეჰამდე ამ სახლის დედაკაცები სტიროდენ; ესლა კი მამაკაცთა რიგია.

ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ეს არ აცდეს მათ», განაგრძო მან ჩემდამი მობარბოთი. «ფსედავ, ჩოთა რანი, შენ ბრძოლად მზად ხარ! გასტყუარენე შენი ისრები პირდაპირ მათ გულზე».

მისმა მკვეთრმა თვალებმა ამთვალნიერ-ჩამათვალნიერა. არც ერთი ფერი ჩემს მორთულებაზე, ჩემს ტანისამოსზე, ჩემს ქცევაზე, ჩემს საუბარზე რომ იშლებოდა, მას არ ვამოეპარა. მრცხვენია დღეს ლაპარაკი ამაზე, მაგრამ მაშინ სირცხვილს არა ვგრძნობდი. რალაც ხდებოდა ჩემში, რასაც მე ვერ ვსანრისობდი. ხშირად ვიცვლიდი ტანისამოსს, ეს მართალია. მაგრამ უფრო ხშირად შეუცნობლად, არაგითარი გარკვეული მიზანი არ მქონდა. ეჭვი არაა, ვიცოდდი, თუ სანდობ ბაბუს განსაკუთრებულად რა მღეწონებოდა, მაგრამ ეს ინტუიციას არ მოითხოვდა, რადგან ამის შესახებ იგი ყველასთან აშკარად ლაპარაკობდა.

ერთხელ მან უთბრა ჩემს ქმარს: «იცი, ნიკილ, ოდეს პირველად ვხიხლე ჩენნი დედა-ფუტკარი, იგი იჯდა იქ, ისეთი მიუწვდომელი თავის ოქრომცოდნეულ სარაში. მისი თვალები კითხვით გასცქეროდენ სივრცეს, ვით ვარსკვლავები, თავისი გზა რამ

დაუკარგავთ, თითქოს იგი საუკუნეთა განმავლობაში იღვა—სიბნელის უფსკრულის წინაშე და ეძებდა რალაც უცნობს. მაგრამ ოდეს მე იგი ვიხილე, ვიგარქენი, რომ ქრუანტელმა დამირბინა. მეჩვენებოდა, რომ მისი სარაზე მოყოლებული ოქროს არშია იყო მისი საკუთარი შინაგანი ცეცხლი, მას რომ ალად ეღებოდა და ეკვროდა. ესაა ის ცეცხლი, ჩვენ რომ გვეპირდება, დასანახი ცეცხლი. გვისმინეთ, დედა-ფუტკარო, თქვენ ჩვენ მართლა უნდა მოგვცეთ წყალობა ტანთ ჩაიცვათ ერთჯერ კიდევ ვით ცოცხალმა აღმა.»

აქამდე მე ვიყავი, ვით პაწია მდინარე სოფლის განაპირას. ჩემი რითმი და ჩემი ენა იყო სხვა, ვინემ ეხლა. მაგრამ წარმოვიდა მოქცევა ზღვისა და ჩემმა მკერდმა აიწია; ჩემი ნაპირები დაიქცნენ და ზღვის ტალღათა ღრიანცელმა კპოვა გამოჩნაურება ჩემს გიჟურ სარბოლაში. ველარ შევეძელი გამეგო ჩემს სისხლში ამ გამოჩახილის მნიშვნელობა. სადღა იყო უწინდელი ჩემი მე?

საიდან მომასკდა აქაფებულად დიდების ეს ატალღებული ნიაღვარი? სანდიპის მშვიერი თვალები იწვიან, ვით თაყვანების სანათურები ჩემს საკურთხეველის წინაშე. მთელმა მისმა გამოხედვამ გამოაცხადა, რომ მე ვიყავი სასწაული სილამაჩისა და ძლიერების; და მისი ქების სმამალობამ, გამოთქმულმა და გამოუთქმელმა, დაპყარა ყველა სხვა ხმა ჩემს ქვეყანაში. განა გამჩენმა ხელახლად შემქმნა?—ეკვირობდი. ან იქნებ სურს მას ამინაზღაუროს ამდენი უყურადღებობა? მე, რომელიც უწინ უბრალო ვიყავი, ეხლა უცბად მშვენიერი შევიქენი. მე, რომელსაც უწინ ვერავინ მამჩნევდა, ეხლა ვგრძნობდი ჩემში თვით ბენგალიის მთელ ბრწყინვალეობას.

სანდიპ ბაბუ არ იყო უბრალო პიროვნება,—მასში ერთდებოდენ ქვეყნის მილიონთა გონებანი—ოდეს მან მე დედა-ფუტკარი მიწოდა, მეგონა თითქოს ყველა ჩვენ პატრიოტულ მუშაკთა ქებადიდების გუნდი მიგალობდა. ამის შემდეგ, ჩემი მახლის ცოლის მყვირალა ქესტები ვეღარას დამაკლებდენ. ჩემმა დამოკიდებულებამ ყველაფერთან ამ ქვეყანაზე ცვლილება განიცადა. სანდიპ ბაბუმ ცხადათ მახვენა, თუ მთელ ქვეყანას მე როგორ ვესაუბრობოდი. არავითარი საბუთი არა მქონდა მაშინ ეს არ დამეჯერებია, ეინაიდან ვგრძნობდი, რომ მე შემქმნა ყველაფერი გამეკეთებია. ღვთიური ძალა ჩამესახა. ეს იყო რალაც, უწინ რომ სრულებით არა ვგრძნობდი, და რაც ჩემს თავს აღმეატებოდა. დრო აღარ დამრჩა მეკითხა, გამეგო, რა იყო მისი ბუნება. სიანს, იგი მეკუთვნოდა მე და ეხლა გამოისახა ჩემში. იგი შეიცავდა მთელს ბენგალიას.

სანდიპ ბაბუ მეკითხებოდა ხოლმე თვითეული პატარა საქმის შესახებ, რომელიც ჩვენს ეროვნულ მოძრაობას შეეხებოდა. პირველად ძლიერ უზერხულად ვგრძნობდი თავს და ვცდილობდი განზე გავმდგარიყავი, მაგრამ ეს მალე გაქტრა. რა შენიშვნასაც არ ვიძლეოდი. ყველა აკვირვებდა მას. იგი აღფრთოვანდებოდა ხოლმე და მეტყუოდა: «მამაკაცთ შეუძლიათ მხოლოდ ფიქრი. თქვენ ქალებს გაქვთ გავების გზა უფიქროდ. ქალი არის ღვთის საკუთარი ოცნების ქმნილება. მამაკაცი კი მას ჩაქუჩით უნდა გამოეჭედოს.»

მთელი ქვეყნის სხვადასხვა მხარედან სანდიპ ბაბუს მოსდიოდა წერილები, რომელთაც მე მაძლევდა განსახილველად. ხანდახან იგი არ მეთანხმებოდა. მაგრამ მე



მას არ ვედავებოდი. შემდეგ, ორი თუ სამი დღის მერმე,—თითქოს მას ახალი სინათლე ეღინებოდა,—იგი მომიწვევდა მე და მეტყუდა: «ჩემი—შეცდომა იყო; თქვენი შენიშვნა სწორით. იგი სწორად მიმჯღანებდა, თუ უნემოდ რაიმე ნაბიჯს გადადგამდა, იგი ყოველთვის შემცდარი იყო. ასე თანდათან დაგრწმუნდი, რომ ყველაფერს, რაც ხდებოდა, აკეთებდა სანდიბ ბაბუ, და სანდიბ ბაბუს უკან კი იყო ქალის უბრალო განგებთან გრძობა. და დიადი პასუხისმგებლობის დიდებამ ააესო ჩემი არსება.

ჩემს კმარს ჩვენს ბუბაში მონაწილეობა არ მიუღია. სანდიბ ბაბუ მას ექცეოდა, როგორც უმცროს ძმას, რომელიც მას კერძოდ შეიძლება ძლიერ უყვარდა, მაგრამ რომლის რჩევა საქმისათვის მას არ სუიროდა. იგი სინაწითა და ღიმილით ლამაზად ბდა ჩემი კმარის ბალღურ სისულელეზე. და აზბობდა, რომ მის სასაცილო დოკტრინას და მისი გონების უკუღმართობას ჰქონდა ოხუნჯობის გეშო. რომელიც მას კიდევ უფრო მეტად საყვარელს ხდიდა. ეს იყო აღბა და ის სიყვარული ნიკილისადმი, რომელიც სანდიბ ბაბუს უკრძალავდა იგი შეეწუხებია ქვეყნის ტვირთით.

ბუნებას აქვს თავის საღაროში მრავალი მალაშო, რომელსაც იგი საიდუმლოდ ამოქმედებს, ოდეს სასიცოცხლო დამოკიდებულებანი მზაკერულად ერთიმეორეს შორდებიან; ასე რომ არაეის არ შეუძლია გაუგოს რაშე ამ ოპერაციას, სანამ ბოლოს ერთი მათგანი არ გაიღვიძებს და არ იგრძნობს, რომ მეგარესგან უკვე ძლიერ დაშორებულია. როდესაც მახვილი სურბდა ჩემი სიცოცხლის უუინტიმეს კვანძს, ჩემი გონება ისე იყო დანისლული დამათრბელი გაზის კმევითა, რომ მე ვერც კი შეენიშნე, თუ რა საშინელი ამბავი ხდებოდა. შეიძლება ეს ქალის ბუნებაა. ოდეს მისი გნება აღტყინებულია, იგი ჰკარავს თავის გრძნობიერებას ყველაფრისადმი, რაც მის გარეშეა. ოდეს, ვით მდინარე, ჩვენ ქალები ჩვენს კალაპოტში ვართ. ჩვენ ვიდლებით ყველა სანრდოს, რაც გაგვანჩია; ოდეს ჩვენ ნაპირებს გადავლახავთ, ჩვენ ვანადგურებთ ყველაფრით, რაც მოგვებოვება.

ს ა ნ დ ი პ ი ს მ ო თ წ რ ო ბ ა .

2.

შემიძლია დაინახო, რომ რაღაც არამართებული ხდებდა. მე ეს ამას წინად შეენიშნე.

ჩემი მოსვლის შემდეგ, ნიკილის ოთახი გადაიქცა რაღაც უცნაური,—ნახევრად ქალის, ნახევრად მამაკაცის ოთახად. ბიშლას შეეძლო იქ შესვლა პირდაპირ საქალღბოდან, გარედან კი იგი ჩემთვის მიუვალი არ იყო. ჩვენ რომ ნელა წაესულიყავით და ჩვენი უპირატესობით ფრთხილად გვესარგებლა, ჩვენ არ ჩავარდებოდით ხალხის საჭორიკანოდ. მაგრამ ჩვენ მივიდიოდით ისეთი ქღმალღობით, რომ არც კი შეგვეძლო შედეგებზე გვეფიქრა.

როდესაც ბიშლა ნიკილის ოთახში შედის, მე ჩემი ოთახიდან ამას ვგებულობ. მოისმის ზან მისი სამკაულების წკარუნი და ზან სხვა მცირე ხმაურობა; კარებს შეიძლება შეტისშეტი, არასაუირო მიხეტებით ხურავენ; წიგნთსაცავი ისეთია, რომ ნელა

გაღების დროსაც პრიზინებს. როცა ოთახში შეველ, ბიძალა კარებისაკენ ზურგით იდგა და გართული იყო წიგნის ამორჩევაში. და ოდეს მე მას წინადადება მივეცი დახმარების ამ ძნელ ამოცანაში, იგი შეკრთა და პროტესტი განაცხადა, და მაშინ ბუნებრივად დავიწყეთ სხვა საგანზე მუსიკი.

ერთსელ, კვიმატიან *) ხუთშაბათს ნაშუადღევს გავეშურე ჩემი ოთახიდან. ოდეს იგივე ხმაურობა გავგრძენე. დერეფანში იდგა მცველი. მე გავუარე მას ისე, რომ მისთვის არც კი შემჩნედავს. მაგრამ როდესაც ოთახს მივუახლოვდი, იგი გადამიღვა წინ და მითხრა:

«არ შეიძლება შესვლა, ბატონო!»

«რატომ არ შეიძლება?»

«რანი დედა არის იქ!»

«ოჰ! ძლიერ კარგი. ვადაეცი რანი დედას, რომ სანდიბ ბაბუს სურს მისი ნახვა.»

«არ შეიძლება, ბატონო. ეს წესის წინააღმდეგია.»

სამიწილად გავჯავრდი. «მე შენ გიბრძანებ!» ვუთხარი აწეული ხმით. «წადი და მოახსენე.»

ბიჭი ცოტა დაიბნა ჩემი ქცევის გამო. ამ დროს მე მივუახლოვდი კარებს. ისიც იყო კარებისთვის უნდა ხელიც შემეხე, რომ იგი მომეწია, ხელი დამიკავა და მითხრა: «არა, ბატონო, თქვენ არ უნდა ჰქნათ ეს!»

რაო! ხელი მომკიდა ვილაც უმამ? მე გამოვსტაცე ხელი და სილა გავაწანი. ამ წუთში ბიძალა ოთახიდან გამოვიდა, რომ ენახა თუ შეურაცყოფას ვინ მაყენებდა.

არასოდეს არ დამავიწყდება მისი განრისხების სურათი! რომ ბიძალა მშვენიერია—ჩემი საკუთარი აღმოჩენაა. ბევრნი ჩვენგანი მასში ვერაფერს დანახავს. მის შალალ, აღვიხისხებურ ტანს ეს უხეშები «მუღეს» დაუქახებენ. მაგრამ სწორედ ეს არის ის ალვა, მე რომ ვალმერთებ,—ვით სიცოცხლის მომჩქეფარე შეადრევანს. თვით ღვთის გულის სიღრმედან აღმოხეტქილს. ფერად იგი შეგვერემანია, მაგრამ იგი არის ვით მოელვარე სიბნელე.—მკვეთრი, მოლაპლაპე ხმლის პირისა.

«ნანკუ!» უბრძანა მან, როცა იგი ისევ იდგა კარებში და ხელით უჩვენა «დაგეტოვე».

«ნუ გაუჯავრდები», ვთქვი, «თუ ეს წესის წინააღმდეგი იყო, მაშინ მე უნდა გაგებრუნდე».

ბიძალას ხმა კიდევ კანკალებდა როცა მიპასუხა: «თქვენ არ უნდა წახვიდეთ. შემობრძანდით».

ეს თხოვნა კი არ იყო, არამედ ისევ ბრძანება! მე მას შევეცვი, დავექვი და ვიგრძინებდი თავს მარაოთი, რომელიც მაკიდაზე იდგა. ბიძალამ დასწერა ფანქრით რალაც ქალადის ფურცელზე, დაუძახა მსახურს, გადასცა და უთხრა: «მიუტანე თავადს!».

«მაპატივეთ», დავიწყე. «ველარ შევძელი თავი დამეპირა და თქვენს კაცს გავარტყია».

*) პინდუს კალენდრის მიხედვით.



«თქვენ სწორედ მოქცეულხართ», სთქვა ბიმალამ.

«მაგრამ ეს იმ საწყალის ბრალი არ არის. იგი მხოლოდ ბრძანებას ასრულებდა».

ნიკილი შემოვიდა, მე ავდექი სწრაფი მოძრაობით, მივედი ღანჯარასთან და ზურგი ოთახს ვაქციე.

«ნანკუმ, შენმა მცველმა, სანდიბ ბაბუს შეურაცყოფა მიაყენა», უთხრა ბიმალამ ნიკილს.

ნიკილი ისე გულწრფელად განცვიფრდა, რომ მოგბრუნდი და მას მივაშტერდი. თვით განსაკუთრებულად კეთილი ადამიანიც ვერ დადგება თავის სიშარტლის ამყობით მეუღლის წინაშე, თუ უკანასკნელი ნამდვილი ქალია.

იგი შეურაცმყოფელად გადაუდგა გზაში სანდიბ ბაბუს, განაგებდა ბიმალა.

«მან სთქვა, რომ მას ბრძანება ჰქონდა...»

«ვისი ბრძანება?» იკითხა ნიკილმა.

«საიდან უნდა ვიცოდეთ?» მოუთმენლად წამოიჩაბა ბიმალამ და მისი თვალები აღიხსენ გაჯავრებით.

ნიკილმა მოაყვანია ის კაცი და დაჰკითხა.

«ეს ჩემი ბრალი არ იყო» უპასუხა მან მტრულად. «მე ჰქონდა ბრძანება.»

«უინ გიბრძანა ეს?»

«ბარა რანი დედამ.»

ყველა ერთხანს გაჩუმებული ვიყავით. როცა მცველი წავიდა, ბიმალამ სთქვა: «ნანკე უნდა გაეაძვეოთ!»

ნიკილი ჩუმად იყო. მე ვხედავდი, რომ მისი სამართლიანობის გრძობა მას ამის ნებას არ მისცემდა. მისი სინიღისის ქენჯნას სახლური არა ჰქონდა. მაგრამ ესლა იგი იდგა მძიმე საკითხის წინაშე. ბიმალა არ იყო ისეთი, რომ დაეთმო რაიმე. მას უნდა შური ექია თავის მანლის ცოლზე ამ ბიუს დასჯით. და რადგან ნიკილი ისევე ჩუმად იყო, ბიმალას თვალებში ცეცხლმა იკლვა. ბიმალამ ადარ იცოდა, როგორ ამოეყარა ჯაფრი მეუღლის ჩასიათის სისუსტეზე.

მეორე დღეს ნანკე აღარ მინახავს. როცა ვიკითხე, მითხრეს, რომ იგი სხვა მამულში გადაგზავნეს, მაგრამ მისი ჯამაგირი ამ გადაყენით სულაც არ შემცირებულა.

მე თვალი მოვკარი იმ ამოტეხილ გრიგალს, სცენის უკან რომ ყველაფერს ანადგურებდა. ყველაფერი, რაც შემოძლია ვსთქვა, არის ის, რომ ნიკილი საყვარელი ქმნილებდა. არავის ჩვეულებრივს არა ჰგავს.

ამას შემდეგ, ბიმალა მიწვევდა ხოლმე სასაუბროდ დარბაზში, და არ სჭირდებოდა რაიმე მოგონებია, რათა ჩვენ შეხვედრებს შემთხვევითი ხასიათი ჰქონებოდა. ამგვარად, უბრალოდ გამოვედით სააშკარაზე; ის, რასაც ვგულისხმობდით, გამოცხადდა. თავადის სახლში რძალი სცხოვრობს ისეთ ვარსკვლავურ არეზე, რომელიც გარეშესათვის მიუწვდომელია და მისკენ მისახლოვებული გზა კი არ არსებობს. უკვშია. რიტების რა ზემოური სვლა იყო, რომ თანდათან, მაგრამ მტკიცედ ჰქრებოდა დამაბრმავებელ ადამიან ჩადრი, სანამ დაბოლოს ბუნება არ წარმოსდგა მთელი თავისი სიშიშვლით.

უკვშია რიტება? დიანაც, ეს იყო უკვშია რიტება? მისწრაფება ქალისა და მამაკა-



ცისა ერთმანეთისადმი—საფუძველია. ნიეთიერების მთელი სამყარო, მტვერის უბრალო ცახედან უმაღლეს არსებამდე,—ყველაფერი ამ საფუძველს ემორჩილება. და ადამიანებს კი სურთ თვალი მოაშორონ მას, დამალონ იგი სიტუვითა ქსოვილის უკან: და შინდამაზადებული სასჯელით და აკრძალვით სურთ გახადონ იგი საშინაო უსურველდეს ხომ სისულელეა. ისე როგორც სისულელეა გააღწო მზის სისტემა და მისგან გააქეთო ძეწკვი სიძის საათისათვის! *)

თუ ყოველივეს მიუხედავად, სინამდვილე იღვიძებს იმის დაძახილზე, რაც მხოლოდ შიშველი უკმარობაა. —რა კბილთა ღრუბლი და მკერდთა ცემაა საუბრო! განა ვინმეს შეუძლია ქარიშხალს შეებრძოლოს? იგი არასოდეს საპასუხოდ თავს არ იწუხებს. —იგი ყოველივეს აზანზარებს.

მე ვსიამოვნებდი ამ უკმარობების მზერით, ოდეს იგი თანდათან ცხადდებოდა. ნაბიჯთა ეს ცახცახი, სახის ეს მიბრუნება. —ტკბილია ჩემთვის: და ტკბილია ჩემთვის ეს სიცრუე. რომელიც არა მართლ სხვებს, არამედ თვით ბიშალასაც ატყუებს. ოდეს ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე უნდა შეხედეს არასინამდვილეს, —სიცრუე მისი მთავარი იარაღია; რადგან მისი მტრები ყოველთვის სცდილობენ ამაგონ ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე იმის თქმით, რომ იგი უხეშია, და ამიტომ მან უნდა დამალოს თავისი თავი ან რამეთი დაიბუროს სახე. ვითარება ისეთია, რომ მას არ შეუძლია აშკარად აღიაროს: —დიან, მე ვარ უხეში, ვინაიდან მე ვარ უკმარობი. მე ვარ ტანი. მე ვარ ვნება. მე ვარ შიშმილი, ურცხვი და სასტიკი!

ესლა ჩემთვის ყველაფერი ცხადია. ფარდა ქანაობს და მე შემძლია დავინახო უბედურებისათვის მზადება. პაწია წითელი ლენტი, ბიშალას მდიდარ თმებიდან მორცხვად რომ გამოიყურება თავის საიდუმლო სურვილების სილამაზით, ქარიშხლის მომასწავებელ ღრუბელთა ნაკუნს მომაგონებს. ვგრძნობდა ხოლმე ბიშალას კაბის სიმხურვალეს, მესმოდა თვითუფი მისი ნაოუსის ხმა, რომელიც თვით მის მატარებელს საესებით შეცნობილი არა ჰქონდა.

ბიშალას არა ესმოდა რა, ვინაიდან მას სინამდვილის რცხვენოდა; ადამიანებმა კი იგი—სინამდვილე—ცუდი სახელით მოწათლეს, უწოდეს მას სატანა, და ამგვარად, იგი უნდა შემგვრალიყო სამოთხის წალკოტში გველის სახით, ერთრეულა საიდუმლოება მამაკაცის არჩეულ თანამგზავრისათვის და აუჯანყებია იგი; და მშვიდობით ყოველივე სიწყნარე; და შემდეგ მოიხს სიკვდილი!

ჩემი საბრალო, პაწია დედაფუტკარი სინმრებში სცხოვრობს. მან არ იცის, თუ რა გზას სთვლავს. სახიფათოა უდროოდ გაადვიო იგი. უმჯობესია ჩემთვისაც, თუ მოვიგონებ, რომ მეც მასვით არა გამეგება რა.

ერთ დღეს, სადილობისას, იგი შემომაცქერდა მე რალაც საკვირველად, და მას ვერც კი წარმოედგინა, თუ ასეთი ცქერა რას მოასწავებდა! ოდეს ჩემი თვალები მისას შეხედენ, მან სიწითლით დალუნა თავი.

«თქვენ გაკვირებთ განა ჩემი მადა,» შევნიშნე. «ყველაფერი შემძლია დავმა-

*) სიძე ჰინდურ სახლში მეტად საპატიო და საყვარელია.



ლო გარდა იმისა, რომ მე ვარ გაუმადლარი! ყოველ შემთხვევაში, რათ იწუხებთ თავს თქვენი გაწითლებით. თუ მე თვითონ ურცხვი ვარ?»

ამან იგი უღრო გააწითლა და წაიხურჩულა:

«არა, არა, მე მხოლოდ...»

«ვიცი.» გააწყვეტიე. «ქალებს აქვთ ლტოლვა გაუმადლარ მამაკაცისადმი; რადგან ეს არის ის სისხარბე, მას რომ ამარჯვებებს. წყალობანი, რომელთაც მე ქალთა ხელიდან ყოველთვის ვღებულობდი, მზდიდენ მე უფრო უსირცხვილად. და მე არ მაწუხებს, როცა თქვენ უცქერით თქვენი გემრიელი საჭმელების მოსაპობას, სრულებითაც არ მაწუხებს. მე თვითული მათგანით ვსიამოვნებ.»

ერთჯერ, ვკითხულობდი ინგლისურ წიგნს, რომელშიც სქესობრივი საკითხი გარჩეული იყო მეტრისმეტად უხეში გამართლებებით. მე იგი დავეტოვე გაშლილი სადარბაზო ოთახში. როდესაც იმევე ნაშუადღევს რადაცასათვის უკანვე გბრუნდებოდი, დავინახე, ბიძალა იუდაიმ წიგნით ხელში; როდესაც მან ჩემი ფეხის ხმა გაიგონა, მან წიგნი საჩქაროდ გადადო და ზედ სხვა დაადო—კემენის პოემათა წიგნი.

«ვერასოდეს ვერ შევეტელი გამომგებრკვია, თუ ქალებს რატომ რცხვენიათ, როცა მათ ლექსების კითხვის დროს შეასწრებენ. ჩვენ, მამაკაცებს—გეკილებს, მექანიკოსებს, ან სხვა ვინმეს,—შეიძლება მართლაც შეგვრცხვენს. თუ ჩვენ უნდა ვიკითხოთ ლექსები, ეს უნდა მოხდეს გალურსულ დამეში, გადარახულ ოთახში. მაგრამ თქვენ—ქალებს, პოეზია ან ახლა გენათესავებათ. უხედავსი შემქნელი თვით არის მგოსანი და ჯაიადევს მის ფერხთა მკდომარეს უნდა ევარჯიშა ლეტიურ ხელაგნებით.»

ბიძალას პასუხი არ მოუცია, მხოლოდ მეტად უხერხულად გაწითლდა. ისეთი მოძრაობა ჰქნა, თითქოს ოთახის დატოვების სდომებოდეს. ამანვე მე პროტესტი გამოვსთქვი: «არა, არა! გთხოვთ განაგრძოთ კითხვა, მე ვსლავ წავიღებ წიგნს. აქ რომ დამბრჩა.» და ავიღე მაგიდაზე მდებარე წიგნი. «კიდევ კარგი, რომ თქვენ ახრათაც არ მოგსვლიათ ამ წიგნში ჩაგხედათ.» განვგრძე მე, «თორემ უსათუოდ დამსჯიდით.»

«მართლამ რატომ?» იკითხა ბიძალამ.

«იმიტომ, რომ იგი პოეზია არაა», ვსთქვი. «აქ მხოლოდ უხეში რამეებია, უხეშად დაწერილია და არავითარი სიღამაზით არაა შემკული; ნეტავ ნიკილი წაიკითხავდეს!»

ბიძალა ცოტა გაჯავრდა და წაბუნხლუნა:

«რატომ ნატრობთ ამას?»

«იგი არის მამაკაცი, ერთი ჩვენთაგანი. ჩემი დავა მასთან არის ის, მას რომ ახარებს ამ ქვეყნიურ ნისლოვან მხერაში. შეამჩნიეთ თქვენ მისი ხასიათის ეს ხანი? ამიო გამო იგი სვადეშსაც ისე უყურებს, თითქოს სვადეში პოემა იყოს, რომლის მეტრი ყოველ ნაბიჯზე სისწორით უნდა იყოს დაცული! ჩვენ, ჩვენი პროზის შეპირით, ვართ მეტრის დამარღვეველი.»

«რა კავშირი აქვს თქვენ წიგნს სვადეშთან?»

«თქვენ გეკოდინებოდათ ეს, თუ თქვენ მას წაიკითხავდით. ნიკილს სკირდება უკვე გამომუშავებული დებულებანი, როგორც სვადეშში. ისე სხვა ყველაფერშიც: ამგვარად, იგი თვითულ მოტრიალებანუ თავს იმტერებს ადამიანურ ბუნების წინაშე და შემდეგ მოსდგება და შეურაცხებას აყენებს მას. იგი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენს,



რომ ადამიანური ბუნება უფრო ადრე იქნა შექმნილი, ვინემ სიტყვები, და რასაკვირ-
ველია, მათზე უფრო მეტ ხანს იცოცხლებს.»

ბიმალა ერთ ხანს ჩუმაღ იყო და შემდეგ ნაღვლიანად წარმოთქვა: «განა ადა-
მიანურ ბუნებაში არ არის, ეცადო: ამაღლდე თავის თავზე?»

გულში გამეცინა და გაეფიქრე: «ეს შენი სიტყვები არ არიან. ეს შენ ნიკილი-
საგან ისწავლე. შენ ხარ ჯანმთელი ადამიანური არსება. შენ მ ა ტანმა უპასუხა სი-
ნამდვილის ძახილს. შენ იწვი თვითულ ძარღვში სიცოცხლის ცეცხლით,—განა შენ
არ ვიცე? რამდენ ხანს შეუძლიათ კიდევ დაგიჟირონ ზნეობრივ მოწერილობათა ცივი
და სველი ტილოთი?»

«სუსტები უმრავლესობას წარმოადგენენ», ვსთქვი მე ხმაშალა. «ისინი მუდ-
მივად სწამალავენ ადამიანთა სმენას ამ ლოზუნგის განეორებით. ბუნებამ ისინი სასტი-
კად უარყო, და ამიტომ ისინი სცილობენ სხვებიც დაასუსტონ.»

«ქალები სუსტები არიან», მიპასუხა ბიმალამ. «ასე რომ ჩვენ სუსტების შეთქ-
მელებს უნდა შევეუროდეთ.»

«ქალები სუსტები არიან?» წამოვიძახე მე სიცილით. მამაკაცები გიყურებენ
თქვენ, ვით ნახსა და ფაქიზს და ამგვარად გაფიქრებიებენ, რომ თქვენ ხართ სუსტი.
მაგრამ ქალები არიან სწორედ ისინი, ვინც ძლიერნი არიან. მამაკაცები აწყობენ ევრედ
წოდებულ თავისუფლების დიდ გამოცენას. მაგრამ ვინც შეისწავლა მამაკაცთა შინა-
განი აზრები, ისინი მათ ბორკილებსაც იცნობენ. მათ საკუთარი ხელით დაამზადეს
წმინდა ნაწერები, რათა თავისი ხელფეხი შეეკრათ; სწორედ თავისი იდეალიზმით შე-
ქმნეს მათ ქალისთვის ოკროს ბორკილები, რომლითაც მისი ტანი და აზრები შებო-
ქეს. მამაკაცებს რომ თავის მიერ დაგებულ მახეში ჩაეარდნის უნარი არა ჰქონდეთ,
მათი შეკავება ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ თქვენ, ქალებმა, თქვენ მოი-
სურვეთ ტანითა და სულით შეგვეგნოთ სინამდვილე. თქვენ ჰშობთ სინამდვილე. თქვენ
აღზარდეთ სინამდვილე თქვენი ძეგლით.»

ბიმალა ქალის პირობაზე, მეტად ნაკითხი იყო და აგრე აღვივლად ამ ჩემს სა-
ბუთებს არ დაუთმობდა. «რომ ეს მართალი იყოს, წინააღმდეგა იგი, მამაკაცების-
თვის ქალები ასე წარმტაცი არ იქნებოდენ.»

ქალებს წარმოუდგენიათ საფრთხე. «მათ იციან, რომ მამაკაცთ ილუზიები
უყვართ, და ამიტომ ქალები აძლევენ მათ ბევრსაც, მათგანვე ნასესხები საკუთარი სი-
ტყვებით. ქალებმა იციან, რომ მამაკაცი,—ლოთი, უფრო აფასებს სასმელს, ვინემ
საქმელს და ამიტომ ისინი სცილობენ თავისი თავი დამათრობლად მოახევენონ. მარ-
თლა კი, მხოლოდ მამაკაცის გულისთვის სჩადიან ამახ, თორემ მათ ეს ისე არ დასუი-
რდებოდათ.»

«მაშ, რატომ იწუხებთ თავს ამ ილუზიის მოსასპობლად?»

«თავისუფლების გულისათვის. მე მსურს ჩემი ქვეყანა თავისუფალი იქნეს. მე
მსურს, ადამიანთა დამოკიდებულებანი თავისუფალი იქნეს.»



ვიცოდი, საშიშია ძილში მოსიარულე უცბად გააღვიძო, მაგრამ ბუნებით მე ისეთი თავშეუვალებელი ვარ, რომ აკანკალებული ნაბიჯი არ შემეფენის. ვიცოდი, მეტრისმეტად თამაში ვიყავი იმ დღეს. ვიცოდი, ამგვარ აზრთა პირველი შეჯახება თითქმის აუტანელი ხდება. მაგრამ ქალებთან ყოველთვის იმარჯვებს სითამამე.

ასე მშვენიერად რომ მუსაიფი გავმართე, სწორედ მაშინ შემობრძანდა,— ვინ, თუ არა ნიკილის ძველი მასწავლებელი ჩანდრანათ ბაბუ. ამ ქვეყანაზე არც ისე ცუდი იქნებოდა ცხოვრება, რომ მასწავლებლები არ ყოფილიყვნენ. და მათ გამოა კი გსურს ამ ქვეყნიდან სიძულვილით გაიქცე. ნიკილისთანა აღამიანებს სუირდებათ, რომ ეს ქვეყანა სკოლად გადააქციონ. ამ სკოლის განსახიერება იმ ნაშუადღევს ფსიქოლოგიურ რუთში წარმოსდგა.

თვითუფი ჩვენთაგანი სადღაც გულის კუნუულში კიდევ მოაწვევდ დარჩა. და მე. თვითონ მეც როგორღაც გამოვევიძე. რაც საბრალო ბიშალას შეეხება, მან ღირსეულად დაიკავა თავისი ადგილი კლასის პირველი რიგის სკანზე. ანახდულად ასე ჰგავდა. თითქოს მას მოაგონდა, რომ იგი გამოცდის წინ იდგა.

ზოგიერთი ემზავება მისი რეს. აზრთა მატარებელი რომ ერთი ლიანდაგიდან მეორესე გადაიტანოს.

ჩანდრანათ ბაბუმ ვერც კი მოასწრო შემოსვლა, რომ უქანვე გაბრუნება მოინდომა და წაილულულა: «უაკრავად. უაკრავად. მე»...

სანამ იგი სიტყვას დაასრულებდა, ბიშალა მივიდა მასთან, მდაბლად თავი დაუკრა და ეთხრა: «გთხოვთ ნუ დაგეშორდებით, ბატონო! განა არ დაისვენებთ?» და ბიშალას ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს წყალში ჩაგარდნილი თავის გადასარჩენად ბავს ეჭიდებოდა.—ააწი ლაჩარი!

მაგრამ შეიძლება მე შემეცდარი ვიყავი. ადვილად შესაძლებელია, რომ ამაში იყო ქალის პატარა ეშმაკობა. მას ალბად სურდა თავისი ღირებულება ჩემს თვალში აეწია. იქნებ მას უნდოდა ჩემთვის ვერანაზებია: «გეთაყვა, ერთ წუთსაც კი ნუ წარმოიდგენ, რომ მე თქვენ მიერ სავსებით დაპყრობილი ვარ. ჩემი პატივისცემა ჩანდრანათ ბაბუსადმი კიდევ უფრო დიდია».

კარგი, მისდამი პატივისცემას შეეწირეთ! როგორც გსურთ! სკოლის მასწავლებელთაც ეს უნდათ! მაგრამ მე მათ არა გვევარ და სრულიადაც არა მჭირდება ეს ცარიელი პატივი.

ჩანდრანათ ბაბუმ სვადემის შესახებ საუბარი წამოიწყო. ვფიქრობდი. მისი სიტყვისათვის ხელი არ შემეშალა. მეტად კარგია, მოხუცებულს საშვალება მისცე დაუსრულებლად ილაპარაკოს. ამით მას პგონია, რომ იგი მთელ ქვეყანას აწესრიგებს. იფიქრებს რა ერთი წუთით, თუ ნამდვილი ქვეყანა მის მოლაყებ ენისაგან როგორ შორსაა.

უარესი ჩემი მტერი ვერ გამამტყუნებდა, რომ მე მომთმენი ვარ. და როდესაც ჩანდრანათ ბაბუმ სთქვა: «თუ ჩვენ მოველით შეეკრიბოთ ნაყოფი იქ, სადაც ჩვენ არა დაგვითვისია, მაშინ ჩვენ»... მე მისთვის სიტყვა უნდა გამეწყვეტივებია.

«ვის სუირდება ნაყოფი?» წამოვიძახე მე. «ჩვენ მიესდევთ გიტას დამწერს, რა-



მელმაც გვასწავლა, რომ ჩვენ უნდა ვიფიქროთ მხოლოდ მოქმედებაზე და არა მოქმედებათა ნაყოფზე».

«რა არის ის, რაც თქვენ გსურთ?» შკითხა ჩანდრანათ ბაბუმ.

«ეკალი» წამოვიძახე, «ეკალი, რომლის დარგვა არაფერი ღირს»

«ეკალი ესაბა არა მარტო სხეებს», მიპასუხა მან. «ეკალს შეუძლია თქვენ საკუთარ ფეხსაც შეერჭოს».

«ეს მართალია წიგნში ჩასაწერად», გავეცი პასუხი. «მაგრამ ნამდვილი ის არის, რომ ჩვენ აი აქ, გულში გვეწვივს. ესაა ჩვენ უნდა გავაშინოთ ნარეკალი სხეების ფეხებისათვის; შემდეგ თუ ჩვენ ფეხს გავიფუჭებთ, დროც გვექნება ამაზე ვინანათ. მაგრამ თუ გინდა ამის რატომ უნდა გვეშინოდეს? დაბოლოს, როცა ჩვენ უნდა მოვკვდეთ, ჩვენ დაგვჩრება საკმაოდ დრო, რომ ცივი შევიქნეთ. სანამ ჩვენ გავგაჩინა ცეცხლი, დეე ვილელვოთ და ვიდუღოთ.»

ჩანდრანათ ბაბუმ გაიღიმა. «იდუღეთ რამდენიც გნებავთ», სთქვა მან. «მაგრამ ნუ შეცდებით. თითქოს ეს იყოს მუშაობა ან გმირობა. ერები, რომელთაც მიაღწიეს რაიმეს ამ ქვეყანაზე, მიაღწიეს ეს—მოქმედებით და არა დულილით. ისინი, ვინც მუშაობის საფრთხეში ვარდებიან, როდესაც ისინი ამ სამწუხარო მდგომარეობას შეიგრძნობენ, ისინი ეძებენ მოკლე გზას, რათა მას თავი დააღწიონ.»

მე მზად ვიყავი გამანადგურებელი პასუხი მიმეცა, მაგრამ ამ დროს ნიკილი შემოვიღია. ჩანდრანათ ბაბუ წამოდგა და შეაკეჭრა რა ბიძალას, უთხრა: «ნება მიბოძეთ წავიდე, ჩემო პაწია დედაე; საქმე მაქვს.»

როდესაც მან დაგვტოვა, მე ნიკილს ჩემი წიგნი ვაჩვენე. «დედაფუტკარს სწორად ამ წიგნის შესახებ ვეფუხსიდებოდი», ვუთხარი.

ხალხის ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი შეიძლება სიცრუით გააცურო, მაგრამ მასწავლებელთა მულმივი მოწაფის შეცდომაში შეყვანა კი სიმართლის თქმით უფრო იოლია. უკეთესია, აშკარად ელაპარაკო. ამგვარად, მასთან თამაშში, მე ვშლი ჩემს კარტებს.

ნიკილმა წაიკითხა წიგნის სათაური, მაგრამ არაფერი სთქვა. «ეს მწერლები», განვაგრძობდი, «საქმიანობენ, თავისი ცოცხით ჰგვიან იმ ლამაზ სიტყვებს, რომლითაც ჩვენ ჩვენს ქვეყანა დაფარეთ. როგორც გითხარი, ნეტავ წაიკითხავდე.»

«მე წავეითებე იგი», სთქვა ნიკილმა.

«კარგი, მაშ რას იტყვი?»

«იგი მართლაც კარგია მათთვის, ვისაც ჩაფიქრება შეუძლია; მაგრამ მათთვის, ვინც ფიქრს გაუბრბის, იგი მზამია.»

«რა გსურს სთქვა?»

«ისინი, ვინც ჰქადაგებენ «საკუთრებაზე თანასწორ უფლებას», არ უნდა იყონ ქურდები. ვინაიდან, თუ ისინი ასეთი არიან, მაშინ ისინი სიცრუეს ჰქადაგებენ, და ვნებით დაპყრობილი ადამიანი ამ წიგნს კარგად ვერ გაიგებს.»

*) ბაგავად გიტა—ამაღლებულთა გალობა—განთქმული ჰინდური პოემაა, რელიგიურ-ფილოსოფიური და ჩართულია როგორც ეპიზოდი მაჰაშაარატის დიდ ეპოსში.

«გნება», ვუპასუხე, «არის ქუჩის ჩირაღდანი, ჩვენ რომ გზას გვინათებს. მას არ მიპყვე, ეს ნიშნავს იმას, რომ გზის გასაკვლევად საკუთარი თვალები დაითხარო.»

ნიკილს ეტყობოდა, რომ თანდათან მეტად ლელდებოდა. «მე ვლბულობ ენების ჭეშმარიტებას», სთქვა მან. «თუ აღვიარებ თავშეგაგების სიმართლეს. მაგრამ მით, რომ თვალეში ჩაიპყლიტო, რის დანახვაც გასურს, მხოლოდ ზიანს მიაცენებ თვალებს და: სრულებით ვერაფერს დაინახავ. ასევე შერება ენების ძალადობა, რომელიც არა სტოვებს ადვილს გონებასა და ობიექტს შორის, ამარცხებს მის დანიშნულებას.»

«ეს არის უბრალოდ შენი გონებრივი პრანკიობა», ვუპასუხე, «და ამას მიყვე-ხარ ზნეობრივ სიფიქსეში და გაღმა სტოვებ სიმართლის ველურ მხარეს. ეს შენ გშველის მხოლოდ საგანთა მისტიფიკაციისათვის, და ამგვარად ველარ აკეთებ საქმეს საქმით.»

«ძალის ხმარება», სთქვა ნიკილმა მოუთმენლად, «იქ, სადაც ძალა საჭირო არ არის, არ გამოვადგება შენს მუშაობაში... მაგრამ რატომ ვდავობთ ამაზე? ამაო საბუთი მხოლოდ სცარცვავს ჭეშმარიტებას ცოცხალი ყვეილებისაგან.»

მსურდა, ბიძალასაც მიეღო კამათში მონაწილეობა, მაგრამ მან კრინტიც არ დასძრა, ან იქნებ მე იგი ძლიერ შევარყიე და მიგატოვე იგი აღსავსე ეუვებითა და ეხლა სურს მას თავის მასწავლებლისაგან გაკეთილები მიიღოს!.. მაგრამ მაინც აუცილებელია მთლიანი შერყევა. დაბოლოს უნდა გაიგონ, რომ ის, რაც მუერყევლად მიანწიათ შეიძლება შერყეულ იქნეს.

«მომხარული ვარ, ასეთი საუბარი მქონდა შენთან,» ვუთხარი ნიკილს, «რადგან მინდოდა ეს წიგნი ბიძალასათვის წასაკითხად მეთხოვებია.»

«რა ბედენაა», სთქვა ნიკილმა. «თუ მე შემეძლო წამყივისა ევ წიგნი, რატომ ბიძალასაც არ შეუძლია? ყველაფერი, რაც მე მსურს ესთქვა, არის შემდეგი: ევროპაში ხალხი ყველაფერს მეცნიერების თვლით უყურებს. მაგრამ ადამიანი არ არის უბრალოდ არც ფიზიოლოგია, არც ბიოლოგია, არც ფსიქოლოგია და არც თვით სოციოლოგია. ღვთის გულისათვის, ამახ ნუ დაივიწყებ. ადამიანი არის დაუსრულებელი უფრო მეტი, ვინც თვით ბუნებისმეტყველების მეცნიერება. შენ დამცინი და მეძახი მე სკოლის მოწაფეს, მაგრამ ეს ხარ შენ და არა მე. შენ გინდა იპოვო სიმართლე ადამიანის შესახებ შენი მეცნიერების მასწავლებლისაგან, და არა შენი საკუთარი შინაგან არსებისაგან?»

«მაგრამ რა საჭიროა ასეთი აღლევება? დავცინე მე.»

«რადგან ვხედავ, შენ გაქვს მიდრეკილება ადამიანს შეურაცხება მიაცნო და იგი სამასხაროდ გადააქციო!»

«სად დაინახე ყველაფერი ეს?»

«ჰაერში, ჩემს შეურაცყოფილ გრძობებში. შენ მზადა ხარ ადამიანში დაჰკადო ყოველი დიადი, უანგარო და ლამაზი.»

«რა გიქური აზრი მოგსვლია!»

ნიკილი უტბად წამოდგა. «პირდაპირ გეუბნები, სანდიკ,» მომმართა მან, «ადამიანი შეიძლება სასიკვდილოდ იქნეს დაჭრილი, მაგრამ მას არ სურს მოჰკვდეს. ესაა მიზეზი, თუ რატომ ვარ მზად ყოველი ავიტანო, თუმცა ვიცი ყველაფერი და ვხედავ ღია თვალებით.»

ამ სიტყვებისათანავე მან სწრაფად დასტოვა ოთახი.

დაბნულად მიგჩერებოდი მის შიშვალ ფიგურას, როდესაც მაგიდიდან ჩამო-



ვარდნილმა წიგნის ტყაანამა მომხატვდია,—და დავინახე ბიძალაც ნერვიული, ჩქარი ნაბიჯით წავიდა ისე, რომ ჩემს ახლოსაც არ გაუვლია.

საკვირველი ქმნილებაა ეს ნიკილი! იგი გრძნობს მის სახლს რომ საწმინდოება მოეღოს, მაგრამ რატომ არ გამაგდებს იგი აქედან? ვიცი, იგი იცდის, მანამ ბიძალა ამის ნიშანს მისცემდეს. თუ ბიძალა ეტყვის მას, რომ მათი დაქორწინება შეცდომა იყო, იგი თავს დალუნავს მის წინაშე და უპასუხებს: შესაძლებელია, ეს შეცდომა იყო! მას არ აქვს იმოდენი გონების ძალა რომ შეიგნოს:—შეცდომის აღიარება არის უუცუდესი ყველა შეცდომათაგან. იგი არის ტიპური მაგალითი, თუ იღვა სისუსტეს როგორ კქმნის. არ მინახავს მისი მზგავსი ვინმე—ბუნების იმგვარი უცნაური ნაყოფი! იგი არ გამოადგება არც მოთხრობისათვის და არც დრამისათვის, ნამდვილ ცხოვრებაზე რომ არაფერი ვსთქვა.

და ბიძალა? ვშიშობ, რომ მისი სიზმრიანი ცხოვრება გათავდა. მან გაიგო დაბოლოს იმ მდინარის ბუნება, მას რომ მიაქანებს. ესლა გახილული თვალებით იგი უნდა წინ წავიდეს და უკან დაიხიოს. შესაძლებელია, მან ჯერ წინ გადასდგას ნაბიჯი, მერმე უკან დაიხიოს. მაგრამ მე ეს არ მაწუხებს. როდესაც ვინმეს ცეცხლი ეკიდება, ეს წინდაუქან სირბილი ცეცხლს უფრო აძლიერებს. შიში, რომელმაც იგი შეიპყრო, მის ვნებას უფრო გაააფთრებს.

იქნებ უკეთესი იქნებოდა მისთვის ბევრი რამ არ მეთქვა, არამედ ამომერჩია ახალი დროის რომელიმე წიგნი და წასაკითხად მიმეცა. დეე. თანდათანობით მივიღეს იგი იმ დასკვნამდე, რომ ვნების, როგორც უმაღლესი სინამდვილის, შეცნობა და პატივი არის ახალმოდური, რომლისაც არ უნდა გრცხვენოდეს, და თავშეკავებას ხოტბას არ უნდა ასხამდე. თუ იგი თავშესაფარს ჰპოვებს ისეთ სიტყვაში, როგორცაა «ახალმოდური», მაშინ ჰპოვებს იგი ძალასაც.

როგორც არ უნდა იყოს, მე უნდა ვნახო ყველაფერი ბოლომდე, მეხუთე მოქმედებამდე. საუბედუროდ, არ შემიძლია დაგიკვირო, რომ მე უბრალო მაყურებელი ვარ.—მჯდარი სამეფო ლოჯიაში, და ხანდახან ტამის დამკერელიც. გულს რაღაც მიწუხებს და თვითუფლ ნერვს მიჰიშავს. როდესაც სანთელს ვაჭრობ და ჩემს ლოჯიაში ვარ, მცირე შეხებაში, მცირე ცქერაში, მცირე სიტყვანი მავსებენ მე და ავსებენ სიბნელესაც. ოდეს დილას ვდგები, ვცახცახებ საყვარელ მოლოდინისაგან, სისხლი ჩემი რბის ჩემს ძარღვებში მუსიკის ჰანკით...

მაგიდაზე იდგა ერთ ჩარჩოში ჩასმული ბიძალასა და ნიკილის სურათი. მე ამოვიღე იქიდან ბიძალას სურათი. გუშინ ვუჩვენე მას დაცარიელებული ადგილი და ვუთხარი: «ქურდობა აუცილებელი ხდება მხოლოდ სიძუნწის გამო, ამიტომ ცოდვა უნდა განაწილდეს მათ შორის. ასე არა ჰქიქრობთ?»

«სურათი არ იყო კარგი», უბრალოდ, მცირე ღმილით შემნიშნა ბიძალამ.

«რა ვქნა?» ვსთქვი მე. «სურათი არ შეიძლება უკეთესი იყოს, ვინმე სურათია. უნდა დამაყოფილდე მით, როგორც იგი არის».

ბიძალამ წიგნი აიღო და ფურცლვა დაუწყო. «თუ გაწყენიეთ», განვგარბე, «მე უნდა ვიღორო, ცარიელი ადგილი შევავსო».

დღეს შევავსე იგი. იქ ჩავსვი ჰაბუკობაში გადაღებული ჩემი სურათი. მაშინ ჯერ კიდევ ველოლიავებოდი ოცნებებს ამ ქვეყნისა და იმ ქვეყნის შესახებ. რწმენა ატყუებს ადამიანებს, მაგრამ მას აქვს უდიდესი ღირსება:—ჩვენ სახეს იგი სხივონობას აძლევს.

ჩემი სურათი ესლა ნიკილის სურათის გვერდითა; განა ჩვენ ორივე ძველი მეგობრები არა ვართ?

(გაგრძელება იქნება)



III

ვლ. ბაკრაძე

კ რ ი ტ ი კ უ ლ ი უ ნ ი ი შ ვ ნ ე ბ ი

«ჯ ა ყ ე ს ნ ი ზ ნ ე ბ ი»

რომანი მიხეილ ჯავახიშვილის

ჩვენ წინ დევს ქართული რომანი «ჯაყოს ზიზნები». ავტორი ამ რომანის გახლავთ მიხეილ ჯავახიშვილი, რომლის კალამს ეკუთვნის აგრეთვე შთელი რიგი სხვა რომანებისაც.

უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ მწერლის რომანებიდან ჩვენ მოგვეცა შემთხვევა გაცნობოდით მხოლოდ ზემო აღნიშნულ რომანს, და მხოლოდ ამ რომანზე შეგვიძლია ჩვენ დავემყაროთ ბ. ჯავახიშვილის მხატვრულ ნიჭის დაფასების დროს.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საშველება გვექონდა წერის საქართველოში, რომ ქართულ ლიტერატურის დიდ ნაკლს შეადგენს ის, რომ არა გვაქვს რომანი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

რა არის რომანი და რას მოვითხოვთ ჩვენ მხატვრული რომანიდან?

რომანი—ეს ფართე ტილოა, სადაც დახატულია მთელი საზოგადოება, საზოგადოების სხვა და სხვა წრეები და ჯგუფები თავიანთი დამახასიათებელი თვისებებით, თავიანთ მისწრაფებით, ზნე-ჩვეულებებით და ძრახვებით. უარპყოფითი და დადებითი მხარეებით, თავიანთ პსიქოლოგიით და მოქმედებით. რომანში უნდა იყოს დატყული ისტორიული სინამდვილე და პსიქოლოგიური სიმართლე. რომანი-ეს ნიშნავს მხატვრულ ტიპებს, რომლებიც უნდა სცოცხლოდნენ და მოქმედებდნენ. ყოველი მოქმედება კი უნდა იყოს დასაბუთებული. დასაბუთებული არა ლოლიკურათ, არა განყენებული დებულებებით, არამედ პსიქოლოგიურათ, მხატვრულათ, მხატვრული სურათებით, პსიქოლოგიური განცდის ბუნებრივი განვითარებით. გარდა ყოველივე ამისა, რომანი უნდა იყოს დაწერილი მხატვრული ენით.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ რომანზე, მხედველობაში არა გვაქვს, რა თქმა უნდა, ის «მაკულატურა», რომელიც გამოდის რომანის სახელით და რასაც «ბულვარის რომანს» უწოდებენ. ასეთ რომანის შექმნაში უმთავრესი ფაქტორია არა ტვინი, გრძნობა, მხატვრული შემოქმედება, არამედ ხელი, მარჯვე და «გაჩვეული» ხელი. მოქმედებენ ასეთი რომანები არა მკითხველის გრძნობაზე, ან ტვინზე, არამედ მის... ხერხემალზე. მთავარი მიმწოდებელი და ბაზარი ასეთი რომანების საფრანგეთია, განსაკუთრებით პარიზი. ამ რომანების უმთავრესი კლიენტურაა: «კონსიერაჟები», «ოფიცრები», «მიდინეტები», ახალგაზდა პარიკმასერები და სხ. პარიზში, მაგალითად, თქვენ ხშირათ დინახავთ მეტროში, მატარებელში, ბაღში, «საკონსიერაჟოში», როგორ



გულ-მოდგინეთ კითხულაბენ ისინი ასეთ რომანებს და, წარმოიდგინეთ, ერთგვარ ემოციასაც განიცდიან.

ეს რომანები შედგეია არა მხატვრული შემოქმედების, არამედ ტენზიკის, ისე როგორც მაგალითად ფაბრიკის საქონელი: ფესხაცმელი, ტანისამოსი, ავეჯეულობა და სხვა.

ისინი იწერებიან ერთხელ შემეშავებულ შაბლონის, კლიშეს მიხედვით და არავის არ მოუვა თავში, რა თქმა უნდა, ამ რომანებს რაიმე მხატვრული მოთხოვნილება წარუდგინოს.

ასეთ რომანების «საწარმოებლათ» არ არის საჭიროა, რა თქმა უნდა, არც მხატვრული ნიჭი, არც ლიტერატურული ცოდნა და განათლება, არც ტენიის ამუშავება, არც გრძნობის სიძლიერე, არც აზრის სიღრმე, არაფერი, გარდა ტენიკის შესწავლისა, ისე, როგორც ეს საჭიროა, მაგალითად, მეწაღისათვის, ამ ნეპურისათვის, საჭიროა, ერთის სიტყვით, როგორც იტყვიან, «ხელის გაჩევეა».

დაუბრუნდეთ ჯავახიშვილის რომანს. რადგანაც, როგორც ჩვენ ვთქვით ზევით, ქართული ლიტერატურის დიდ ნაკლს შეადგენს მხატვრული რომანების უქონლობა, ჩვენ არ შეგვეძლო არ გვეგრძნო ერთგვარი სიხარული, როდესაც ბ. ჯავახიშვილის რომანი ხელში ავიღეთ. აი, ვთქვით ჩვენ, ბ. ჯავახიშვილი შეიძლება ის მწერალია, რომელიც ამ ნაკლს შეავსებს, ჩვენი ლიტერატურის ფარგლებს გააფართოვებს, ახალ მხატვრულ პორიზონტებს გადაგვიშლის და ლიტერატურის ახალ დარგს დაამკვიდრებს.

გაკვიმართლა რომანის წაკითხვამ ეს იმედები თუ არა?—რომანის ანალიზი მოგეცემს პასუხს ამ კითხვებზე.

პირველ ყოვლისა გავეცნოთ მოკლეთ რომანის შინაარსს.

თეიმურაზ ხევისთავი—თავადია, ქართველი ინტელიგენტი, ვეპილი, გაზეთის რედაქტორი, საზოგადო მოღვაწე, მემამულე.

რომანი იწყება საქართველოს ბოლშევიკურ რუსეთის მიერ დაპყრობამდის. თეიმურაზი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეა, თუმცა არა სიხანს, რაში გამოიხატება მისი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეობა. უნდა დაუჯეროთ ავტორს, აგრეთვე თეიმურაზს. რომელიც ვუბნება თავის ნამოჯამაგირეებს ჯაყოს: «ჯაყო ყური დამიგდვ. ათჯერ მითქვამს შენთვის, რომ მე პ...პოლიტიკური მოღვაწე ვარ».

რადგანაც რომანი, რა რომანია, თუ იქ სიყვარული არ არის, ერთ მშვენიერ დღეს ზდება შემდეგი ამბავი:

«გაქანებული თეიმურაზი რედაქციაში ცხარე წერილს სწერდა შესახებ ინტენსიურ და ექსტენსიურ მეურნეობისა. უცებ ახლად აპრტლებულ ფურცელს ჩრდილი გადაეფარა. თეიმურაზმა აიხედა. უცნობი ლამაზი ქალი თავთ დასდგომოდა, მორცხვად იღიმებოდა და თეიმურაზს პრულ ქალაღდის ნაღლეჯს ხელში აჩეჩებდა, თანაც შავსა და ლუშის მზგავსს თვალებს აციმციმებდა:—გთხოვთ... ბილეთი იყიდეთ...»

თეიმურაზი ბილეთს იყიდის და შემდეგ... მარგარიტა ყაფლანიშვილს (ასე ერქვა იმ ლამაზ ქალს, რომელიც ნუშის მზგავს თვალებს აციმციმებდა) შეირთავს.

საქართველოს ბოლშევიკები იპყრობენ. თეიმურაზი გადის სცენიდან და ზღე-
ბა «ნათავადარი, ნამამულევი, ნამოღვაწარი და ნავექილარი». სცენაზე აღის მისი ნამო-
ჯამაგირევი და ნამოურავალი ოსი—ჯაყო ჯივაშვილი, რომელიც წაართმევს თეიმუ-
რაზს ჯერ მამულს და მთელ მის ქონებას და ბოლოს ცოლსაც.

თეიმურაზი უღვება მოჯამაგირეთ ჯაყოს და ის ზღედა თავის ნახიზანევის,
ასე ვთქვათ, სიზანი. აქედან რომანის სახელი—«ჯაყოს ხიზნები».

ჯაყოს გაყვება ჯერ ხასათ თეიმურაზის ცოლი, რომელზედაც შემდეგ ჯაყო
დაიწერს ჯვარს, და რაც ყველაზე «პიკანტურია», საბრალო თეიმურაზი თვით ესწრე-
ბა ჯვარის წერას.

ბოლოს ავტორი მოაწყობს თავის გმირს ნოქრად კოაპერატიულ დუქანში,
საიდანაც ის ზშირათ ხედავს თავის ნაცოლევს მარგოს, რომელსაც ჯაყო, ზურგზე საფ-
ქვე აკიდებულს, აგზავნის ხოლმე წისქვილში.

ამით თავდება რომანი.

აი მოკლეთ რომანის შინაარსი.

ეს არის, ასე ვთქვათ, რომანის კანვა, რომელზედაც ავტორი ხატავს უზორებს
და ტიპებს.

ენახოთ როგორია ეს ტიპები და ქსოვილები..

პირველ ყოვლისა—თეიმურაზი.

თეიმურაზ ხევისთავი, როგორც ვთქვით უკვე, მემამულეა, ყურნალისტი, სა-
ზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე. როგორია ის როგორც ყურნალისტი და პოლი-
ტიკური მოღვაწე, ჩვენ არ ვიცით, რადგანაც რომანიდან, სამწუხაროთ, ეს არ სჩანს.
ვიციტ მხოლოდ, რომ ის ხელმძღვანელობდა განუთს, კოაპერატივის და კულტურულ
საზოგადოებას. ვიციტ აგრეთვე, რომ განუთი იყო «მშუღე», კოაპერატივი «კოტორი»
და კულტურული საზოგადოება «ძილმორეული».

აქედან ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ, როგორც ყურნალისტი
თეიმურაზი იყო უვარგისი, როგორც საზოგადო მოღვაწე ის არ იღვა, ცხადია, თავის
დანიშნულების სიმაღლეზე, თორემ საზოგადოებას, რომელსაც ის მეთაურობდა ძილი
არ მოერეოდა.

მაგრამ ეს მხოლოდ დასკვნაა მკითხველის. ავტორს უნდა დაენახებოდა თეი-
მურაზი თვით სამუშაოზე, თვით მოქმედების პროცესში. რათ იყო ასე მშუღე მისი გა-
წეით, რათ გაკოტრდა კოაპერატივი, რათ მოერია ძილი საზოგადოებას?

ამ კითხვებზე რომანში პასუხს არ ვპოულობთ.

თეიმურაზი მემამულეა, მაგრამ მას, თუმცა ის წერილებს აცნობს ინტენსი-
ურ და ექსტენსიურ მეურნეობაზე, მეურნეობის არაფერი ესმის და მას სისტემატიუ-
რათ ატყუებს მისი მოურავი ჯაყო, კპარავს და ცარცეავს მას აშკარათ. მაგრამ თე-
იმურაზი ვერაფერს ხედავს. ჯერ კიდევ ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებამდის
ჯაყო ფაქტიური პატრონი გახდა მისი მამულის და თითქმის მთელი შემოსავალი
მას მიჰქონდა. ბოლშევიკურმა რეჟიმმა მხოლოდ სანქცია უქნა არსებულ მდგო-
მარეობას.

თეიმურაზს თავისი საკუთარი მამულისათვის ვერ მოუვლია, მაგრამ ის უვლის



და ავგარებს (მოწინავე წერილებში და ბაასში) უცხო სახელმწიფოების და კალონიების საკითხებს, როგორც მაგალითად, სულდანის ირრიგაციის საკითხი, პორტ-ჯიბუტის გარშემო ატეხილი დავა, ზანზიბარის სულთანის გარდაცვალების მნიშვნელობა, ინგლისის პოლიტიკა ეშმაკის კუნძულზე და სხ. და სხ.

თუ ავტორს დაუჯერებთ, თეიმურაზი დიდი და უნივერსალური ცოდნის კაცია, რის გამო მას ვილაკამ «ცოცხალი ენციკლოპედია» დაარქვა.

«მას აქეთ—ამბობს რომანისტი—თეიმურაზს ეს ზედმეტი სახელი სამუდამოთ დარჩა და ისიც ამ სახელს ამაყათ და თავმომწონეთ ატარებდა».

უნდა დაუჯეროთ ბ. ჯავახიშვილს, როდესაც ის ამბობს თავის გმირზე:

«თუ სადმე მცირედი დავა და კამათი ატყდებოდა შესახებ რომელიმე ამბავის სისწორისა, ან მცნების განმარტებისა, იმის მაგივრათ, რომ მოდავეებს ენციკლოპედიურ ლექსიკონში ჩაებუნათ, დავის გადასაპურელათ თეიმურაზთან მირობდნენ. თეიმურაზიც ცნობას და განმარტებას ხალისით მისცემდა, თან ორ სიტყვიან ცნობას რთულ ლექსიად გადააქცევდა, ერთს ნათქვამს მოიმიზუნებდა, უბრალოს გაართულებდა, მოაყვებოდა, გასუნიმედა და მსმენელს ისე გაჰკუთავებდა, რომ ერთმანეთს ძლივს დაშორდებოდენ ხოლმე. ამის გამო ვილაკამ თეიმურაზს «ცოცხალი ენციკლოპედია» დაარქვა».

მკითხველი აქედან დაასკვნის: თეიმურაზი შეიძლება სუსტი ნების კაცია, მაგრამ ის აღუჭრელია, სამაგიეროთ ღრმა, საფუძვლიანი და ფართო ცოდნით.

ასე ფიქრობს მკითხველი, მაგრამ საბრალო თეიმურაზი ბ. ჯავახიშვილის ხელშია და მისი გმირები მოქმედებენ არა ისე, როგორც მათ მდგომარეობას და ხასიათს შეეფერება, არამედ ისე, როგორც მოეპრიანება ავტორს.

აი მაგალითად:

«ახალგაზრდა მეცნიერს (თეიმურაზს) ეგონა, ეითომ მან საქართველოს ისტორიის მეჩვიდმეტე საუკუნე გადმოატრიალა, ზოგ ბუნდოვან ამბავს შუქი მოჰფინა და ძველის-ძველ ქრონიკების უშველესი ვარიანტები აღმოაჩინა. მაგრამ, როცა ერთ მოხუც მწიგნობარს თვისი სიხარული გაუზიარა და ის ნაწერებიც წააკითხა, მოხუცებულმა მეცნიერმა თეიმურაზს ერთ წელიწადში აქაფებული იმედი ხუთ წუთში გაუქარწყლა და აღუღებელი თავიც დაუმშვიდა».

ჩვენ მოვითხოვთ მხატვრულ ნაწარმოებიდან მხატვრული სიმაართლის დაცვას. მხატვარმა არ უნდა ჩაადენიოს თავის გმირს ისეთი რამე, რაც ეწინააღმდეგება მის ხასიათს და თვისებებს: თუ ის მეცნიერია და ენციკლოპედისტი, ავტორმა არ უნდა ჩაადენიოს მას ისეთი შეცდომა, რომელიც არ ეპატიება საშვალო სკოლის შეგირდსაც. მაგრამ, რადგან თეიმურაზი არა ცოცხალი პირია, არამედ მანეკენი, რომელიც ძაფით ყავს მიბმული ბ. ჯავახიშვილს, ის ამოქმედებს საბრალო თეიმურაზს არა ისე, როგორც მან უნდა იმოქმედოს, არამედ ისე, როგორც სურს მის ტირანს ბ. ჯავახიშვილს.

ბ. ჯავახიშვილი გვაცნობს თეიმურაზს, როგორც მოლაყებ და მცონარე ინტელიგენტს. ის ლაპარაკობს ბევრს, მაგრამ არაფრის გაკეთების უნარი მას არ აქვს. არავითარი ნების ყოფი: ის პასიურათ და გულგრილათ უყურებს, როგორ ეცლება ხელიდან მამული, პასიურათ და გულგრილათ ხედება ცოლის ალერსს: როდესაც მა-



რგო თეიმურაზს გაზნოს წაართმევდა და მოეხვევოდა, თეიმურაზი ჯინიან ბავშვივით გაიძახოდა: «მარგო, გეყო ჩემი წვალება, მომაწოდე გაზეთი და დამშვიდდი». როდესაც მარგო მიიწვი არ მოეხვეებოდა, ის უგულო ლაშინით და დარიგებით უპასუხებდა: «კარგი გეყოფა... მიიხევენ... ჩემი გაზეთი დ... დამიბრუნე». როცა თეიმურაზი მარგოს იშვიათათ მოუწევბოდა გვერდით, ის «ცხარე ალერსის მაგიერათ მოდუნებული ხელებით უგემურათ სცოდნებოდდა და ილოღნებოდა... პასიურათ ხელება აგრეთვე თეიმურაზი ცოლის ჯაყოს მიერ გაუპატიურების ამბავს, პასიური მოწმეა, როდესაც ხედავს, რომ მისი ცოლი ჯაყოს უწევს გვერდში, პასიური მოწმეა მარგოს ჯაყოსთან ჯვარის წერის, პასიური სტუმარია ქორწილში...

არც ერთი სურვილის, არც ერთი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა მას არ ძალუძს:

აპირობს ბრძოლას—მორჩილდება, შეუწრებს ცოლს ჯაყოსთან მწოლარეს, დააპირებს ვითომ ჯაყოს მოკვლას, ხანჯალი ხელიდან უფარდება (ეს სცენა არის მხოლოდ ერთ გამოცემაში და არ არის, არ ვიცით რატომ, მეორეში) და როგორც დამნაშავე ბავშვი მოისმენს ჯაყოს ნატაციას. ეს ცოტაა: ჯაყო მას გამოაპანურებს, გარეთ გამოაგდებს, აპირებს სადღაც შორს წასვლას და იქ დარჩენას, ბრუნდება უკან, ბოლოს აპირებს თავის დახრჩობას და გადავარდება წვალში... ჩვენ ვფიქრობთ და ერთგვარ კმაყოფილებასაც მხატვრულს, რა თქმა უნდა, ვგრობთ: გამოიჩინა ბოლოს თეიმურაზმა ხასიათის სიმტკიცე... არა. ამოკურდება, წარმოიდგინეთ, ისევე.

ავტორს სურს, ალბათ, იუმორი შეიტანოს რომანში და ამიტომ წამ და უწუმ ალაპარაკებს თავის გმირს: «მოვე... ვისაზროთ... გე... გგამოვარკვიოთ... მოვეფიქროთ...» პირველათ შეიძლება ეს სასაცილო იყოს, მაგრამ როდესაც ეს მეორდება რომანის თითქმის ყოველ გვერდზე, ეს მისაწყენი ხდება და ამტკიცებს, რომ ავტორს აქვია მხატვრული ზომიერების გრძნობა.

თეიმურაზი შეიპარება ჯაყოს საწოლ ოთახში და ის ხდება შემდეგი სცენის მოწმე:

«ორიგენი (ჯაყო და მარგო) წვლამდის შიშვლები იყვნენ, ხოლო წვლქვევით თეთრი ზეწარი ეხურათ. მარგოს ჯაყოს მარცხენა მკლავზე მიეღო თავი, როგორც მუთქაწუნე, და მძალრათ ეძინა; პირისხაზე მშვიდი, უმანკო და მძალარი ჰქონდა. გაფუფებული ძუძუები მთვარესავით ამოვგდო; მკრთალი, თითბერის მკერდი ვაეღღნა და თვისი ხშირი თმა უდარდელად ღიმილით მოსილ პირისხისათვის შავი გველივით შემოთვლო. თეთრი, გატიკული და თლილი მარმაროს მკლავი ჯაყოს ბანჯგვლიან მკერდზე დაეღო».

როდესაც ამ სცენის შემდეგაც ავტორი ალაპარაკებს კიდევ თეიმურაზს: «დამშვიდდი ჯაყო, დამ... მშვიდდი! (ჯაყოს კიდევ დამშვიდება სპირია) გ...გვაუგებრობა მოხდა, ჯაყო, გამ...მოვარკვიოთ... მმ...მოვისაზროთ, მოე...ვეფიქროთ»...

ეს უკვე მეტია, ვიდრე მხატვრული ზომიერების დარღვევა, ეს სრული უქონლობაა მხატვრული ტაქტის.

ჩვენ არაფერს ვიტყვით იმ ლექციაზე საქართველოს ისტორიის ფილოსოფია-

ზე, რომელსაც უკითხავს თეიმურაზი ნახუცარ ივანეს, და სადაც ის, სხვათა შორის ამბობს: «ღმერთმა თავიდანვე სასტიკათ დამსაჯა მეტი რაცა ქარ...რთველად გამაჩინა.»

ცნობილია, რომ ხშირათ რომანის გმირი ლაპარაკობს არა იმას, რაც მას სურს და რასაც ის ფიქრობს, არამედ იმას, რაც სურს და რასაც ფიქრობსმისი ავტორი.

ცნობილია აგრეთვე, რომ რომელიმე პერსონაჟის ცოდნა არ მიდის უფრო შორს და არ არის უფრო ღრმა, ვიდრე მისი შემქნელი.

აღწიწნათ მხოლოდ, რომ საქირთა რომანის ავტორმა. მანამ ის დაავალბდეს თავის გმირებს რთულ და ფილოსოფიურ საკითხებზე ბაას. თვით შეისწავლას წინ და წინ ეს საკითხები საფუძვლიანათ და გაერკვას კარგათ, იმიტომ, რომ რომანის გმირის შეცდომების წყარო არის ხშირად თვით რომანის ავტორის უეცობა. მართალია, ბ. ჯავახიშვილი ამბობს, თეიმურაზი ქართული კულტურის სამ-ტომიანი ისტორიის წერას შეუდგა, მაგრამ ეს ისტორია ჩვენ ჯერ არსად გვინახავს და, თუ ის მართლა შედგენილია, არ ვფიქრობთ, რომ მას რაიმე მეცნიერული ღირებულება ჰქონდეს.

ჩვენ არ ვიცით, რა განძრახვა ჰქონდა ავტორს, როდესაც ის გვიხატავდა თეიმურაზს.

თუ თეიმურაზი გამოყვანილია, როგორც ტიპი ქართული ინტელიგენციის, ჩვენ ვფიქრობთ, ეს სიყალბეა და ცილის წამება.

ჩვენ არ გვინდა ამით ვთქვათ, თითქოს ისეთი პიროვნება, როგორც მას ავტორი ახასიათებს, არ არსებობდეს სინამდვილეში. შეიძლება ბ. ჯავახიშვილი კიდევაც იცნობს ისეთ პიროვნებას, როგორც თეიმურაზი და გვაძლევს მის ფოტოგრაფიულ სურათს, ცოტა დამახინჯებულს და გაკარბატურებულს, რა თქმა უნდა. მაგრამ მიბრძანეთ, რა შეაშია აქ ხელოვნება?

რომანში გამოყვანა ინდივიდუალური პიროვნების, მისი ინდივიდუალური თვისებებით, მისი ინტიმური ცხოვრებით, მკითხველის შეყვანა მის საწოდ ოთანში, ახდა ფარდის ალკოვის. სადაც მისი ცოლი წევს... მაპატიეთ, მაგრამ ეს პასკვილია.

ერთი სიტყვით, თეიმურაზი არ არის მხატვრული ტიპი და მისი რომანში გამოყვანით ბ. ჯავახიშვილმა დაუშვა დიდი მხატვრული და ესტეტიური შეცდომა.

გავეცნოთ ესლა თეიმურაზის ცოლს მარგოს.

სადაც, რომელიღაც კურნალში. თუ განუთში ვილაც შენიშნავდა, რომ მარგო ცილის წამება ქართველ ქალებზე, რომ ჯავახიშვილი განგებ ამცირებს მას, რომ შეუძლებელია ქართველ ქალს ჩაედინა ისეთი სამარცხვინო საქციელი, რომელიც ჩაიდინა მარგომ, როდესაც გასცილდა ქმარს და მივიდა ისეთ უმზავსო ქმნილებასთან, ისეთ პირუტყვთან, როგორც ჯაყვა.

არ მახსოვს სიტყვა სიტყვით, მაგრამ აზრი შენიშვნის ასეთი იყო. ასეთ აზრს გაიგონებთ კერძო ლაპარაკშიაც.

აქ ერთი შეცდომაა. არ არის არაფერი შეუძლებელი იმაში, რომ თეიმურაზი მიატყვა მისმა ცოლმა და გაყვა ჯაყოს.

ჩვენ ვიცით კიდევ ბიბლიიდან, რომ ტიტანია ვალერსებოდა ვირს... ვირის ყურებს.



მაგრამ პსიქოლოგიური სიმართლის ლალატია და მხატვრულად სრულიად დაუსაბუთებელი მარგოს საქციელი. ისეთ ქალს, როგორც გვისხატავს ავტორი, ისეთი გემოვნების და მიმართულების ადამიანს, როგორც მას ბ. ჯაფარიშვილი გვაცნობს, შეუძლებელია, პსიქოლოგიურად შეუძლებელია ჯაყოში ეპოვა თავის «რომანის გმირი».

მარგო არ არის მოკლებული ესტეტიურ გემოვნებას და ესტეტიური ემოციების განცდა მისთვის მოთხოვნილებას შეადგენს. ის მშვენიერად უყარავს როიალზე, შოპენის და შუმანის nocturne-ებს, ბეტჰოვენის სიმფონიას და ლისტის რაპსოდიას.

ის საუცხოოვთ მღერის და ცეკვავს და ცეკვაში საოცარი გრძობა, პარმონია და ენება შეაქვს.

«მარგო», ამბობს ავტორი, «დაირას ან კასტანეტებს ხელს დააეღებდა და თემურაზის გარშემო ჩამოვილიდა. ხან ენებიან და გველურ უზუნდართი დაიწვოდა, ხან ესპანურის ცეკვით აიგრიხებოდა, ხან კიდევ გიქმეაქურ ტარანტელას ისეთის ალქაჯურ სიმარდით დაატრიალებდა, რომ თემურაზს თვალი აუჭრელდებოდა და თავსბრუ ეხვეოდა. სცეკვავდა გაწეწილ გაღელილი მარგო და ხან ინისლებოდა, ხან ენებით სდნებოდა, ხან ეინით გიქდებოდა და ნუშის მსგავს შავ თვალებით ხან ღონდებოდა, ხან სევდით შოიბურებოდა, ხან ცელქათ გაილიმებოდა და ხან კიდევ ისე აინთებოდა, რომ იმ ოთახში მისი თვალები ელვასავით დახტოდენ».

ადვილათ გასაგებია, რომ მარგო, რომელიც «დედაცაცი იყო და ამიტომ იმის გულსაც ყოველთვის უღლიტინებდა წყურვილი სიყვარულის აჩენისა», გაშორდა თემურაზს, რომელსაც «ძარღვები სისხლის მაგიერად თითქოს გახეთქების ნავლეკებით ჰქონდა გატენილი» და რომლის «გულსა და ყურს მარგოს გულის ტირილი და სისხლის ჩქეფა არ სწვდებოდა».

არ არის გასაკვირველი, რომ მარგო მოშორდა ასეთ ქმარს, მაგრამ დაუჯერებელია, რომ მარგომ შეიყვარა ისეთი უმზგავსო არსება, როგორც ჯაყო. რა თქმა უნდა, შესაძლებელია სინამდვილეში რაღაც ამგვარი ამბავი მომხდარიყო სადმე. მაგრამ ზელოვნებას აქვს თავისი სიმართლე, თავისი ლოღიკა, რომელიც განსხვავდება ცხოვრების ლოღიკიდან, და ცხადია, ყოველი ნამდვილი შემთხვევა, რომელსაც ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა, არ იქნება ნამდვილი და მართალი მხატვრულად.

რამდენათ ლალატობს რომანისტი ამ მხატვრულ ლოღიკას, როდესაც ის აარჩევებს მარგოს თავის «რომანის გმირათ» ჯაყოს, ამის დასაწახვავთ საკმარისია ვაენოთ ჯერ ჯაყოს გარეგნობას.

«ჯაყო ჯივაშვილი», ამბობს ავტორი, «ქალაქში შემოვარდნილ დათვის ჰგავდა. დედა ბოძივით სქელი და განაჩხული ფეხები ძლივს ამაგრებდენ უშნოდ და ისე განივრად დადგმულ თქოებსა და მხარ-ბეკს, რომ ვიწრო ტროტუარი მარტო ჯაყოს ძლივს იტევდა. რამდენიმე ნაპრილობევით დასერილი თავი და პირისახე ისეთი შავის, ხშირის და აბურძენილის ჯაგრით ჰქონდა შემოსილი, თითქოს ჯაყოს ბეჭებზე კუპრში ამოვლებული უუზარმაზარი ზღარბი აცოცებულაო. შავი ჯაგრის ბუჩქნარი თვალებამდის სწვდებოდა და იმ ჯაგნარიდან მხოლოდ და წინწამოყრილ ცხენის კბილებსა და აულეტელ ცხვირს ამოყვო თავი. ერთი მტკავლის სიგრძე

ულვაშები გადმობრუნებულ ჯამბივით გამოყრილ ლოყებზე ახალ ცოცხებივით
ვეპარენ, ხოლო იმ ჯამებს დინჯად და მედიდურად ლამბაქების ყურები დას-
ცქეროდნენ».

როდესაც ჯაყო ლაპარაკობს, ის კი არ ლაპარაკობს, როგორც სხვები, არამედ
«უიზინებს», «წვიზინებს», «ყრყინებს», «ყრანტალებს». როდესაც დაიუიზინებს,
ფანჯრის შინებს წკარუნი გაქვთ.

ენახოთ ეხლა ჯაყო. როდესაც ის სუფრანზე:

«დამკლავებული ჯაყო სამის თითით მესამე მათლაფა შილაფლავს სრამახრუ-
მით ათავებდა, დანახანგალს დასცინოდა, ცხენის კბილებით გირვანქიან ძვლებს
ჩიტის ფრთასავით ახრამუნებდა, ბოთლს ბოთლზე ხლუპით სვამდა, თეიმურაზს
თეფშის ოდენა თათს უბარტყუნებდა და ისე ჰყვიროდა, თითქმის ლიანვის ერთ ნა-
პირიდან გაღმა ვინმეს ხმას აძლევდა...»

ჯაყო თავის მასპინძლებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მრავალს პატარა თევგადასა-
ვალს უამბობდა, უმინებოდა სუიზინებდა, სუფრას მესამეჯერ ასუფთავებდა და
მინც ვერ სძლებოდა. ხანგამოშვებით ბაასის ძაფს შესწყვეტდა, ქონიან თათს მარ-
გოს მუხლზე დაჰკრავდა, ან თეიმურაზს ზურგზე ჩაუბარტყუნებდა და ანუგეშებდა».

ჯაყომ როგორც იქნა სადილი გაათავა და წავიდა...

«ოყრაცი ნამოურავალი ხარხარით, რახრახით და უიზინით ძლიერ გაძვრა და
კინალამ კარებიც თან გაიტანა».

ენახოთ ეხლა ჯაყო ცეკვის დროს:

«გედვიით მისცურავს მარგო განიერ მოედანზე. იმის ფეხებს კვალდაკვალ
მისდევს მქუხარე ტაშის და სიმღერის მკვეთრი რიტმი...»

მიქირის მარგო და ვერც კი ხედავს თავის ჯაყოს, რომელიც გაგიჟებულ დათ-
ვივით დაჰბტის, მორგვის ხელებს მოშლილ ბორბლებივით იქნევს, კუნძის ფეხებით
მიწას სთხრის, განიერ თეძოებს ბურთებივით ახტუნავეებს, ზღარბის თავს გოგრასა-
ვით აგორავებს, ლოჯის კბილებს თეთრათ აულეებს და დროგამოშვებით ცხენივით
უიზინებს; «ტაში ჯაყოს! ტუში მარგოს! ტაში ჯაყოს! ტუში მარგოს!»

როდესაც ჯაყო მარგოს ოთახში შემოიპარება, ის «მომავალს ორანგუტანს
ჰგავდა». ენახოთ ეხლა ჯაყო არშოყობის დროს. ერთი გვერდით ჯაყოს მარგო ჰყავდა,
მეორე გვერდით თეიმურაზი. ჯაყო მარგოს საუკეთესო ნაჭრებს სთავაზობდა და არ-
შოყობდა:

«სწამა, შენი წირიმე, სწამა! ისე უნდა გასუქდებოდეს, როგორც სააღდგომო
ინდაფური, მამა!»

შემდეგ:

«ჯაყო უიზინებს და თანაც მუხლზე აყრილ ხარის თვალებით ხარბად სწამს
მარგოს გაღლილსა და მოყვითანო მარმარილოს მკერდს, სპილოს ძქლის მკლა-
ვებსა და კისერს, ამობურთულ ქუქუებსა და განიერ თეძოებს. შავ კაბაში გამოკ-
რულ ბარძაყებსა და ჯიშთან წვივებს».

ჯაყო ასეთნაირი კომპლიმენტებით უმასპინძლებდა მარგოს:

«პაი დედას! შენ რომ ჩემი ცოლი იქნებოდე? შენ რომ ჯაყოს ცოლი იქნებო-



დე? როგორ შეგინანავდებოდე? მაშ ყური დამიგდებოდე. ჯაყო სულ გაწმევედბო-
 დე ხინკალი, რქე და მაწონი... მაშ! ხინკალი გაწმევედ, ნამდვილი ხინკალი. კიდევ
 კარაქი და ნაღებიც, ღუშა და ერბოც... მაშ, მაშ! მწვადიც გექნებოდეს, კატლეტიც,
 ჩიხირთმაც, ბორშიც, კარგი ოსური ყველი, ხაბიზგინა და თეთრი რუსული პური.
 ჩიტის რქეც რომ მოგიინდებოდეს, ისიც გამოგიწვებოდე, მაშ, მაშ! საგურე ვიცის ჯაყომ»

მარგო ბეგრი ეცადა ჯაყო ადამიანს დაემზგავსებია, ოფლის სუნი მოეშორე-
 ბია მისთვის და ტანის ქონი ჩამოერეცხა; ცდილობდა მარგო გადაეჩვია ჯაყო ცხვი-
 რის თითებით მოსაცვას, ასწავლიდა ყურების გამოჩიჩქნას, კბილების გამოწმენდას,
 საცვლების გამოცვლას, სუფთად ჩაცმას, პირის გაპარცვას, მაგრამ დიდ ცელილებას
 მაინც ვერ მიაღწია,—რადგანაც:

«ბანჯგვლიანი დათვი პირგაპარსულ მაიმუნს დაემზგავსა».

ავტორს უნდა დაგვაჯეროს, რომ ეს პირგაპარსული მაიმუნი» შეიყვარა მარ-
 გომ, ლამაზმა და გრაციით სავსე ქალმა, რომელიც უკარავს შოპენის და შუმანის ნოკ-
 ტურნებს.

საქართველო რომ უდაბნოს წარმოადგენდეს, ან დაბურულ და გაუვლელ ტყეს,
 სადაც ნაწარდობენ და ხიდან ხეზე დახტიან ორანგუტანგები და ნადირობენ ლამაზ
 ქართულ ქალებზე, მაშინ ჩვენ შეგვეძლო დაგვეჯერებია ბ. ჯავახიშვილის მიერ მო-
 თხრობილი ამბავის სინამდვილე.

მაგრამ მიუხედავთ ბოლშევიკური რევოლუციისა, სადაც კოლექტიური ჯაყოა გა-
 ბატონებული, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ საქართველოში მდგომარეობა ისეთი უნუგეშო
 იყოს, რომ ისეთი ქალისათვის, როგორც მარგოა, რომელსაც ყუყველთვის უღიტი-
 ნებდა წყურვილი სიყვარულის აჩენისა», სხვა მომავალი არ არსებობდეს გარდა პირ-
 გაპარსულ ორანგუტანგის საყვარლათ ვახლომისა.

მაგრამ რას იზამთ, როდესაც ავტორს ასე სურს და მისი გმირები სხადიან არა
 იმას, რასაც უკარანახებს და უბრძანებს მათ ავტორი, რომლისთვის არ არსებობს ლო-
 ღიკა მხატვრული სიმართლისა.

არ არსებობს, სამწუხაროთ, ბ. ჯავახიშვილისათვის, არც მხატვრული ტაქტი,
 არც გრძნობა მხატვრული ზომიერებისა!


ჩვენ არადფერს ვიტყვიტ ვიზოლდურ პირებზე, როგორც მაგალითად ნახუკარი
 ივანე, რომელიც გამოდის «პატარა საქმეების» იდეოლოგათ და ბოლშევიკური რევი-
 მის შეგუების საქირიების და სარგებლობის მქადაგებლათ.

არც იმ დისკუსიაზე, რომელიც იმართება მის და თეიმურაზის შორის საქართ-
 ველოს ისტორიის ფილოსოფიაზე.

ჩვენ აღენიწნეთ უკვე, რომ რომანის გმირებს არ შეუძლიათ უფრო ჭკვიანური
 და ორიგინალური აზრების გამოთქმა, ვიდრე მათ შემქნელს. ამიტომ ნუ მოესტხოვთ
 ბ. ჯავახიშვილს იმაზე მეტს, რაც მას აქვს. La plus belle fille du monde ne peut
 donner plus qu' elle a—ამბობს ფრანგული ანდაზა.

დავიწყეთ პირდაპირ ჯაყოდან.

თუ თეიმურაზი და მარგო არ არიან ცოცხალი პირები, არამედ მანქანები,
 რომლებიც მოძრაობენ იმის მიხედვით, თუ საითკენ გასწევს ძაფს ავტორი, ჯაყო ცო-



ცხადი პირია, მთლიანი მხატვრული ტიპი, რომელიც შეეა არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ საერთაშორისო ლიტერატურულ ტიპთა ვალერეაში და დაიკავებს ადგილს იქ, სადაც არიან: გარპაგონი (მუნწი მოლიერის), ტარტიუფი (მოლიერის), დონკიხოტი; სანჩო პანჩო (სერვანტესის), სობაკვეიჩი, ჩიჩიკოვი (გოგოლის) ფამუსოვი, მოლჩალინი (გრიბოედოვის) და სხ.

არსად მთელი რომანის სივრცეზე ჯაყო არ დალატობს თავის თავს: არც ერთი მისი ექსტი, არც ერთი სიტყვა, არც ერთი მოქმედება არ ეწინააღმდეგება მის ხასიათს. არსად ჯაყოს დახასიათებაში, არც ერთ მის სიტყვაში, არც ერთ მის მოქცევაში არ არის სიყალბე.

ის დგას თქვენს წინ, როგორც გამოქანდაკებული და არც ერთი ხაზი ამ ქანდაკებისა არ არის ყალბი.

ჯაყო—ეს უმაღლესი მხატვრული მიღწევაა და ჩვენ გეიკვირს, როგორ მობნერხა ავტორმა, რომელსაც ხშირად დალატობს მხატვრული ტაქტი და მხატვრული წამიერების გრანობა, რომელმაც შექმნა ისეთი ყალბი, მკრთალი და უსიცოცხლო ტიპები, როგორც თეიმურაზი და მარგო, როგორ მობნერხა მან ისეთი მხატვრული ტიპის შექმნა, როგორც ჯაყო. ეს ალბათ საიდუმლოებას შეადგენს მისი მხატვრული შემოქმედებისა.

ჯაყო მეტია, ვიდრე მხატვრული ტიპი. ის სიმბოლოა, მხატვრული სიმბოლო ეპოქის. ის, ასე ვსთქვათ, მხატვრული კვინტესენციაა ბოლშევიზმის, იმის, რაც მუდმივი და უკვდავია ბოლშევიზმში, იმის, რაც შეადგენს მის მთავარ დამახასიათებელ თვისებას, მის ბუნებას.

განათავისუფლეთ ბოლშევიზმი მისი ფრაზეოლოგიიდან, რევოლუციონური რიტორიკიდან, ახადეთ მას ნიღაბი და თქვენ მიიღებთ... ჯაყოს.

წარმოიდგინეთ, რომ მომავალში, როდესაც ბოლშევიზმი გაპქრება და დაეიწყებას მიეცემა, არ დარჩა ისტორიკოსს არავითარი ისტორიული და ლიტერატურული მასალა ბოლშევიზმის გასაცნობათ და შესასწავლათ გარდა ჯაყაბიშვილის რომანისა, საკმარისია ერთი ჯაყო ბოლშევიზმის ნამდვილი ბუნების გასაცნობათ. ათეული ტომები თეორეტიული გამოკვლევებისა უკეთესათ ვერ გაგვაცნობენ ამ ბუნებას, ვიდრე ერთი ჯაყო ჯივაშვილის ტიპის ვაცნობა.

როგორც მეცნიერისათვის საკმარისია მხოლოდ ლომის ბრუყალბები, რომ აღადგინოს მთელი სხეულის სურათი (Ex ungue leonem), ისე მომავალი ისტორიკოსისათვის საკმარისი იქნება მხოლოდ ჯაყოს ვაცნობა, რომ გაიცნოს მთელი ეპოქა ბოლშევიკური ტირანიისა: მისი ბსიქოლოგია, წენეხეულება, მორალი, მისი კულტურა, ფილოსოფია, ხელოვნება და სხ.

როგორი ენტუზიაზმით და წმინდა ბოლშევიკური მეთოდით ანსარცივლებს იგი ლენინის ლოზუნგს: «გაცარცვე ნაცარცივი!» ის ცარცევას საბრალო თეიმურაზს, ცარცევას უმოწყალოთ მენობელ გლენებს და იმავე დროს გამოადის «საწყალი ხალხის» მოსარჩლეუთ და სადღერქელოს სვამს

«ჩენი მთავრობისა, რომელიცა რომა ყარაულია «რევალციისა» და ჩვენისთანა საწყალი ხალხისა...»

დაუგდეთ ყური ჯაყოს, როდესაც ის ილაშქრებს ეკლესიის წინააღმდეგ:

«აღარ გვინდა ეკლესია! კჩორტუ ეკლესია!... ეკლესია დაიწველი, მორჩი და გათავდი!»... ან როდესაც ის აუქმებს ყოველგვარ კანონებს:

«შენა, გაიღვიძებდე! გაიგებდე, რომა «ზაკონის» დრო აღარ არის! წინათ თქვენ სწერდებოდეთ «ზაკონებსა». ესლა კი მორჩებოდით და ჩაძალდებოდით. ესლა მე გწერ კანონებსა შენა! ჯაყო გწერს კანონსა, ჯაყო! მაშ, მაშა!»

ვინ ამბობს ამას? ჯაყო ჯივიაშვილი, თუ სოსო ჯუღაშვილი პარტკონფერენციანზე ან «პრავდის» ფურცლებზე!

არსებითად ორივე ერთი და იმავეს ამბობს, მხოლოდ ცოტა განსხვავებული სტილით!

როდესაც თეიმურაზი მოკრძალებით მიუთითებს ჯაყოს თავის უფლებებზე და სურს მარგო წაიყვანოს, ჯაყო გააგდებს მას სახლიდან და უყვირის:

«აპრუწუწუნი! პრასა დანიახური! მაშა გიცხონდა, ყურებზე ხახვი არ დამაპრებოდე! ფეხებზე გკიდია ჯაყოს შენი წყევლა, მაშ, მაშა! ხომ გაგისტუმრებდეს ჯაყო! თუ ბევრი ილაპარაკებდე, კარგებსაც მოგცებოდე! მაშ, მაშა! აგრე ვიცის ჯაყოშა!»

ესლა დაუგდეთ ყური სტალინ-ჯუღაშვილს, როდესაც ის ისტუმრებს თავის მორიგ მალწინააღმდეგეს ციმბირში, ან ასახლებს რუსეთის ტერიტორიიდან. მაგალითად ტროცკის. ჯუღაშვილი ჯივიაშვილის ტონით ლაპარაკობს და ჩვენ დარწმუნებული ვართ, როდესაც მან გაისტუმრა ტროცკი ევროპაში, თუმცა ხმაშაღლა არ უთქვამს, მაგრამ ჩაილაპარაკებდა მაინც: «მაშ, მაშა! აგრე ვიცის სოსოშა!»

სტალინ-ჯუღაშვილი — იგივე ჯაყოა. მხოლოდ ჯაყო, რომელმაც «უსუნა» ცოტა, ასე ვსთქვათ, ცივილიზაციას და დაიხეპირა რამოდენიმე მარქსისტული ფორმულა, შესწორებული და «გაღრმავებული» ილიჩის მიერ.

მოუსმინეთ აბა სტალინს, რომელიც ლაპარაკობს კომინტერნის სხდომაზე ან კომპარტიის ცეკის კრებაზე. ეს ჯაყოა, რომელსაც დაუბანია, დაუფარცხნია, ჩაუცვამს, საზოგადოებაში გამოსულა, ლენინის ნაწერები გაუხეპირებია და პოლიტიბუროს მდივანი გამხდარა!

მოუსმინეთ ლუნაჩარსკის. ისეც ჯაყოა. მხოლოდ ჯაყო გაშალაშინებული, პარჩინის ბულვარების თეატრებში და კაფეშანტანებში ნამყოფი, ცოტა გალაქული და «ესტეტი», ასე ვსთქვათ.

Grattez le Russe et vous y trouverez un tartare (გაფხიკეთ ცოტა რუსი და იპოვით თათარს) ამბობდა ნაპოლეონი. შეფხიკეთ ცოტა სტალინი, ლუნაჩარსკი, ტროცკი, ზინოვიევი, და სხ. მოაშორეთ გარეგნული ლაქი, მოაშორეთ მათ სიტყვებს რევოლუციონური რიტორიკა და ცრუ-მარქსისტული ფრაზეოლოგია და თქვენ მიიღებთ ჯაყოს მის უკვდავი ფორმულით: «ასე ვიცის ჯაყოშა».

შეიყვანეთ ესლა ჯაყო პატივცემულ მანდილოსან კოლონტიას ბუღუარში, მიეცით მას საშვალემა გაეცნოს კოლონტიას თეორიებს სქესობრივ საკითხზე. ქალბატონი კოლონტია მას დაფარცხნის, ჭუჭყს მოაცილებს, დაბანს, სურნელებს აპყურებს, თავის თეორიებს გააცნობს და თქვენ ნახავთ, რა უცბათ მონახავენ ისინი საერ-

თო ენას. მადამ კოლონტაი, მომიტყევეთ, მაგრამ ისეც ჯაყოა, ჯაყო, რომელსაც შარკლის მაგიერ კაბა აცვია, რომელმაც ისწავლა სქესობრივი აღვირახსნილობის თეორიული, «მარქსისტული» დასაბუთება.

ბ. ჯავახიშვილმა სწორათ გაიგო და დაინახა რევოლუციონური და ცრუ-მარქსისტული რიტორიკის ტანსაცმელის ქვეშ ბოლშევიზმის ნამდვილი ბუნება; მან გახადა მას ეს ტანსაცმელი, ახადა ნიღბი და დაგვანახა ბოლშევიზმის ნამდვილი სახე.

ჯაყოსათვის არ არსებობს ისტორია. ისტორიას ის თვითონ იწყებს. არ არსებობენ მისთვის წინაპრები. ის თვითონ წინაპარია. არ არის არაფერი, რაც მას ბორკავს. ძირს ტრადიცია, ძირს შეცნიერება, ძირს უგმმარიტება, ძირს თვით ფაქტი, თუ ის ჯაყოსთვის სასარგებლო არ არის («ჩორტუ გალილი»), ძირს გრძობა და აზრი («ჩორტუ ფიქრები»), ძირს ოჯახი, ძირს ზნეობა და კანონი («ჩორტუ ზაკონი; ზაკონს ეხლა თვით ჯაყო გყვრს»)

«ასე ვიცის ჯაყობა» — აი ჯაყოს ვითური ფორმულა, უნდა იქნეს არა ისე, როგორც ამას მოითხოვს კანონი, შორალი, ტრადიცია, ხალხის ინტერესები, არამედ ისე, როგორც სურს ჯაყოს, ან მის მარჯვენა ფეხს. კანონი — მისი სურვილია.

ყველაფრის ფეხქვეშ გათელვა, განადგურება, გამასხარაგება, გაშიშვლება და მხოლოდ პრიმიტიულ ცხოვრების ინსტიტუტების დაკანონება. «მაშ, მაშა! ეგრე ვიცის ჯაყობა!» ყველაფრის ყირამალათ გადატრიალება, ყველაფრის მოსპობა, დანგრევა, და ნანგრევებზე წამოსკუება პირველყოფილ შიშველ ადამიანის, რომელსაც არავითარი აღვირი არ აკავებს. «მაშ, მაშა! ეგრე ვიცის ჯაყობა!» — აი ის, რაც არის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება ბოლშევიზმის, მისი ნამდვილი ბუნება.

ბ. ჯავახიშვილმა ჩამოიყვანა ბოლშევიზმი რევოლუციონური პიედესტალიდან, მოაქცია მას სქოლასტიური ფრანკოლოგია, ჩამოხადა მას რევოლუციონური მანტია, ახადა წითელი ნიღბი. ჩამორტყხა მას წითელი საღებავი და უმარული და გაშიშვლებული დააყენა სამარტხვინო ბოძთან და ყველა გამვლელს დაანახვა მისი ნამდვილი სახე.

ამაშია დიდი დამსახურება რომანისტის.

ძნელია ერთ წერიალში ამოწურვა მთელი ლიტერატურულ - საზოგადოებრივი მნიშვნელობის ასეთი ლიტერატურული ტიპის, როგორც ჯაყოა. ამიტომ ჩვენ ვიტოვებთ უფლებას ახლო მომავალში მას უძღვნათ ცალკე წერილი:

როგორია რომანის მხატვრული მნიშვნელობა? სამწუხაროთ. მას აკლია მხატვრული მთლიანობა და ისეთ ადგილებთან, რომლებიც არ არის მოკლებული მხატვრულ სილამაზეს, თქვენ შეხედებით შაბლონურ და მონოტონურ პრახას. მაგალითად ის ადგილი რომანის, სადაც ავტორი აგვიწერს პორნოგრაფიულ სცენას ურემზე, სადაც წევს მარგო და სადაც ჯაყო აცოცდება, არ მახსოვს კარგათ, ოხთჟრ თუ ზუთ-ჯერ... შედეგია მხატვრული უტაქტობის და დაწერილია ისეთი კილოთი, როგორც თაც იწერება საპოლიციო ოქმი.

თუ ეს აღწერა ნაყოფია მხატვრული შემოქმედების, მაშინ ჩვენ არ ვიცით, რატომ რომელიმე პოლიციელის ოქმი ანალოგიურ სიუჟეტზე. არ არის მხატვრული, პოეტური ნაწარმოები, ან რატომ ის პორნოგრაფიული «ლიტერატურა», რომელიც



იწერება განსაკუთრებული «კლიენტურისათვის» მისი სქესობრივი გრძნობების გასაღიზიანებლათ, უნდა რჩებოდეს მხატვრული ლიტერატურის გარეშე.

შეიძლება ბ. ჯავახიშვილი ფიქრობს, რომ ეს ნატურალიზმია, მაგრამ მაშინ, რომანის გმირებს უნდა გავყვეთ ფეხსადგილამდის...

არა ფიზიოლოგიურ აქტების აღწერა, არამედ ფსიქოლოგიური განცდების— აი რა არის სავენი მხატვრული ლიტერატურის.

სამწუხაროა, რომ ბ. ჯავახიშვილს ეს, როგორც სჩანს, შეგნებული არ აქვს კარგათ.

ასეთი დაბალი ხარისხის პროზასთან თქვენ შეხედებით რომანში მხატვრულად გიღილებსაც და ბუნების მხატვრულ აღწერას. აი მაგალითად, როგორის ხელოვნებით და რეალისტურ ტონებში ავიწივრს ავტორი ქართულ სოფლის ჩვეულებრივ პეიზაჟს:

«უკვე შუა ზაფხულმა მოაღწია. სულ-შეგუბებულ სოფელში ბული იდგა. დამწიფებულ და სიცხით დამსკდარ მინდვრებს აღმური ასდიოდათ. ძნით დატვირთული დასიკნულ ლიღინით კლიღინებდნენ და ზანტათ შესახებდნენ საქონელს ზოგჯერ და შოლტსა და სახრეს მოუქნევდნენ. ზოგნი კალს სთოხნიდნენ, ზოგნი უკვე ლეჭავდნენ. გოგოები და დედაკაცები კევრებზე ისხდნენ და იდგნენ, და დილით-სალამომდის კნაქა ცხენებსა და ხარებს წისქვილის ქვასავით ატრიალებდნენ. ქათამი ხობალს ეტანებოდა. ენა-გადმოგდებული ძაღლი ჩრდილში მიწოლილიყო და ჰქაქანებდა. ტალახ-შემხმარი ღორი კიტრის და სახამთროს ნაფცქვენებს ახრამუნებდა და კვლავ ტლაპოს ეძებდა, დუბელა რუში ბატები და იხვები ყიყინებდნენ და ტიტველი ბავშვები ჰყუპალობდნენ. მინდვრებში ზოგან ჩალას სწვავდნენ, ზოგან ხნავდნენ და ორფელას იძახდნენ. პალებში ქედანი ლულუნებდა. მეწველ საქონელს ლიახვის ნაპირებისათვის შეეღარებინა თავი და ფშატებისა და ვერხვების ჩრდილში ჩაწოლილიყო. საღამოობით, როცა ოდნავ ნიაგი დაუბერავდა, განიავებული ნალეწი აქა-იქ შადრევანივით სცემდა. ღამეს ნახევარი სოფელი კალოზე ატარებდა, ხოლო მოზრდილი მამაკაცები კვლავ ძნას ეზიდებოდნენ, ურმის პრიალით და თავიანთ შეძახილით სოფელს აღვიძებდნენ და მალაღის ხმით ურმულს ამბობდნენ. პეტრეს შვილი ნინიკა შულამეს წკრიალა ხმით სოფლის ბოლოში რომ დასძახებდა, სოფლის თავიც იღვიძებდა და, გარინდული, ყურს უგდებდა მეურმისა და კამეჩის ბაასს».

წერილი გაგვიჩრქელდა და ჩვენ არ გვაქვს, სამწუხროთ, ადგილი უფრო ვრცლათ შევჩერდეთ რომანის მხატვრულ მნიშვნელობაზე. ეს ცალკე წერილს მოითხოვს.



ქველი ქართული მწერლობა

(განმეორებისათვის)

ძველი ქართული მწერლობა—ქართველი ერის კულტურული საუნჯე ნაწილობრივ იავერქმნილი და დაკარგულია მრისხანე და ბედითი ისტორიის შიშვე ხვედრთა გზახე; ნაწილი, სამწუხაროდ, უპატრონოდ-გაპატრახებულია და უცდის მკვლევარს; ნაწილი თითოთოროლა მოყვარულთა მიერ მზრუნველი ხელით გამოქვეყნებულია; ნაწილი კიდევ უცდის მზის სინათლეს. ბევრი, ბევრია გასაკეთებელი კვლევადიების ამ დარგში; ჯერ კიდევ მხოლოდ დასაწყისია, და იმედი გვქონდეს ჩვენი მომავალი საქართველოს წარსულიდან კიდევ ბევრ საკვირველ ლიტერატურულ თხზულებებს დავეიბრუნებს.

ქართველი ერის კულტურის ისტორიაში ქართულ მწერლობას მეტად ღირსშესაძინევი ადგილი უკავია. ქართველი ერის გაქრისტიანებას თან მოჰყვა ქართული კულტურის აყვავება და მწერლობის გაფურჩქვნა. ამიტომ ბუნებრივია, რომ სახარება ადრევე უნდა ყოფილიყო თარგმნილი. მატეანეს სიტყვით, უკვე მეხუთე საუკუნეში გადასთარგმნეს სახარება ქართულად. მაგრამ ამ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია და ქართველ ერს ხელთა აქვს ის უძველესი სახარება, რომელიც გადათარგმნილია 897 წ.

დანამდვილებით ჯერ კიდევ არ შეიძლება იმის თქმა, თუ რომელი ნაწარმოები უნდა ჩაითვალოს ქართული მწერლობის პირველ ძეგლად. მაგრამ უკვე აღმოჩენილ ხელნაწერთა შორის პირველ ნაწარმოებად ჯერჯერობით აღიარებულია იაკობ ხუცესის თხზულება: «წამება წმინდისა შუშანიკისი»,—დაწერილი მეხუთე საუკუნეში.

შემდეგი უძველესი ძეგლია ფსალმუნი.—დაწერილი მეხუთე საუკუნეში. ქართული ენა, რომლითაც დაწერილია პირველი ძეგლი, გვიჩვენებს, რომ გაცილებით ადრე, ქართულ ენაზე მწერლობა განვითარებული უნდა ყოფილიყო. რასაკვირველია, ქართული მწერლობა პირველადვე ეკლესიურია; მწერლებიც საეკლესიო პირები არიან და მეხუთე საუკუნედან დაწყებული საეკლესიო სიტყვა თითქმის გაბატონებულად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მაინც მწერლობის ეს დარგი განმარტობული არ არის; ჯერ მას სუსტად მისდევს საერო მწერლობა და მეთექვსმეტე საუკუნედან კი იგი საკუთარი გზით მიემართება. ქართული მწერლობის განვითარებაში განსაკუთრებულ დიად როლს თამაშობდნენ ის კულტურული ეკლესიური კერანი—მონასტრები, რომელნიც ქართველებს უცხოეთში ჰქონდათ: იერუსალიმის, სინას (ეხლაც არის იქ ასამდე ხელნაწერი), ათონის. შავი მთის (ანტიოქიის ახლოს) და სხ. სამონასტრო მოღვაწეობის გავლენა ქართული მწერლობის განვითარებაზე პირდაპირ დაუფასებელია.

ი ა გ ლ ბ ე უ ნ ე ს ი

როგორც უკვე აღვნიშნე, დღემდე გამოჩვეული პირველი ქართული სამწერლობო ძეგლი იაკობ ხუცესს ეკუთვნის. პროფ. კეკელიძის გამოკვლევით, იაკობ ხუცესის თხუთმეულობა: «ცხოვრება წმინდისა შუშანიკისი» დაწერილია 474 წელს (484 წ.)- თხუთმეულობისავე სათაური გვეუბნება, რომ იქ აღწერილია წმ. შუშანიკის ცხოვრება, მაგრამ ეს არ არის უბრალოდ აღწერა, არამედ იგი გვაძლევს მდიდარ მასალას იმ დროისა, მაშინდელი ყოფაცხოვრების, პოლიტიკის, ზნეჩვეულების და რელიგიის შესახებ. ამ მხრივ, როგორც ეს აღწერა, ისე სხვა ამდაგვარივე, ძვირფასი მასალა ქართველი ერის წარსულის გამოსაკვლევად. რომ მკითხველმა წარმოდგენა იქონიოს იმ ენის შესახებ, რომლითაც წმ. შუშანიკის ცხოვრება დაწერილი, ამიტომ მომაქვს აქ ნაწყვეტი ამ ნაწარმოებიდან:

«ვითარცა ესმა ესე ნეტარსა შუშანიკს, დავარდა იგი ქვეყანასა ზედა და თავსა დამართ სცემდა და ცრემლითა მწართა იტყოდა: «საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა არტომანი და შეერთო იგი უღმერთოთა».

და აღდგა და დაუტყუა ტაძარი თვისი და ღმრთისმოშიშებით ეკლესიად შევიდა...

და ვითარცა მწუხრისა ქამი აღასრულეს, სახლავი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნშინა სიმწართა საესე და მიეყრდნა ყურესა და მწართა ცრემლითა ტირიდა.

და ხელისა დღე, ვითარ აღდგა პიტიაშხი, გვიწოდა ჩვენ ხუცესთა და მივედით; და სინარულით შეგვიმთხვინა და გვრქვა ჩვენ: «აწ ნურას მერიდებით მე და ნუცადა გძაკ!» და ჩვენ მიუგეთ და ვარქეთ: «წარწყმდე თავი შენი და ჩვენცა წარგვეწყმიდენ!»

მაშინდა იწყო სიტყვად და თქვა: «რასა ხელიწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ერისთავისა საქმედ! აწ მივედით და არქვთ, ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამხე და საეგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხვად წარსულ ხარ!»

ხოლო წმინდამან შუშანიკ თქვა: «ართუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხე, ხოლო მამამან შენმან აღმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენნა და შენ მამისა შენისა საქმენი განპრყენენ და სხვად ვადაქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმიდანი შემოიხენა სახიდ თვისა, ხოლო შენ დვენი შემოიხვენ. მან ღმერთი ცათა და ქვეყანისა აღიარა და პრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ ჰყავ და ცეცხლსა თყვანის ეც, და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ ჰყავ, ვარცა მე შენ შეურაცხ გყავ, და თუ მრავალი ტანჯვა მოაწიო ჩემზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა!»



მეხუთე საუკუნედან მერვე საუკუნემდე ალბად არა ერთი და ორი მწერალი ეყოლებოდა ქართველ ერს, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ ლიხსშესანიშნავი არაფერი აღმოუჩენიათ. შეუძლებელი არის, რომ ამ ხნის განმავლობაში მწერლობა შეჩერებულიყო და ქრისტიანული პროპაგანდა მოსპობილიყო. მერვე საუკუნეში ჩვენ ვხვდებით იოანე საბანიძეს. ვინ იყო იგი, ისტორია არაფერს გვეუბნება. მას ეკუთვნის თხუთხუთეობა: «საკითხავნი წმიდისა ჰაბოისნი». აქ აღწერილია ერთი არაბის ჰაბოს გაქრისტიანება და არაბთა მიერ მისი ტანჯვა და ბოლოს დაწვა. ეს «საკითხავნი» იძლევიან ძვირფას მასალას საქრთველს პოლიტიკისა და კულტურის ისტორიიდან, და რაც უფრო საინტერესოა, ეს არის პირველი ნაწარმოები, რომელშიც ერთგულ-პოლიტიკური აზრებია გატარებული. იოანე საბანიძე მოგვითხრობს, რომ საქართველოში გაბატონებულმა არაბებმა:

იხედა მდგომელთა ამათ ჩვენთა, მფლობელთა ამის ქამისათა ზაკულებითა მოძღვრებისა მრავალნი შეატუნენს და გარდადრიცნეს ზნისაგან სიმართლისა, გარდაგლარქნეს—რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუებით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით, რომელნიმე მზაკვარებით და სხვანი, რომელ ესე ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქვეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი ძვირ-ძვირად ზღვეულნი შიშითა განილევნიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართავან ძლიერთა.

ესე ვითარსა ქამსა შინა გამოჩნდა ახოვნად წმიდა ესე მოწამე. უცხო უცხოთა შუგულითა მოვიდა და ქრისტესსა ღმერთსა ჩვენსა შეემეცნა... ქრისტიანეთა სარწმუნოება დიდ მოძღვრება არს! ამით მადლითა თაყვანის გცემენ შენ მართალნი, გაკურთხევენ შენ წმიდანი, აღგიარებენ შენ მარტვილნი, რომელმან ივენ ჩვენთვის, ქრისტე ღმერთო... რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოება ესე ღვთისა მიერი მოიპოვეს, არამედ ჩვენცა შორიელთა ამათ მკვიდრთა, ვითარცა წამებს უფალი და იტყვის: «მოვიდოდნიან აღმოსავალით და დასავალით და იხანიდგმიდენ წიაღთა აბრაამისთა, ისაკისთა და იაკობისთა»—აჰა ესე რა ქართლისაცა მკვიდრთა აქეს სარწმუნოება და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თვით აქა მკვიდრთა და რომელთამე უცხოთა სხვით მოსრულთა ჩვენ შორის ქამად-ქამად მოწამედ გამოჩინებთა ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩვენისა, რომლისა არს დიდება უკუნი უკუნისამდე ამენ.»

როგორი ძვირფასი ვნით არის დახასიათებული მაშინდელი პოლიტიკური ვითარება და როგორი გამოკვეთილი, გამოქანდაკებული სიტყვით არის აღწერილი ეს შიმში ამბავი!

გიორგი მკრჩვლი

მან დასწერა 951 წელში ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა. ეს უკანასკნელი იყო მწიგნობარი და ტაოკლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების ამყვანებელი. ეს თხზულება

აღმოაჩინა და გამოსცა ნიკო მარმა. ამ თხზულებაში, რასაკვირველია, რომელიც სასულიერო ხასიათის არის, პირველად ხედება მკითხველი სიყვარულის ამბავს. აქ სხვათა შორის აღწერილია: «ზენონ სამცხელი და დისა მისისა მიჯნურობა» (თავი გ), «ამბავი აშოტ კურაპალატისა და დედაკაცისა მეძავისა» (თავი დ).

ამგვარად, უკვე მეთუ საუკუნეში სასულიერო თხზულებებში შექრილია საერო მოტივიც, თუმცა იგი სასულიეროს ემორჩილება, ამ თხზულებაში შესანიშნავად მხატვრულად არის აღწერილი «სახე კლარჯეთისა უდამბოთა» (თავი ბ) და მკითხველისათვის გასაცნობად მოგვაქვს იგი აქ:

«ბუნებით ერთგვამ არს ქვეყანა უდამბოთა მათ. კეთილად შეზავებულ მშისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიცხე შესწავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურევებს მყოფთა მისთა, არამედ განწესებით დგას თვისსა საზღვარსა: უნთტიო. უხორშაკო, მზუარე, რამეთუ კაცთა ნახუნი ფერხთანა არაოდეს თიხიან ექმნებიან სლვასა მათსა.

ხოლო წყალი კეთილი და შემა ნებისაებრ უნაკლულად აქვს, აღმოცენებული ქვიშათა მათ შინა. ურიცხვი მაღარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთა. ბუნებით მზიარულება მიცემულ არს ღმრთისაგან, და არს იგი უგზო და მიუვალ რაით-ურთით სოფლისა წესითა მცხოვრებელთაგან, რამეთუ ღადოთა მათთა შინა მაღალთა არს მკვიდრობა მათი და შორტყმულ არს ერთ კერძო მთა იგი და ერთ კერძო შვეშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლევა გარემოადგს ზღუდის სახედ უძრავისა. და ესრეთ ყოვლითა კერძო შეზღუდვილ არიან მათთა მიერ და ხევენებისა და წყალთა მათგან საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთასა. ხოლო სათესავი ყანა—და სათიბელი ქვეყანა რაით-ურთით არა არს, არცა იქმნების ღირლოლოვანთა მათ ფიცხელთა შვევრვალთა მათ ღადოთასა. არამედ დიდითა შრომითა როქიკისა მისვლა აქვს კარაულისა ზურგიითა და მცირედ ვენახნი ჰირით და ურვით დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები. ხოლო მხალთა ველისათა არს სიმრავლე ურიცხვი—და ამას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი ურწმუნოთაგან შერყევისაგან და ყოვლისა ძრვისა ეამსა ხელმწიფეთა მტერობისასა და ესრეთ მრავლითა მშეიდობითა მყუდროებით არიან.»

ი ა ნ ე — ზ ო ს ი მ ე

როგორც უკვე აღვნიშნე: ქართველები მოღვაწეობდნენ არა მარტო საქართველოს მონასტრებში, არამედ უცხოეთშიც, სადაც კულტურული მუშაობა შეუწყვეტილი იყო, განსაკუთრებით მთარგმნელობა. იოანე—ზოსიმე იყო ერთი მათგანი. იგი იყო მთარგმნელი და არქეოლოგი. მის საკუთარ, ორიგინალ ნაწარმოებთა შორის ცნობილია «ქება ქართულის ენისა». იგი ამბობს, რომ ქრისტე ყველას ქართულ ენაზე გაასამართლებსო. მასვე ეკუთვნის აკროსტიხი «გეორგი», რომელშიც ნიკო მარის აზრით საერო პოეზიის ჩანახაზია. ეს ლექსია იამბიკო, ბერძნული ლექსთა წყობა, რომელიც რითმას არ მოითხოვდა:



ი ა მ ბ ი კ ო

ავტოგრაფიანი კოლექცია

ბუნდნი იგი ზეცისანი შენ, წმიდასა, განწყობითნი გიგალობენ. მე უღირსი
შეგვირდები,
რათა ვიყო მათთანვე შენგან უძამ.

ესე შესხმა სულიერი, შენ მიერვე მოცემული კაცთა მიერ მოღვაწეთა,
ფრიად სიბრძნით
გამოთქმით შეიწირე ჩემ მიერცა კაცთმოყვარმ.

მრთა მიერ ბრწყინვალეთა, ღმრთისა კაცთა სასურველთა, სიღრმითა მით
გულისათა
სათნოდ ღმრთისა შეკრებული, ვითარცა რა მარგალიტი ურიცხვისა
სასყიდლისა ჩვენ მოგვეცა, მორწმუნენო,
რათა ჩვენცა ვიხარებდეთ შეწინააღმდეგებელნი ხმათა მათთა
სიმრავლითა,
გალობითა ბრწყინვალითა, შესხმითა მით წმიდათათა,
რომლითაცა იდიდები შენ, სახიერ.

განვიმრავლე, ქველის მოქმედ. განძი ესე სულიერი, მოცემული შენ მიერი!
ძალსა მისსა მევენ მიმწოდამელ. რათა არა იყოს ჩვენდა აუბ.

იხარებდით მოძღვრებითა სულიერად შესხმისათა, პე კრებულთა მსწავლულთათა!
უფროდეთ რა სიტყვათა მათ გალობითა ხმებანთა,
რომელთაგან იდიდების კაცთმოყვარე ღმერთი ჩვენი.

ი ო ა ნ ე მ ი ნ ჩ ხ ი

იოანე მინჩხი არის ერთი იმ პირველთაგანი, რომელმაც ქართულ მწერლობაში პიმენტა წერა დაიწყო და განავითარა. მე აქ მომაქვს მხოლოდ ნაწყვეტი: «შესხმა მეფის თვედოსი»:

«ქრისტეს მოყვარეო, თვედოსი!
ვერ შემძლებელ ვართ ჩვენ
შემზავსებით ქებასა
სათნოვებათა შენთასა,
არამედ მადლი შენი შემეწიენ
მგალობელთა და ვადილოთ
ხსენება შენი!..»

გვირგვინი სამეფო
საღმრთოთაგან ყველითა,
რომელი შეგითხზა
სიმდაბლემან შენმან,
ვერ დააქნო იგი
ამაღლებამან ხორციელბრმან,
რამეთუ უფროსათ მოიპოე
სრული სიმდაბლე,
ღირსო, თვედოსი!..»



ი ჲ ა ნ ე მ ტ ბ ე ვ ა ნ ი

იგი სცხოვრობდა მეათე საუკუნეში და იყო ტბეთის ეპისკოპოსი, მეტათ განსწავლული ადამიანი. მას ეკუთვნიან ქრისტეს შობისა საგალობელნი, და იამბიკონი; უკანასკნელის ნაწყვეტს აქვე ვათავსებთ:

იხარებდით ცანი ქვეყანისათა თანა,
რამეთუ დამბადებელი იხილვა დღეს
ქებასა შინა შეხვეული სახვევლითა,
რათა შეცოდებათა ჩვენთა საკრველნი
განხსნეს წყალობით და წარმოძღვეს ჩვენ ზეცად.

მზიარულ იყავ ქვეყანაო, რამეთუ
ცამან ანგელოზნი წარმოადგინა დღეს
ხარებად შენდა მშვიდობა, მოსრული მალლით,
და დიდება ზეცისათა კაცთა შორის,
აღმოუხერად წყევა და დანერგვად კურთხევა.

მ ი ქ ე ლ მ ი დ რ ე კ ი ლ ი

მკვლევართა აზრით, ერთი უდიდესი საეკლესიო მოსანთავანი (სცხოვრობდა მეათე საუკუნის გასულს), რომელსაც დაუტოვებია ჩვენთვის არა თუ მარტო თავისი შესანიშნავი საგალობელნი, გადაღებულნი ნოტებზე, რომელნიც ცნობილი იყო საბერძნეთში, არამედ მთელი დიდი კრებული სხვა ავტორების, როგორც ორიგინალი, ისე ნათარგმნი ხოტბანი. ეს კრებული მას შეუდგენია 978-988 წლებში. მე აქ ვათავსებ მის ნაწარმოებთა ნაწყვეტს: აღდგომის საგალობელი—იამბიკონი.

ა ღ დ გ ო მ ი ს სა გ ა ლ ო ბ ე ლ ი — ი ა მ ბ ი კ ო ნ ი

მხოლოდ შობილო ქრისტე, ღმრთისა სიტყვაო!
რაჟამს ხორციოთა აღმალდი ჯვარსა ზედა,
უბიწოთა მით სისხლითა მოიყიდე
და დაიწინდე ეკლესია წარმართთა,
ვითარცა სძალი უკვდავმან მუუფემან.
მხოლოდ შობილო ქრისტე, ღმრთისა სიტყვაო!
რაჟამს დაიდევ ნეფსით თვისით საფლავსა,
საფლავით მკვდარნი აღადგინენ ხელმწიფედ,
რამეთუ მიხვედ სულთა საპყრობილესა
და შეწყდომილნი მას შინა გამოიხსნენ.



ს ტ ვ დ ა ნ ე ჯ ყ ო ნ დ ი დ ე ლ ი

იგი მოღვაწეობდა მეთვე საუკუნის მეორე ნახევარში; იყო გამოჩენილი მთარგმნელი და მგოსანი. მისი ლექსი «შესხმა სტეფანე პირველ მოწამისა», რომლის ნაწყვეტს აქ ვათავსებ, არის უკვე გამართული და გართიმული:

ტალავარნი ზეცისანი
განგებენეს შენ ზესქნელისანი,
სტეფანე, და იხილენ საყდარნი
და ერნი ნათლისანი,
ზეშთა კრებულისანი.
მაჭებელნი მამისანი,
ძისა და სულისა წმიდისანი.

ეჰა სრული სათნობითა,
საესე იგი სასობითა—
სანატრელი სტეფანე სარწმუნოებითა,
მამისა აღსარებითა,
ძისა დიდებითა,
სულისა წმიდისა მადლითა,
სამებისა ქადაგებითა...

ფ ი ლ ი ბ ე — მ ე თ ლ ე მ ი

როგორც მკითხველი დაინახავს, ეს ლექსი, რომელიც ეკუთვნის უცნობ ავტორს ფილიბეს (ან შეიძლება სხვას ეკუთვნოდეს), გარდა იმისა, რომ გართიმულია, აქ პირველად გვხვდება სასულიერო პოეზიაში შოთა რუსთაველისებური თექვსმეტმარცვლოვანი სილაბურ-ტონური საზომი ლექსისა:

შესეთა მათგან ოქროვანთა შემკული სარ შენ, ქალწულო,
იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქვს, ღმრთის-მშობელო,
ლამპრითა მით ბრწყინვალითა მიგეგებეთ, დედოფალო,
ითხოვე შენ მოტევება ბრალთა ჩვენთა, დიდებულთა,
პატოსან და წმიდა არს სახლი შენი, სანატრელო,
ეკლესია ბეთლემისა ცათა მზგავს არს, უბიწოლო.
ბუნებათა შემოქმედი ვიცანთ შენგან ჰე, ბეთლემო,
ემზგავსე შენ სამყაროთა ზეცისათა ჰე, წმიდაო,
თაყვანის ვცემთ ქებასა მაგას დიდებულსა ჰე, უბრწუნელო,—
ლოცვა ჩვენი შეიწირე ბაგასა მას მწოლარეო.
ეც მოსავთა შენთა პოვნა წყალობისა სახიერო.
მადლი შენი მთარეულ მეყავენ მე უღირსსა. მოწყალეო,
ისმინე დღეს თხოვა ჩემი ცოდვილისა, მწყალობელო!



მ ფ თ ვ ი მ ე ღ ქ რ ლ ა ი ბ ი რ

ათონის მონასტერი განსაკუთრებულ დიდ როლს თამაშობდა ქართული მწერლობის განვითარებაში. იქ ითარგმნებოდა მრავალი წიგნი ქართულად და იქედან ვფინებოდა მწერლობის შუქი მთელ საქართველოს. ერთი დიდი მოღვაწეთაგანი იყო ეფთვიმე, ზედმეტ სახელად ოქროპირი. რომელმაც პროფ. ხახანაშვილის სიტყვით «მორწყა თავის ნაშრომით მთელი საქართველო». და მართლაც ამ დაუღალავ პირთაგანებს უთარგმნია ქართულად ორმოცდათორმეტი (52) წიგნი, რასაკვირველია, ქრისტიანულ-რელიგიურ შინაარსისა.

გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი ნ დ ე ღ ლ ი
(1069—1065 წწ.)

იგი იყო მეტად განათლებული პირთაგანები, დიდი მოღვაწე და მეცნიერი მთარგმნელი. ბერძნულით სთარგმნა მან უკერ კიდევ გადმოუთარგმნელი წიგნები (17 წიგნი) და შეასწორა აქამდე გადათარგმნილები. მანვე ასწერა იოანე და ეფთვიმე მთაწმინდელის ცხოვრება. მანვე შეიტანა წესრიგი ქართულ ეკლესიაში და დაიცვა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. გიორგი მთაწმინდელი მგოსანიც იყო. პროფ. კალინოვსკის თქმით, მისი ერთი ლექსი ბერძნულადაა დაწერილი. იგი სთარგმნა რუსულად პოეტ კოზლოვმა და აქედან ქართულად გაანდგვილმა. ეს ლექსია: «მწუხრის ზარი»:

მწუხრისა ზარი, მწუხრისა ზარი!
რაოდენ ზრახვით აღმშვერილი არი!
იგი მაგონებს სიუბუქის დღეს,
სამშობლო მხარეს, მშობელთ სავანეს,
როს სამუდამო განშორების ქაშს,
უკანასკნელად ვისმენდი ამ ზარს...

ვედარ ვიხილო მე დღე ნათელი,
სიყმაწვილისა ჩემის მხიბვლელი,
და რამდენია აწ მიწად ქმნილი,
იმ დროინდელი ტურფა ყმაწვილი.
მათ ღრმა ძილს ჰფარავს შავი სამარი,
მათ არ ჩაესმით მწუხრისა ზარი...

დაე, მეც ვიწვე ციგისა სამარეს!
ჩემს საფლავზე თქმულს მწუხარე ჰანგებს
ხეობათ შორის გაჰფანტავს ქარი.
იქ კი გაივლის სხვა მომღერალი
და; მე-კი არა, იგი იმღერებს
დაფიქრებული მწუხრის ზარის ხმებს.



დავით აღმაშენებელი

(მეფობდა 1089—1125)

საქართველოს პოლიტიკურად გამაერთიანებელი და კულტურულად ამყვავებელი,—ქვეყნის აღმაშენებელი, პირველი მეფე მგოსანი და შწიგნობარი. იგი სწერდა უმთავრესად რელიგიურ ჰიმნებს, რომელთა ერთი ნიმუში აქ მომავს:

გ ა ლ ო ბ ა ვ, ს ძ ლ ის პ ი რ ი

დანტქმული ლეღვითა სოფლისა ამის განსაცდელთათა, ნავითა ცოდვისათა ჰშთავრდომილი და მიგდებული მხეცსა სულთა მომსრველსა, გილადდებ ვითარცა იონა, ხრწნილებისაგან და სიკვდილისა მიხსენ, ქრისტე.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

სოლომონისსა წურბლისა ვერ მადარი, სხვათა სოფლის კიდეთა ვეძიებ და დასაპყრობელად ჩემისამდე უძღებებისა და გულის-თქმისა.

მიწყალე მე, ღმერთო, მიწყალე მე!

ბოროტად გარდახველ საზღვართა და შეერთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძღურესთა მივხევეუ ნაწილი მათი და ვიღწვი უმეზობლობასა, ვითარცა მარტო მკვიდრობდი ქვეყანასა ზედა.

მბრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა მსჯულისა შენისათა, ჭორწილთა მიერ ხენეშთა ვიმძლავრე საწოლსა ჩემსა და სხვათა ბოროტთა მიცემითა ვაცოდე ერი ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მათ ისრაელი.

ამისთვის ქალწული დედა და შობა ახალი სიტყვისა, რათა ახალი ხატ-ყოფა მეორედ მისცეს ცოდვით განმრყენელთა მისთა დედობრივთა; რათა ოსათა ბრძმე-ღითა დააღწოს ხენეში ნივთი შეცოდებისა.

ა რ ს ხ ე ნ ე რ ი

არსენ ბერი იყალთოელი დავით აღმაშენებელის თანამედროვე იყო. იგი იყო მგოსანი და მთარგმნელი. მას მიეკუთვნება დავით აღმაშენებელისადმი ხოტბა, რომლის ნაწყვეტს აქ ვებუქდავ:

უფროსად ბრწყინვალეთა, თვალთა ყოველისა სოფლისა მყოფთა ერთგვამოვნებისათა, რომელი ვეკ ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყარო ხილულისა სოფლისა შორის; საჩინო, ვითარცა მზე ვარსკვლავთა შორის; ბრწყინვალე, ვითარცა ვთვრი ნივთთა შორის, ნათლის ფერ, ვითარცა ელვა ღრუბელთა შორის; ცისკროვან, ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის; ტბილ, ვითარცა არე ჟამთა შორის; ღვთის სახე, ვითარცა საყვარელი სათნოებთა შორის; გულის სათქმელ, ვითარცა ოქრო მიწათა შორის; ელვარე, ვითარცა იაკინთი ჭვათა შორის; მალალ, ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის; მშენიერ, ვითარცა ვარდი ყვავილთა შორის; აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქვეყანისა შორის; ძლიერ, ვითარცა ლომი მხეცთა შორის; მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუყვეთელთა შორის...



დ ი მ ი ტ რ ი მ ე ფ ე

(1125—1154)

დავით აღმაშენებლის შვილი დიმიტრი მეფეც მგოსანი იყო. როგორც სხანს, სწერდა რელიგიურ თემაზე; აქ ვათავსებ: «იაზბიკონი ლეთისმშობლისა»:

ლეთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი
დედა ქალწული, შვენიერი შროშანი,
მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი:
შენგან იშვების მეფე გვირგვინოსანი,
და მას კმონებდეს მეფე მრავალყმოსანი.
შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული,
ნორჩი, კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელნი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამყო, ვერაინ გჯობს ქებული
და თავით თვისით მზე-ხარ განბრწყინებული.

ს ა ბ რ ო მ წ ი ა რ ო ბ ა

ღ ქ რ ე ზ ხ ა ნ ა

(მე-XI—XII საუკ.)

მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნე ქართველი ერის ისტორიაში ბედნიერი ხანაა. მეფე ბაგრატ მესამიდან დაწყებული (გარდაიცვალა 1014 წ.) ორი საუკუნის განმავლობაში, თამარ მეფის გარდაცვალებამდე და სანამ მონღოლთა ტაღლები არ მოასკდა საქართველოს გაწეულ საზღვრებს,—საქართველო ჰყვავდა სახელმწიფოებრივი ძლიერებითა და კულტურით. ისტორიამ ამ ხანას დამსახურებულად უწოდა ოქროს ხანა, განსაკუთრებით მეთორმეტე საუკუნეს, როდესაც ცხოვრების ყოველ დარგში განვითარებამ უმაღლეს დონეს მიაღწია. რასაკვირველია: ამ ხანას წინ უძღოდა მოსამზადებელი დრო, როდესაც მრავალი დაუღალავი მუშაკი იღწვოდა ქართული კულტურის ასპარეზზე. ამ მოსამზადებელ ხანას ჩვენ მივყევართ ოქროს ხანასთან, რომლის ბრწყინვალე დაგვირგვინებაა—შოთა რუსთაველი.

ქრისტიანობით განვითარებული და გაფურჩქენილი ქართული მწერლობა, ბუნიბრივია, უნდა ყოფილიყო ბერძნული მწერლობის გავლენაში. ქრისტიანობის კულტურის კერა აღმოსავლეთში—ბიზანტია,—დღედაქალაქით კონსტანტინეპოლი,—დაღს ასვამს ქართული მწერლობის ისტორიას. მაგრამ ეს გავლენა არც ისეთია, რომ ქართულ მწერლობას თავისი ეროვნული სახე დაეკარგა,—პირიქით,—ქართული მწერლობა უაღრესად ორიგინალი და თვითმყოფი დარჩა. გავლენის მეორე ტალღა წამოვიდა ბრწყინვალე ირანიდან,—სპარსეთიდან, სადაც საერო პოეზია ჰყვავდა. ბიზანტური და სპარსული გავლენის ტალღა ეხეთქებოდა ერთმანეთს ქართულ ნიადაგზე.—აქ ჯვარედინდებოდა ორი მიმდინარება,—და ორივეს ჰყვავავდა და ინვლემდა ქართული გე-

ნია, რომელიც ფრიად ქართული ძალისა და ნიჭის მატარებელი იყო. სასულიერო მწერლობის განვითარებას თან მოჰყვა საერო მწერლობის გაფურჩქვნა—და ეს უკანასკნელი სავსებით გამოხატავს იმ რაინდულ ხანას, რომელშიც მაშინდელი ჩვენი ცხოვრება იმყოფებოდა.

მ ლ კ ე ს ო ნ ე ლ ი

მოსე ხონელს, რომლის შესახებ დანამდვილებითი ცნობები არ მოიპოვება, მიეკუთვნება: «ამირან დარეჯანიანი». ეს არის მოთხრობა, რომელიც 12 კარისაგან შესდგება და სადაც აღწერილია გმირთა ამბები, მრავალი საარაკო მოქმედება, დიდი პოეტური აღმადრენითა და აღგზნებით. ეს არის ჩვენამდე მოღწეული ის პირველი საერო მწერლობის ძეგლი, რომელშიც არავითარი სასულიერო ხასიათის რაიმე არ მოიპოვება. აქ გამოდიან გმირები, მომღერლები, აქ იბრძვიან ისინი, მისდევენ რაინდულ წესებს: ქალის სილამაზისადმი ტრფობა, სატრფოსათვის თავგანწირვა, ვაჟაკური ასპარეზობა და შეჯიბრებითი ბრძოლანი. მეტად შესამჩნევია მოთხრობის ენის სიმბრტყე და ძლიერი პოეტური ფორმები. გასაცნობად მომაქვს აქ ასპარეზობის ერთი აღწერა:

აქა ომი ბადრი იამანის ძისა და მოკლე ჯაბუქისა

დილასა, რა მზისა ნათელი მოეფინა, დაჯდა მეფე მასე ადგილთა ზედან. და-ისხნა დიდებულნი თვისნი, დაიდვა ნადიმი. მღერდეს მგოსანი და მოშაითნი. აგრეთვე წამოდგნენ ზღუდთა ზედან ყოველნი ტომნი, სცემდეს ბუტთა და დაბდაფთთა. მუნით ზრიალი იყო ქალაქსა მას შინა. გამოვიდა ბუნებრაზი იგი, რომელსა მოკლე ჯაბუქით უხმობდნენ. ეგზომ დიდი იყო, რომე ნიშანი არ მიეცემის. ამა-ზედან გაჯდა ბადრი იამანის ძე, კვერდეს ბუქსა და დაბდაფსა. მაშინ შემოუფლეს ნავარდი ერთმანერთსა. შეუზახნეს, შეუტივეს, შეიბნეს, ესრეთ არა ჰგედნეს პირველი ომი, ვითამც ცოტათა ყრმათა ლაღობა ყოფილიყო ომი მათი დილითგან ვიდრე მწუხრამდე. გაპირდა ომი, მერმე გაიყვნა ცხენი ბადრი იამანის ძემან და შემოუტოვა, გულ მუდროდ და ანაზდად მოკლისა ყმა მოიპურა და ბადრი იამანის ძესა ხმალი ჰქრა. ნახა ინდომან ჯაბუქმან, მას ყმასა ჰქრა ხმალი ჩაბალახსა ზედან და წამსა შინა მოკლა და ეგრე უთხრა: «მიუშვი ძმაო, მაგათ გარდასწყვიტონ», ვითა ნახა ინდოსა ჯაბუქისაგან მოქნეული, ბადრი იამანის ძემან ფიცხლად გაიყვნა ცხენი. შემოიქცა და შემოუტოვა და უყვილა: აწ მე მნახე ინდო ჯაბუქოო! ჰქრა ხმალი ჩაბალახსა ზედან, გაუპო თავი და მკერდამდის ჩაჰკვეთა და წინასა ტახტასა დაასვა და მოკლა. მაშინ იყიფლეს მოკლოაქეთა და თქვეს «კურთხეულმცა არს მარჯვენე შენი და ჯაბუქობა შენიო». გარდაყრდიეს თავსა დრამასა, თვალსა და დრაჰკანსა. გარდახდა უსიბ, დაუწყო უბუტა შიგან ჩაყრა და თქვა: «ესე ცოლსა შეირთავს და ჩვენ დრამასა და დრაჰკანსა და თვალსა რათ არ ავიღებთო». მაშინ მეფემან მუხლსა დაიცა ხელი, ზე ადგა და შედმართ შევიდა და ეგრე თქვა: «ვინ მოვიდა ესე კაცი, რომელმან ამომიწყვიტა ბუნებრაზნიო». დაჰუნდა დიდად, მაგრამ მისგან კიდე სხვა



არა ეგებოდა-რა, გამოეცა შესამოსელი ტურფა და მოელოცა ომი. მერმე მიიხმო ზღვათა მეფემან დიდებულნი თვისნი და დაჯდა, მიუგზაენა ასულსა თვისსა კაცი. «ვითა შეილო, მე დავბერებულვარ და შენა ხარ მკვიდრი სამეფოსა ჩემისა და არა მივის შენგან კიდე სხვა ძე, და ეგეტსა კმარსა ევებდით შენთვის, რომ არავინ ყოფილიყო მისი დამართებითი და აწ ეს არის, შეილო, რადას ვაგრძელებთ. ამა კაცი-სა კმა არსო, რომელნი გარდაუხდიან და ნაქმარნი უქნიან. ამა ერთისა კაცისა არა ეგების ომი და შეირთვე ისი უაბუკი კმარად. მაშინ გამოსცა პასუხი მოკლე: «ვითა მე ეგეთი კაცი არ მინდა საქმროდ, რომე ეგრე ვგონებდე. თუმცა მისი დამართებითი კაცი არისო და ანუ ქვეყანასა ზედან მჯობი ვინმე ჰყვანდესო. შეაბი იგი მესამეცა და თუ მასცა აჯობოს, მაშინ დავმორჩილდე ბრძანებასა შენსაო». დაუშვიმდა ესე საუბარი მეფესა და დიდებულთა ყოველთა და ჯანა ღონე არა იყო—გამოეგზაენა ზღვათა მეფესა კაცი და გამოეცა შესამოსელი და ეგრე შემოეთვალა: «ვითა უწყის ღმერთმან, არა ჩემგან არის. ჯანა თვით გესმის, თუმცა ვისგან არისო. აწუ თვით შენი და არხამანიკისა ომი არისო და თუ აჯობო, მაშინ ხარ სიძე და შეილი ჩემიო». ამანედან ბადრი იამანის ძემან ვასცა პასუხი: ვითა მეფეო, მოგწყინდებოდეს ეგე კაცი, ზოგნი დამახოციენ და კიდევ ეგეცა უფრო მოგწყინებია. მართალ ხარ, უსარგებლონი კაცნი იყვნენ, აწუ გიბრძანებით და ღმერთო, შევიბნეთო, და თუმცა არა გებრძანათ, თვით მე უომრად არ დია გაუშვებდიო.»

ხ ა რ გ ი ს თ მ ო გ ვ ე ლ ი

ამ დიდ მწერლის ვინაობა დღემდე გამოუჩვენებელია და არც ის არის დანამდილებით აღიარებული მას ეკუთვნის, თუ მისგან ნათარგმნია ცნობილი «ვისრამიანი», რომელსაც დიდის გრძნობითა და მდიდარი პოეტური აღმაფრენით აღწერილია ვისისა და რამის სიყვარული.

ი ო ა ნ ე შ ა ვ თ ე ლ ი

მეთორმეტე საუკუნის მკლასნათა შორის პირველად გვხვდება იოანე შავთელი, რომელსაც ეკუთვნის პოემა: «შესხმა თამარ მეფისა». მასვე ეკუთვნის აგრეთვე კალენდარი მოძრავი დღესასწაულების განმარტებით, ჩვენამდე მოუღწევია მხოლოდ პოემის ნაწყვეტებს, რომლის დიდი პოეტური აღმაფრენა და გამართული ლექსი ეჭვს არა ბადებს, რომ საერო პოეზია ამ დროს უკვე დიდათ განვითარებული იყო. შავთელის პიროვნების შესახებ მეტად გაურკვეველი ცნობებია დარჩენილი; ამტკიცებენ, რომ იგი იყო თამარ მეფის მდივანი. მისი პოემა წარმოადგენს, როგორც მკითხველი აქ მოტანილ ნაწყვეტიდან დაინახავს, ზოტბა-შესხმას, რომელიც პოეტმა თამარ მეფეს (ზოგის აზრით: დავით მეფეს) მიუძღვნა:

ვიწყო ლა ქებად, ძვილ შეკადრებად;
 მსმენელთ ვაუწყო ქვეყნის მპყრობელი,
 მხნე, ღმობიერი, ქველი, ძლიერი,

პაეროვანი, მტკიცედ მფლობელი,
შარავანდ-გმირი, ორგულთ გამგმირი,
მტერთა ქვესკნელად დამამხობელი,
რიტორი, ბრძენი, მეფეთა ძენი,
ასპარეზთა ზედ მსპარაზნობელი.

მზრდელ არს მონათა: ზეცით მონათა
ივლისის მზემან ზედ ლომთა ჯდომით.
ტომნი და ერნი, ყრმანი და ბერნი
ადიდებდიან შვებით და ზღლომით.
არიან მხეცნი, მთანი და ბორცენი,
მალნარნი, ველნი მისთვის შვერლომით.
შემუსრავს, შეფქვავს, თხემსა ვის ერქვას
ქურად ჩაფხუტი ორგულთ მიწთომით...

ტახტ-საჯდომელნი, მკამკამებელნი,
სარდიონითა ზურუზმს შემკულნი,
მისაყრდნობელნი, ძნელ საცნობელნი,
სამოთხით ნაძენი, თვით უდნობელნი.
ოქრო-ვერცხლებრივ, ბრწყინავს ცეცხლებრივ
კედელ-ყურენი, ფიქლით ძერწილნი,
ბიერილიონი, ლიგვრილიონი
ურთიერთობით შორის შთათხილნი.

იაგუნდის.—სხვა რად უნდისა?!—
ჯამები იყვის ლალ-ფირუზისა.
იყვის ქურქურთა, სხვათ უცხოფერთა
სიმრავლით დება თვით ურიცხვისა.
ბევრად ძეს გორი, ერთა საგორი
ზოდი ოქროსა მისგან თლილისა,
ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა
ხმანი ებნისა და წინწილისა.

შენ, გონიერო, გულისხმიერო,
თვით შეცნიერო, მეფევ ძლიერო,
მიუხდომელო, მიუწდომელო,
მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო.
განათლებულო, განახლებულო,
გაბრწყინებულო მზეო ციერო,
გალალებულო, გალომებულო,
კელავ გოლიათო გულო-ღმობიერო!

ნ ა ს ტ უ ხ ა ძ ე

დანამდვილებით არ ვიცით, ვინ იყო მეთორმეტე საუკუნის ეს უდიდესი პოეტი, რომელსაც ეკუთვნის «თამარიანი» ანუ ქება (შესხმა) თამარ მეფისა. ჩახრუხაძე ცნობილია აგრეთვე მით, რომ მან შემოიღო ახალი ლექსთწყობა, რომელსაც ეწოდება «ჩახრუხაული», და რომელიც 20 მარცვლისაგან შეესდგება. ღრმა ძლიერი პოეტური ფორმები და შედარებანი დაუღვეველ ნარჩევ სიტყვებისაგან შემდგარი და ძვირფასად გამართული ლექსი ჩახრუხაძის დამახასიათებელია. აქ ვებეჭად ზოგიერთ ნაწყვეტს:

შო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო,
თამარს ვაქებდეთ გულის ხშიერსა!
დიონოსისგან, ვით ენოსისგან
სრულნი ქებანი-ამ მძლეთ ძლიერსა!
სოკრატ სიბრძნითა, სარამარგრძნითა.

თამარ შენ გიძნობ! ასულად გიცნობ:
მზე დაუვალი, შუქ მომფინარი,
ელვა-ეთერი და სიტყვიერი
დარმანის ეელი ედემს მალნარი.
არს ცნობათ მოთხე, ვითა სამოთხე,
წყლად წყალი მრწყველი, მუნვე მდინარი.

სიუხვედ ზღვებრი, სიშაღლით ცებრი,
მდაბლად მოწყალე, უგრეტად ნარნარი,
კაცები გმონებს და გიპატრონებს
ვეფხთა კლდოვანი, ლაშთა შამბნარი.
ვერ მიგწოდენ ქეშად, სხდენ თვითვე ენებად
პლატონის ენა, დავითის ქნარი.

თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა ნარნარი, პირ-მცინარი.
მზე მცინარი, საჩინარი
წყალი მქნარი, მომდინარი.
მისთვის ქნარი რა არს? ქნარი
არსით მთქნარი, უჩინარი.
ვარდ-შამბნარი, შამბ-მალნარი,
ლაწე-მწყანარი, შუქ-მფინარი.

შენ ერნი შენნი, შენ მიერ შენნი,
ერთხმობით ვიტყვით განმარტებულად:
«რა არს-ქმნა იყოს, ვიდრე თვით იყოს
ღმერთმან თქვენცა გყვენს
ძითურთ გებულად!»



თ ა მ ა რ მ ე ჟ ე

ქართველი ერის დაუფიწყარი და ბრწყინვალე მემკვიდრე—თამარი იყო აგრეთვე მწერალი. მისი ნაწარებიდან ცოტა რამ დარჩენილა, და ისიც წარწერანი ხატებზე ან დროშაზე, თამარ მეფე სწერდა იამბიკონს; როგორც აღვნიშნე. იამბიკონი არის ლექსთაწყობა, რომელიც პირველად საბერძნეთში იხმარებოდა და რომელიც რითმას არ მოითხოვდა. აი. ნიმუში თამარ მეფის იამბიკონისა, რომელიც აწერია ხახულის ღვთისმშობლისადმი თამარის მიერ შეწირულ ათაბაგის დროშას:

«ცათა ცათსა დამწყები ღმერთ-მთავრობა,
ქე საუკუნობს პირველვე და კვლადცა,
სულმან ღვთისამან სრულ ჰყო აროდეს ქმნადი».

მ ი თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი

ოქროს ხანის დამამშენებელი და დამაგვირგვინებელი არის შოთა რუსთაველი, რომლის ვინაობა დღემდე დაჯერებით არ არის გამოტყვევული. უკანასკნელ დროს მგვლევართა შორის, თავის დიდ მეცნიერულ ნაშრომში: «რუსთველიანა», რომლითაც შოთას ვინაობის გამოკვლევას მეცნიერული საფუძველი ეყრება, ბ.ნი პ. ინგოროცვა ამტკიცებს, რომ შოთა ჰერეთის რუსთავედან, ბაგრატიონთა გვარის იყო. მეზიდმეტე საუკუნედან დაწყებული კი თითქმის ყველა იმ ახრს იხიარებდა, რომ შოთას სამშობლო მესხეთი იყო. აკადემიკოსი მარტი ამტკიცებდა, რომ შოთა იყო ჩაბრუნაძე და პროფ. კველიძე კი თვით პოეტის სახელსაც სადავოთ ხდის. ყოველ შემთხვევაში დღეს ეს საკითხი გამოურკვეველია და ამგვარად შოთა იხიარებს იმ გენიოს მწერალთა ბედს, რომელთა შესახებ დღემდე დაბეჯითებით არაფერია ცნობილი, როგორც მაგალითად ჰომეროსი და შექსპირი. მაგრამ ვინც არ უნდა იყოს შოთას პირადგება, ერთი ცნობაა, რომ იგი ანსახიერებს ქართველი ერის გენიას, რომელიც უმაღლეს მგოსნურ თუხულებათაშია გამოქანდაკებული და მისი ქმნილება კი ქართველი ხალხის «ხელისხელ საგოგმანები» ყოფილა მთელი რვა საუკუნის განმავლობაში და ასეთი დარჩება სამარადისოდ. მისი «ვეფხისტყაოსანი»,—ჩვენი მწერლობის თვალმარგალიტი,—იმდენად ცნობილია, რომ მისი ნიმუშის დაბეჭდვა აქ ზედმეტად მიმაჩნია.

ხ ს ვ ა მ წ ე რ ღ ლ ე ბ ი ღ ა მ გ ო ს ნ ე ბ ი

უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ მწერალ-მგოსანთა გარდა, ალბად არა ერთი სხვაც ამშვენებდა ქართულ მწერლობას, მაგრამ უბედოდ ისტორიის მასწავლობას დაუკარგავს მათი სახელი. ვიცით მაგალითად, რომ იყვნენ მგოსნები: ძაგნაკორელი და დავით საათაბაგოელი, რომელთა ნაწარმოები არ შენახულა. პირველის შესახებ ცნობილია, რომ მან შექმნა ახალი ლექსთწყობა, რომელსაც ძაგნაკორულს უწოდებდენ და რომელიც შესდგებოდა სამი სტრიქონისაგან. პირველი ორი სტრიქონი შეიცავდა ათათ მარცვლს და იყო გარითმული, მესამე სტრიქონი იყო ურითმო და 12 მარცვლიანი.



აქ ჩამოთვლილ მწერალთა გარდა ისტორიამ იცის აგრეთვე მრავალი სახელი, რომლის უბრალოდ ჩამოთვლა საქმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა დიდი ლიტერატურული მოღვაწეობა სწარმოებდა მაშინ. დასახელებულ მწერალთა გარდა; ქართული მწერლობის ასპარეზზე იღწვოდენ: დავით ტბელი (მეთე საუკუნე), იოანე ბოლნელი (980—1014), სტეფანე ათონელი (1069), ესრა მთაწმინდელი, ბასილი, ლეონტი მროველი (მეთერთმეტე საუკ.), თეოფილე ხუცესმონაზონი, პროკოფი მღვდელი, გიორგი ხუცეს მონაზონი (მას ეკუთვნის «გლოვა გიორგი მთაწმინდელზე»), ეფრემ მცირე, — შესანიშნავი ფილოლოგი, ისტორიკოსი და მთარგმნელი, ბასილ კათოლიკოსი, ნიკოლოზ გულამბრისძე (1190) და სხვა მრავალი.

ი ა ნ ე ჭ ი მ ჭ ი მ ე ლ ი

პეტრიწად სახელწოდებული, პოეტი, გრამატიკოსი, ასტროლოგი-ვარსკვლავთ მრიცხველი და ფილოსოფოსი, მას უთარგმნია ქართულად სასულიერო წიგნები, პროკლე დიოდორის ფილოსოფიური თხუზულება: «კავშირი», არისტოტელის თხუზულებანი: «ტოპიკა» და «პერი ერმენეიას». მას მოაწერენ აგრეთვე ასტროლოგიურ თხუზულებას: «ნემესიოს».

ი ა ნ ე ტ ა რ ი ჭ ი ს მ ე

ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი. მას ეკუთვნის თარგმანი არისტოტელის თხუზულებათა «დიალექტიკისა» და «კატეგორიათა», ფილოსოფოს პორფირეს «იესავორე» და სხ.

ესენი არიან ის შუქმფენი სახელები, რომელთა შენახვა ისტორიამ ინება, — დანარჩენთა შესახებ კი დუმილია. მეთერთმეტე და მეორათმეტე საუკუნეს ეკუთვნიან აგრეთვე ისტორიული და იურიდიული ხასიათის ნაწერები, — სიგელ-გუჯრები, საეკლესიო კრებათა დადგენილებანი, კანონები და სხ.

შემდეგ წერილში შევხვები ქართული მწერლობის განვითარებას მეცამეტე საუკუნედან.

ერნესტენი,
ვარძისთვის 1, 1920 წ.



ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან

(მეფი მწერლობა)

ორი საუკუნის წინ ქრისტეს დაბადებამდე რომაელებმა დაიპყრეს ვალდია ანუ გალი (ესლა ამ ნაწილს ეწოდება პროვანსი, ლათინურად-პროვინცია რომანა) და იუ-იულიუს კეისარმა კი მთელი ვალდია რომის ბატონობას დაუმორჩილა. სივრცით ვალდია უდრიდა თითქმის ესლანდელ საფრანგეთს, და ხალხი კი, რომელიც აქ ცხოვრობდა ლაპარაკობდა კელტური ენის სხვადასხვა დიალექტზე. ხალხურ ლათინურთან ამ დიალექტების შერევამ წარმოშვა სხვადასხვა კილოყაყების ფრანგული ენა, და დროთა განმავლობაში ფეხი მოიკიდა და გარდაიქცა სალიტერატურო ენად ლილდე-ფრანსის დიალექტი.

რასაკვირველია, ფრანგულ განვითარებაზე დიდი გავლენა ჰქონდათ რომაელებს, მათ კულტურასა და ზნეჩვეულებებს. მაგრამ შემდეგში, როდესაც არაბებმა დაიპყრეს ისპანეთი და შემოიჭრენ სამხრეთ საფრანგეთში, მათ თან მოიტანეს უმაღლესი განათლება (მათემატიკური მეცნიერებანი, მედიცინა, ფილოსოფია, პოეზია...), განსაკუთრებით არაბულმა პოეზიამ შოახდინა გავლენა ფრანგული პოეზიის განვითარებაზე. გავლენის მეორე ტალღა მოდიოდა ინგლისის კუნძულიდან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნორმანელებმა (1066 წ.) ინგლისი დაიპყრეს. კელტურმა პოეზიამ ფრანგულს დაღი დაამჩნია; გავლენა ჰქონდა აგრეთვე ბერძნულ-ბიზანტიურ ლიტერატურას, რაც მეტად ძლიერი შეიქნა ჯვაროსანთა ომების დროს (1096—1270 წ.წ.) და ბოლოს დასანიშნავია იტალიური ლიტერატურის გავლენა—დანტე (1321) და პეტრარკა (1374)

პირველი წერილობითი საბუთი საფრანგეთის მწერლობის ისტორიაში მეცხრე საუკუნეს ეკუთვნის. ეს საბუთი წარმოადგენს ფიცს დაწერილს ორ ენაზე: ტუდესკურზე *) და რომანულზე. ეს ფიცი წარმოსთქვა ლუი ლე ვერმანიკმა სტრასბურგში 842 წელში. რასაკვირველია, ამ ფიცის ესლანდელი წამკითხველი ვერაფერს გაიგებს, თუ ფრანგული თარგმანი ხელთ არა აქვს. ფრანგული მწერლობის მეორე საბუთი ეკუთვნის მეათე საუკუნეს. ეს არის: 1) წმინდა ეულალის ცხოვრება და 2) წმინდა ლევერის ცხოვრება; მეთერთმეტე საუკუნეს ეკუთვნის ცხოვრება წმინდა ალექსისა, მეცამეტე საუკუნეს ეკუთვნის სასწაულებანი კუანსისი.

ამავე ეპოქაში—მეთერთმეტე-მეთორმეტე—განვითარდა პოეზია, რომელიც გვირულ ამბავთა ხოტბას წარმოადგენს. ამ ამბავების მომღერლები დადიოდენ ქალაქიდან ქალაქს, სასახლიდან სასახლეს და მღეროდენ დღეობებზე და ნადიმებზე. ამ დროის

*) გერმანული დიალექტი.

ლექსები ჯერ გავითმული არ არის, არამედ ასონანსითა^{*)} დაწერილი,—ლექსების გავითმვა იწყება მხოლოდ მეტამეტე საუკუნედან. ამგვარ გმირულ პოეზიას ეკუთვნის შარლემანის პოეტური ისტორია, რომელშიც აღწერილია ამ მეფის მოღვაწეობა—თავდასახვალი; შემდეგ, გაუიომო კურ-ნეს ბრძოლანი არაბების წინააღმდეგ 793 წელში; შემდეგ, დოონ დე შინსის სამხედრო ამბები; შემდეგ, ჯვაროსანთა სიმღერები. ყველაზე უფრო შესანიშნავი ეპოპეა (—პოეტური და სასწაულებრივი გამოსახვა ისტორიისა) არის გმირი როლანის ამბავი. მეფე შარლემანი ბრუნდება ესპანეთიდან არაბთა წინააღმდეგ ომების შემდეგ. მის მოწინავე ჯარებს სარდლობს როლანი; მას თავს ესხმიან ბასკები. ფრანგებს ამოხაცავენ ბასკები. ისტორია ასეთია. ლეგენდა კი ასხვადერებს და ალამაზებს. ლეგენდის მიხედვით როლანი არის შარლემანის დისწული; მასთან ერთად ჯარს ხელმძღვანელობს ოლივიერი, რომლის დამ როლანის საქრფოა; მათ თავს ესხმიან არაბები და ანადგურებენ მათ; მიწევი—ლალატია; სიმღერები სხვადასხვაგვარად გადმოსცემენ ამ ბრძოლების ამბავს. მაგრამ საუკეთესო ტექსტი, რომელიც დარჩენილია, ეკუთვნის ლეონ გოტიეს და მისი დაწერის თარიღია 1150 წელი. ყველა აქამდე მოხსენებულ სიმღერებს ეწოდება შანსონ დე ეესტ ანუ ვაჟაკურ მოქმედებათა, გმირული სიმღერები.

ლიტერატურის მეორე ციკლი შეიცავს რომანებს. ამთ შორის ცნობილია რომან დე ლა ტაბლ რონდ. აქ აღწერილია ლეგენდარულ მეფე არტურის და ის გმირთა ჯარის (მეექვსე საუკ.) კელტური ტრადიციები. დიდი ბრიტანეთის კელტების ბრძოლა მეზუთე-მეექვსე საუკუნეში საქსონელების წინააღმდეგ აღწერილია ლათინურ კრონიკაში ნენნიუსის მიერ; ეს აღწერა განავითარა და შეავსო ეოფრუამ (გარდაიცვალა 1154 წ.) თავის პისტორია რეგუმი ბრიტანიე. მოთხრობილია, რომ მეფე არტური იყო ძღვეამოსილი მტრების წინააღმდეგ. მისი გმირები, კარგი ქრისტიანები, რათა პირველობისათვის არ ედავთ, რვეალი სუფრის გარშემო სხდებოდენ. აქედან ამ რომანის სახელიც. მეფეს სკრიან ბრძოლაში, მას გადაიყვანებენ კუნძულზე, საიდანაც იგი რამოდენიმე დღეში დაბრუნდება. რობერ ვასმა ეს ლეგენდა დასწერა რომანად, რომელიც გავითმულია. ამავე ციკლს ეკუთვნის წმინდა გრაალის ლეგენდა. ყველა ეს ნაწარმოები ითარგმნა ბრეტონულიდან ფრანგულად მეთორმეტე საუკუნეში. ამ ლექსების უმრავლესობა ეკუთვნის ქალს,—მარი დე ფრანსს.

ამ ბრეტონულ რომანებში განსაკუთრებულად ადგილი უჭირავს მეთორმეტე საუკუნის რომანს: ტრისტან და იზოლტას. ტრისტანი არის ლეონუსს თავადი და კორნვალისის მეფის მარკის დისწული. ტრისტანს ევალება გააცილოს თავადის ასული იზოლტა, რომელიც უნდა შეირთოს მეფე მარკმა. ირლანდიიდან კორნვალისში გადასახლელად ნავით მოგზაურობის დროს, ტრისტანი და იზოლტა შეცდომით სვამენ ფილტრს ანუ სიყვარულის წყალს, რომელიც მეფე მარკსა და იზოლტას უნდა დაეღობათ. ამგვარად, ამ სასმელით, ტრისტანი და იზოლტა სამუდამოდ შეყვარებული ხდებიან. ეს ამბავი მრავალნაირობას შეიცავს, მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა თომასის მოთხრობა, რომლის მიხედვით, ტრისტანი სტოეებს კორნვალისს და მიდის

*) დაბოლოვებათა გამოთქმით დაახლოვებით მიმზგავსება.



ბრეტანში ქალის შესართავად. ერთჯერ ტრისტანს სურბან მოშხამული იარაღით და მისი ვადაჩენა შეუძლია მხოლოდ იხოლტას. ტრისტანი ავჯანის შიკრიკს მასთან და თან ახარებს: თუ დედოფალი იხოლტა წამოვიდეს, ნავზე თეთრი აფრა აუშვი, თუ არა შავიო. იხოლტა მომგზავრება, მაგრამ გზაში უამინდობის გამო უგვიანდება. ტრისტანის მეუღლემ იცის ქმრის საიდუმლო დანაბარები, ფანჯარასთან გუშავობს და უცდის ნავის გამოჩენას. იგი ხედავს, რომ ნავზე თეთრი აფრაა, მაშასადამე: იხოლტა მოდის. ექვიანობაში ჩავარდნილი, ცოლი ეუბნება ქმარს, ნავს შავი აფრა აქვსო. ამ სამწუხარო ამბავის გამო ტრისტანი ჰკვდება. ამ ამბავის გაგებისას, დაგვიანებით მოსული იხოლტა ჰკდება ავრედვე. აქაა აღწერილი დიდი პოეტური აღმაფრენით: სიყვარული „უფრო ძლიერი, ვინემ სიცოცხლე და სიკვდილი“.

ყველა მგოსანთა შორის, რომელთაც გამოიყენეს ბრეტანელი მასალა ფრანგულ ენაზე, შესანიშნავი კრებებიან დე ტროა; მის შესახებ არავითარი ცნობა არ არსებობს, და ყველა მის ნაწარმოებსაც არ მოუღწევია დღემდე. ტრისტანის გარდა, მას ეკუთვნის ლანესლო, ივენ, და ბერსეფალი. ყველა ამ რომანში აღწერილია გმირული მოქმედებანი და ბრძოლანი. მაგალითისათვის გავეცნოთ ივენს ანუ ლომის მხედარს.

ერთხელ ივენი მიდის ბროსელიანდის ტყეში. სადაც იგი წააწყდება წყაროს, რომელსაც შემორტყმული ჰქონდა ზურმუხტის ყორე; იგი ჩამოიღებს იქვე ფიჭუ დაკიდულ სასმისს, აიღებს წყალს და გადააქცევს ყორესზე: უცბად ამოვარდება ქარიშხალი. გამოჩნდება უცხო რაინდი და გაუმართავს მას ბრძოლას; ივენი მას სასიკვდილოთ დასჭრის. გაეფრენება მას სახსლემდე, სადაც დაჭრილი გმირი მოჰკვდება; მის დასაფლავებას ესწრება ივენი; იგი თვალს მოჰკრავს გმირის კვრივს, რომელიც მას შეუყვარდება; დიდი ცდების შემდეგ, ივენი მას შეირთავს. შემდეგ, ივენი მიდის ახალ საგმირო საქმეებისათვის ერთი წლის ვადით. მას დაუგვიანდება, ამიტომ შინ შესასვლელი კარები დაკეტილი დახვდება. იგი უიმედობით თავს ჰკარგავს; ერთჯერ ივენი ხედავს: ლომს გველი შემოხვევია; იგი გადააჩენს ლომს.—აქედან მისი სახელი: -ლომის მხედარი, ლომი მას დაენდობა და გაჰყვება. მრავალ გმირობისათვის ივენს ამატიებენ აღთქმის დარღვევას:—დაგვიანებას, და იგი ბრუნდება შინ.

აღნიშნულ რომანების გარდა, მე-12 და მე-13 საუკუნეში გავრცელებული იყო რომანები დაწერილი ბიზანტიური და ლათინური წყაროების მიხედვით. როგორიცაა მაგალითად: რომან დე სეტ საჟ, რომან დ'ალეკსანდრ და სხ. ამას თან ერთვის ალგორიული პოეზია, რომელშიც იდებები, გრძობანი განპიროვნებული არიან: ამ ალგორიული პოეზიის საუკეთესო ნიმუშად აღიარებულია: ლე რომან დე ლა რაზ, დაწერილი გაუიომ დე ლორის და გავრცელებული კლოპინელის მიერ (გარდ. 1305 წ.)

მაისი ერთ დილას, გაუიომი მისეირნობს სოფლად და ნახულობს იგი იქ ბაღჩას კედლით შემორტყმულს; მას კარს უღებს უსაქმობა, რომელსაც იგი მიჰყავს ველზე, სადაც ცვეკვენ სიამოვნებანი, ღმერთები:—სიყვარულის, სიმშენიერის, სიმდიდრის, ზრდილობის და სხ. ბაღჩის საკვირველობათა შორის. მას მოსწონს ვარდთა თაიგული, და მასში განსაკუთრებით ერთი ვარდი,—შეყვარებული ასულის განსახიერება; მას ეჩვენება ვარდი ისე წარბაცად, რომ თვალს ეღარ ამორებს; სიყვარული ესერის მას ისარს; გულწრფელობა, შეწყალება იცავენ შეყვარებულის ინტერესებს; საფრთხე



სიმულვილი, შიში ხელს უშლიან მას ვარდს მიუახლოვდეს; ჭაბუკს თავის მხრივ ეხმარება ალერსი და სიყვარული, რომელთაც სდევნიან ცილისწამება, ჭორი, შური და სხ. შეწყალებისა და ალერსის დახმარებით, გამოიომი ვარდს მიუახლოვდება; მაგრამ ჭორი ატყობინებს ეჭვიანობას, რომელიც აშენებს კოშკს, სადაც უნდა დაატუსაღონ მშვენიერი შესვედრა; გამოიომი დარდს მიეცემა,—და აქ თავდება პირველი ავტორის რომანი.

გაგრძელების მიხედვით, მოქმედება შემდეგნაირად მიმდინარეობს: გონება ამშვიდებს ჭაბუკს, რომელსაც სასიყვარულო დაჰპარგავია; ჭაბუკი დაბოლოს კპოლუმბს მეგობარს, რომელიც აძლევს მას ზრდილობისა და პატივის რჩევას. სიყვარული გადასწყვიტავს თავს დაესხას კოშკს, სადაც მშვენიერი-შესვედრა დატუსაღებულია; სიყვარული გამოიწვევს თავის ჯარებს: ზრდილობას, სიუხვებს, გულწრფელობას, შეწყალებას, სიმაჰაცეს, და ახალ პირს—ყალბ სახეს. ფარისევლოზის შვილს, რომელიც ხან ქვეყნად და ხან მონასტერში სცხოვრობს; თავის პირფარეშ ხერხიანობასთან ბუნების აღსარების შემდეგ, სიყვარული—გენუხი კოშკს ცეცხლს უკიდებს; საფრთხე, შიში და უპატიოსნება გარბიან; და მშვენიერი—შესვედრა ნებას აძლევს ჭაბუკს შესვდეს ნანატრ ვარდს.

ეს რომანი და მისი გაგრძელება შეიქმნა მეტად საყვარელი თხზულებები.

რანდულმა მიმართულებამ მწერლობაში გამოიწვია ერთგვარი რეაქცია, რაც გამოიხატა სატირული პოეზიის განვითარებაში. მაგრამ განსაკუთრებული მიმდინარება მიიღო მე-12 საუკუნე. იგავარაკების მწერლობამ, რომელშიც ხერხიანობა ძალას ყოველთვის სჯობნის. მგოსანი რიბუტ ბიოფი (1280) ცნობილია, როგორც სატირიკოსი, რომელიც სწერდა ქალებისა და მოხეტიალე ბერების წინააღმდეგ.

არაკებს გარდა, განსაკუთრებით პიკარიაში, გავრცელებული იყო ფაბლიო; ეს არის ამბავი ლექსად, რომელსაც უნდა გამოეწვია სიცილი. ასეთი მიმართულება, გადმოტანილი აღმოსავლეთიდან (ინდოეთიდან) ბიზანტიაში, ჯვაროსნებმა შემოიტანეს და გაავრცელეს ევროპაში და კერძოდ, საფრანგეთშიც; რასაკვირველია, ფაბლიომ ყველგან ადგილობრივი ხასიათი მიიღო. ფაბლიოს მაგალითი: მღვდელი ცხენით მოდიოდა, გზაში ნახა წყარო კედლით შემოვლებული; იგი გადაეწვადინა ცხენიდან და სთქვა: ასე უკეთესად დავლევო, მაგრამ ვილაცამ შესძახა: ჰუუ...! ცხენი დაფრთხა და ჩვენი მღვდელი წყალში გადავარდა.

გმირულ სიმღერებთან დაკავშირებით ვითარდება ლირიკული პოეზია, რომელშიც არჩევენ ორ ხანას: 1) მე-14 საუკუნემდე და 2) მე-14 და მე-15 საუკუნე, როდესაც ლირიკული პოეზია შეიქმნა უფრო მეტი პიროვნული და კერძო. ამგვარი პოეზიის განვითარების ცენტრად გადაიქცა ტულუზი და პოეზიას ეწოდება პროვანსალური; აქ ვერებოდა საფუძველი დიდ კულტურას, მაგრამ ალბიკუთა ომებმა გაანადგურეს ეს ბრწყინვალე დასაწყისი. ლირიკული პოეზიის საგანია ისტორიული ამბები; ესაა სიმღერები, რომელშიც მოთხრობილია რაიმე დრამა, სიყვარული, ჯვაროსნობა და სხვა. ამ ლირიკულ პოეტებს ეწოდებოდათ ტრუბადურები; ესენი არიან მგოსნები — მომღერლები, როგორც აღენიშნე, რომელნიც გადადიოდნენ სასახლიდან სასახლეში, დღეობაში, სადაც მღეროდნენ თავის სიმღერებს. მათ შოთის ცნობილი იყვნენ გამოიომ IX ბერნარ დე ვანტადურ, რომელიც პირველ ტრუბადურად ითვლება და ბერტრან დე



ბარს (1125). ტრუბადურებისაგან განირჩევიან ტრუვერები. თუ პირველი მოღვაწეობდნენ პროვანსში და მათი ენა იყო ლანგედოკის, მეორენი იყვნენ უმთავრესად ჩრდილოეთში, პიკარდიაში და მათი საგანი იყო უფრო ეპიურტი პოეზია; მათ შორის ცნობილი არიან კონონ დე ბეტაენ (1204 წ.), ტიბო, კოლენ მისუნე (მე-13 საუკ. ბოლო).

მეცამეტე საუკუნის დასასრულიდან იწყება გარდამავალი ხანა რენესანსამდე (დაახლოებით 1328—1500 წწ.). გარდამავალ ხანას ეკუთვნის ეტაშ დეშან (1405 წ.), რომელიც ისტორიული პოეზიის წარმომადგენელია. ლირიკული პოეზიის წარმომადგენელია ქრისტინე დე პიზან (1431 წ.), ალენ შარტიე (1472 წ.) და შარლ დ'ორლეან (1462), რომელმაც ერთგვარ კიდევ გააცოცხლა გმირული პოეზია.

გარდამავალი ხანის მწერალთა შორის შესამჩნევია ფრანსუა ვიონ (1431-1480). მან დაასრულა ხელოვნების ფაკულტეტი; იგი იყო მოუსვენარი და მონაწილეობას ლებულობდა ყველა სტუდენტურ არეულობაში; იგი წაეკიდა მღვდელს, რომელიც მოჰქლა, მაგრამ მას აპატიებენ დანაშაულს; შემდეგ, იგი დაუმეგობრდება ქურდებს, და მათთან ერთად ეწეოდა ამ ხელობას; ამ დროს დასწერა მან «პატარა ანდერძი»,—პოემა ორმოც სტროფიანი, რომელშიც იგი გამოხატავს თავის გრძობებს: აქვებს მათ, ვინც უყვარდა, და აძავეებს—ვინც სძულდა. მალე იგი საპრობილეში ამოყოფს თავს; მას გადაუწყვეტენ დახრჩობას, მაგრამ მეფე ლეი მე-11 მას ანთავისუფლებს. იმ წელიწადს დასწერა მან «დიდი ანდერძი», 63 სტროფიანი პოემა, რომელშიც ჩართულია რამოდენიმე ბალადა, მაგრამ მას კიდევ გადაუწყვეტენ სიკვდილით დასჯას; ამ დროს სწერს იგი ცნობილ ბალადას: «დასახრჩობის ბალადა»; ათი წლით მას აძევენ პარიზიდან და შემდეგ, იკარგება მისი კვალი. ვიონის მნიშვნელობა გამოიხატება იმაში, რომ იგი იყო პერსონალური პოეზიის დიდი გამომხატველი და მისი ლექსები ფორმით, გრძობით და რეალიზმით არის ძლიერი და ფერადი. ვიონის «ანდერძები» სიამოვნებით იკითხებოდა დიდი ხნის განმავლობაში.

ამგვარად, მიუხაზლოვდით რენესანსის ხანას, რომელიც ფრანგული ლიტერატურის ისტორიაში აღნიშნულია 1515—1610 წწ.

ბრეტან, 1929

IV

შალვა ამიძეჯიბი

მ ა რ ი ა მ ღ ე ღ უ ჯ ა ლ ი

1768—1850

I.

1801 წელს, 12 სექტემბერს, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა საქართველოს შეერთების მანიფესტი გამოსცა, საქართველოს ტახტის მემკვიდრეს, მეფის ძე დავითს კი, თითქოს სამაგიეროდ, ალექსანდრე ნეველის ორდენი გამოუგზავნა. ამის საპასუხოდ ბატონიშვილმა დავითმა რუსული მუნდირი სულ გაიხადა და იმპერატორს აგრძნობინა, რომ საქართველოს ტახტი მის თვალში ცოტა უფრო მეტი ღირდა, ვიდრე რუსული ორდენი.

ამ ამბავს გენერალი კნორინგი ასე მოახსენებდა იმპერატორს:

«საქართველოს მეფის ძემ, დავითმა, თქვენი ი. უ. სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა თქვენს სახელობაზედ კუვერტში ჩადებული თხოვნა გამომიგზავნა სამსახურიდან გადადგომის შესახებ და მოითხოვს, რათა ეს თხოვნა თქვენ მოგსენდეთ ყოვლად უმოწყალოსა ხელმწიფეო! ვბედავ რა მისი სურვილის უქვეშევრდომილესად აღსრულებას, ჩემს მოვალეობად ვისახავ ყოვლად უმდაბლესად თანა დავსძინო, რომ მეფის ძის დავითის ამა წამართულებასი სხვა მიზეზს ვერასა ვნედავ, თვინიერ უკმაყოფილებისა, რომ საქართველოს უმალღესი ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას ვერ მიაღწია.»

ბაგრატიონებმა თავისი აღსასრული იგრძნეს და ამორავდნენ. იმ ბრძოლაში, რომელიც მათ რუსებს გაუწიეს, გმირობა და თავდადება ბევრი იყო. მაგრამ პირი არ უჩანდა იმ წმინდა ბაგრატიონულ ბედს, რომელიც ეამთა ეითარებაში და ისტორიულ ქართველებში თერთმეტი საუკუნე ინახავდა მათს დინასტიას საქართველოს ტახტზე.

რას იცავდენ ბაგრატიონები? საქართველოს უფლებანი გარკვეული იყო იმ ხელშეკრულებებში, რომლებიც საქართველოსა და რუსეთის შორის დაიდო. მაგრამ რაოდენადაც ამ ეამად სიტყვა ბაგრატიონებზედ არის, უმჯობესია თითონ ისინი ვაღაპარავოთ.

ერთი მათგანი, ყველაზედ ახალგაზნა და შემდეგში მეცნიერი, ემა ამ ტახტის მემკვიდრისა, ბატონიშვილი თეიმურაზი, გაქცეული სპარსეთში, ასე სწერდა თავად პავლე ციციშვილს:

«თვინიერ ამისა არა სადა მხილველმან წერილისა თქვენისა, მივიღე უწინარეს ამისსა წერილი წარმოგზავნილი თქვენ მიერ, აღწერილი მარტის 5-ს, მომივიდა მე მარტის 26-ს წელს 1805, რომელიცა შევიწყნარე პატივისცემითა უშესაბამესითა, რომელიცა მიცხადებდა არა შესაძლოსა მოსელასა ჩემსა, ამაღ რომელ ღეთის მიერ

დამყარებული სახლი და ძველ-გვარობით სწორ უპოვარი ქვეყანასა ზედა აღიხებრათ მათგან, რომელთაგანცა არცა ერთითა სახითა ვალდებულ ვიყვენით ჩვენ, არამც თუ მხოლოდ საფარველისა დადებისა და მოწყალებით განვრცელებისა შეიწროვებულისა ქვეყანისა ჩვენისა, სისხლით სყიდულისა ჩვენთაგან და კვალად ნიქითა იმპერატორებლივითისა მოწყალებისათა ჩვენზედა დაწვევად.

«პირველ ჩვენ ამან მოგვიზიდა თქვენდამო, ვინაითგან კოსტანტინეპოლისა მართლ-მადიდებელთა იმპერატორთა მიერ ჩვეულ იყო დამყარებული პირველით-ცა მათ მიერვე სამღრთოთა გვირგვინითა შემკული ოჯახი ჩვენი და ყოველთა ზედა ბაგრატიონთა წყალობანი მათ მიერნი უხვებდნენ, როგორათაცა პანკრატ კურატ-პალატსა ზედა და სხვათაცა, ვითარცა აცხადებენ ცხოვრებანი მოწმობითა სხვათა ენათა წერილთათა.

«ვეგულებდით რა ესგვარვე მოწყალებასა, შევედრეთ თავი ჩვენი დაცვისათვის ოჯახისა ჩვენისა, გარნა დავიმხვენით ჩვენ უმსჯავროდ და არამც თუ თქვენ დამხობითა ჩვენითა მიეცა სარგებლობა ქვეყანასა, ანუ ხელმწიფესა, არამედ უფროსდა საბრალთ იხოცებით უცხოთა შინა ქვეყანათა და აღაშფოთეთ ქვეყანაი ცუდად, რომელ უკეთუ გვარისა ჩვენისაგან იქნებოდა ერთი რომელიმე უმსლოთ და არა ამდენისა ნიეთისა გაფუჭებითა, შეეძინებოდა ქვეყანანი დიდნი იმპერიასა, რომლისათვისცა განგვსდევნეთ რა. ამით დააფრთხეთ თქვენ ქვეყანანი და განაშორეთ უდიდებულესსა მფარველობასა. განელილთა საქმეთათვის არღარა განვგარძმებულებდანი, გარნა უკეთუ გნებავსთ სამსახური ჩვენ მიერ მადლისა ხელმწიფისა, წარმოგზავნონ ოჯახისა ჩვენისაგან ერთი რომელიცა სათნო იყოს იმპერატორისა მფედ ქვეყანასა შინა ჩვენსა და აღადგინოს მალაშან ხელმან დაცემული ოჯახი ჩვენი და მაშინ ჩვენ ყოვლისა ბრძანებისა მისისა მორჩილნი შევიძლებდცა სამსახურთა შესაბამთა დიდებულებისა მისითათა.

«და თუ არა ესრეთ იქნას, არცა ჩვენ ძალგვიქს მოსვლად, ვინაითგან არა ვართ ჩვენ გოპთაჯნი მხოლოდ გლახაკებრივისა პურისა ქამისანი, არამედ სისხლ დათხევით მცდელნი ბაგრატიონთა ოჯახისა აღდგენისანი».

ამ წერილში ყველაფერი შესანიშნავია, სიმარტივეც ისტორიული თვალაზრისისა, სტილიც და კეთილშობილებაც ბაგრატიონთა სულისა. თეიმურაზ ბატონი-შვილმა მოკლედ აღნიშნა არა მარტო ისტორია «ღეთის მერ დამყარებულის» და «ძველ გვარობით სწორ უპოვარის» ბაგრატიონთა სახლისა, არამედ სულცი იმ პოლიტიკისა, რომელსაც მისდევდნენ ბაგრატიონები მთელი მეთვრამეტე საუკუნე.

ამ პოლიტიკის საფუძველი იყო რუსეთის მფარველობის მოპოვება და საქართველოს ტახტის ბაგრატიონთა ხელში შენარჩუნება. მაშინდელი მდგომარეობის მიხედვით ესევე უნდა ყოფილიყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოხატულებაც, ცოტა მკრთალი, ეროვნულის სუვერენიტეტის თვალსაზრისით. მაგრამ ერთად ერთი ნაბიჯი წინ, რომ მომავრებულს და სულმოთქმულს ქართველ ერს ნამდვილი დამოუკიდებელი არსებობა შეექმნა. ბიზანტიანზედ მითითება ბაგრატიონების ამ ტრადიციული პოლიტიკის ისტორიული დასაბუთებაა. ბაგრატიონები გულანდილად ეუბნებოდნენ რუსებს, რომ მათი საშფოოს ისტორიაში ზშირად ყოფილა სუსტი წუთები, მაგ-

რამ ქრისტიანულის მოვალეობის მიხედვით ბიზანტია ესმარებოდა მათ და საქართველო ამითი ითქვამდა სულსო. ეს იდეა საურთიერთო დახმარებისა და შეღავათისა, ასე ნათლად თქმული ბაგრატიონებისაგან, მხოლოდ ჩვენს დროში ისხავს ხორცს და მხოლოდ ეზლა ხდება საერთაშორისო დამოკიდებულების ფუძედ. მაგრამ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის რუსეთისთვის ეს იდეა მიუღებელი აღმოჩნდა და ბაგრატიონები სწორედ ამ იდეას შეეწირენ მსხვერპლად. ნიჟიერი ანარქული იმ უზუყესი დინასტიისა, რომელიც დრო და დრო უდიდეს როლს თამაშობდა მთელს წინა აზიაში, ამაოდ უკითხავდა რუსებს ბიზანტიის ისტორიას. შორეული მაგალითი იყო არა მართო ბიზანტია, რუსებს ავიწყდებოდათ თვით ის სპარსეთიც, რომლის წინააღმდეგ საქართველო მათ იწვევდა, და რომელსაც, მაგალითი არ ყოფილა, რომ ბაგრატიონთა დინასტია გაეუქმებოს. რუსეთმა საქართველოს მფარველობა იმითი დაიწყო, რომ ისტორიულად დიქტატორი საკითხი ბაგრატიონთა დინასტიისა, სწორედ ბაგრატიონთა წინააღმდეგ გადასწყვიტა. ეს ეწინააღმდეგებოდა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებასაც და თვით ქართველი ხალხის სურვილსაც. თვით რუსებიც კი, რომლებიც დაპყრობის აშკარა განზრახვებით მოდიოდნენ საქართველოში, იძულებულნი იყვნენ მრავალჯერ მოეხსენებიათ თავისი იმპერატორებისათვის, რომ

«ქართველი ხალხი ბაგრატიონების ერთგულია». — «საკმაოა ბაგრატიონი სადმე გამოჩნდეს, რომ ქართველი ხალხი რუსეთის წინააღმდეგ აღჯანყდეს»-ო.

ბაგრატიონებს უცბად არ დაუყრიათ იარაღი. თეიმურაზ ბატონიშვილის ღირსებით სავსე სიტყვებს:

«არა ვართ ჩვენ გამოაჯნი მხოლოდ გლახაკებრივისა პურის ქამისანი, არამედ ყოველთვის სისხლ დათხევით მცდელნი ბაგრატიონთა ოჯახის აღდგენისანი», —

სამეფოს გაუქმების შემდეგაც, ორმოცი წელიწადი კიდევ ჰქონდა თილისშური მნიშვნელობა და ქართველობა ბაგრატიონებისათვის იბრძოდა, რადგანაც მათი ტახტის აღდგენაში თავისი დამოუკიდებლობის აღდგენას ხედავდა. უკანასკნელი დღენი ბაგრატიონთა საქართველოში ყოფნისა დრამატუზმით არის აღსავსე. ერთი მიზეზი ამ დრამატუზმისა ისიც იყო, რომ ბაგრატიონები ბევრნი იყვნენ. მათ ვერ მოახერხეს გაერთიანება და სიმწარის ფილა ცალცალკე შესვეს. მაგრამ, თქმა არ უნდა, ყველაზედ მწარე ბედი მათში საქართველოს უკანასკნელ დედოფალს მარიამსა ხვდა.

II

მარიამი მეორე ცოლი იყო გიორგი მეთვრამეტისა და ასული თავადის გიორგი ციციშვილისა. დაიბადა 1768 წელს და გიორგის, მაშინ ჯერ კიდევ ტახტის მემკვიდრეს. თოთხმეტის წლისა მისთხოვდა. ჯერისწერა მოხდა 1782 წელს, ტფილისში, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. რომელიც დღეს აღარ არსებობს და მაშინ კარის ეკლესიათ ითვლებოდა. მარიამი — «მშვენიერებითა ქალთა შორის ბრწყინვალო», როგორც ამბობს ისტორიკოსი, — გვირგვინ ქვეშ უფრო შეენოდა. მაგრამ უკვე გვირგვინის ქვეშ იგარნო ბატონის ახალგაზდა რძალმა, რომ ბედი ისე არ უზღვებოდა როგორც მის ნორჩ წლებს და მემკვიდრის დანიშნულს ეკადრებოდა. ჯვარის წერას არ დასწრებიან არც მეფე-დედოფალი, არც სამეფო სახლის წევრნი, არც კარის კაცი.



ეკლესიაში მხოლოდ იმდენი იყო, რაც თითონ ჯვარის წერისათვის იყო საჭირო და ირაკლის დიდებულ სასახლეშიაც საქორწილო სამზადისი არა ხდებოდა.

ამ გარემოებას თავისი დიდი მიზეზი ჰქონდა, ეს ჯვარისწერა გიორგის პირველი ცოლის გარდაცვალების სწორედ მეორმოცე დღეს ხდებოდა, რაც არ შეეფერებოდა არც სამეფო სახლის წესებს, არც ქართულ ჩვეულებას.

პირველის ქორწინებით გიორგი პაპუნა ანდრონიკაშვილის ასულ ქეთევანთან იყო შეუღლებული. ირაკლის განსაკუთრებით უყვარდა თავისი რძალი და მისმა სიყვდილმა სამეფო ოჯახი გამოუქმელ მწუხარებაში ჩააგდო. თვით ირაკლის მწუხარება, ისე დიდი იყო, რომ სთქვა: «ებლა კი დაიღუპა ჩემი ოჯახი!» — და, რა თქმა უნდა, გიორგის ახალ ქორწილს და ისიც ასე ნაჩქარევს ყველა უნძჩახად შეხვდა. გიორგი თითონ იყო მაღალ ზნეობიანი და ღრმად მორწმუნე ადამიანი, უყვარდა ქეთევანი, ცოლადაც განსაკუთრებულ პირობებში შეირთო და მისგან ცხრა შვილი ჰყავდა. ამას გარდა, ყველასგან საყვარელი ქეთევანი შშობიარობაზედ გარდაიცვალა. ამიტომ ფრიად უნაურია, რაზედ აჩქარდა გიორგი და ან პირველი ცოლის ხსენება რად მისცა ასე მეყვსეულად დაეჩვენებას, ან მეორე ცოლს რად გაუმართა ასე მოწყენილი ქორწილი.

მთელს ამ ამბებში, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა დაბადდა, მარიამი უღანაშაულა მსხვერპლი იყო ამ უნძჩახობისა და იმ თავისი ბედის, რომელსაც თოთხმეტი წლის ქალწული ასე უმადურათ მიჰყავდა სადღეოფლო გვირგვინისაკენ. მეფემ და დედოფლმა მხოლოდ მესამე დღეს მიულოცეს. პირის სანახავად ირაკლიმ ახალ რძალს ღვთისმშობლის ხატი და მარგალიტებითა და იაგუნდებით მორთული ძვირფასი გულის ამბარჯა მიართვა. დედოფლის პირის სანახავი უფრო ძვირფასი იყო. მარიამმა მიიღო სამოცდაათი მარგალიტისაგან ასხმული კრილოსანი, ოცდაათი იაგუნდის თვალი, ძვირფასი გულის ძეწკვი ოქროსი, საკაბე მძიმე ფარჩისა და ინდოეთის შალი. ახალგაზდა მარიამისათვის მეფე-დედოფლის საჩუქარი დიდი ალერსი და სიხარული იყო. მაგრამ მათი ტარება მაინც არ შეეძლო, რადგანაც ქეთევანის სიყვდილის გამო, მეფის ოჯახი ძაბებში იჯდა.

რაკი ქორწილი არ მოხდა, არც პატარძლის სასახლეში მიღებას ჰქონია ადგილი. ქათალიკოსმა და სამღვდლოთ, კარისკაცთა, თავადთა და აზნაურთ მეფის რძალს ცალცალკე მიულოცეს. ბაგრატიონთა სახლის ძველი ჩვეულების გამო, მარიამს, როგორც ტახტის მემკვიდრის მეუღლეს, თითონაც უნდა გაეღო შესაწირავი და სიონის ტაძარს ძვირფასი ბარძიმ-ფეშხუმი გაუგზავნა, რომელზედაც, სამის დიდი ალმასით გარემოებული, მაცხოვრის ხატი იყო გამოკვეთილი.

ეს ქორწილი ივლისში იყო და მხოლოდ ენკენისთვეში მოხდა ერთი ზეიმი და ისიც არა ტფილისში, რომელიც თითქოს ქორწილს უღრიდა და რომელმაც მარიამის ნორჩი გული ცოტა წაახალისა. ირაკლი მეფის ასულმა და იოანნე მუხრან-ბატონის მეუღლემ ქეთევანმა გიორგი და მარიამი მუხრანში მიიწვია. მუხრან ბატონები სანაქებოდ შეხვდნენ ახლად ჯვარდაწერილებს.

ირაკლის ასულნი იმ დროის შესანიშნავ ქალთა რიცხვს ეკუთვნოდნენ. მეფური ჩამომავლობის გარდა, მათ ედგათ მაღალი სული და ბაგრატიონთა ტრადიციულ ქნარს უკანასკნელად მათ დამღერეს. ქეთევანი ერთი მათგანი იყო. იმისი ქმარი, თი-



თონც ბაგრატიონი და მეფეთა შტო—პირველი პირი იყო სამეფოში და ბეჟუდნედ ამოტყრილი ჰქონდა:

ერთი მწამს ღმერთი,
ერთი ბატონი,
სარდალ-უხუცესი
მუხრან ბატონი.

ეს ქეთევანი იყო შემდეგში რომ თავისი ცნობილი «ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთომელი» დასწერა,—ელეგია აღსავეს დიდის გრძნობით და ნახის დარდით, რომელ-შიაც საქართველო და ბაგრატიონები გამოიტირა. მაგრამ მაშინ ეს მწუხარება ჯერ კიდევ მომავლის საქმე იყო და ამ წვეულების დროს ახალ რძალს მთელი თავისი პოეტური გული გადაუშალა.

ახლად ჯგერ დაწერილებს ქეთევან მუხრან- ბატონი თექვსეტი ქალის კრებუ-ლით შეგვდა. ეს იყო მშვენიერების მართლა ნამდვილი თაიგული, შეკრული უბადლო და საოცარის ყვაილებით განთქმულის ქართულის სილამაზისა. ამ ქალთა შორის ბრწყინავენ: პაატა ციციშვილის ასული სოფიო—გასათხოვარი და ჯერ ცამეტი წლისა, თუმანიშვილის ცოლი ქეთევან—დიდათ კეკელუცი, მყაშვილის ასული ნინო თოთხმეტი წლისა—საყვარელი მეფის გიორგისა, რომელსაც ეალერსებოდა თვით მეფე ირაკლი, ამირინდო ამილახვარის ასული თინათინ და განსაკუთრებით იმისი დედა თამარ—მშვენიერი და მეფეთა აღვრსი. დავით აბაშიძის ცოლი თინათინ, ორბელიანის ასული ბარბარე, ბარათაშვილის ცოლი ელისაბედ—სიტყვა მარჯვე და ზომით მთქმელი შესაქცევად მრავალთა, ზალ გურამიშვილის ცოლი ნინო და სხვანი.

მარიამმა ათი დუვიწყარი დღე გაატარა ამითში, სადაც- ლექსთა შორის, სა-მო საუბარი საოცარის როკით იცვლებოდა და სილამაზე სიუბუქეს ეცილებოდა. გასაოცარია ეს წლოვანება ამ ქალებს: მაშინდელი საფუძვლიანი აღზრდის წყალო-ბით, მალაღის წრის ცამეტ-თოთხმეტი წლის ქალებს თავისუფლად შეეძლოთ მეფეთა საზოგადოების დასწრება. ესლა წარმოდგენაც კი ძნელია, რაოდენად რჩეული საზოგა-დოება იყო ეს საზოგადოება, განათლებული და ზრდილი, გონება გაწვრთნილი რუ-სთაველის ღვთაებრივის ენით და გემო გამახვილებული ადვილის ქართულის ლექსით—ისე შეიცვალა იგი რუსების დამკვიდრების შემდეგ. მათი გულ-მკერდი დამშვენე-ბული იყო ოქრომუქელთა ხელოვნების საუცხოვო ნამუშევართი და ტანს ეცვათ ყო-ველივე ძვირფასი. რასაც გზავნიდნენ აბრეშუმის ქვეყნები აღმოსავლეთისა. თვალ-მარგალიტს თვლა არა ჰქონდა და მათზედ უკეთესი მხოლოდ მათი ცოცხალი თვალე-ბი იყვნენ.

ამ წვეულებას ნამდვილი შური შეეძლო აღქრა მათში, ვინც მას არ დაესწრო. მაგრამ დამსწრენი ისედაც ბევრნი იყვნენ. მართო გიორგის და მარიამს ახლდა ტფი-ლისიდან სამასი ცხენოსანი ქალი და კაცი. ქალებს თავთ-იალქანი ამშვენებდა, ხოლო კაცები იმ იარაღში და რახტში ისხდნენ, რომლითაც ჯერ კიდევ პატარა კახს ახლდნენ ინდოეთში.

მუხრანიდან მარიამმა თავისი ცხოვრების საუკეთესო შთაბეჭდილებანი წა-მოიღო. ეს შთაბეჭდილებანი შემდეგში აღარ განმეორებანი.

III

გიორგი ამ დროს ოცდათექვსმეტი წლისა იყო. ამ დღეებიდან ბევრი წელიწადი გავიდა, ვიდრე გიორგი და მარიამი მეფე-დედოფალი განდებოდნენ.

ახალგაზღვრებაში გიორგი იყო ლამაზი, მაღალი, წერწეტი და იწვოდა ვაჟკაცურის ცეცხლით. მაგრამ ის დააპყრო იმ შუქმა, რომელსაც ისროდა მისი დიდებული და დღეგრძელი მამა. იმ ორმოცდაათოთხმეტ წელიწადში, რომელიც მან იცოცნლა, ორმოცდათერთმეტი მეგვიდრედ გაატარა და სამი მეფედ. როგორც შვილი მამის პატივისმცემელი იყო. როგორც მეგვიდრე—მეფის ერთგული. მაგრამ გვირგვინის მატებაზე მხოლოდინმა და ისიც ისეთის თვითმპყრობელის მეფის ხელში როგორც ირაკლი იყო, ნდომა მოუკლა, წლებმა ჯანი მიხადეს. სარწმუნოებამ სიმძიმელში ჩააგდო და როდესაც ბებური არწივი თელავში თვალებს ხუჭავდა და გიორგის წინაშე ახალი ასპარეზი იშლებოდა, ის იყო, ხორციით სწეულებისაგან და სულით ლოკებებისაგან დამძიმებული, ხანში შესული კაცი. ქეთევანისაგან ნაყოფ ცხრა შვილს მარიამისაგან ახალი ცხრა შვილი დაემატა. სამეფოს საქმეებიც რიგზედ ვერ იყო და ირაკლის სიკვდილი კატასტროფად შეიძლება იქცეულიყო.

11 იანვარს, 1799 წელს, ირაკლის სიკვდილის დღეს, გიორგი ყაზახში იყო. ირაკლის დღეები დიდი ხანია დათვლილი იყო და ცოტა უცნაურია, რომ ამ დროს ტახტის მეგვიდრედ მომავკდავ მეფისაგან ასე შორს იყო. მაგრამ ამაში მისი მტრების ხელი ერია. გიორგის ეს ყაზახში ყოფნა ხელოვნურად იყო მოწყობილი, რომ მისი არ ყოფნით ესარგებლათ და ირაკლის სიკვდილის შემდეგ საქმე ისე მოეწყათ როგორც თითონ სურდათ.

თუმცა გიორგი ტახტის კანონიერი მეგვიდრედ იყო, მაგრამ თვით ეს მეგვიდრეობის საკითხი იყო ფრიად აწეწილი ირაკლის სახლობაში. შეიძლება ითქვას, რომ ერთი მიზეზი ბაგრატიონთა დინასტიის დამხობისა ეს საკითხიც იყო. ძველის კართულის წესით სამეფო ტახტი მამიდან უმფროს შვილზედ და მის ჩამომავლობაზედ გადაიოდა. ასევე იყო ირაკლის დროსაც და ტახტის კანონიერ მეგვიდრედ გიორგი ითვლებოდა, როგორც უმფროსი შვილი. მაგრამ ირაკლი საშუალო იყო ნაქორწილვი და შვილები ჰყავდა სხვა და სხვა ცოლისაგან. პირველის ცოლიდან მეფეს შვილები არა ჰყოლია. გიორგი—მეორე ცოლის, ანა დედოფლის ხელში ნაყოლი შვილი იყო. მაგრამ ანა მიიცივალა, როდესაც გიორგი ოთხი წლისა იყო და დანარჩენი სიცოცხლე ირაკლიმ დარეჯანთან გაატარა. სამეგრელოს მთავრის ასულთან და თავის შესამე ცოლთან. ყველაზედ საყვარელი შვილები ირაკლის დარეჯანისაგან ჰყავდა, მასთან გაატარა თავისი დიდების დღენი და, უნდა ვიფიქროთ, ცოლქმრული სიტუბაცია. უკვირანი დარეჯანის გავლენა დიდი იყო. წელთა განმავლობაში, როცა ირაკლი მოხუცდა, ეს გავლენა დარეჯანისა სრულ ბატონობად გადაიქცა და აღარც ირაკლის მოხუცება და ისიც დედოფლის ზვიადობისათვის წინააღმდეგობა გაეწია. დარეჯანმა მოახერხა და 1794 წელს მოხუც ირაკლის მეგვიდრეობის ისეთ ახალ წესზედ მოაწერინა ხელი. რომელიც ქართულს არა ჰგავდა და რომლის ძალით გიორგის შემდეგ ტახტი დარეჯანის შვილ იულონზედ უნდა გადასულიყო და არა გიორგის მეგვიდრედ დაეითხედ. ამბობენ, რომ ეს წესი შედგენილი იყო ოსეთა ყორღანიშვილის მიერ, დედოფლის მიღაბ-

ვარისაგან, რომელიც იმ დროის კარის კაცთა შორის სამართლიანად ყველაზედ საძაგელ პიროვნებად ითვლებოდა. ამ წესის უეარგისობას ირაკლი თვითონ მიხვდა და გიორგის წერილი მისწერა. რომელშიაც ატყობინებდა, რომ ახალ წესს უკანონოდ და გაბათილებულად სთვლიდა და ტახტი ძველის წესისამებრ გიორგის და მისი ჩამომავლობის ხელში უნდა დარჩენილიყო. მაგრამ ოთხი დღით ადრე სიკვდილისა ირაკლის კვლავ მოუტანეს ეს ანდერძი და ამბობენ, ვითომც სულთმობრძავე მეფეს ისევ დაემტკიცებინოს.

როგორცკი ირაკლი მიიკვალა, ამ ანდერძზედ ხმაშალა დაიწყეს ლაპარაკი და ამისგარშემო მთელი სამხადისი შეიქნა.

თვით ამ უკანონო ანდერძის ძალითაც ტახტი ჯერ გიორგიზედ უნდა გადასულიყო. მაგრამ ირაკლის სიკვდილის შემდეგ ქვრივი დედოფლის პარტია ამისი წინააღმდეგეც ვახდა და მეფედ პირდაპირ იულონის გამოცხადება უნდოდათ. მოკლედ, გიორგის წინააღმდეგ მთელი შეთქმულება იყო.

ვისაც ქვეყნისათვის გული სტკიოდა და სამეფოში არეულობა არ სურდა, ის თითონ გამოცხადდა ყაზანში გიორგისთან და ახალ მეფეს ერთგულება შეჰქვიცა. ყაზანის სოფელ სალ-ოღლიში გიორგის ვარშემო ასოცდათმა თავადმა და აზნაურმა მოიყარა თავი. გიორგის შეეძლო სალ-ოღლიდგან ტფილისში ჩამოსულიყო და იქ გამოცხადებინა თავი მეფედ. მაგრამ ტფილისში ჰირი იყო, ეს ავეიანებდა ირაკლის ცხედარის თელავიდან მცხეთაში მოსვენებას და ძალაუხებურად თელავს მთელი სამეფოს გულის ყურის შუაგულ ადგილად ხდიდა. თელავზედ იყო მიჰყრობილი არა მარტო ეს გულის ყური, მეფის ცხედარი იზიდავდა მისკენ აუარებელ ხალხსაც, რაც გიორგის მოწინააღმდეგეთათვის ფრიად ხელსაყრელი იყო, რომ ირაკლის სახელით. და მის ანდერძზე მითითებით, მათში მერყეობა და არეულობა შეეტანათ. ამიტომ გიორგიმ ამ შეთქმულობის სათავეში ჩაველა გადასწყვიტა და თავისი ერთგული ხალხით თელავს მიაშურა. მოწინააღმდეგენი გიორგის უმობრავო და უთაოსნო ადამიანად სთვლიდნენ. მაგრამ ისე სწრაფად გაჩნდა თელავში, რომ უკვე ამ სიჩაუქემ მოახდინა შთაბეჭდილება, როგორც მტრებზედ, ისე საზოგადოთ ხალხზედ. თელავში იგი იმ უნართით მოიქცა, რომელიც რიგიან ქართველ მეფეს შეეფერებოდა: იტირა მამა, მიუსამიძობრა ქვრივი დედოფალს. გადიხდა პანაშვიდი ყველა წარჩინებულთა თანდასწრებით და ბანა, რომ ერთგულობის ფიცი ყველას და ეხლავე იმ ოთახში მიიღო, სადაც ირაკლის ცხედარი ესვენა. გიორგიმ ისეთის სისწრაფით და ისეთის გაბედულებით მოაწყო ეს, რომ ფიცში მოჰყენენ მისი აშკარა მოწინააღმდეგენიც. ჯერი ეხლა თვით სამეფო ოჯახის წევრებზედ იყო მიმდგარი.

გიორგის მოახსენეს, რომ ბატონიშვილი ფარნაოზი ხმლით აპირებს მოხლომასო. გიორგიმ მრისხანე ტუქსვა შეუთვალა და ბატონიშვილმა მდუმარება არჩია. გიორგის ესევ მოახსენეს, რომ ქვრივი დედოფლის მილახვარი, ოსევა ყორღანიშვილი ხალხს აგულიანებს და მეფეს უჯეროდ ინსენიებსო. გიორგიმ მისი დაპატიმრება ბრძანა. ყორღანიშვილი დარეჯან დედოფლის ბინაზედ გადიმოლა და დედოფლის პატივისცემისათვის იქიდან აღარ გამოუყვანიათ.

დარეჯანი მიხვდა, რომ ნაძლევი უკვე წაგებული იყო და სხვა ხერხს მიმართა.



ეს ქალი ამ დროს მოხუცებაში იყო და გასაოცარია რამდენ სიმზნეს იჩენდა. მან განუცხადა მოციქულების პირით გიორგის, რომ თანახმაა მისი გამეფებისა, თუ დედოფლად ის იქნებოდა აღიარებული და არა გიორგის მეუღლე—მარიამი. პირველის შეხედვით გაუგებარია დანარჩენში უკვიანი და გამჭრიახი დარეჯანის ასეთი სურვილი. მან დაურიდებლად განაცხადა, რომ მშურს ვიმეფო ვითარცა რუსთ დედოფალმა ეკატერინემა—ო. დარეჯანი ეკატერინეს თანამედროვე იყო და კარგად იცოდა. რომ ბატონობას ეკატერინემ თავისი ქმრის წალჩობით მიიღწია. ირაკლი კი თავისთავად მოკვდა და შემკვიდრეც ისეთი დასტოვა, რომელსაც საკუთარი ცალი ჰყავდა. ასეთ პირობებში, დედოფალის სურვილი სრული შეუსაბამოება იყო. მაგრამ ეს შეუსაბამოება მხოლოდ ქვრივი დედოფალის თავგამოდების მაჩვენებელია და ნამდვილად იულონის გასამეფებლად წამოყენებული ზერხი იყო. მთავარი საქმე გიორგის ჩამოშორება იყო, თორემ დედა და შვილი ადვილად მორიგდებოდნენ.

დარეჯანმა თავისი სურვილი ხალხის წინაშე აშკარად დააყენა. როდესაც ქვრივი დედოფლის მოციქულებმა ეს საკითხი გადასაქრელად დიდებულებს და თელავის სასახლის წინ თავმოყრილ ხალხს წარუდგინეს, გამორჩევა, რომ ხალხის აბუჩად ავდებდა არც ისე ადვილი ყოფილა, საკითხის სიმრუდეს ყველა გრძნობდა. მაგრამ ყველა სდუმდა. ეს დუმილი ისეთი იყო, რომ მისი გამოყენება ორივე მხარეს შეეძლო, მაგრამ უკეთ გამოიყენებდა ის, ვისაც უფრო მეტი გამბედაობა ექნებოდა. დარეჯანის მომხრეებს რომ მაშინ მეტი გამბედაობა გამოჩინათ, არავინ იცის რითი გათავდებოდა საქმე და რა დაემართებოდა თვით გიორგის! იულონი ამ დროს ქართლში იყო და მომხრე ბევრი ჰყავდა. გიორგის პატარა მარცხი თელავში, იულონს გზას ტფილისისაკენ უკაფავდა. მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ გიორგის არასოდეს ხალხში სახელი არა ჰქონია, იულონის მაგივრად კი ლაპარაკობდა ძველი დედოფალი და ცალი იმ ირაკლისა. რომლის მნიშვნელობა ხალხში. სიკვდილის შემდეგაც დიდი იყო.

მაგრამ მაშინ ის შესანიშნავი სცენა მოხდა, რომელიც მხოლოდ მოედინებდნენ ხდება.

სამღვდელოთა წრიდან წინ წამოდგა ეპისკოპოსი ნიკოლოზ ხარჭაშენელი და მიმართა ხალხს:

— შე ყველაზედ უღირსი ვარ თქვენთაგანი და უკუა ჩემგან არ გესწავლებათ, მაგრამ რა ჰქვია თქვენში გზირის დედაკაცს?

— გზირის ცოლი! იგარიალა ხალხმა.

— მაშ როგორ გინდათ, რომ მეფის ცალი დედოფალი არ იყოს!

ამ მოკლე სცენის შობეუძლიება ისე დიდი იყო, რომ დარეჯანის მოციქულებმა ყრილობა დასტოვეს. გიორგიმ სამღვდელოებას უბრძანა, მეფის შემდეგ ეკლესიებში დედოფლად მარიამი მოეხსენებინათ და ცილისათვის სადღეოდღო ბეჭედი ამოაპურეინა.

მარიამი დედოფალი გახდა.



ამ რიგად ამ ქალმა ორჯელ განვლო მღელვარე წუთი, რამაც მის ცხოვრებაში დაუფიქრარი კვალი დასტოვა. ერთი—როცა თხოვდებოდა, მეორე—როცა დედოფალი უნდა გამხდარიყო. თავის ქმრის ოჯახში მუდამ მოწინააღმდეგე და მოცილე ჰყავდა. მაგრამ როგორც შეუღლე სამავალითო იყო, შვილებს გულმოდგინეთ შობდა და დედოფალი რომ გახდა უკვე შვიდი შვილის დედა იყო. სასახლის ცხოვრება, წვრილ-შვილიანობამ, ავადმყოფმა ქმარმა და სამეფოს მდგომარეობამ დიხჯ და ჩაფიქრებულ არსებთან აქციეს. დედოფალი რომ გახდა ოცდაათის წლისა იყო. იყო მშვენიერი როგორც უწინ, მაგრამ მზიარული არახადეს არა ყოფილა და განიცდიდა ქმრის გავლენას. როგორი იყო ეს გავლენა?

გიორგი მე-12-ეს ბევრი მძიმე, უძრავ და ხანტ ადამიანად სთვლიდა. ამ ადამიანს ბევრ რამეში ბედი არა ჰქონდა და ზოგი ამბავი, რომელსაც მაშინ მის ხასიათის შეფასებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მართლა მის წინააღმდეგ მეტყველებს. ცნობილია, რომ მან ვერ გამოიჩინა შესაფერისი თავდარივი ვერც ასპინძის ომში, საიდგანაც მისი შესანიშნავი მამა ასე გამარჯვებული გამოვიდა, ვერც აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, საიდგანაც დაიწყო საქართველოს დასასრულის დასაწყისი. მაგრამ ეს ამბები გიორგის ხასიათს ვერ ათავებენ და პირიქით უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი ბაგრატიონი საქართველოს ტახტზედ ფრიად ღრმა და რთული პიროვნება იყო. ის ანეკდოტები, რომლებიც მის შესახებ ვრცელდებოდნენ, მხოლოდ ჭორი იყო და უფრო მოწმობენ იმას. თუ რითი იტყვევდა თავს ქართველი საზოგადოება, საქართველოს ამ აღსასრულის წუთში, ვიდრე საქართველოს უკანასკნელი მეფის სურათს. ღრმა ქრისტიანე და მკოდნე სასულიერო მწერლობისა, რასაც ზოგი მუხმუხნელობადაც კი უთვლიდა, გიორგიმ განაოცარის ოსტატობით ათავსებდა თავის თავში ერთის მხრივ რუსთაველის ლიბერალურ კომენტატორს, რომლის ლექსი ჩინებულიდ იტოდა, მეორეს მხრივ—გოლტერის მოძულეს. სილამაზეს დიდი ხანია ხელი აღებული ჰქონდა მანზედ და ძველებურ სიჩაუქეს სხეულის სიმსივნე გადაჰფარებოდა. მაგრამ შერჩენე გასაოცრად ლამაზი ხელები, რომელთაც ეს უმოძრავო ადამიანი დღეში უანგარიშოდ იბანდა. უყვარდა გაცემა და ქისაში მხოლოდ მღუფარეში გამობარშულ ვერცხლს ატარებდა. და ეს მტკივნეულობამდე სუფთას მოყვარე ადამიანი საშინელი მოძულე იყო აღთაფის, რომელიც მუსულმანურ მსოფლიოში იმავე სისუფთავის ნიშანია. გიორგი მე-12-ისთვის «აღთაფის საკითხი» რასისა და კულტურის საკითხი იყო. ბევრი გადაჭრებულ მნიშვნელობას აწერდა იმას, რომ შვილი მამას არა ჰგავდა. ეკატერინე დიდი სწვრდა ვოლტერს: «ირაკლი ძლიერი ხელმწიფეა, კაცი თავიანი და გულადი». გიორგიზედ ასე არავის უწერია. ფრიდრიხ დიდი ამბობდა: «აქ მე ვარ ვეროპაში, აზიაში—ირაკლი!»-ო. არც ეს უთქვამს ვისმე გიორგიზედ. ნადირ-შაჰ დადიოდა ირაკლის სიტყვაზედ და მუდამ აღტაცებული იყო თქვესმეტი წლის უბატუის სამხედრო უნარით, გიორგი ასეთ მოწიწებას არახადეს არა ღრმავდა. მაგრამ აი შესანიშნავი მავალითი იმისა, რომ არაფერია არა მარტო დიდი კაცებისაგან მოძებული ატესტაცია, არაფერია თვით დიდი კაციც, თუ არის ერთი კუნუული მაინც, სადაც ერის გრძნობა შეღაბულია. ინილა გლენის რვა წლის პატარა გოგომ უცბად მოხადა ირაკლის ეს შარავანდები,



როდესაც თავში ქლიაიე ესროლა. აი ქართული ნაციონალიზმის მუდამ ფურჩინილი მაგალითი! როდესაც ამაღამ შეატყობინა გოგოს, რომ ამან საქართველოს მეფე შეურაცხო, გლეხის ქალმა უპასუხა: «ეგ რომ საქართველოს მეფე იყოს, თათრული ქუდი არ ეხურებოდა!»-ო. სიანს არიან საკითხები, რომელიც რვა წლის გოგოებსა და ბიჭებსაც უნდა აკითხონ. და გიორგის არა მარტო ესმოდა ეს, ის იყო წმინდა წყლის ნაციონალიტი. ირაკლი ორმოც წელიწადზედ მეტი იყო საქართველოს ძლიერი მეფე და თავისი დღენი თათრულ ქუდს ატარებდა. შეიძლება ითქვას, რომ ის სცევთავდა ამ ქუდს და ეს იყო უკანასკნელი თათრული ქუდი ქართულ თავზედ. მაგრამ როდესაც სიტყვა გორგი მე-12-ის ხასიათის სისუსტეზედ არის, უნდა ითქვას, რომ მასში ძლიერი იყო ეს რასიული სისპეტაკე და მეფის სათნოებათა შორის, ეს თვისება უკანასკნელი არ არის.

აი ასეთი ადამიანის ცალი იყო მარიაში, რა თქმა უნდა, თავისი ქმრის აზრებს ისიც იზიარებდა. ამას შეეძლო მისი სულიერად ამაღლება. მაგრამ ბოლოს და ბოლოს მარიაში შინც ქალი იყო და მას არ შეეძლო არ ეგრძნო, რომ მისი სილამაზე «ამაო მშვენიერებად» იქცა და წინაც სასიამოვნო არაფერი ელა.

მიუხედავად ამისა, იყო კიდევ მის ცხოვრებაში ერთი ზეიმი, საიდგანაც მას შეეძლო დაესვენა, რომ როგორც დედოფალი სამუდამოთ გამარჯვებული იყო. ეს ის შემთხვევა არის, როდესაც გიორგიმ რუსეთისაგან ინვესტიტურა მიიღო და გიორგი მეფემ და მარიამ დედოფალმა ანჩისხატის ტაძარში იგვირგვინეს.

1799 წელს, 10 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდნენ მეფის ელჩი პეტერბურგში გარსევან ჭავჭავაძე და მეფის კარზედ რუსეთის მინისტრად დანიშნული კოვალენსკი-გიორგის მდგომარეობა, როგორც მეფისა უფრო განმტკიცდა და მისი მოქმედებები, რომლებიც მას ტახტს ედავებოდნენ, უფრო ჩაჩუქდნენ, როცა ტფილისში შემოვიდა რუსის პოლკი გენერალ ლაზარევის მეთაურობით. ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი უკვე შეუღდა 1783 წლის ტრაქტატის განხორციელებას და გიორგის თავი დამშვიდებულიად შეეძლო ეგრძნო.

1799 წლის 1 დეკემბერს, ტფილისში დიდი ზეიმი იყო. სასახლის და ანჩისხატის ტაძრის შორის რუსის ჯარი იდგა ორპირად და მეფისა და იმის ამალის გამოსვლას ელოდა. პარადს რუსის გენერალი ლაზარევი განაგებდა. ვაისმა სამხედრო ბძანება და ჯარმა იარაღი მოიშნა. მეფე გიორგი და მარიამ დედოფალი ანჩისხატში მიდიოდნენ, რომ გვირგვინი ეკურთხათ. წინ კარის კაცნი მიუძღოდნენ და სამეფო რეგალიები მიჰქანდათ. გიორგის მელიდური და კმაყოფილი სახე ჰქონდა. გვერდში მარიაში მისდევდა. მათ უკან ტახტის შემკვიდრე მიდიოდა. ხოლო ტახტის შემკვიდრის შემდეგ, რუსის მინისტრი კოვალენსკი, როგორც მთავარი პირი გვირგვინის კურთხევაში და იმპერატორის წარმომადგენელი, კავალენსკის შემდეგ მთელი სამეფო სასახლეა იდგა, ხოლო მათ შემდეგ საქართველოს სარდლები, კარის კაცნი, თავადნი, აზნაურნი და მეფის მოხელენი. არ იყო მხოლოდ დარეჯან დედოფალი. ამ შეუპოვარმა ქალმა მიზეზი მაინც მოიხაზა და გვირგვინის კურთხევას არ დასწრებია.

ანჩისხატის ტაძარში მეფე-დედოფალს ანტონ კათალიკოსი შეხვდა მთავარ ეპისკოპოსებით, ეპისკოპოსებით და სამღვდლოებით. მეფე-დედოფალი საწიგნის



წინაშე წარსდგნენ, წაიკითხეს ფიციით აღთქმა რუსეთის იმპერატორების ერთგულებისა და ფიცის ფურცელს ხელი მოაწერეს. კათალიკოსი მიუხელოვდა მეფეს და გვირგვინი დაადგა. მეფემ თითონ აიღო სკიპტრა, შემოირტყა ხმალი, გადვიცდა რუსული ორდენის წმ. ანდრია პირველ წოდებულის ლენტი, გარემოიღვა პორფირი ყარყუმისა და დასჯდა ტახტს.

დაიწყო დედოფალის მორთვა. მარიამმა თითონ გადვიცდა რუსული ლენტი წმ. ეკატერინესი და მკერდზედ ბრილიანტების ვარსკვლავი დაიდო. ჩააცვეს, სადედოფლო კაბა გორნოსტაით მოდებული. თითონ დაიდგა თავსა ჯილა გვირგვინისა ძვირფასი და დასჯდა მეფის გვერდით.

გავიდა ჩვიდმეტი წელიწადი იმ სახსოვარი დღიდან, რაც თოხმეტი წლის მარიამი პირველად წარსდგა ღვთის წინაშე, როგორც გიორგის საცლოლო და გარშემო არავინ იყო, ეხლა ხალხიც ბევრი იყო და არც ეს უძველესი ანჩისხატის ტაძარი ჰგავდა ნათლისმცემლის პატარა ეკლესიას. შექმლო თავისუფლად ამოსუნთქვაც და წარსულის დაეიწყება. ბედმა ასწილ მიუხელო ის ოდესღაც ჩემი ქორწილიც და ისიც, რომ დარეჯანი დედოფლობას ეცლიებოდა. ის ჯერ ოცდაათი წლისა იყო, იყო მშვენიერი როგორც მაშინ და შექმლო დამტკბარიყო როგორც ამ ზეიმის გარეგანი ბრწყინვალეებით, ისე ჩემის გრძნობით პირადის ბედნიერებისა. მაგრამ ცერემონიალი გრძელდებოდა და დედოფალს არ შეეძლო არ შეენიშნა, რომ ამ ცერემონიის საგანი ეხლა მისი გერი, ტახტის მემკვიდრე დავითი იყო. მოუხუტუხუტე კარისკაცი დავითს გარს ეხვივნენ და მკერდზედ რაღაცა რუსულ ორდენს ადებდნენ. რომელსაც ამის შემდეგ დავითი მეფე-დედოფალს მიუახლოვდა და მათს შემდეგ ისევ პირველი ადგილი დაიჭირა, მარიამს თვალში თავისი პირშოო მიხეილი მოხვდა, რომელიც ამ დროს უკვე თხუთმეტი წლისა იყო და ამ ბედნიერების წუთში მისგან ასე შორს იდგა. მარიამი ფიქრებმა წაიღეს და ამ ფიქრებში ის ჰგავდა სხვა დედას და სხვა ქალს... დარეჯან დედოფალს!

V

ასე მოეწყო ამ ქალის ბედი. საქართველო გვირგვინ ქვეშ თითონ მოვიდა სხვის მაგიერ, სადედოფლო გვირგვინ ქვეშ სხვა უნდა მოსულიყო მის მაგიერ. დარეჯან დედოფალის ისტორია თავიდან იწყებოდა. გიორგიმ დარეჯანის შვილები დასტოვა უტახტო და უგვირგვინო. დავითს მარიამის შვილები უნდა დაეტოვებინა, ჭეშმარიტად რომ უკანასკნელი ბაგრატიონების მრავალ ცოლიანობა მათი დინასტიის ნამდვილი ტრადედია იყო.

ისტორიამ ცოტა სხვანაირად ინება. მარიამის შვილს საქართველოს გვირგვინი არ ღირსებია. მაგრამ ქვევით ვნახავთ, რომ დავითი აქ არაფერ შუაში იყო.

ტახტის მემკვიდრე დავითი გიორგის პირველი ცოლის ქეთევან ანდრონიკა-შვილის ხელში ნაყოლი შვილი იყო და ირაკლის სახლობაში ბატონიშვილის ახალ ტიპს წარმოადგენდა. თანამედროვეთა მოწმობით, ირაკლის შვილებში და შვილიშვილებში გონებით ყველაზედ მაღლა იდგა, იყო განათლებული და საგვარეულო ტრადიცია მწერლობის სიყვარულისა მასაც მოსდევდა. იჩენდა სამხედრო ნიჭსაც, რისთვისაც პაპას განსაკუთრებით უყვარდა. მისი სამწერლო შრომები მოწმობენ, თუ რა რი-



გის საკითხებით იყო შეპყრობილი მისი განება და რა ჩინებული ხელმწიფე უნდა დამდგარიყო. მაგრამ იყო რაღაც ცუდი მასში, ასე საერთოდ მეთვრამეტე საუკუნის ყველა ქართველისთვის.

მისი აღზრდა სახელ განთქმულ და «მალაშობლი» დავით რექტორს ებარა და მარტო აღმზრდელის ბრალი არ უნდა იყოს, რომ შეგირდი ვოლტერიაინი გამოვიდა. «ცუკია ფილასოფოსმა», როგორც ექახდნენ რექტორს, ბევრი რამ იცოდა ამ ცულუტე ქვეყნისა, მაგრამ არ ვიცით, რამდენად იყო ვოლტერიაინი თითონ რექტორი. უნდა ვიფიქროთ, რომ საბოლოოდ ვოლტერის აზრებს ბატონიშვილი რუსეთში ეწიარა. მიუხედავად ამისა, ბევრი ნაკლი ბატონიშვილის ხასიათისა აღმზრდელის სულმა უნდა ზღას.

დავითი ოთარ ამილახვარის ასულ ელენაზედ იყო დანიშნული. ეს არ იყო სიყვარულით ნიშნობა და მათი დაწინდვა, იმ დროინდელის ჩვეულების მიხედვით, ჯერ კიდევ ბავშვობაში მოხდა. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ რუსეთში ცხოვრების დროს ბატონიშვილს სხვა ქალი მოეწონა—ტატიშვილის ასული და მისი შერთვა მოინდომა. გიორგის ჯერ არ ესიამოვნა ეს ამბავი. რაც უნდა იყოს, ამილახვართან მეფეს ჰქონდა მიცემული სიტყვა. ამას გარდა, იყო ადრევეც ერთი შემთხვევა, იმავე ამილახვარის სახლთან მომხდარი, როცა ირაკლი მეფემ თავის დას ელენეს—ამილახვარზედ გათხოვილს—ქმარზედ ხელი ააღებინა. ამ გარემოებამ მაშინ ბევრი უსიამოვნობა დაბადა და გიორგის არა სურდა ასეთი რამ კვლავ გამეორებულიყო. მაგრამ ყველა მოსაზრებაზედ პოლიტიკურმა მოსაზრებამ გაიმარჯვა და რადგანაც გიორგი ყველაფერში რუსებზედ იყო მიწოდებული, მეგვიდარეს რუსის ქალის მოყვანის ნება მისცა. მიუხედავად ამისა, დავითის პეტერბურგიდან უცოლოდ დაბრუნდა და ერთსა და იმავე დროს ამილახვარიც მოიმდურა, ტატაშვილებიც. ამილახვარის თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად დავითის დანიშნული თეიმურაზ ბატონიშვილს, მის უნცროს ძმას შერთეს. ხოლო ტატიშვილის ასულზედ მეგვიდარის დაქორწინების საკითხი მეფემ პეტერბურგში მყოფ თავის ელჩს გარსევან ჰავჭავაძეს მიანდო.

მაგრამ ტატიშვილის ქალის შერთვას დავითი, ეტყობა, აღარ აპირებდა. სცხოვრობდა გარეთუბანში, სადაც ახალ სახლს იშენებდა, იცვამდა რუსულ მუნდირს, იპარსავდა უღვაშს, სწერდა არა უნიჭო ლექსებს, ვარსიყვებოდა ბაყალ ანტიკას ქალს და თავის ვოლტერიაინობას აშკარად აღიარებდა. როგორი იყო ეს ქართული ვოლტერიაინობა, გამორკვეული არ არის. მაგრამ დავითი პირველი არ იყო და მანამდე ადრე ამითი ნიკოლოზ ციციშვილი იყო ცნობილი, თელავის სემინარიაში გაზრდილი და თითქმის განგებ ესეც დავით რექტორის შეგირდი.

ადვილი წარმოსადგენია, რა ყოფაში უნდა ჩავგდო შეილის ასეთ საქციელს მამა. გიორგის უყვარდა დავითი, სთვლიდა გონიერ ადამიანად და მომავალ მეფედ, მისი საქციელი კი ასე არ შეეფერებოდა მის მომავალ დანიშნულებას. ერთხელ ვეღარ მოითმინა, შეილს სახლში მიიქრა და კედელზედ ჩამოკიდებული ვოლტერის სურათი ჯერ დაუხია. მერმე ბუხარში შეუგდო. მეფემ შეილს პატრი ნიკოლა მიუგზავნა, რომ უსჯულოებაზედ ხელი აეღო. გულმოსულმა დავითმა ელენაზედ ფალავანდიშვილის პირით შეუთვალა:—რაც შენ გწამს,—ის მე გამიწყრეს. რაც მე მწამს,—ის შენა! და ამის

შემდეგ, მამა-შვილს შორის სამუდამო უნძრანობა ჩამოვარდა. მემკვიდრე ავადმყოფ მეფეს აღარ ნახულვობდა და მის აღსასრულში დარწმუნებული სამეფოდ ემზადებოდა. მაგრამ, რაც მან ჩაიდინა, ამან მთელი საქართველო განაცვიფრა და მისი აღმზრდელი დავით რექტორიც კი ძრწოლაში ჩაავდო. ამდენ მეფეთა ჩამომავალმა, ტახტისა და სამეფოს იმედმა და ხვალის მეფემ ცოლად სომეხი ვაჟურის სიმონ ალა აბა მელიქის ქალი ხამფერვანი შეირთო, რომელიც ქართულსაც მოქცეულის კილოთი ლაპარაკობდა. ადვილი წარმოსადგენია მტერთა სიზარული და სისინი. ბაგრატიონთა სახლის სირცხვილის დასაფარად შეძრწუნებულმა მეფემ აბა მელიქს თავადობა მიუბოძა, ხალა მისი ასული ხამფერვანი მართლმადიდებელთა წესით ელენეთ იქნა მოწაღებული.

იყო ესეც ვოლტერიანობის ბრალი? ღმერთმა უწყის! ამბობენ, ვითომც ტახტის მემკვიდრე ქართველ სომეხთა გაერთიანებაზედ ფიქრობდაო. მაგრამ მონტესკიეს «სულისათვის კანონთა»-ს უგანათლებულეს მთარგმნელზედ უნდა ითქვას, რომ თავისმა საუკუნემ აწყინა. გიორგის შეეძლო არა სცოდნოდა, რომ ვოლტერთან მეგობრობა ოდესღაც შეფეთა «კარგ ტონს» შეადგენდა. მაგრამ დავითს არ ეპატიებოდა არცოდნა იმისი, რომ ბაგრატიონობა ისტორიულად ფრიად გარკვეული ქართული ცნება იყო და ახალის იდეებით იმისი ზედმეტად დაბარგვა არ იქნებოდა. ადამიანის ცოდნა ძველ დაყენებულ ღვინოს ჰგავს, რომელშიაც ყველა ახალი მოსავალი არ ჩაიხსმება.

მარიამ დედოფალი ყველა ამ გარემოებას ყურში იწვეთებდა და შეუძლებელია ტახტის მემკვიდრის ასეთ საქციელს მის გულში იმედის თესლი არ ჩაეგდო, რომ ოდესმე და სხვა პირობებში იქნება მის შვილს მიხვილს ხალხის თვალში უფრო მეტი მოწონება ჰქონოდა, ვიდრე მის გერს დავითს, რომელმაც ასე დაამდაბლა ბაგრატიონთა სახლი. გარდა ამისა ეტყობა, რომ ასეთი ფიქრების დროს დედოფალი წინდახედული იყო და ამას არსად ამბობდა.

მაგრამ ერთხელ, როდესაც დედოფალი ავადმყოფ მეფის ოთახში შევიდა, შიშით შენიშნა, რომ მეფეს ჩვეულებრივი სახის მეტყველება შესცვლოდა და იმის თვალბეჭდში სიკვდილი იხედებოდა. დედოფალს ჯერ ცრემლები წამოსცივდა, შემდეგ უთხრა:

«ბატონო, რას უბრძანებთ შვილებსა ამათ? ვის აბარებთ, თუ გვეწვია უბედურება რაიმე? დავითი უნდა იყოს ამათი პატრონი? ანუ თქვენი ძმები? ანუ დედოფალი?»
«დედოფალში» მარიამი დარეჯანს გულისხმობდა.

ქმ. პაპავა.

ს ა ძ ა რ თ ვ ე ლ ო ს მ ო ს ა ს ლ მ ო ზ ა

ყველასთვის ცნობილია ის გარემოება, თუ როგორის მიკერძოებითაა სახსე საბუთა სტატისტიკა. საერთოდ სტატისტიკის მეცნიერული მეთოდოლოგიის ძირითადი მოთხოვნა მის ობიექტულობაში გამოიხატება. წაართვით მას ეს უქანასკნელი და სტატისტიკაც უბრალო აღრიცხვით გადაიქცევა, დაკარგავს თავის მეცნიერულ სახეს.

ამიტომაც არის მაგალითად, როდესაც სახელმწიფო მობილიზაციის მიზნით ახდენს მუშა-საქონლის აღრიცხვას, ეს მეცნიერულათ გამოსადგმ მასალას ვერ მოგვცემს; მაგრამ როდესაც ამავე აღრიცხვას აწარმოებს არა პოლიტიკური ან სხვა ასეთი მიზნებით დაინტერესებული პირი, არამედ სტატისტიკურ-მეცნიერული ორგანიზაცია, ამას უკვე წმინდა სტატისტიკური აღრიცხვის ხასიათი აქვს.

საბუთა ქვეყანაში კი, ისევე, როგორც ცხოვრების ყველა დარგში, აქაც დიქტატურის გავლენას ვხედავთ. საუწყებო სტატისტიკაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: ის თავის ღირსეულ მშობლის—საბუთა აპარატის—ღირსეული შვილია. აქ ჩვენ ე. წ. სახელმწიფო სტატისტიკა გვინტერესებს. ეს უქანასკნელი—სახელმწიფო შეიქნა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ისე, როგორც: სახელმწიფო მრეწველობა, სახელმწიფო ვაჭრობა და სხ. მოკლეთ, აქაც გავრცელდა «პროლეტარული» სახელმწიფოს დიქტატურის პრინციპები, აქაც ჩაიხშო თავისუფალი, მიუდგომელი სიტყვა, როგორათაც საერთოდ იქნა ის განდევნილი თავის უქანასკნელ თავშესაფარიდან—მეცნიერულ კვლევის სფეროდან.

გკონომიური სტატისტიკა, რაც საერთოდ სტატისტიკის უუმნიშვნელოვანეს დარგათ ითვლება, გადაიქცა საგვემო კომისიის პერსპექტიულ გეგმების ხელოვნურათ გამამართლებელ-დამადასტურებელ დამატებათ და ამგვართ მთელი სახელმწიფო სტატისტიკაც—მისი ხელქვეით ორგანოთ.

დემოგრაფიული (მოსახლეობის) სტატისტიკა კი, შეიძლება ითქვას. არის ისეთი დარგი, რომელზედაც ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს თავის მეთოდების სახსებით გამოყენება, რადგან ჩვენ აქ საქმე გვაქვს ადამიანისა და მისი თვისების აღრიცხვა-შესწავლასთან, როგორიცაა: სქესი, (რომლის შეცვლაში თვით მრისსანე ჩვეც კი უძლურია). ეროვნება, ენა, წერა-კითხვის ცოდნა და სხ. მიუხედავით ამისა ამგვარი ცდა მაინც იყო ნაშმარი, რაც ნათლათ დაეტყო 1926 წ. 17 დეკემბრის აღწერის პროგრამას.

ჩვენ ხელთა გვაქვს ამ აღწერის მხოლოდ შემოკლებული ცნობები, რომელიც გამოიცა, თვით გამომცემელთა თქმით. მოსკოვის ნებდაურთველათ, ვინაიდან მას



(მოსკოვს) ეკუთვნის მასალების სრული და საბოლოო პუბლიკაციის უფლება. თვით აღწერის პროგრამაც მოსკოვის მიერ იყო შედგენილი წმინდა რუსულ პირობებთან შეფარდებით, რომ შორს არ წაიდგო, ჩვენ არ შეგუდებით ამ პროგრამის კრიტიკას. აქ მოვიხსენიებთ მხოლოდ იმ ერთსულოვან გულისწყრომას, რომელიც საქართველოს სტატისტიკური კონფერენცია წინააღმდეგ ამ პროგრამას. მაგრამ საქმარის იყო სტატისტიკის «ნაჩაღიკის» ბ. რუხაძის დამუქრება კონტრ-რევოლუციის მხილებით და სხვა ასეთებით, რომ უფლება აყრილი კონფერენცია ჩაჩუმებულიყო. მოსკოვის პროგრამა უცვლელად იქნა აღწერაში გატარებული, რითაც დამთავრებული იქნა დაპყრობის დღიდან დაწყებული, საქართველოს სტატისტიკის მოსკოვზე დაქვემდებარების წელი პროცესი.

მრავალგვარ ნაკლოვანებათა მიუხედავად, რაც გამოწვეული იყო: პროგრამის მხრივ—მცნებათა შეგნებულ გადამახინჯებით და აღწერის ტენიკის მხრივ—მოსახლეობის ხელისუფლებისადმი სრულ უნდობლობით, აღწერა მაინც საინტერესო მასალებს გვაძლევს.

მთელი მოსახლეობა საქართველოში 1926 წლის დამლევს 2.666.494 სულს შეადგენდა: მამაკაცები—1.347.513 და დედაკაცები—1.318.981. როგორც ვხედავთ აქ მამაკაცების რიცხვი აღმატება დედაკაცების რიცხვს 28.532-ით. ანუ ყოველ 1000 მამაკაცზე მოდის 978 ქალი.

მამაკაცების სიუარბეს იძლევიან უმთავრესათ აღმოსავლეთ საქართველოს მაზრები, დედაკაცებისას—დასავლეთი საქართველო. შესამჩნევ სიუარბეს მამაკაცებისას ვხედავთ ბორჩალოს მაზრაში: მამაკაცები—45.516, დედაკაცები—41.021, ანუ 1000 მამაკაცზე მოდის 901 ქალი. მამაკაცთა სიუარბე ახასიათებს აგრეთვე ახალქალაქის, ახალციხის, გორის, თელავის, სიღნაღის, ტფილისის და შორაპნის მაზრებს, აფხაზეთს და აჭარას.

დანარჩენ მაზრებში კი, წინააღმდეგ. ყოველგან ქალთა სიუარბეა. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს რაჭის მაზრა: 28.527 მამაკაცი და 37.043 დედაკაცი ანუ 1000 მამაკაცზე მოდის 1300 ქალი. შემდეგ. ზემო-სვანეთი: 1000 მამაკაცზე მოდის 1150 ქალი. ნამდვილათ სქესთა ამგვარი განაწილება ამ ორ მაზრაში წარმოუდგენელია. აქ, მუდმივი მოსახლეობის მიხედვით, შესაძლებელია მამაკაცების სიუარბესაც ექნეს ადგილი. იმ სურათის ახსნა კი, რომელსაც ზემო მოყვანილი ციფრები გვაძლევს, მდგომარეობს იმაში, რომ ზამთრის პერიოდში წარმოებულ აღწერაში არ მოყვა სარეწავზე გასული მოსახლეობა (მამაკაცები), რაც ეგრერიგათ ახასიათებს ამ ორ მაზრას. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიგრაციის აღრიცხვა-შესწავლის გარეშე ნამდვილი წარმოდგენა სქესთა განაწილებაზე არ შეიძლება ვიქონიოთ.

ერთი ან მეორე სქესის სიუარბეს ბევრ სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან. გავრცელებულია აზრი, რომ კულტურულათ დაბლა მდგომ ხალხს მამაკაცების სიუარბე ახასიათებს. მაგრამ ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილ მაგალითების მიხედვით (სადაც ფართო მიგრაციას აქვს ადგილი) ეს მარტივი ფორმულა არ მართლდება; აგრეთვე არ მართლდება ის ბევრ სხვა შემთხვევებშიც, მაშინაც, როდესაც მიგრაციას სულ უმნიშვნელო გამოხატულება აქვს. ამაში ჩვენ გვარწმუნებს თუნდაც ის საბუთი, რომ წერა-კითხვის



მიხედვით საქართველოზე ბევრათ დაბლა მდგომი რუსეთი იძლევა არა მამაკაცთა, არამედ დედაკაცთა სიჭარბეს: 1000 მამაკაცზე მოდის 1094 ქალი. იმავე დროს მასზე ეკონომიურათ და კულტურულათ წინ მდგომი უკრაინა იძლევა რუსეთზე ნაკლებ სიჭარბეს დედაკაცებისას: 1000 მამაკაცზე მოდის 1.059 ქალი.

ასეთი მავალითების მოყვანა შეიძლება აგრეთვე მრავლათ ევროპის და ამერიკის სტატისტიკიდანაც. რაც ნათლათ გვეუბნება, რომ აქ ძნელია კონკრეტული ფორმულით ლაპარაკი. რომ აქ კანონზომიერების განსაზღვრისთვის საჭიროა შესწავლილი იქნეს მოვლენათა რთული კომპლექსი, რომელიც შესდგება როგორც რასიული, ისე კულტურული და სოციალ-ეკონომიური მომენტებიდან.

როგორია საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა — ამას გვაჩვენებს შემდეგი ცხრილი:

ქართველები	1.788.186 *)	67,3 პროც.
სომხები	307.018	11,7 »
აზერბეიჯ. თურქები	137.921	5,3 »
ოსები	113.298	4,3 »
რუსები	96.085	3,6 »
აფხაზები	56.847	2,2 »
ბერძნები	54.051	2,1 »
ებრაელები	30.534 **)	1,2 »
დანარჩენი ეროვნებანი	60.267	2,3 »
სულ	2.644.207 ***)	100

როგორც ამ ცხრილიდან ვხედავთ, ორ მესამედს საქართველოს მოსახლეობისას ქართველები შეადგენენ. დიდ პროცენტს (11,7) იძლევა სომხობა. დანარჩენი ეროვნებები იძლევიან მცირე პროცენტებს და კმნიან ერთი მეორესთან უმნიშვნელო ინტერვალებს.

ეროვნების ციფრებთან ერთად საინტერესოა მოვიტანოთ მოსახლეობის განაწილების ციფრები დედა-ენის მიხედვით. რათა დავინახოთ, თუ როგორი ასიმილიაციის გავლენაშია მოქცეული ესა თუ ის ეროვნება.

მოსახლეობის განაწილება დედა-ენის მიხედვით.

ქართული დედა-ენით	1.877.965	70,5 პროც.
სომხური »	228.709	8,6 »
თურქული »	177.907	6,7 »
ოსური »	109.909	4,1 »
რუსული »	120.159	4,5 »
აფხაზური »	48.058	1,8 »
ბერძნული »	41.170	1,5 »
ებრაული »	4.848	0,2 »

*) მთელ საბჭოთა კავშირში—1.821 ათასი სული.

**) ამათში, ქართველი ებრაელი—20.897.

**) ამას გარდა აღრიცხულია 22.287 უცხო ქვეყნებში, ეროვნების უჩვენებლათ.

ამ ციფრებიდან საკმაოდ ნათლათ სჩანს ის სიძლიერე ქართული კულტურისა რომლითაც ის ახდენს თავის ენის გავრცელებას სხვა ეროვნებებზე. თუ აქ მოტანილ ციფრებს შევადარებთ ეროვნებათა ზვედრითი წონის ციფრებთან (პირველ ცხრილში) დავინახავთ, რომ 3,2 პროც. მთელი მოსახლეობისა საქართველოში, რომელიც არა ქართულ ეროვნებებს ეკუთვნის, თავის დედა-ენათ სთვლის ქართულს; და ეს არა გამყვებულ და ადმინისტრაციულ ძალდამტანე ერის ენას, არამედ მთელ საუკუნუნე მეტს პოლიტიკურათ დამორჩილებული ერის და მის, ოფიციალურ სმარებებიდან გაძევებულ ენას.

ენის გავრცელების პროცენტულ სიძლიერეს, შედარებით ეროვნებათა ზვედრითი წონასთან, იძლევა, ქართულს გარდა, მხოლოდ თურქული და რუსული ენები. პირველი, ჩვენის აზრით, უბრალო სტატისტიკურ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს, რადგან ეროვნებათა ცხრილში მოცემულია მხოლოდ აზერბაიჯანის თურქები; სხვა თურქები და თათრები დანარჩენ ეროვნებათა ჯგუფშია მოქცეული. თურქულ ენაში კი ყველა ესენი ერთადაა აღრიცხული. რაც შეეხება რუსული ენის სიდიდეს, რუსთა რაოდენობასთან შედარებით, ეს აიხსნება რუსული კულტურის ძალით დამყნის პოლიტიკით, რომლითაც რუსეთი საქართველოში შემოდიოდა. მაგრამ ეს მიღწევები რუსეთისა უფრო ისევ უცხო ეროვნებებზე ვრცელდება, რასაც ჩვენ შემდეგით დავინახავთ:

რუსულ ენას დედა-ენათ სთვლის ქართველების მხოლოდ 0,1 პროც., ანუ 1000 ქართველებზე—ერთი.

საქართველოში მყოფ რუსების 1,3 პროც. კი ქართულს სთვლის დედა-ენათ, ანუ 1000 რუსზე—ცამეტი. ე. ი. ქართული ენის გავლენა რუსებზე ცამეტჯერ დიდია, ვიდრე რუსული ენისა ქართველებზე.

ქართული, დედა-ენათ აქვს მიჩნეული სომეხთა მოსახლეობის 24,1 პროცენტს, აბხაზთა მოსახლეობის 15,7 პროც., ოსთა მოსახლეობის 2,9 და თურქთა მოსახლეობის 0,1 პროცენტს.

რუსული ენა, თავისათ აქვს მიღებული სომეხთა მოსახლეობის 1,7 პროცენტს, თურქების მოსახ. 0,1 პროც., აფხაზების მოსახ. 0,1 პროც. და ოსების მოსახ. 0,1 პროცენტს.

როგორც ვხედავთ ქართული ენის გავრცელება სხვა ეროვნებებზე გაცილებით მეტია ვიდრე რუსულის.

ეს ციფრები ვხედავთ მხოლოდ სრული ასიმილიაციის საკითხს—სხვა ეროვნების ენის თავისათ აღიარებას. რაც შეეხება ენის უბრალო გავრცელებას—მის ცოდნას. აქ ქართულს აუცილებლათ მეტი პოზიციები აქვს, ვიდრე ეს სჩანს ჩვენ მიერ მოტანილ მასალებით, მაგრამ ენების ცოდნის აღრიცხვა აღწერის პროგრამით არ იყო გათვალისწინებული, რის გამოც მოკლებული ვართ საშუალებას შევისწავლოთ ეს მეტად საინტერესო საკითხი.



როგორია ზემო დასახლებულ ეროვნებათა განაწილება ქალაქ და სოფელ ადგილებს შორის:

	ქალაქათ	პროც.	სოფლათ	პროც.	სულ	პროც.
ქართველები	286.756	16,0	1.501.430	84,0	1.788.186	100
სომხები	149.545	48,7	157.473	51,3	307.018	100
აზერბაიჯან. თურქები	6.588	4,8	131.333	95,2	137.921	100
ოსები	5.068	4,5	108.230	95,5	133.298	100
რუსები	70.403	73,0	25.682	27,0	96.085	100
აბხაზები	2.573	4,5	54.274	95,5	56.847	100
ბერძნები	8.878	16,4	45.173	83,6	54.051	100
ებრაელები	24.321	79,7	6.213	20,3	30.534 *)	100
დანარჩენი ეროვნებანი	31.156	51,7	29.111	48,3	60.267	100
უცხო ქვეყნელები	8.933	40,1	13.354	59,9	22.287	100
სულ	594.221	22,3	2.072.273	77,7	2.666.494	100

ქალაქებში დასახლების დიდ პროცენტს იძლევიან რიგ-რიგობით: ებრაელები (თითქმის 80 პროც.), რუსები (73 პროც.) და შემდეგ სომხები (48,7 პროც.). მეტად დაბალ პროცენტს გვიჩვენებენ: აზერბ. თურქები (4,8), აფხაზები (4,5) და ოსები (4,5). ქართველების ქალაქებში დასახლების პროცენტიც (16,0) დაბლათ უნდა ჩაითვალოს.

საერთო დონე საქართველოს ურბანიზაციისა 22,3 პროცენტით განიზომება, ე. ი. ერთ მესუთედზე მეტი საქართველოს მოსახლეობისა ქალაქურია. 1897 წლის აღწერით საქართველოს მთელი მოსახლეობა შეადგენდა 1.813.938 სულს (1926 წელში—2.666.494). მოსახლეობის საერთო მატების პროცენტი ამ 30 წლის განმავლობაში 39,3 პროცენტს უდრის. შედარებით ამ მატებასთან ქალაქის მოსახლეობის ზრდა ბევრათ უფრო ძლიერია: 61,2 პროც., ანუ საშუალო წლიური ზრდის—თითქმის 2 პროცენტი, რაც შეიძლება ურბანიზაციის (გაქალაქება) საქმით სწრაფ ტემპით იქნას მიჩნეული. ამის მიუხედავად, საქართველო ამ მხრივ დიდათ ჩამორჩენილია ევროპის სახელმწიფოებზე, სადაც ურბანიზაციის დონე 80 პროცენტამდეც კი აღწევს.

საუკროთ ცრახტთ აქვე მოვიტანოთ ცნობები ჩვენი მთავარი ქალაქების მოსახლეობის შესახებ.

ქ. ტფილისის ორივე სექსის მოსახლეობა უდრის 294.044 სულს; 147.349 მამაკაცი და 146.695 დედაკაცი.

ეროვნების მიხედვით მისი მოსახლეობა შემდეგნაირათ ნაწილდება: ქართველი—112.206 ანუ 38,5 პროცენტი, სომხები—100, 148 ანუ 34,4 პროცენტი, რუსი—45.836 ანუ 15,8 პროცენტი. ყველა დანარჩენი მრავალი წერილი ეროვნებანი, რომელთაგან თვითელი არ აღემატება 2 პროც., ერთად შეადგენენ მოსახლეობის—11,3 პროცენტს.

*) აქედან არა ქართველი ებრაელები: ქალაქათ—9.318 (93,6 პროც.), სოფლათ—633 (6,4 პროც.), სულ 9.951 სული.



როგორია ტფილისის ამ სამ მთავარ ეროვნებათა დინამიკა? ამის გასარკვევათ (რადგან სხვა აღწერები არ არსებობს) ვსარგებლობთ მხოლოდ სამი იარაღით:

	1897 წ.	პროც.	1922 წ.	პროც.	1926 წ.	პროც. *)
ქართველი	42.205	26,4	80.684	34,6	112.206	38,2
სომეხი	47.133	29,5	85.309	36,5	100.148	34,1
რუსი	47.589	29,8	38.612	16,5	47.843	16,3

1897 წელში, როგორც აქ ვხედავთ, პირველ ადგილზე იყვნენ რუსები, მეორეზე—სომეხები და მესამეზე—ქართველები.

1922 წელში საგრძნობლად გაზარდია სომეხები, როგორც აბსოლიუტური რაოდენობით, ისე თავისი ხვედრითი წილით. აქ, გასაბჭოების პირველ წლებში, მეტად დაკლებულს ვხედავთ პროცენტს რუსი მოსახლეობისას, დაკლებულია აგრეთვე მისი აბსოლიუტური ოდენობაც. ის აქ პირველ ადგილს სომეხებს უთმობს და მესამეზე ჩამოდის.

რევოლუციის შემდეგ, ტფილისის, საგუბერნიო ცენტრიდან, საქართველოს დედაქალაქთა გადაქცევის გამო, ჩვენ ვამჩნევთ აქ ქართველების სწრაფ ზრდას. ამასვე ხელს უწყობს მეორე საგუბ. ცენტრის—ქუთაისის სამხარო ქალაქთა გადაქცევა—მისი ძველი ადმინისტრაციული და კულტურული მნიშვნელობის შესუსტება, აქ არსებული ეროვნული მაჯისცემის ტფილისში გადატანა. ეს ლტოლვა ქართველებისა ტფილისში, დაპყრობის შემდეგაც არ შენელებულა და 1926 წელში, მიუხედავად, დაპყრობით გამოწვეულ რუსთა დიდი აბსოლიუტური ზრდისა (1922 წლიდან 1926 წლამდე რუსების რიცხვი გაიზარდა 38,8 ათასიდან 47,8 ათასამდე) და სომხურ მოსახლეობის აბსოლიუტური ზრდის შეუწერებლობისა, ქართველები პირველთა უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში, თავისი ხვედრითი წილით იჭერენ პირველ ადგილს, 4,1 პროცენტით სპარაობენ სომეხებს და საგრძნობლად უკან სტოვებენ რუსებს. ეს მონაპოვარი ქართული ეროვნული თვითშეგნების, მის გაღვივებულ და ამიერიდან შეუდრეკელ კულტურას მიეწერება. ეროვნულმა სულმა თვისი ცხოველყოფილი ძალით თავისი გაიტანა: ის აქ უფრო ძლიერი აღმოჩნდა დამპყრობელთა ძალაზე და იმ მწვავე პოლიტიკურ-ეკონომიურ რეჟიმზე, რომელიც საქართველოში გამეფდა.

კიდევ უფრო მკვიდრათ ხდის ქართველებას პირველობის ტფილისში მოსახლეობის დედაენის მიხედვით განაწილება. ვლებულობთ იმავე სამი ეროვნების ენას, რადგან ყველა დანარჩენ ენებზე მოლაპარაკენი ერთად 8,1 პროც. შეადგენენ მოსახლეობა ქართული დედაენით, მთელი ტფილისის მოსახლეობის 44,3 პროცენტს შეადგენს; სომხური დედაენით 27,7 პროც. და რუსულით—19,9 პროც.

ქართველები, ეროვნული განაწილების ციფრებთან შედარებით, დედაენის მიხედვით იგებენ 8,1 პროცენტს მთელი ტფილისის მოსახლეობისას. რუსები, რაც ადვილი ასახსნელია,—3,6 პროც. სომეხები კი კარგავენ—6,4 პროცენტს.

*) 1926 წლისთვის პროცენტების გამოანგარიშება ხდება ისე, როგორც ის არის ნაანგარიშევი წინა თარიღებში: 1) უცხო ქვეშევრდომნი ჩათვლილი არიან ეროვნებათა განაწილებაში, 2) უკრაინელები და ბელარუსები ჩარიცხულია რუსებში.

როგორც მოტანილ ციფრებიდან სჩანს, გაელენის გავრცელებაზე ორი ენა მეტოქეობს ტფილისში და აქედანვე სჩანს, რომ ამ მეტოქეობაში ორჯერ მეტ ძალას ქართული ენა იჩენს. ამის ნათესაყოფათ მოვიყვანო შემდეგს: ყოველ 1.000 არაქართველ მოსახლეობაზე მოდის 108—ქართული დედა-ენით, ანუ ტფილისის უცხო ეროვნებათა ერთ მეათედზე მეტს ქართული მიუღია დედა-ენათ. 1.000 არარუსზე კი მოდის 53—რუსული დედა-ენით, რაც ქართული ენის იმეო ორჯერ მეტ სიძლიერეზე ლაპარაკობს და ეს მაშინ, როდესაც მთელი ათეული წლების განმავლობაში, პოლიტიკურ ბატონობის გარდა, რუსებს ეკირა რიცხოვნობის მხრივ ტფილისში პირველი ადგილი და ქართველებს კი—მესამე.

საქართველოს ქალაქთა შორის მეორე ადგილი ბათუმს უკავია. მისი მოსახლეობა 48.474 სულს შეადგენს. გასაბჭოების პირველ ხანებში (1922 წელში) ანუ დამოუკიდებელ საქართველოს შემდეგი უახლოეს პერიოდში მისი მოსახლეობა 60,5 ათას სულს უდრიდა. შემდეგში, ბათუმის ნავთსადგურის დაკეტვამ და საიმპორტო ცენტრების ნოვოროსისკში და ოდესაში გადატანამ კ. ბათომი სრულ დაქვეითებამდე მიიყვანა ეკონომიურათ, რის შედეგათაც მოსახლეობის რიცხვი 60,2 ათასიდან 48,5-მდე დაეცა.

მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას ქალ. ბათუმში შემდეგი ციფრები გვაჩვენებს:

		პროც.
ქართველები	17.804 *)	38,6
სომხები	10.233	22,2
რუსები	8.760	18,9
ბერძნები	2.844	6,2
დანარჩენი ეროვნ.	6.540	14,1
სულ	46.181	100

როგორც ტფილისში, აქაც იგივე საში მთავარი ეროვნება იძლევა დიდ პროცენტებს და აქაც იმავე რიგით არიან ისინი განაწილებული. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ბათუმშიც არა აბსოლიუტური უმრავლესობის მქონენი არიან და მისი ხვედრითი წილი იგივეა, რაც ტფილისში, მაინც აქ მათი პირველობა უფრო საგრძნობათ გამოსჩანს—მეორე ადგილზე მდგომი სომხები დიდ ინტერვალთ არიან დაშორებული ქართველებთან.

რუსების დიდი პროცენტი აიხსნება ბათუმში დაბანაკებულ რუსული ჯარის სიდიდით.

ტფილისიდან განსხვავებულ მდგომარეობას ეროვნებათა განაწილებაში ბათომი იძლევა კიდევ, როგორც მოსალოდნელი იყო. ბერძნების საგრძნობი პროცენტით (6,2) და დანარჩენ ეროვნებათა ჯგუფით (14,1 პროც.). რათა ეს უკანასკნელი შესადარებელი გავხადოთ ტფილისის ციფრებთან, საჭიროა ბერძნებიც ჩარიცხული იქნას დანარ-

*) მათ შორის აჭარლები: 2.046.

**) ამას გარდა უცხო ქვეშევრდომი—2.293.



ჩენ ეროვნებათა ჯგუფში. მაშინ ეს ჯგუფი ბათომში მოგვეცემს 20,3 პრ. ტფილისში კი, როგორც ვიცით, დანარჩენ ეროვნ. ჯგუფი 11,3 პროცენტს შეადგენს. ამნაირათ სამ მთავარ ეროვნებათა გარდა, ბათომში, სხვა ეროვნებები თითქმის ორჯერ მეტი ზედერთი წონის მქონენი არიან, ვიდრე ტფილისში.

ბათომის შემდეგ სდგას ქ. ქუთაისი, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 48.196 უდრის. მეოთხე ადგილი უკავია ქ. სოხუმს—21.568 მცხოვრ. და მესამე ქ. ფოთს—13.137 მცხოვრებით. ქუთაისი და ფოთი წმინდა ქართული ქალაქებია; პირველში ქართველები (ქართ. ებრაელების ჩათვლით) 92,6 პრ. შეადგენენ, მეორეში კი—88,3 პროც. ამ მხრივ მხოლოდ ქალ. სოხუმი წარმოადგენს ინტერესს.

როგორია სოხუმის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა?

		პროც.
ქართველები (ქარ. ებრ. ჩათვლით)	5.237	27,2
რუსები	5.104	26,5
სომხები	2.023	10,5
ბერძნები	2.298	11,9
აფხაზები	658	3,4
უკრაინელები	2.234	11,6
დანარჩენი ეროვნებანი	1.723	8,9
სულ	19.277 *)	100

როგორც ვხედავთ, ეს პატარა ქალაქი ეროვნულ ერთფეროვნებას უფრო მოკლებულია, ვიდრე ტფილისი და ბათომი.

პირველ ადგილზე აქაც ქართველები სდგანან, ხოლო თუ ქართველ ებრაელებს გამოვაკლებთ, მაშინ ეს რიცხვი თანასწორობას იძლევა რუსების რიცხვთან. თითქმის ასეთივე თანასწორობის მდგომარეობაში არიან ერთი მეორესთან სომხები, ბერძნები და უკრაინელები. საერთოდ აქ ყველა მოყვანილი ეროვნებები მძლავრათ არიან წარმოდგენილი გარდა თვით აფხაზებისა, რომელთა რიცხვი აფხაზეთის დედა-ქალაქში მხოლოდ 658, ანუ 3,4 პროცენტით განისაზღვრება.

საინტერესოა აგრეთვე განვიხილოთ აჭარის და აფხაზეთის მოსახლეობა.

ნახევარზე მეტი სამუსლიმანო საქართველოს იმ ნაწილისა, რომელიც დამოუკიდებლობის დროს საქართველოს საზღვრებში შემოდიოდა, რუსეთმა, როგორც ვიცით, ოსმალებს გადასცა იმ დახმარებისათვის, რომელიც ამ უკანასკნელებმა მას საქართველოს დაპყრობაში აღმოუჩინეს. ეხლანდელი აჭარის მოსახლეობა, ბათომის ჩათვლით, 131.957 სულს უდრის, რომელთაგან ქართველების რიცხვი—90.314 ანუ 70,2 პროცენტს შეადგენს. სოფლის მოსახლეობა კი (მთელი მოსახლეობა ბათომის გამოკლებით) კიდევ უფრო ქართულია. ამ მოსახლეობის საერთო რაოდენობა—83.483 სულს უდრის, რომელთაგან ქართველთა რიცხვი შეადგენს—72.510, ანუ 87,0 პროცენტს.

*) ამას გარდა უცხო ქვეშევრდომი—2.291.



სხვა სურათი გვაქვს აფხაზეთში, მისი მოსახლეობის საერთო რიცხვი (ქალაქების ჩათვლით) 201,018 სულს უდრის. ამათგან:

ქართველები	67.494	36,3 პროც.
აზხაზები	52.918	30,0 »
სომხები	25.677	13,9 »
ბერძნები	14.045	7,6 »
რუსები	12.553	6,7 »
უკრაინელები	4.647	2,5 »
დანარჩენი ეროვნებანი	5.670	3,0 »
სულ	186.004 *)	100 »

აქ ყველა ეროვნებები ძლიერათ არიან წარმოდგენილი. ქართველები პირველ ადგილზე სდგანან და 6,3 პროცენტით სუპარბობენ მეორე ადგილზე მდგომ აზხაზებს. მესამე ადგილი უჭირავთ სომხებს, რომელთა აქ ჩასახლების პროცესი ეხლაც გრძელდება და მეოთხე—ბერძნებს. მიუხედავად, რუსეთის მიერ, დაუფარავ გამარჯვებულ პოლიტიკის წარმოებისა და თავის კერიდან აყრილ აზხაზთა ნაცვლათ რუსების მთელი სოფლობით ჩასახლებისა, ეს ეროვნება მაინც არ იძლევა დიდ პროცენტს და სდგას მხოლოდ მეხუთე ადგილზე. შემდეგ მოდის უკრაინელები და დანარჩენ ეროვნ. ჯგუფი. მოტანილ ციფრების გარდა, ეროვნებათა ასეთ სიჭრელში, ყურადღებას იპყრობს კიდევ, ძალზე დიდი რიცხვი (15.012) უცხო ქვეშევრდომთა.

დაბოლოს შევხვებით წერა-კითხვის ცოდნის გავრცელებას საქართველოში. როგორც მოსალოდნელი იყო, წერა-კითხვის ბევრათ მეტ გავრცელებას დასავლეთ საქართველოს მაზრები იძლევა. გვაქვს ისეთი მაზრებიც, რომლებიც ამ მხრივ ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოების დონემდეც კი აღწევენ: ფოთის რაიონში წერა-კითხვის მცოდნეთა პროცენტი—71,1 უდრის, ოზურგეთის მაზრაში—63,1, რაჭის მაზრაში—66,0 (აქ კიდევ მაღალ დონეს ექნება ადგილი, თუ მხედველობაში მივიღებთ სარეწავნე გასულ მოსახლეობას, რომელიც თავის უდიდეს ნაწილში წერა-კითხვის მცოდნე არის). ქუთაისის მაზრაში—49,7, და სენაკის—47,8 პროც.

საერთოდ სოფლის მოსახლეობაში წერა-კითხვის ცოდნის პროცენტი—34,3 უდრის, ქალაქისაში—72,1 პროც., საქართველოს მთელ მოსახლეობაში კი—43,1 პროც.

ეს საერთო დონე, როგორც ვხედავთ, მეტად დაშორებულია ჩვენს მოწინავე მაზრებზე და კიდევ უფრო დაშორებულია ევროპის მოწინავე ქვეყნების დონეზე, სადაც წერა-კითხვის ცოდნის სრული ასი პროცენტით გავრცელების შემთხვევებსაც კი ვხედავთ.

მისი 1929 წ.
პარიზი.

*) ამახ გარდა უცხო ქვეშევრდომი—15,012,

მ ვ რ ა ზ ი ე ლ ო ბ ა

1

რევოლუციის შემდეგ, რუსულ საზოგადოებრივი აზრის ოჯახს ევრაზიის სახელით ახალი წევრი შეემატა. სიტყვა—ევრაზია პირველათ სმარებულ იქნა ევროპისა და აზიის შემოკლებულ სახელათ. ხოლო ევრაზიელებმა ამ უბრალო გეოგრაფიულ ტერმინს სხვა შინაარსი მისცეს,—განსაკუთრებით ევრაზიელმა საეიციკიმ, რომელიც ასეთ განმარტებას იძლევა: არის ევროპა, ევრაზია და აზია. დასავლეთი ევროპა და აღმოსავლეთი ევროპა არ არსებობს, არამედ არის ერთი ევროპა. ევრაზია კი ეწოდება იმ მხარეს, რომელსაც რუსეთი წარმოადგენს. ეს უკანასკნელი განიყოფება თავის მხრივ ოთხ ზონათ: 1)ზაურალიე, 2)პრედურალიე, 3)მთურქესტანი და 4)ზაქავკასიე. გაბატონებული გეოგრაფიული დანაწილება მას სწორათ არ მიაჩნია: ევროპა, ევრაზია, და აზია—ერთი მატერიალი. მოკლეთ, იგი ცდილობს მთელი გეოგრაფია ყირაშალა დააყენოს.

მართალია, ევრაზიელების ზოგი აზრი და დებულება ახალი არ არის. მათ შეხედებით რუსული აზროვნების სხვადასხვა მიმდინარეობათა შორის გაფანტულს, მასში იპოვიეთ როგორც სლავიანოფილურს, ისე წაროდნიკულს და ისე ბოლშევიკურ აზრებს. მაგრამ ევრაზიელების დამახასიათებელი ის არის, რომ მათ გაბნეული რუსული აზროვნება ერთგვარ სისტემაში მოყავთ, მსოფლმხედველობის სახეს აძლევენ და მით შეირადებული არკვევენ რუსეთისა და საერთაშორისო საკითხებს. ევრაზიელები თავისებურათ უდგებიან და არკვევენ რუსეთის ნამყოს, აწმყოსა და მყოფადს. მათთვის ძველი რუსეთიც, დღევანდელი და მომავალიც სულ სხეანაირია. რუსული ისტორია, რომელიც დღემდე დაიწერა, მათი აზრით, არ არის ნამდვილი, იგი ევრაზიულათ უნდა დაიწეროს და მხოლოდ მაშინ იქნება სინამდვილის სისწორით ასახვა. (ეს უკვე სცადა პროფ. ევრნადსკიმ თავის «ნაჩერტანიე რუს. ისტორიი».

ევრაზიელების იდეოლოგიის მატარებელთა უმეტესობას წარმოადგენენ შედარებით ახალგაზდა პროფესორები, რომლებიც ამ ათი წლის წინათ გულწრფელათ იცადენ ძველ რუსეთს, სწამდათ იგი და მისთვის იბრძოდენ. მათ შორის არიან თეთრგვარდიელთა მოძრაობის აქტიური მონაწილენი, რომლებმაც პირადათ განიცადეს ამ მოძრაობის იდეური და ფიზიკური დამარცხება. მათ იმედი არ გაუშარტლა ამ მოძრაობამ, სანუგეშო არაფერი მისცა არც ევროპამ და განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებმა, რომლებთან ერთად რუსეთმა მსოფლიო ომში დიდი მსხვერპლი გაიღო. მათი პირადული და ეროვნული თავმოყვარეობა შელახული აღმოჩნდა და მათ წინაშე კითხვა დაისვა,—რათ მოხდა ასე? ნუთუ რუსეთი მოკვდა? როგორც ამას ამტკიცებენ



თეთრგვარდიელთა იდეოლოგიები, თუ თვით ეს იდეოლოგია არის მკვდარი და უნიკალური და მიიღეს ასეთი პასუხი: — მოკვდა ძველი რეჟიმი და მისი იდეოლოგია და არა საერთოდ რუსეთი. «სისულელეა იმის მტკიცება, სწერს ევრაზიელთა იდეოლოგი პროფ. ნ. ტრუბეცკოი, რომ ამოწინავე საზოგადოებამ სიბრძნევე გამოიჩინა, ვერ შეიგნო მემარჯვენე იდეის მსხნელობის მნიშვნელობა და ძველი რუსეთი ამიტომ დაიღუპა. რომ მემარჯვენე იდეა ძლიერი და ცხოველყოფილი ყოფილიყო, მას სტიქია ვერ წააღებდა». ეს იდეოლოგია არ ვარგავს წარსულში და არ ვარგავს დღესაც, ვინაიდან «თანამედროვე მემარჯვენე მოძრაობის იდეოლოგიური სიღატაკე ყველა მიუდგომელი მეთვალყურესთვის ნათელია»-ო. (ნ. ტრუბეცკოი: «ევრაზიელების დროება», წიგ. 111. გვ. 21—22).

ევრაზიელობის ერთი დამაარსებელთაგანი პროფ. პ. სავიცი, კითხვებზე — თუ ვინ არიან ევრაზიელები, ასეთ პასუხს იძლევა: «ევრაზიელები, სწერს იგი, არიან აზროვნებისა და ცხოვრების ახალი დასაწყისის წარმომადგენელი. ეს არის ჯგუფი მოღვაწეებისა, რომლებიც მუშაობენ ცხოვრების ძირითადი, დამახასიათებელი კითხვებისადმი ახალი მიდგომისა და ახალ ურთიერთობათა საფუძველზე, ურთიერთობათა, რომლებიც გამომდინარეობენ ყოველივე იმიდან, რაც ამ ათი წლის განმავლობაში განვიცადეთ. ეს არის ჯგუფი, რომელიც მუშაობს დღემდის არსებულ მსოფლმხედველობისა და წესწყობილების რადიკალურად გარდაქმნისათვის. ამავე დროს ევრაზიელები იძლევიან რუსეთის გეოგრაფიისა და ისტორიის სულ ახალ შემეცნებას და მთელი იმ ქვეყნებისას, რომელთაც ისინი რუსეთ-ევრაზიას უწოდებენ»-ო, (პ. სავიცი: «ევრაზიელობა», გვ. 5).

რასი გამოიხატება ევრაზიელთა მიერ კითხვებისადმი ახალი მიდგომა? — «რუსეთის გეოპოლიტიკაში და, რუსული კულტურის თავისებურებაში» ეს არის ევრაზიელობის მოძღვრების წყარო და საფუძველი, ხალხი, დანარჩენი ზედნაშენია. ამიტომ თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ევრაზიელობა წმინდა რუსული მოძღვრებაა, იმის მიუხედავად, რომ ევრაზიელები ცდილობენ იგი გაასაღონ ყველა იმ ერების იდეათ, რომლებიც ევრაზიის ფარგლებში ცხოვრობენ.

ევრაზიელების მოძღვრების მთავარ მიზანს შეადგენს დაამტკიცონ, რომ ყოფილი რუსეთის იმპერია და კერძოდ, დღევანდელი საბჭოთა კავშირი, წარმომადგენს განსაკუთრებულს, თავისებურ გეოგრაფიულსა და კულტურულ ერთეულს. რუსეთის განსაკუთრებულმა ჰაერმა და ველმა (სტეპ) წარმოშვა მცხოვრებთა განსაკუთრებული ტიპი, კულტურა და სახელმწიფოებრივი სისტემა, რომ ამ ჰაერსა და ადგილმდებარეობას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და იგი ერთი მთავარ ფაქტორთაგანია კულტურის განვითარების ისტორიაშიო. პ. სავიცი თავის საყურადღებო შრომაში: «რუსეთი — განსაკუთრებული გეოგრაფიული ქვეყანა», რუსეთის ჰაერსა და გეოგრაფიის თავისებურებასთან ერთად ცდილობს დაამტკიცოს, რომ კაცობრიობის კულტურის ცენტრი ბოლოს და ბოლოს რუსეთში გადავა და ამიტომ ის ისტორიულ რაღს ითამაშებს. აქედან გამომდინარეობს მათი პირველი თეზა: «რუსეთი წარმომადგენს ცალკე ქვეყანას. ბედი ამ ქვეყნისა ძირითადად და მნიშვნელოვანში მიმდინარეობს ცალკე, ევროპისა და აზიისგან დამოუკიდებლად, ამიტომ იგი არც აზია არის და



არც ვეროპა, არამედ ცალკე მატერიალი—ვერაზია, რომლის მცხოვრებ ერებსაც უფრო თავისუფლოთ შეუძლიათ გაიგონ ერთმანეთი, ვინემ ვეროპისა და აზიის ხალხებს» (მოსკოველი ვერაზიელების თუნისები, «ვერაზ. ქრონიკა» №9, გვ. 1).

ვერაზიელების ეს გეოპოლიტიკა ნ. ტრუბეცკოიმ მოკლეთ ერთ წინადადებაში ასე გამოხატა: «ვერაზია არის ერთი გეოგრაფიული, ეკონომიური და ისტორიული მთელი». ვინც იცნობს ყოფილი რუსეთის იმპერიის გეოგრაფიას, ეკონომიკას და ისტორიას, ის დავეუთანებება, რომ მისი არც გეოგრაფია, არც ეკონომიკა და არც ისტორია ერთი მთელი არც ყოფილა და არც არის. რუსეთის კულტურის თვითყოფა და თავისებურება აიხსნება არა ვერაზიის კლიმატით, არამედ იმით, რომ იგი თანამედროვე ცივილიზაციას ფესდაფეს ვერ გაყვა, ვერ განავითარა თანამედროვე ტენიკა და საერთო ისტორიულ მსვლელობას უკან ჩამორჩა. ერთი მიზეზთაგანი იყო აგრეთვე რუსეთის ტერიტორიალურათ ზრდა, რომელმაც პროფ. კლიუჩევსკის სიტყვით, შეიწირა რუსის ხალხის კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური კეთილდღეობა.

მაგრამ ვერაზიელები სულ სხვა მხრით უდგებიან რუსეთს. მათთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ რუსებმა შემკვიდრებობა მიიღეს არა ვეროპისა და ბიზანტიისაგან, როგორც ამას ისტორიკოსები ამტკიცებდენ. არამედ მონღოლებისაგან და კერძოთ ჩინგის ყაენისაგან. ვინაიდან, ამბობენ ვერაზიელები, «მონღოლებმა ჩამოაყალიბეს ვერაზიის ისტორიული ამოცანა, მათ ჩაუყარეს საფუძველი მის პოლიტიკურ მთლიანობას და წესწყობილებას, მათ მისცეს ეს ამოცანა ვერაზიის ნაციონალურ სახელმწიფოს და უწინარეს ყოვლისა და ყველაზე მეტად, მოსკოვის ულუსს. ამ მოსკოვერმა სახელმწიფომ, რომელიც ორგანიზალთ აღმოცენდა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის რუსეთისაგან, ჯერ კიდევ თავის საბოლოო ჩამოყალიბებამდის, ალექსანდრე ნეველის სახით, ამჯობინა თათრების უღელი. ვინემ ელაღატა მართლმადიდებლობისათვის და მიეღო ქათოლიკობა. ხოლო ამის შემდეგ მოსკოვმა დაიკავა მონღოლების აღგილი და მიიღო თავის თავზე მათი კულტურულ-პოლიტიკური შემკვიდრებობა.» (ვერაზიელობა, გვ. 38). ასეთ ნაირათ ხსნის მოსკოვის სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზებს ვერაზიელების კოლექტიური საპროგრამო შრომა, რომელიც მათ თავის იდენის სისტემატიური დალაგების ცდათ მიაჩნიათ.

2

როგორც ესმით ვერაზიელებს რუსული კულტურის თავისებურება? იმავე წიგნი ისინი ამის შესახებ ასეთ პასუხს იძლევიან: «რუსული კულტურა არ არის კულტურა არც ვეროპის და არც აზიის ერთი კულტურათაგანი; არც ჯამი ან მექანიკური შეერთება ერთისა და მეორესი. იგი საცხებით ცალკე, სპეციფიური კულტურა არის. რომელსაც თავისთავათ აქვს არა ნაკლები ღირებულება და ისტორიული მნიშვნელობა, ვინემ ვეროპისა და აზიის კულტურას». ვერაზიელებისათვის რუსული კულტურის თავისებურება გამოიხატება მართლმადიდებელ-ქრისტიანულ კულტურაში; მათ სჯერათ, რომ მან საკეთარი როლი და მისია უნდა შეასრულოს კაცობრიობის ისტორიაში. ვერაზიელობა, სწერს ნ. ტრუბეცკოი, არდგენს თავის მოთხოვნილებათ ნაციონალურ კულტურას და გარკვევით აცხადებს, რომ რუსული ნაციონალური კულტურა წარმოუდგენელია მართლმადიდებლობის გარეშე-ო. (აჩვენ და სხვანი). აქედან ცხადია,



რომ ევრაზიელების «რუსულ კულტურის» მთავარ დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენს მართლმადიდებლობა, ვინაიდან—მართლმადიდებლობა ერთად ერთი უმაღლესი და უბიწო სარწმუნოება არის ქრისტიანობაში, ხოლო მის გარეშე ან წარმართობა ან ერესი და ან რასკოლია. მაგრამ მართლმადიდებლობა ხომ უფრო დიდია, ვინემ რუსეთი. და რათა სავსებით უზრუნველყონ «რუსული თავისებურება», ამტკიცებენ: «ევრაზიელობა გვესმის ჩვენ როგორც განსაკუთრებული სიმფონიზაცია-გაპიროვნება მართლმადიდებელი ეკლესიისა და კულტურისა. ძირი მისი (ევრაზიელობის) მთლიანობის და არსის არის მართლმადიდებელ სარწმუნოებაში, რომელიც გასხვავდება ბერძნული, სლოვაიური და დანარჩენი მართლმადიდებლობისგან»-ო.

მართალია, ევრაზიელები ასეთი ხელოვნური გაღავანით იოლათ იმიჯნებიან დანარჩენი ქვეყნების კულტურისაგან და განსაკუთრებით მათთვის მიუღებელ ევროპის კულტურისაგან, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ეს კულტურა ერთ მთელსა და მისაღებს წარმოადგენს ყველა იმ ერებისათვის, რომლებიც ევრაზიაში ცხოვრობენ. ვინ არ იცის, რომ ევრაზიაში ცხოვრობენ დიდძალი მაჰმადიანები და ისეთი ქრისტიანები, რომლებიც «რუსულ მართლმადიდებლობას» არ ეკუთვნიან! ან როგორ უნდათ მათ დაამყარონ «მშობა-ერთობა» იმ აღმოსავლეთთან, სადაც, არამც თუ «რუსული მართლმადიდებლობა», არამედ საერთოდ ქრისტიანობა მეტის მეტათ სუსტია! ევრაზიელები თავის მოძღვრების ამ სუსტ მხარეს და წინააღმდეგობას თვითონ გრძნობენ და რომ მონაწილე აქედან გამოსავალი, გვიმტკიცებენ: წარმართობა პოტენციონალური მართლმადიდებლობა არისო. მართალია, იგი ჰეგმონიზმის შემეცნებით უფრო დაბლა სდგას, ვინემ ქათოლიკობა, პროტესტანტობა და სხვა; მიუხედავად ამისა, მართლმადიდებლობას წარმართობა უფრო იღებს. ვინემ ისინიო. უეჭველია, ევრაზიელებს «მართლმადიდებლური კონცეპტია» უზრუნველ მდგომარეობაში აყენებს და ალბათ ამით აიხსება, რომ ბოლო დროს ისინი მის წამოჩრას ვრიდებიან.

ევრაზიელებს სწამთ, რომ რუსულმა თავისებურმა კულტურამ დიდი როლი უნდა ითამაშოს და ისტორიული მისია უნდა შეასრულოს, როგორც ევრაზიაში, ისე მთელ მსოფლიოში. «ევრაზია—რუსეთი, ამბობენ ისინი, არის თავისებური კულტურა—პიროვნება. მას სწამს, რომ ჩვენს ხანაში ამ კულტურა—პიროვნებას ეკუთვნის ხელმძღვანელი და პირველი როლი კაცობრიობის კულტურათა შორის»-ო. ამავე აზრს პ. საიციკი უფრო მეტი რიხით გვაუწყებს: «რუსეთმა უნდა გაანთავისუფლოს კაცობრიობა თანამედროვე რომაულ-გერმანული შებოლისაგან»-ო.

აქ გამოიქმნელია, როგორც რუსული ნაციონალური ყოყმობა, ისე გულისწერობა. ეს უკანასკნელი მიმართულია «დამპალი ევროპის» წინააღმდეგ. ევრაზიელები ევროპის კულტურას სულთათნას უგალობენ და ურჩევენ «რომ რუსებმა უკუაგდოს ევროპიული პოლიტიკური აზროვნების ფორმები და აგრეთვე გაიმიჯნონ ყოველივე იმისგან, რაც შეადგენს სანქტ-პეტერბურგის, იმპერატორული რუსეთის და ობერ-პროკურორული ხანის ისტორიის კუთვნილებას» (ნ. ტრუბეცკოი). სამაგიეროთ, მეტათ ლმობიერი არიან აღმოსავლეთისადმი და მოითხოვენ, რუსები უფრო ყურადღებით მოეპყრან აზიას, ვინაიდან «რუსები აზიაში თავს, თავის სახელში გრძნობენ». ამიტომ, ამბობს ვ. ნიკიტინი, «ევრაზიელებისათვის პირველსა და მთავარ დებუ-

ლებას აღმოსავლეთთან დამოკიდებულებაში წარმოადგენს ის, რომ აღმოსავლეთის კულტურა, მათი რწმენით, თავის თავად არის დამოუკიდებელი კულტურული ღირებულება, რომლის გაცნობა მით უფრო საჭიროა რუსებისათვის. რამდენათ იგი ხელს უწყობს რუსული ნაციონალურ თვითგაგებას-თ. (ვ. ნიკიტინი, «ჩვენ და აღმოსავლეთი», «ევრაზია» №1). ამასვე მოითხოვს, მათი აზრით, რუსეთის მომავალიც. «პეტრე დიდმა რუსეთს პირი ევროპისკენ შეუბრუნა, ეს ტაქტიკური აუცილებლობა იყო. ხოლო ეხლა უნდა მოხდეს აზიისკენ პირის მობრუნება და ეს ბუნებრივი იქნება»-თ. (ეგ.)

3

ეხლა ვნახოთ რას შეიცავს თანამედროვე კითხვებისადმი ევრაზიელების ახალი მიდგომა. უნდა ითქვას, რომ ევრაზიელები ზედმიწევნით ოპორტუნისტები არიან. ყოველ მოვლენას ისინი აფასებენ პრაქტიკული სარგებლიანობის თვალსაზრისით. ის, რაც მათ მიზანს ემსახურება.—მისაღებია. ამიტომ, როგორც თვითონ ამბობენ, ზოგიერთ საკითხებში ისინი რადიკალებზე რადიკალები არიან, ხოლო ზოგიერთში—კონსერვატორებზე კონსერვატორები. რუსეთის რევოლუციას და ბოლშევიზმსაც ისინი ასე უდგებიან და აფასებენ რუსული ნაციონალიზმის თვალსაზრისით.

რუსეთის რევოლუციას ევრაზიელები სცნობენ როგორც ფაქტს და არ სთვლიან მას ერის უბედურებათ, როგორც ამას რუსული მემარჯვენე პარტიები ამტკიცებენ. კიდევ მეტი, რუსეთის რევოლუციას ღებულობენ ისინი მთლიანათ და უპირატესობას აძლევენ ოქტომბრის რევოლუციას, ვინაიდან რუსული, ევრაზიური სული მასში მეტათ გამოიხატა. ვინემ თებურვლისაში. «რუსეთის რევოლუცია, მათი აზრით, უწინარეს ყოვლისა არის იმპერატორული რუსეთის თვითგაბრუნება და ძველი რუსეთის სიკვდილი, რომელმაც მწარე ტყვილებით შეა ახალი რუსეთი—ევრაზია». («ევრაზიობა», გვ. 46). ევრაზიელებს სრულებითაც არ აშინებს ის, რომ რუსეთს კომუნისტები უდგანან სათავეში. ისინი ამბობენ: «რუსის ხალხმა გამოიყენა ბოლშევიკები, როგორც იარაღი თავისი ტერიტორიის გადასარჩენათ და რუსული სახელმწიფოებრივობის აღსადგენათ. კიდევ მეტი, რუსის ხალხმა იძულებული გახადა ბოლშევიკი-კომუნისტები, წინააღმდეგ თვისი სურვილისა და შეგნებისა, განეზარცილებით ბევრი ისეთი რამ, რომელსაც მისი მომავლისათვის მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს». თავისი სულისკვეთება მათ მკვეთრათ გამოხატეს თავისი ორგანოს «ევრაზია» აფრანხე წარწერით: «ჩვენი დროის რუსეთი სწყვეტს ევროპისა და აზიის ბედს. იგი—ერთი შეეკვსედი მთელი მსოფლიოსი.—ევრაზია არის ნასკვი და დასაწყისი ახალი მსოფლიო კულტურის».

ევრაზიელებს მოსწონთ საბჭოური სახელმწიფოებრივი ფორმა და ბოლშევიკური მართვა-გამგეობის სისტემა. ორივე ამ მოვლენაში ისინი «ევრაზიელობის» ელემენტებს ხედავენ. საბჭოური სისტემა ერთის მხრივ იმიტომ არის კარგი, რომ იგი უზრუნველყოფს ძლიერი ხელისუფლების არსებობას, რომლის გარეშე რუსეთს არსებობა არ შეუძლია». (პროფ. ნ. ალექსეევი, «მომავალი რუსეთის გზებზე», გვ. 47) და მეორეთ იმიტომ, რომ «იგი თავიდან აშორებს რუსეთს დასავლეთ ევროპის დემოკრატიის საფრთხეს»-თ. («ევრაზია» გვ. 52). დემოკრატიამ კი, ამბობენ ისინი, ვერ გაამართლა იმედები. ვერ აღმოჩნდა თავის სიმალეზე და ვერ შექმნა მტკიცე და მაგარი სახელ-



მწიფეობრივი მართვა-გამგეობა. მით უმეტეს იგი უვარგისია რუსეთისათვის, სადაც ჩინების-ყაენის სახელმწიფოებრივ ტრადიციას ესლაც ფართოდ აქვს ევრაზიის ხალხებში ფეხი გადგმული. ბოლშევიკებმა დემოკრატიის მაგივრად მოგვეცეს «იდეოკრატია» ესე იგი, ერთი იდეის გარშემო დარაზმული ხალხის ბატონობა, რომელიც მით არის კარგი, რომ ერთსა და იმავე დროს დემოკრატიასაც (საბჭოები) ეყრდნობა და ხალხის საუკეთესო შეილებს აძლევს საშვალეობას მაგარი ხელის უფლების სახით მართოს ქვეყანა ისე, როგორც მათ საუკეთესო მიზანიათ. ეს კი მათი აზრით აუცილებელია, ვინაიდან, მიუხედავთ იმისა, რომ მართელი წოდება ორგანიულათ ხალხიდან გამოდის, მას მაინც უხდება ხალხთან უთანხმოება მართვა-გამგეობის ნიადაგზე. დემოკრატია კი მას ხელი არ უნდა შეუშალოს. იმიტომ, რომ «მმართველი ფენა, როგორც ორგანიზაციულათ შეკავშირებული უმცირესობა (დემოტია) შეგნებულათ ანხორციელებს მთელის შეუგნებელ სურვილს»-ო. (იქვე გვ. 54). ამიტომ, ამბობენ ევრაზიელები, ეხლავე უნდა შეიქნეს ევრაზიელობის იდეით შეკავშირებული პარტია, რომელიც დაიპყრას კომუნისტების ადგილს, მაგრამ იგი არ უნდა იქნეს ისეთი პარტია, როგორიც ევროპამ იცის. არა. «ეს იქნება პარტია განსაკუთრებული სახის, პარტია მმართველი, რომელიც არც ერთ სხვა პარტიას ძალაუფლებას არ გაუნაწილებს და სხვა პარტიის არსებობას არ დაუშვებს. ასეთი პარტია ჩვენ წარმოგვიდგენია, როგორც ნაწილი მართელი ფენისა, რომლის ნაწილსაც დღეს ბოლშევიკები შეადგენენ, რომლის დროსაც შენახული უნდა იქნეს არსებული მართვაგამგეობის ფორმა». (იქვე გვ. 52).

გარდა ამისა, ევრაზიელების აზრით, საბჭოური სახელმწიფოებრივი ფორმა მით არის კიდევ კარგი, რომ იგი ევრაზიის მთლიანობას ქმნის. «ჩვენი შეხედულებით, სწორედ ისინი, რეველუციამ ევრაზიელობის იდეას მისცა საკუთარი საბე, ფედერაციის სახე. ფედერატიული წესწყობილება გამოხატავს გარეგნულათ არა მარტო ევრაზიის კულტურის მრავალ რიცხვთანებას, არამედ მასთან ერთად ინახავს მის მთლიანობას»-ო. («ევრაზიობა» გვ. 53). უკველია, ევრაზიელებს მოსწონთ ერთგული კითხვის ბოლშევიკურათ გადაჭრა.

4

როგორია ევრაზიელების ეკონომიური პროგრამა?

მცირედი შესწორებით ისინი იზიარებენ ბოლშევიკების დღევანდელ ეკონომიურ პოლიტიკას. მათ, რასაკვირველია, არ სწამთ კომუნისმი და არც ფიქრობენ, რომ იგი რუსეთში განხორციელდება. მაგრამ არც კაპიტალიზმის თაყვანისმცემელი არიან და კერძო საკუთრებას კერპათ არ სთვლიან. სახელმწიფო კაპიტალიზმი, ამბობენ ისინი, ახალი ამბავი არ არის. რუსეთის ისტორიამ იცის ისეთი ხანა, როცა მთელი ქონება სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდა და როცა სახელმწიფო მეურნეობა კერძო მეურნეობაზე მალა იდგა და სარგებლიანი იყო სახელმწიფოსთვის. ამიტომ, ფიქრობენ ისინი, არც დღეს არის საჭირო ბოლშევიკების მიერ მოხდენილი ნაციონალიზაციის პირწმინდათ უარისყოფა. ევრაზიელების ეკონომისტი პ. სავიციკი ამ მოვლენას ასე ახასიათებს: «სიმტკიცე «ეტატიზმის» (სახელმწიფოებრივი მეურნეობა) რუსეთ-ევრაზიის პირებში არ შეიძლება ჩათვალოს შემთხვევით მოვლენათ. ეს ქვეყანა მდებარეობს ხშირათ მასთან მოწინააღმდეგე ევროპასა და აზიას შორის, რომლის

უზარმაზარი ხმელეთის სახლერების დაცვა ადვილი არ არის და, რომელიც ტერიტორიის სიდიდისა და მკაცრი ზამთარის გამო, იძულებულია ებრძოდეს ეკონომიური განვითარების დიდ დაბრკოლებებს. ამიტომ რუსეთს შეუძლია არსებობა და განვითარება მხოლოდ ძლიერი და სასტიკი ხელისუფლების პირობებში, რომელიც იძულებით აწყობს ქვეყანას სოციალურის, მეურნეობისა და სამხედრო მხრით. ამიტომ რუსეთის ისტორიაში სახელმწიფო ყოველთვის ასრულებდა მეურნის ფუნქციას. ამიტომ, განაგრძობს იგი, ევრაზიელების ეკონომიური სისტემა არის თავისებური სახელმწიფოებრივი—ინდივიდუალური სისტემა. რომელიც ძლიერ წააგავს მე-18 და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუსეთის სახელმწიფოებრივ სისტემას—ს (საეციკი, «სახელმწიფო და კერძო მრეწველ. საკითხის შესახებ». გვ. 304). ამას შემდეგ, არ არის გასაკვირველი, თუ ეურ. «ევრაზია»-ს ეკონომიური განყოფილების მიმოხილვებს ბოლშევიკების საგვემო მეურნეობაში მცირედი შესწორება შეაქვს და მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ «კულაკს» მიეცეს თავისი მეურნეობის თავისუფლათ წარმოება. (ეურ. «ევრაზია» № 6).

ნაროდნიკების, ბოლშევიკების და ევრაზიელების ეკონომიური პოლიტიკის წყარო ერთია:—ნაციონალური კაპიტალის სისუსტე და უცხო კაპიტალის საშიშროები. ამიტომ ისინი ცდილობენ, როგორმე შინაურულათ, სახელმწიფოს საშვლებით გადასტრან ეს საკითხი და რუსეთი უცხოეთის კაპიტალის ექსპლუატაციისგან იზნან. აქედან წარმოსდგება მათი ეტატიზმი და მასზე დამყარებული იმედები. მაგრამ როგორც თვით საეციკი აღნიშნავს ეს ახალი ამბავი არ არის რუსეთის სახალხო მეურნეობის ისტორიაში. პეტრე დიდის დროის «სამოუქცა», პირველი რუსი ეკონომისტი ივანე პოსოშკოვიც ფიქრობდა, რომ ევროპის ეკონომიკის კანონები რუსეთისათვის სავალდებულო არ არის და იმპერატორს შეუძლია თავის სურვილებსამებრ მოაწყოს სახალხო მეურნეობა. პეტრე დიდი პოლიტიკურად შესცვალა, ხოლო პოსოშკოვიც—ბუნარინმა და საეციკიმ. განსხვავება მხოლოდ ესაა.

ყველა ამას შემდეგ შეიძლება გარკვევით ვსთქვათ, თუ ვინ არიან ევრაზიელები. სლავიანოფილები არ არიან, ვინაიდან მათთვის არ არსებობს «ერთი სლავიანური სული», არამედ—ევრაზიული. არც ნაროდნიკები არიან, ვინაიდან თემს არ სცნობენ და გლეხური კერძო მეურნეობის მომხრე არიან. ფაშისტებთან მათ «იდეოკრატიის» დიქტატურა ანათესავენ. მაგრამ აშორებს ლათინური კულტურა. ევრაზიელები არც ისტორიული რევოლუციონერები არიან, ვინაიდან რევოლუციის მიერ შექმნილ ნიადაგზე სდგანან. მაშ ვინ არიან? პ. სტრუვემ მათ ქრისტიანი კომუნისტები უწოდა. არც ესაა სიმაართლე. როგორც პოლიტიკური მოღვაწენი. ისინი ქრისტიანობიდან შორს არიან. ამას არც თვითონ უარყოფენ. ჩემის აზრით, ისინი არიან ბოლშევიკები უკომუნიზმით ანუ არითმეტიკულათ რომ ვსთქვა: ევრაზიელობა=ბოლშევიზმს—კომუნიზმი. ისინი უმთავრესათ კომუნიზმის იდეოლოგიის შეცვლას მოითხოვენ, ხოლო დანარჩენი მათთვის შისაღები. ევრაზიელებს სწამთ, რომ კომუნიზმის ლიკვიდაციის დრო ახლოვდება და ამიტომ სწერენ: «დგება დრო, როცა თანამედროვე რუსეთმა, როგორც ახალმა სოციალურმა სისტემამ თავისი იდეა უნდა წამოაყენოს»-ო.

ჩხეტი, 1929



მ რ ი ს რ ა ო ზ ა

ჩვეულებრივ ფიქრობენ, ერი თუ რეალური მოვლენაა, მას თუ რაიმე დამახასიათებელი განსაკუთრებული ატრიბუტები აქვს, უკანასკნელმა თავისი ასახვა და მეცნიერული ახსნაგანმარტება ანთროპოლოგიაში უნდა ჰპოვოსო. ა. დე გობინო პირდაპირ ამბობს: «მე ძვალრბილში გამიჯდა ის უდაო აზრი რომ ისტორიული პრობლემები ეთნიურსს ექვემდებარებიან, რომ აქა მისი გასაღები-ო. მისი აზრით, თვითეული ერი განსაკუთრებული ფიზიკური აგებულობით. განსაკუთრებული თვისებების «სისხლითა» დაჯილდოებული; და იმის მიხედვით, თუ რა რიგი პოტენციის შინამკონა მისი «სისხლი», იგი ან სამუდამოთ პირველყოფილ მდგომარეობაში დარჩება ან სწრაფთ გადალახავს გვარაფნულ წესწყობილებას და ეროვნულ ორგანიზმათ გადაიქცევა. თუ ზოგი ერი კულტურის და ისტორიის მესაუვა, ზოგი კი მათი მონა და მახანაოა იმიტომ, რომ ადამიანის მოდვის შინაგან ღირებულებათა შორის სერიოზული და რეალური განსხვავება არსებობს; თუ რომელიმე დიდი კულტურის ერი განვითარების უაღრეს წერტილზე ასვლის შემდეგ ისეუ ძირს ეშვება და ქრება იმიტომ, რომ მის ძარღვებში აღარაა წინანდელი სისხლი», რომ მან «ეგრ შეინარჩუნა წინანდელი სისხლის ინტეგრალობა», რომ ერი «და მასთან ერთად მისი ცივილიზაცია საბოლოოთ გაქრება, მაშინ, როდესაც უცხო რასათა მიერ შემოტანილი თვისებები იმდენათ დაიმორჩილებენ და ჩაახოზენ პირველად ეთნიურ ელემენტებს, რომ უკანასკნელები საკმაო მოქმედების უნარს ვეღარ გამოიჩენენ». ძველი რაში და ძველი სპარსეთი იმიტომ კი არ დაინგრენ, გვარწმუნებს იგი, რომ მათი სასულეშვიფობრივი და საზოგადოებრივი ორგანიზმები დაღპენ, რომ მათ მრავალი მტერი მიადგა, რომ ისინი დაიქანცენ და სხვა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ «მათი სისხლი» აირია. «დარიუსის იმპერიას არბელის ბრძოლაში ნამდვილი არიული ჩამომავლობის სპარსელების გამოყენა რომ შესალებოდა; უკანასკნელი ხანის რომაელთა იმპერიის სენატი და მილიცია იმგვარივე ეთნიური ელემენტების ნაწარმოები რომ ყოფილიყვენ, როგორც ფაბიუსის დროის რომაელები, მათ ბატონობას ბოლო არ მოეღებოდა; და იმდევათ, რამდენათაც ეს ხალხები თავისი სისხლის შეურყენელობას შეინარჩუნებდენ, ისინი დღესაც იტოტლებდენ და იმეფებდენ». ვიღებთ თუ არა ასეთ მართლაც გაზვიადებულ შეზღუდულებას ერის რასიული თვისებების შესახებ, ერთი ცხადია, სახელდობრ ის, რომ რასათა შორის არსებული განსხვავება სომატოლოგიურ ნიშნებში გამოსკვივის და წარმოადგენს შედგეს ორ ფაქტორთა გამუდმებულ ბრძოლისას: ცვალებადობისა, ე. ი. სახესხვაობის წარმოშობის და ჩამომავლობისა, ე. ი. მხვავების გამარადი-

სების». ეს სომატოლოგიური ნიშნები კი ორგვარი ხასიათისაა: ა) მორფოლოგიური, რომლებიც ადამიანის სხეულის აგებულებას შეეხებიან, და ფიზიოლოგიური, რომლებიც სხვადასხვა ორგანოების მოქმედებას გამოხატავენ. რომელიმე ხალხის ანთროპოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა ნიშნავს ამ ორ კატეგორიის მოვლენათა გათვალისწინებას და იმის გამოკვლევას, თუ როგორი არიან ან როგორ მიმდინარეობენ ისინი ამა თუ იმ ხალხში. თვითველ ერს მართლაც მოეპოება ფიზიკური და ფიზიოლოგიური განსკუთრებულ ნიშანთა კომპლექსები. მაგრამ არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ერის მთელი ბუნების ფიზიკურ მოვლენებით ამოწურვა შეუძლებელია და უმართებულო, და აი რატომ: როდესაც ზოლოლგს სურს გამოარკვიოს რომელიმე ცხოველის ბუნება, იგი შეეცდება მისი ორგანიზმის შესწავლას. იგი მონახავს ამ ცხოველისთვის დამახასიათებელ ორგანიულ თვისებებს და მათი შემწეობით ამოსწურავს ამ ცხოველის, როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ შინაარსს. თქმა იმისა, რომ ცხოველი ხერხემლიანია, ძუძუმწოვარია, მობალახეა და სხვა. უკვე თავისთავით საკმარისია იმისთვის, რომ ჩვენ ზედმიწევნით გავითვალისწინოთ ცხოველის ხასიათი და ყოველგვარი შესაძლებლობა, რომლის მოცემაც მას შეუძლია. და ეს იმიტომ, რომ პირუტყვი თავისი ორგანიზმის სრული მონაა; მას შეუძლია მხოლოდ ის, რასაც მისი დაბადებიდან მოცემული ორგანოები გულისხმობენ.

ადამიანი კი სულ სხვაა! რიბო ამბობს: «მისი (ადამიანის) ძირები ორგანიზმშია, მაგრამ იგი მხოლოდ საზოგადოებაში იფურქვება»-ო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება მას შექმნებას აძლევს ნაწილობრივ მანც თავი დაეღწიოს საკუთარ ორგანიზმისაგან დამოკიდებულებას; კაცობრიობამ ბევრი ისეთი თვისება და უნარი შეიძინა, რომელიც მისი ფიზიკური აგებულებისაგან სრულიათ არ გამომდინარეობს. ამრიგათ ადამიანი მეტია. ვინემ მისი ორგანიზმი და ამიტომ უკანასკნელი მისი შინაარსის მთლიანი ამოწურვა შეუძლებელია. ამ გარემოებას თვით ანთროპოლოგებიც გრძნობენ. მართალია, ზოგი მათგანი, რ. მარტინის მხავსათ, ამბობენ, რომ «მომავალში გამოქმნა ანთროპოლოგია» მუდამ და მხოლოდ «ფიზიკურ ანთროპოლოგიის» შინაარსით უნდა ვიხმაროთ»-ო. მაგრამ უმრავლესობა და მათ შორის ისეთი ავტორიტეტები, როგორც ბროკა, ტაპინარი და დენიკერია, ანთროპოლოგიას შემდგენიარათ განსახლვრადენ: «ანთროპოლოგია არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს ადამიანს განუსახლვრელათ მთელ თავის მთლიანობაში... ადამიანს, როგორც ფიზიოლოგიურ, ისე სულიერ არსს...» (ტობინარ). ამრიგათ, ერის წმინდა ანთროპოლოგიურ კატეგორიათ გამოცხადება უმართებულაა. ეს, თქმულს გარდა, შემდგეიდანაც სჩანს: დღეს არ არსებობს არც ერთი წმინდა რასა; თვითველი ერთი მრავალ რასათა შენაერთს წარმოადგენს და ამიტომ მას არ მოეპოება ისეთი ფიზიკური ნიშნები, რომლებიც ყველა მის წევრებს ერთნაირათ ახასიათებენ. თვით გერმანელებიც კი, რომლებსაც ჩვეულებრივ სხვაზე უფრო შეურყვენელ რასათ სთვლიან, მეტათ შერეულ რასისაა. «გერმანულ ხალხში ერთადაა შერეული კელტური, ლიტვური, გერმანული და სლავური სისხლი». ანთროპოლოგიური ტაბულები გვეუბნებიან, რომ სხვა და სხვა ხალხებს ერთი და იგივე ფიზიკური ნიშნები ახასიათებთ ან და რომ ერთ და იმავე ერს რამოდენიმე სხვადასხვა ნიშნები მიეკუთვნება.



ქართველების ანთროპოლოგიურ ნიშანთა სასწესვაობა იმდენათ დიდია, რომ ქართველი ერის მთლიანობაზე ლაპარაკი კი შეუძლებელი იქნებოდა ერს რომ ფიზიკური ელემენტების გარდა სხვა არაფერი ახასიათებდეს. აი რას ამბობს დენიკერი: «პირველნი (ქართლები) ნამდვილი ბრაქიტეფალგები (რგვალი თავი), მეორენი კი (მებრელები, იმერლები) თავის მოგრძო მოყვანილობით ყველა-სხვა კავკასიელებისაგან განირჩევიან... მათი სიმაღლეც თავის ქალას მიჭედვით ცვალებადობს: რგვალთა-ვიანები ქართველ ხალხში ტანით უდაბლესი არიან; ისინი კი, ვისაც მოგრძო თავები აქვთ ტანით უმაღლესი არიან... ქართლელებს რგვალი პირისაზე და ფართო ცხვირი აქვთ; იმერლებს კი გრძელი პირისაზე და წვრილი ცხვირა...» იგივე ითქმის სხვა ერებზეც. ამ გარემოებას ნათლათ გრძობს რენანი და ამბობს: «არაეის არ აქვს უფლება ქვეყანაზე იაროს, თავის ქალანი გაშინჯოს, ვინმეს კისერში ხელი სტაცოს და უთხრას: შენ ჩვენი სისხლის ხარ; შენ ჩვენ გვეკუთვნი»:ო.

ამრიგათ, ერი თუ რასა არაა; ეროვნული თავისებურება მხოლოდ ფიზიკური სპეციფიურობით თუ არ განისაზღვრება, ერის განსხვავებული რაღაც სხვა კრიტერიუმი ყოფილა. მაგრამ როგორი? ფრანგ ფილოსოფოს დე კულანტის და გერმანულ მომხმენის ცნობილ გამოკვამთებინას პირველი მეორეს შეეკითხა: «რით ანსხვავებთ თქვენ ეროვნებებს? ნუ თუ მართლაც გგონიათ, რომ ელხასი გერმანულ ეროვნებისაა. მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გერმანულ რასას ეკუთვნის, ან იმიტომ, რომ იგი გერმანულს ლაპარაკობს?... ის, რაც ერებს ანსხვავებს არც რასაა და არც ენა... ადამიანები მხოლოდ მაშინ გრძობენ თავს ერთ ერთს. როდესაც მათ მოეპოვება საერთო ინტერესები, იდეები, გრძობები, მოვანებები და იმედები... იცით რამ გახდა იგი (ელხასელი ფრანგთ? ჩვენმა 1789 წლის რევოლუციამ. ამ მომენტის შემდეგ იგი ჩვენს ბედს დაუკავშირდა, მას უცხოვრია ჩვენი ცხოვრებით; მას უაზროვნი იმაზე, რაზედაც ჩვენ ვაზროვრობდით; იგი გრძობდა ყველაფერს ისე, როგორც ჩვენ. მან გაინაწილა ჩვენი გამარჯვებანი და ჩვენი დამარცხებანი, ჩვენი სახელი და მსუქდომები, ჩვენი სიხარული და ჩვენი ტკივილები»:ო.

ამგვართ, ერის უმთავრესი დამახასიათებელი თვისებები, მისი ნამდვილი ბუნება და მთელი მისი კვინტესენცია განსაზღვრულ სულიერ თავისებურებაში უნდა ვეძიოთ. ერი—კოლექტიური პიროვნებაა; ერი—საერთო მთლიანი სულია. მაგრამ, როდესაც ჩვენ ეროვნულ სულზე და ერის ფსიქიურ თვისებებზე ვიწყებთ ლაპარაკს, ისეთი შთაბეჭდილება იბადება, თითქოს ჩვენ ერის სუბსტანციის მიწვდომას ვაპირებდეთ. ყველას შეუძლია გვისაყვედუროს: «თვით ცნება «ერი» მეტათ ზოგადი და ძნელი მისაწდომია; თქვენ კი მისი სულის მიწვდომას ცდილობთ. ეს მეტაფიზიკის ისეთ ბნელ კუნძულში გვაგდებას, რომ მანვე მსჯელობა ამ თავითვე სრულიათ უშედეგათ უნდა მივიმჩინოთ»:ო. მართალია, რომ ეროვნული სუბსტანციის მიწვდომა არა თუ ძნელია, არამედ შეუძლებელია, ვინაიდან იგი, ფილოსოფიური გავებით, არ არსებობს.

როდესაც ჩვენ ერის რაობის გავება გვსურს, მისი სულის არსებობა—არარსებობაზე კი არ უნდა ვიმსჯელოთ, არამედ ვეცადოთ მივსწვდეთ გარემო სინამდვილეში გამოვლენილ თავისებურ მოვლენებს. ე. წ. «ხალხთა ფსიქოლოგიის» (ფოლკერფსიქოლოგიი) მამამთავრები ლაცარუსი და შტაინტალი ხაზს უსვამენ იმ განსხვავებას, რა-

მელიც გერმანულ «ზეველ»-სა და «გაისტ»-ის შორის არსებობს და ამბობენ: «პირველი არის სუბსტანცია, რეალური არსი (ეტყვას), მეორე კი მხოლოდ მოქმედებას (ტექტიკაიტ) აღნიშნავს»-ო. აქედან გამომდინარე ხალხთა ფსიქოლოგიას ისინი ფლოვლკეს გაისტსლერუა-ს უწოდებენ, რაც იმის მოქმედია, რომ ხალხთა ფსიქოლოგიამ ერების სულის სუბსტანციის ძიება კი არ უნდა დაიწყოს, არამედ უნდა შეეცადოს შეისწავლოს ერი მისი ცხოვრებისა და დამოკიდებულების დაკვირვებით. მაგრამ ძნელია სწორედ იმის გამოკვლევა, თუ სადაა მოცემული ეს ეროვნული აქტები, ქოუ სად შეიძლება მათი ხილვა. ამ საკითხზე დაფიქრებისას ყურადღება მეტანიჭურათ მიემართება ენის, შწერლობის, მითოლოგიის, ხალხურ გადმოცემისკენ და სხ. მაგრამ ეროვნების დამახასიათებელ ატრიბუტების პოვნა ყოველდღიური ცხოვრების ასპარეზზედაც უნდა იყოს შესაძლებელი და ჩვენ თუ მის ლოკალიზაციას მოვახერხებთ, აღებულ პრობლემის გადაწყვეტა მეტათ გავვიადვილებთ.

ჩვენ სიტყვა «ყოველდღიურობა» ვიხმარებთ. ეს კი ძალაუფლებურათ გვიბადებს აზრს: — ეროვნების ქარაქტერული ნიშნების ამოკრეფა კერძო პიროვნების მოქმედებიდან ხომ არაა შესაძლებელი? მაგრამ როგორ? ეროვნება—ეს ხომ მასხა, კოლექტივი, კრებადობაა. პიროვნება კი კრებადობის ერთერთი მცირე ნაწილია; ამავე დროს ჩვენ ისიც ვიცით, რომ კოლექტივი ინდივიდთა უბრალო არითმეტული ჯამი არაა, რომ იგი თავისებური, სხვებზე დაუყვანელი პირველადი მოვლენაა. მასხადამე, გამოდის, რომ ჩვენ ნაწილის შესწავლით მთელის დახასიათებას ვაპირებთ, რაც სრულიად მიუღებელია. ჩვენთვის უდავოა, რომ პიროვნება თავისებური მოვლენაა, რომ მის ფსიქიკას თავისი საყოთარბი კანონები აქვს, რომ მისი განვითარება დამოუკიდებელი და სხვებზე დაუყვანი პროცესებია. თვითველი ინდივიდი უნიკუმი, თვითველის სულიერი სამყარო მუდმივი, შეუჩერებელი, განუმეორებელი მიმდინარეობა!

მაგრამ ჩვენ რომ წარმოვიდგინოთ, რომ პიროვნების სულიერი ცხოვრება მხოლოდ ინდივიდუალურ მოვლენებს შეიცავს, რომ მისი ახსნა წმინდა ფსიქოლოგიურ მეთოდებითაა შესაძლებელი, მეტათ შევედებით. იმიტომ, რომ თავის წმინდა ფორმაში გამოცდილების არც ერთი მოვლენა არაა მოცემული. ეს თუ მართებულათ ითქმის მართიე საგნების შესახებ, ცხადია, რომ იგივე უფრო სამართლიანია პიროვნებისთვის, რომელიც ისეთ პეტეროგენულ მოვლენებისგან შესდგება, როგორც უმაღლესი ფსიქიური სინამდვილე, ცოცხალი ორგანიზმი და არაორგანიული, მკვდარი ნივთიერებაა. ჩვენ აქ ერთჯერ კიდევ გავიხსენებთ რიბოს აზრს, რომ ადამიანის ძირები ორგანიზმშია, მაგრამ იგი მხოლოდ საზოგადოებაში იფურჩქნებაო. ეს გაფურჩქნა კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებას კერძო ადამიანის ფსიქიკაში ისეთი ელემენტები შეაქვს, რომელნიც არსებითად ასხაფერებენ მას და მის ნაშენობას. მართალია, ეს ახალი ელემენტები თავისი ბუნებით ფსიქიური არიან, და ამ მხრივ ისინი წმინდა ფსიქიურ ფუნქციებისგან არაფრით განსხვავდებიან, მაგრამ ჩვენ თუ მათ მიმდინარეობის წესს მივამკვირვებთ ყურადღებას. დავინახავთ, რომ მისი კანონზომიერება არაა ჩვეულებრივი. ეს გარემოება განსაკუთრებული სიცხადით შეამჩნია ო. კონტმა და იგი უპირველესი თუ არა, ერთი უმნიშვნელოვანესი იყო მათ შორის, რომლებმაც დასაბამი მისცეს იმ მეტათ ნაყოფიერ და სასარგებლო აზრს, რომ ადამიანი უწინარეს ყოვლისა საზოგადო-



ებრივი ქმნილებაა, რომ იგი საზოგადოების გარეშე უბრალო აბსტრაქციაა და არა რეალობა. ფრანგულმა სოციოლოგიურმა სკოლამ იმ დასკვნამდე მივიყვანა, რომ ირენ ორი ცნობიერება გვაქვს: ერთი მხოლოდ სუბიექტურ მოვლენებს შეიცავს. მხოლოდ მას. რაც პირადად ჩვენი გვახსიათებს; მეორე კი—იმ ფენომენებს, რომელნიც საზოგადოების ყველა წევრს ერთნაირად მიეკუთვნება; ერთი — ჩვენი ინდივიდუალობის წარმომადგენელია; მეორე კი კოლექტიურ ტიპისა. ამის მიხედვით, თუ აქტი ინდივიდურ ცნობიერების ნაწარმოებია, იგი სუბიექტურია და მისი განსაზღვრელი წმინდა პირადი მოტივებია. ამ შემთხვევაში მოქმედი თვით პიროვნებაა, სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით; პირიქით, აქტს თუ კოლექტიური ცნობიერება აძლევს დასაბამს, იგი საერთო მოტივებს ექვემდებარება და თავისი ხასიათით არაფრით განსხვავდება სხვა პირთა მზავსს ქვეყისაგან, შეიძლება ითქვას, რომ აქ ინდივიდის სახით თვით კოლექტივი მოქმედებს. ამრიგათ, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნება საზოგადოების მთავარ შემომქმედად და მამორჩავებლად ითვლება, იგი საზოგადოების მხრივ მეტად დიდ გავლენას განიცდის. აქ ორმხრივი ინტუქცია სწარმოებს, რომელიც პიროვნებიდან საზოგადოებისკენ მიიმართება და საზოგადოებიდან კი პიროვნებისაკენ. ეს ურთიერთშორისო გავლენა იმდენად რთული და ძლიერია, რომ შეუძლებელია იმის გამოარკვევა, თუ რომელი მათგანია პირველადი და უმნიშვნელოვანესი. ინდივიდის ფსიქიკა არ არის ერთადერთი ავტორი იმ პროცესებისა, რომელსაც მის წიაღში აქვთ ადგილი. პიროვნების საზოგადო ელემენტებს ანუ კოლექტიურ წარმოდგენებს ლევი ბრული შემდგენარითა ახასიათებს: «ისინი (ელემენტები) თვითეულ საზოგადოების წევრებისთვის საერთოა; ერთი თაობიდან მეორეზე გადადიან; ინდივიდებს განსაზღვრულათ ამოქმედებენ; თავის ობიექტისადმი, შემთხვევისამებრ, პატივისცემის, შიშის ან თავყვანისცემის გრძნობებს აღჰქავენ, და მათით არსებობს ინდივიდისაგან დამოუკიდებელია; არა იმ მხრივ, თითქოს ისინი, პიროვნებათა გარეშე არსებულ, კოლექტიურ სუბიექტს გულისხმობდენ. არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ იმათ ისეთი რამეები ახასიათებენ, რის ახსნაც მხოლოდ ინდივიდების, როგორც ასეთების, ბუნების გათვალისწინებით შეუძლებელია. ენა, მართალი რომ ფოქვათ, მხოლოდ მოლაპარაკე პიროვნების ფსიქიკაში არსებობს; მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც სოციალური რეალობაა, ვინაიდან ენა განსაზღვრულ კოლექტიურ წარმოდგენათა მთლიანობას ემყარება. ყოველ ინდივიდს იმულებითად ეძლევა, თვითეულ პიროვნების გაჩენამდე არსებობდა. მის შემდგავც იარსებებს». ეს კოლექტიური წარმოდგენები ადამიანის ფსიქიკაში ჩვეულებითი აქტების მზავსათ არსებობენ; ეს უკანასკნელნი კი, უმთავრესათ, მარტივი რეაქციების სახით ხორციელდებიან; მათი მიმდინარეობა შექანიკურია; და ამიტომ თვითეულ მათგანის შეფერხება ძლიერ ტონის მქონე უსიამოვნო გრძნობას იწვევს, რომელიც იმ დრომდე ვრცელდება, ვიდრე ეს დაბრკოლება არ დაიძლევა. სწორეთ ამიტომ კოლექტიურ წარმოდგენათა რეალობა განსაკუთრებული სიაშვარავით მაშინ ცხადდება, როდესაც ვინმე ან რამე საზოგადო შეხედულებებს შეურაცყოფას აყენებს. საკმარისია ასეთი აქტი მოხდეს, რომ განსაზღვრულ საზოგადოების თითქმის ყველა წევრების კერძო ცნობიერებაში უკვე დიდი ხნიდან შექმნილი სარეაქციო მექანიზმი მოქმედებაში მოვიდეს და ამრიგათ საერთო, მზავსი მოქმედება წარმოიშვას.

თვითეულ პირაგნების ფსიქიკას რომ საერთო საზოგადოებრივი ელემენტები არ მოეპოვებადეს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ყოველგვარი კოლექტიური მოქმედება. კოლექტიურ წარმოდგენათა არსებობა უდავოა, მაგრამ საზოგადოებას მხოლოდ ერთი ასეთი წარმოდგენა არ ახასიათებს, არამედ მრავალი. ისინი ერთად შეწყობილი ჰქმნიან მთლიან სისტემას და საზოგადოების მთავარ ელემენტს წარმოადგენენ. მას ედიურკივი კოლექტიურ ცნობიერებას უწოდებს და ასე ახასიათებს: «კოლექტიური ცნობიერება ისეთ რწმენათა და გრძნობათა მთლიანი სისტემაა, რომელიც ერთ და იმავე საზოგადოების ყველა წევრებს ერთნაირად მიეკუთვნება და რომელსაც თავისი ს. კუთარი განვითარების წესები აქვს». კოლექტიური ცნობიერება უნდა მივიღოთ როგორც რეალური ფაქტორი, ისეთივე რეალურად როგორც კონსიუერი მოვლენები» (დიურკივი); მით უმეტეს, რომ მას ისეთივე ზემოქმედება შეუძლია ადამიანზე, როგორც ინფენზე მომქმედ ფიზიკო-ქიმიურ მოვლენებს. კოლექტიურ ცნობიერებისათვის ასეთ რეალობის მინიჭება და იმის მტკიცება, რომ იგი ადამიანზე ფიზიკო-ქიმიურ ფენომენებისა-მაგვარად მოქმედებს, ცოტაოდენ გაცვირებას იწვევს: მაგრამ არსებობს მრავალი შემთხვევა, როცა კოლექტიური ცნობიერების მოქმედება მეტად ნათელია, მაგ. ბრბო, ყრილობა და სხ. ყოველგვარი ასოციაცია ერთნაირი აქტიური ფაქტორია, რომელსაც თავისებური მოვლენების გამოწვევა შეუძლია... როდესაც ერთმანეთისგან დაშორებული პირები ჯგუფდებიან და უღლდებიან, მისოლოში რაღაც ახალი ჩნდება-ო. ეს ახალი კოლექტიური ცნობიერებაა, და რასაც იგი განაღდება, ყველა ცალკაღვე პირი მას ექვემდებარება და მასთან შეფარდებულიად მოქმედებს. ამით იმის თქმა კი არ გვსურს, თითქმის რომელიმე შეკრებულებაში პირაგნება მანქანათ იქცევა-ო. არა! ინდივიდი ინდივიდათ რჩება ყოველგან, მაგრამ თავის მოქმედებაში და აზროვნებაში ყოველგან და ყოველთვის ერთნაირად თავისუფალი არაა.

მაგრამ კოლექტიურ ცნობიერების რეალობა მხოლოდ ნეგატიურ მოვლენებში კი არ გამოიხატება, არამედ პოზიტიურშიც. იგი მხოლოდ ერთნაირი დაბრკოლება კი არაა, რომელიც ამა თუ იმ პირაგნების მოქმედებას წინ ეღობება; იგი იმავე დროს სამოქმედო სტიმულიცაა და პირაგნებას გარკვეულ მიზანს და უკანასკნელის მისაღწევად საჭირო მასალას და ენერგიას აწვდის. არის მომენტები, როდესაც ადამიანი შეკრებულებაში უცებ ხალისდება, თავის ძველ ნაუქუიდან თავისუფლდება და სრულიად ახალ ადამიანთ იქცევა. თვითეულის გრძნობათა და აზრთა ემანაციის, უკანასკნელთა გაცვლა-გამოცვლის და კონდენსაციის და ყოველივე ამით თავისებურ კოლექტიურ ცნობიერების შექმნის წვალობით, ესა თუ ის კრება ადამიანის ჩვეულებრივ ძალებს აასკეებს. მას ახალ ძალებს აძლევს და ისეთ საქმეებს აკეთებინებს, რის დაძლევასაც მარტოთ ყოფნისას ის ვერც კი იოცნებებდა. ამის მიხედვით ადვილი შესაძლებელია, რომ სრულიად უწყინარმა და მშვიდმა საშვალო მოქალაქემ უსაშინლესი ბოროტება ჩაიდინოს: ან და რომელიმე მსისხლისმსმელმა უნახესი გულჩილობა და კაცთმოყვარეობა გამოიჩინოს. აქ შეკრებულებაში, საერთო სულიერ განწყობილებით გატაცებული, ადამიანი ვერ გრძნობს კოლექტიურ ზეგავლენას. მას თავისი თავი სრულიად სპონტანურად მომქმედი ჰგონია. მაგრამ შინ დაბრუნებისას, როდესაც საერთო სულიერი ატმოსფერა გაიფანტება, ადამიანი ნათლად ამჩნევს, რომ მის ჩვეულებრივ

და კრებანე ჩადენილ საქციელთა შორის ისეთი დიდი განსხვავებაა, რომ თავის ნამოქმედარში ის საქუთარ თავს ვერ სცნობს; მას აღარ სჯერა, რომ მის მიერ თქმულის ან გაკეთებულის ავტორი თვით იგია. როდესაც იგი წარსულ განცდებს უკვირდება, ნათლათ ამჩნევს, რომ კრებანე იგი საერთო სულიერმა განწყობილებამ ისე გაიტაცა და აათამაშა, როგორც მოვარდნილმა ნიაღვარმა პატარა ნაფოტი. იგი ესლაც გრძნობს რალაც ძლიერ ძალას, რომელიც მას უფლობდა და განუსაზღვრელ ავტორიტეტით ამოქმედებდა. რასაკვირველია, კრება მოკლედროული კავშირია და ამიტომ მისი კოლექტიური ცნობიერება ეფემერულია; სწორეთ ამით აიხსნება ის, რომ მისგან ადამიანი ადრე აღწევს თავს და რამ იგი თვით ამროვნების ფსიქიკაში დიდ კვალს ვერ სტოვებს. პირიქით, რამდენათაც ძლიერი და ხანგრძლივია ასოციაცია, მით უფრო ღრმად იქრება იგი თვითუელ პიროვნების ცნობიერებაში.

კოლექტიურ ცნობიერების განმარტებანე ასე დიდხანს იმიტომ შეგჩერდით, რომ იგი ერის რაობის მთავარ ელემენტათ მიეჯანჩია. რასაკვირველია, ამით იმის თქმა სრულებითაც არ გვინდა, თითქმის ერის მთელი მრავალფეროვანი ბუნება მხოლოდ კოლექტიური ცნობიერებით ამოიწურებოდეს. ამ შემთხვევაში ერის შინაარსი მეტად ღარიბი და დაბალი ღირსების გახდებოდა. ჩვენ აქ მხოლოდ იმას ვამტკიცებთ, რომ კოლექტიური ცნობიერება ის კანეაა, რომელზედაც ერის მრავალფეროვანი და რთული ნაქარგი უნდა გაიშალოს.

უდავოა, რომ ერი მთლიანობაა; ყველაფერს მასში თავისი გარკვეული ადგილი აქვს და ყველანი ერთმანეთთან ქარმონიულათაა შეწყობილი. ჩვენ რომ ერის შინაარსის ანალიზი მოუახდინათ, ვნახავთ რომ იგი სხვადასხვა ელემენტებს შეიცავს: ზოგს საკუთარს, ზოგს კი ნასესხებს. თვითუელ მათგანის ზემოსხსენებულ მთლიანობაში შეყვანას და ძველებთან სათანადო შეფარდებას ერთნაირი ხელმძღვანელი სტირდება; უნდა არსებობდეს გარკვეული პრინციპი, რომლის მიხედვითაც მიიმართება ერთის მხრივ ერის საკუთარი შემოქმედება და მეორე მხრივ უცხო ნაწარმოებთა შეთვისება და გათავისებურება. კოლექტიური ცნობიერებაც სწორეთ ასეთი ხელმძღვანელი პრინციპია. თუ კი ეროვნული კულტურა მართლაც მკაცრათ შემოფარგლული, მთლიანი სისტემაა, და არა შემთხვევით გაჩენილ სხვადასხვა ელემენტთა გროვია; თუ კი ერის სულიერი ძალების განვითარება განსაკუთრებულ სწორი ხაზის, თანდათანობითი მიმდინარეობაა და არა უმეტეოა. თვითუნება ნახტომები; თუ კი ეროვნული სტრუქტურა ყლორტოვან ქმნილების მხგავსათ, ყველა თავის ტოტებს ერთი საერთო ძირით ასაზრდოებს და საერთო ტანე იმავრებს, მხოლოდ იმის წყალობით, რომ მას კოლექტიური ცნობიერება მოეპოვება.

ამრიგათ, ერის მთავარი არსებითი ელემენტი — კოლექტიური ცნობიერებაა, მაგრამ, როდესაც ჩვენ ამას ვამბობთ, ისიც უნდა გავისწავლოთ, რომ თვითუელ საზოგადოებაში მრავალი კოლექტიური ცნობიერებაა: კლასის, პროფესიის, ჯგუფების, სახელმწიფოსი და მრავალ სხვების. ამიტომ ჩვენი საკითხის ნათელყოფისათვის აუცილებელი საპირობა იმის გამოტკევეა, თუ რომელია ის კოლექტიური ცნობიერება, ერის არსს რომ წარმოადგენს. კოლექტიური ცნობიერება არ არსებობს განცალკევებულათ, სხვებისგან დამოუკიდებლათ. იგი სხვა და სხვა, ხშირათ ერთმანეთის საწინა-

აღმდგეო ბუნების მქონე კოლექტიურ ცნობიერებათა ფონზეა გაშლილი და მათ ჩრდილში იკარგება. კოლექტიური ცნობიერება, რადგანაც იგი თვითველ კერძო ინდივიდის ცნობიერებაში არსებობს და სინამდვილეში აქედან უნდადებება, ბოლოს და ბოლოს თავისი ბუნებით ფსიქიური მოვლენაა. ამ უკანასკნელს კი ის ახასიათებს, რომ «ყოველი ცალკე ფსიქიური მოვლენის (შინაარსის) მნიშვნელობის ხასიათი და მოკიდებულია იმაზე, თუ რა რიგე მიმართებაში იმყოფება იგი სხვა ფსიქიურ მოვლენებთან» (ე. ვუნდტი). ეს გარემოება იმითაა გამოწვეული, რომ «ფსიქიური ელემენტები მათი ურთიერთობითი და თან მიმდევრობითი ზემოქმედებით (ეკსტელ-უნდ-ფოლგე-ვირ-კუნგ), ისეთ შენაერთებს (ფერბინდუნგენ) ქმნიან, რომლებიც, მართალია, უკანასკნელის ფსიქიურ კომპონენტებიდან გამომდინარეობენ, მაგრამ ისეთ ქვეალტრატურ თვისებებს შეიცავენ, რის მსგავსიც მის ელემენტებში არაფერი იყო». ამის მიხედვით ჩვენ თუ რამდენიმე ხმას ცალ-ცალკე მოვისმენთ და შემდეგ მათ ერთად ავამჩნევთ, «თავბუქდილება თვითველ შემთხვევაში სრულიად თავისებური იქნება: იმდენად თავისებური, რომ უკანასკნელ შემთხვევაში შესაძლებელია ჩვენ პირვანდელი ტონები სრულებით ვეღარ ვიცნოთ. არის მომენტები, როდესაც ცალკე ელემენტების მიერ გამოწვეული შეგრძნებები და გრძობები სრულიად ეწინააღმდეგებიან იმათ, რომლებსაც მათი შენაერთი იძლევა; სასიამოვნო ტონებმა შეიძლება დისჰარმონია მოიცუნ და არასასიამოვნო გრძობა გამოიწვიონ და არასასიამოვნო ხმებმა კი ჰარმონია და სიამოვნება. ამრიგად აქ ცალ-ცალკე ტონები იკარგებიან და მათ ადგილას ახალი, სრულიად თავისებური მოვლენა ჩნდება. რაკი ფსიქიური სინტეზი ასეთ შემთხვევებში რაღაც ახალს ქმნის, ვუნდტი მას ზემოქმედებითი სინთეზს უწოდებს.

ამრიგად, ფსიქიურ ფენომენტთა ყოველი ერთად ყოფნა და ერთად მიმდინარეობა, უკვე თავის თავით, შერწყმა, ფსიქიური შერწყმა, ფსიქიური შერწყმა კი ზემოქმედებაა, ისე, რომ ფსიქიურ ფენომენტების უბრალო დაშლა, ფსიქიურ მთლიანობიდან შემადგენელ ელემენტების თავის წმინდა, სრულიად დამოუკიდებელ სახით გამოყოფა შეუძლებელია. აქ თვითველი ნაწილი მთელისადმი (და მაშასადამე ნაწილების ერთმანეთისადმიც) მიმართებას მაშინაც ჰკულისხმობს, როდესაც იგი უკვე გამოყოფილია. მაშასადამე მისი ბუნების და ხასიათის გაგება, მისი ელემენტების ახსნა შეუძლებელი გახდება, ჩვენ თუ მხედველობაში არ მივიღებთ მასთან მყოფ ყველა სხვა ელემენტებს და იმ მთლიანობას, რომელშიც ყველა ისინი ერთად შედიოდნენ. ეს ფსიქოლოგიისთვის უალტრატურ მნიშვნელოვანი «ფსიქიურ შეუღლებათა» და მისგან გამომდინარე «ფსიქიურ მიმართებათა» კანონები სოციოლოგიისთვისაც ღირებული არიან. ამას ე. დიურ-კეიმიც აღიარებს. ის დიურკეიმი, რომელსაც ფსიქოლოგიური კანონები სოციოლოგიისთვის სრულიად შეუფერებლად მიაჩნია, ამბობს: «ყოველთვის, როდესაც რაიმე ელემენტების შეუღლება, თვით ამ შეუღლების წყალობით, ახალ მოვლენებს წარმოშობს, ამ უკანასკნელის ბუნება შესაერთებელ ელემენტებში კი არ უნდა ვევიოთ, არამედ იმ მთლიანობაში, რომელიც ზემოხსენებულ ელემენტების შერწყმით გაჩნდა»-ო. აქედან დასკვნა: თუ კი ერთ და იმავე საზოგადოებაში მრავალი კოლექტიური ცნობიერება არსებობს, ცხადია ისინი, თვით ამ ერთად ყოფნის გამო, ერთმანეთთან მუიდრო მიმართებაში იმყოფებიან და ერთი მეორეზე ზეგავლენას ახდენენ ისე, რომ თვითველი

მათგანი სრულიათ დამოუკიდებელი, თვითმყოფი მოვლენა კი არაა, არამედ მრავალ მოვლენებთან შეზრდილი და მათ მიერ განსაზღვრული ფენომენია. თუ რამელიმე ეროვნული ცნობიერება სწორეთ ისეთია, როგორც იგი დღეს გამოცდილებაში გვეძლევა და არა სხვანაირი, მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებაში არსებული სხვა კოლექტიური ცნობიერებანი მასზე ზეგავლენას ახდენენ. შესცვალეთ ისინი და ეროვნულიც შეიცვლება. ერთი სიტყვით, შეუძლებელია საზოგადოების სხვა და სხვა წერტილებზე თითის დადება და თქმა:—აი, ეს ეროვნული კოლექტიური ცნობიერებაა; აი, ეს კლასობრივი, სახელმწიფოებრივი და სხ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შორის მრავალი საერთო რამ არსებობს, მაგრამ, მიუხედავთ ამისა, არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ერთი-სთვის კოლექტიური ცნობიერების ნიშანი ისაა, რომ იგი ერთ გარკვეულ ტერიტორიაზე ვრცელდება და ყველა იქ მცხოვრებ პირთა ფსიქიკაში იჭრება. ამ მოსაზრების სასარგებლოთ ის გარემოებაც უნდა ჩაითვალოს, რომ ტერიტორიის გარეშე არც ერთი ერთი არ წარმოშობილა. მართალია, ვერს, რომელმაც დაჰკარგა საკუთარი ბინა, შეუძლია შეინარჩუნოს და განავითაროს კიდევაც თავისი ეროვნული «მე» (ებრაელდება), მაგრამ მას რომ საკუთარი ტერიტორია არ ჰქონოდა, იგი ერის სახეს ვერ მიიღებდა. ამრიგათ: ვრი ისეთი საზოგადოებრივი ერთეულია, რომლის შესატყვისი კოლექტიური ცნობიერება ერთმანეთს უკავშირებს ერთ მთლიან ტერიტორიაზე გაშლილ ყველა ძირითად მცხოვრებთ. აქ შეიძლება იფიქრონ:—ეს განსაზღვრა ზოგადი ხასიათის არის, იგი სახელმწიფოსაც თავისუფლათ უდგება. მაგრამ ვრი და სახელმწიფო სხვა და სხვა ფენომენებია, ვინაიდან თვითთულ მათგანს თავისი საკუთარი, ხშირათ ერთმანეთისგან ძირითადთ განსხვავებული კოლექტიური ცნობიერება აქვს; მაგრამ მათ კოლექტიურ ცნობიერებათა შორის ერთნაირი მზგავლება მაინც არსებობს, არა იმ მხრივ, თითქმის ერთი და მეორე თავისი შინაარსით და შემადგენელ ელემენტებით ერთმანეთს უნათესავდებოდენ, არამედ მათი ფორმის, სტრუქტურის თვალსაზრისით. ეს მზგავლება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე ერთ მთლიან ტერიტორიაზეა გაშლილი. მართალია, ისინი ხშირათ სხვა და სხვა სივრცის არიან; ხან ეროვნული ტერიტორია სუარბობს სახელმწიფოსას, ხან სახელმწიფოსი ეროვნულს; მაგრამ თვით ის გარემოება, რომ ერთი და მეორეც მთლიან განუკვეთელ სივრცეზე მოქმედებს და თვითთულის ინდივიდუალობას საკუთარ ბუნების და შინაარსის მიხედვით აყალიბებს, მათი ბუნების მზგავლებაზე მეტყველებს, რა რიგიც არ უნდა იყვეს მათი შინაარსი, რა რიგ განსხვავებულიც არ უნდა იყვენ ის მოადლები. რომლითაც ისინი ხელმძღვანელობენ, თვით მათი იმისი, მიზანი და ზემოქმედების შედეგები მზგავსი არიან; თვითთული მოვლენის ახრი იმისა, რომ ორივე მთლიან ტერიტორიის სივრცეზე განსაკუთრებულ საერთო სულიერ ატმოსფეროს ჰქმნის; ორივე იმას ცდილობს, რომ ყოველ ინდივიდის ფსიქიკაში რაც შეიძლება მეტი სიძლიერით და სისრულით შეიჭრას; თვითთულის ზემოქმედება იმაში გამოიხატება, რომ განსაზღვრულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა კერძო პირებს ერთ მთლიან საზოგადოებრივ ერთეულათ კერავს და ამითვე მათი ფსიქიური ასიმილიაცია ხდება. მაგრამ მზგავსებასთან ერთად მათ განსხვავებაც მოუპოვებათ. ეს განსხვავება იმდენათ დიდია, რომ ეროვნული და სახელმწიფო კოლექტიური ცნობიერებანი ერთმანეთს მთლიანათ თითქმის ვერასოდეს ვერ ფარავენ. იმ შემთხვევაში, რო-



დესაც სახელმწიფო მრავალ ერებს შეიცავს, ეს განსხვავება სრულ ანტიგანონიმამდე მიდის. პირველ შეხვედრის დღიდანვე სახელმწიფოებრივ და ეროვნულ კოლექტიურ ცნობიერებათა შორის მრავალი ისეთი პუნქტები აშკარადდებიან, სადაც თვითიველი მათგანი ცალკე პიროვნებებს სხვა და სხვა, სწორად საწინააღმდეგო მიმართულებით ეწევა. ზოგჯერ ეს კონფლიქტი მეტათ მტკიცეულია, რომელიმე ერის ასიმთლიანობა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრულ ერის კოლექტიური ცნობიერება მის მპყრობელ სახელმწიფოს კოლექტიურ ცნობიერებაზე შესცვალა; ცხადია, ერთის მეორეში გადასვლა, ერთის მეორეთ გადაქცევა შესაძლებელია.

აჩილ ჯორჯაძე ამბობს: «ეროვნების წარმოშობისთვის საჭირო იყო... ერთგვარი ორგანო, რომელსაც გათქვეფისა, ჩაქირვის და შეერთების ძალა შესწევდა»-ო. ჩვენ რომ ამ მოღვაწის და მწერლის სიტყვები ვინმართ და ყოველივე შემხანათქვამი მხედველობაში მივიღოთ, ამ ორ კოლექტიურ ცნობიერებათა შორის არსებული განსხვავება შემდგენიარათ წარმოგვიდგება: სახელმწიფოებრივი კოლექტიური ცნობიერება იგივე ეროვნული ცნობიერებაა ჩაქირვის და გათქვეფის პროცესში, ეროვნული კოლექტიური ცნობიერება კი იგივე სახელმწიფოებრივი ცნობიერებაა უკვე ჩაქირვული და გათქვეფილი. აქედან თავისთავად გამომდინარეობს მათი სხვა გამომსახველი ნიშანიც: სახელდობ ის, რომ ერთის მამოძრავებელი მოტივები ცნობიერი არიან, მეორესი კი არაცნობიერი, ეროვნული კოლექტიური ცნობიერება ისე ღრმითაა ადამიანის ფსიქიკაში შეჭრილი და ისე საგრძნობლათ ელენთავს იგი ქვეცნობიერებას, რომ ზერელე დამკვირვებელი მის შემადგენელ ნაწილებს პიროვნების ძირითად ინსტიქტებთან ან ბუნებრივ მიდრეკილებებთან იღებს. ყოველივე ეს ცხადი ხდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ მომენტებს, როდესაც სახელმწიფო და ერთი პიროვნებაზე მოქმედებას იწყებენ. სახელმწიფოს ბავში მხოლოდ მაშინ ხვდება, როდესაც იგი სახლიდან გარეთ გადის; ამის შემდეგაც კი უკანასკნელის გავლენის დიდი ნაწილი მის ცნობიერების გარეშე რჩება და მას მთლიანათ მხოლოდ სრულწლოვანებისას განიცდის. ეროვნულ კოლექტიურ ცნობიერებასთან კონტაქტში კი იგი დაბადების პირველ დღიდანვე მოდის. გარშემორტყმულთა პირველი სიტყვა, მანერა მისი «აყვანისა», დედის პირველი აღერსი, გართობანი, ტანისამოსი, მთელი გარემო ბუნება და საერთოდ ყველაფერი, რასაც იგი გრძნობს, ესმის და ხვდავს. ეროვნული კოლექტიური ცნობიერების ის ელემენტებია, რომლებიც პირველ დღიდანვე ბავშვის თანდაყოლილ, ინდივიდურ ბუნების საერთო ეროვნულ ჩამოყალიბებას იწყებენ.

ამრიგათ, რადგანაც სახელმწიფოსა და ეროვნების კოლექტიური ცნობიერებანი იმით განსხვავდებიან, რომ ერთის ძირები პიროვნების ფსიქიკის ზედა ფენებს არ სცილდება და მეორისა კი მის უღრმეს ნაწილებამდე აღწევს, ჩვენ შეგვიძლია საბოლოოთ ვთქვათ: ერთი ისეთი საზოგადოებრივი ერთეულია, რომლის შესატყვისი კოლექტიური ცნობიერება ერთმანეთს უკავშირებს ერთ მთლიან ტერიტორიაზე გაშლილ ყველა ძირითად მცხოვრებელ და რომელიც იმით განსხვავდება სახელმწიფოსაგან, რომ მისი კოლექტიური ცნობიერების ელემენტები ისე მკიდრით არიან შეზღილი თვითიველ პიროვნების ფსიქიკასთან, რომ ისინი თანდაყოლილ ინსტიქტების ანუ ბუნებრივ მიდრეკილებათა შთაბეჭდილებას სტოვებენ.



VI

ძაბოული მწიკლობა უსსრ-ით

უცხოეთში ყოფნამ ბევრს ჩვენთაგანს ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ ავარძობინა საზინვლება რუსული პოლიტიკისა, რომელმაც არა თუ ხელი შეუშალა ჩვენი კულტურის განვითარებას, არამედ მოსპო საქართველო როგორც პოლიტიკური ცნება და უბრალო გუბერნიებით გარდაქცევით, ჩვენი სამშობლოს სახელიც კი დაავიწყა კულტურულ კაცობრიობას. ასეთი ვითარების მიუხედავად, ჩვენმა მწერლობამ მაინც მიიქცია ევროპელების ყურადღება, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ის ამ ძლიერი ყოფილა თავის შინაარსით ან საინტერესო მისი თავისებურებით. არას ვამბობ ჩვენი ერთგული სიამაყის «ფეფხის ტყაოსანის» უცხო ენებზე თარგმანთა შესახებ, რაც საყოველთაოდ ცნობილია. მინდა მხოლოდ მკითხველის ყურადღება მივაქციო იმას, რომ ჩხუბურ ენაზეა ნათარგმნი ქართული ნაწარმოები და მთარგმნელი ყოფილა ჩვენი ენის და ლიტერატურის თავგამოდებული ავტორი. მე წაიკითხე ყოველი წერეთელის «ბაში აჩუკის» თარგმანი ჩხუბურზე. მათხრობა ზედმიწევნით კარგად და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით არის ნათარგმნი ბ-ნ. ს. ვეტრის მიერ. ზოგი ქართული სიტყვა და ფრაზა დაუტოვებია მას გადაუთარგმნელი, ვინაიდან ამით პირდაპირი თარგმანა უფრო აზრს დამახინჯებს, ვიდრე ქართული ენის სიღრმეს ან თავისებურებას გააცნობს უცხოელს. ა. ფიქრობს მთარგმნელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სეიტაპოლკ ჩხვის მრავალ ნაწერებს კავკასიის შესახებ. ეს თარგმანი პირველი ცდა უნდა იყოს ქართული ენის და ლიტერატურის ჩხუბურისათვის გასაცნობად.

ბ-ნი ვეტრის ეს წინასიტყვაობა საყურადღებოა იმიტომაც, რომ ის სრულებით სამართლიან საყვედურს წარმოადგენს თვით ქართველ ფილოლოგების მიმართ, რომელთაც არაფერი ვაუკეთებიათ იმისათვის, რომ ჩვენი ენის შესწავლა გაუადვილონ დაინტერესებულ უცხოელთ. თუ დიდად საჭირო არა, ზედმეტი მაინც არ იქნება აქ თვითონ ბ-ნი ს. ვეტრის ვალაპარაკით: «არ მინდა ვსთქვა, ამბობს მთარგმნელი, რომ ქართული ენა დასავლეთში იყოს უცნობი, მაგრამ ფილოლოგებისთვის ის მაინც გამოცანაა. ყოველ შემთხვევაში, დღემდე მაინც ამაო ღაღადათ დარჩა დრ. პ. შუხარდტის მოწოდება. რომ თვით ქართველმა გრამატიკოსებმა ვააშუქონ ფილოლოგებისათვის საიდუმლოება მათი დედაენის. ამაო შეიქნა აგრეთვე იმედები, რომელსაც ჩვენ რუს (1)ორიენტალისტ მარბზე ვამყარებდით: ის შეგვიპირდა ქართული ენის საფუძვლიან და მეცნიერულ გრამატიკის გამოცემას და დღემდე არ შეუსრულებია. ამ ბოლო დროს «ბიბლიოტეკ დერ შპახანგენდერ»-ში ა. დირრმა გამოსცა რბალ სახელმძღვანელო ამ ენისათვის, მაგრამ ესეც უბრალო კომპილაციაა პატარა ლექსიკონებზე დამყარებული, რომელნიც ღრმა მეცნიერულ საფუძველს მოკლებული არიან. ამიტომ ეს სახელმძღვანელო არ არის საყურადღებო იმისათვის, რომ ეს ენა დასავლეთს დაუახლოვოს». ა. ასეთ საფუძვლიან საყვედურიდან პატივცემული უცხოელი ქართული ენის და ლიტერატურის ქებაზე გადადის და განაგრძობს: «ამავე დროს ქართულ ენას აქვს არა მარტო ძველი ლიტერატურა, არამედ ის ყოველმხრივ მიშზიდველია დღესაც. მას რომ შოთა რუსთაველის «ფეფხის ტყაოსანის» გარდა არაფერი გააჩნდეს, მარტო ეს პოემა საკმაოა, რომ ნამდვილი პოეზიის თაყვანისცემელს ყურადღება მიიპყროს. მაგრამ ქართული ლიტერატურა, როგორც ძველი, ისე ახალი, მდიდარი და ღირსშესანიშნავია კიდევ სხვა მარგალიტებით: ნაწერები ნიკ. ბარათაშვილის, ამ ქართველ ბაირონისა და ლერმონტოვის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, ლუკა რაზიკაშვილის და სხვების, უეშარიტა ღირსნი არიან, რომ მათ დასავლეთში იცნობდენ».

ასე ღირსეულათ აფასებს ბ-ნი ვეტრი ქართულ კულტურას და მწერლობას.

აკაკი ახათიანი.



ნავთის შესახებ ლიტერატურა და საქართველოს საკითხი

ლუი ფიშერ: იდე იმპერიალიზმს, ნიუ-იორკი, 1926

გასაკვირველი არ არის, რომ თითქმის ყველა, და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, დიდი უმრავლესობა, რომელიც ნავთის საკითხს ეხება, საქართველო—აზერბაიჯანის საკითხს გვერდს ვერ უვლის. მაგრამ აღსანიშნავია, იგივე უმრავლესობა ცხვირზე წამოდებული აქვს მოსკოლური სათვალე, და ღარი არის გასაკვირველი, რომ თითქმის ყველა ავტორი დასახელებულ საკითხს ერთნაირად უყურებს. ამის მიზეზია ის ბრალდანი მოვლენა, რომ ბევრი ავტორი ჯერ ან ხალაოცავად მიდის მოსკოვში, როგორც შემორჩენილი წიგნის ავტორი, ან სარგებლობს მოსკოვის ცნობებითა და მსახლებით ისე, რომ თავს არ იტყვიებს იგი კრიტიკულად და ფაქტების მიხედვით შეისწავლოს. ამიტომ არც ის უმავალითა მოვლენა გასაკვირველი, რომელიც შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა, ერთმა ამერიკელმა მწერალმა მეორეს რუსეთის თხუთმეუბის პლაგიატობა (მოპარვა) დააბრალა. მან შეურაცყოფილად ჩასთვალა თავი, საქმე სასამართლომდე მივიდა, და აქ კი გამოიჩინა, რომ ერთსაც და მეორესაც ბალშევიკებისაგან მიღებული მსახლებითა და წყაროებით უსარგებლიათ და თხუთმეუბაც მზავესი გამოსვლიათ. ლუი ფიშერს სასამართლოში მისვლა არ დასურებია, მაგრამ იგიც ისე, როგორც ბევრი სხვა, ბრმად უჯერებს ან სურს დაუჯეროს ბალშევიკებს და საქართველო—აზერბაიჯანის საკითხში მათ, რუსულ თვალსაზრისზე სდგას. თავისთავად ფიშერის თხუთმეუბა მეტად საინტერესოა; იგი შეეხება სანავთო იმპერიალიზმს, ნავთისათვის საერთაშორისო ბრძოლას და თვალწინ იშლება ამ ბრძოლის სურათი ომის დროიდან უკანასკნელ ხანამდე; იწყება ამბავი კავკასიის ფრონტიდან, სადაც ნავთის გულისათვის ზარბაზნით სწარმოებდა ბრძოლა, შემდეგ ეს ბრძოლა ხდება დიპლომატიური გენუა და ჰაბაგს კონფერენციებზე; მოყოლილია რუსეთის წინააღმდეგ სანავთო ბლოკადის ისტორია, ამერიკულ უდიდეს სანავთო კომპანიის, სტანდარდ ოილის ცლის ამბავი საბუთო რუსეთის ცნობისა და კონცესიების შესახებ; წიგნის უკანასკნელი თავები ეხება შეერთებული შტატებისა, იაპონიისა და რუსეთის ურთიერთობას ნავთის გამო და სრულდება სპარსეთის ნავთისათვის ბრძოლის ისტორიით.

როგორც უკვე ვთქვი, წიგნი საყურადღებოა; იგი იძლევა საერთოდ სურათს, თუ რამდენად ძლიერია და მწვავე ბრძოლა ნავთის გულისათვის; არის დაწერილი შეენიერი ინგლისურით. მაგრამ ქართველი მკითხველისათვის იგი ატარებს დიდ ნაკლს, რამდენათაც ავტორი კრემლის ფანჯარიდან იყურება. მას უდავოდ აქვს გამოცხადებული, რომ ნავთი «რუსულია» და ამავე დროს ღალატობს ავრთვე ისტორიულ ამბების უმრავლესობას. თითქმის ერთსადა იმავე დროს, მოუთხოვს იგი გულუბრყვილო მკითხველს, «22 აპრილს კავკასიის ხალხებმა გამოაცხადეს თავისი ავტონომია და დააარსეს ევრთწოდებული «ამირკავკასიის კავშირი», რომელიც შესდგებოდა რესპუბლიკებიდან: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თუმცა, ამ პაწია სასულეში ოთა მეთაურებმა ზემოთ დაიფიცეს, რომ ისინი მშვიდობითა და ძმური სიყვარულით ერთმანეთთან იცხოვრებენ. მალე დაიწება ჩხუბი და ჯერ ერთი თვეც არ გასულიყო, რომ დემოკრატიულმა მენშევიკებმა საქართველომ, ხელმძღვანელმა სულმა «კავშირში» სომხეთსა და აზერბაიჯანს ომი გამოუცხადა, და ორივე შემთხვევაში მიზეზი იყო, ტრაკისთან ერთად რო ვსთქვა, ერთი ნაპერი მიწა» (გვ. 20). ქართველმა მკითხველმა იცის, რომ აქ თვითელი სიტყვა სიყალბეა, ისტორიი სრული დამახინჯებაა, მაგრამ, როგორც სჩანს, ისტორიის არ ყოფილა სავალდებულო ფიშერისათვის, თუ მას მოწმედ ტრაკი ჰყავს. ასევე დამახინჯებულათაა ვადმოცემული ბაქოში ინგლისელების მოსვლის ამბავი, ინგლისელების მოწვევა ბნ ფიშერმა ერთიანად დაშნაყ-



ლებს გადააბრალო, როცა სინამდვილეში კი, მთლიანად ბაქოს გაერთიანებულმა საბჭოთა ბოლშევიკების ხმების წინააღმდეგ ინგლისელების მოწვევა გადასწყვიტა. აქ ბოლშევიკური ქორი პოლიტიკურ ისტორიად არის გასაღებული. მაგრამ ყველაზე უფრო აღმაშფოთებელია იმის მტკიცება, რომ ქართველი ხალხის ავჯისისა აჯანყება გამოწვეული იყო ნავთის კაპიტალისტთა ფულებით და ნავთის გულისათვის. რაზედ ეყრდნობა ავტორი? თავის საუთარ წერილზე ამერიკულ «ნიუზენა-ში», დრ. ნონენ-ბრუზის წერილზე ბერლინის «დოიტშე ალგემეინე ცაიტუნგ-ში», ფრანგულ «კურირე დე პეტროლ»-ის ექვერზე და «ნიუ-იორკ ტიმისის პარიზულ კორესპონდენტის დებე-შებზე, სამწუხაროდ, ეს შესჯედულება ფართოდაა გავრცელებული. აღნიშნული წიგნი გადათარგმნილია გერმანულად და ფრანგულად.

მასლ ბელანგე: ღა ბელტიტე ფრანსეს დე კამბიესტინილი დივიდ. პარიზი. 1923

ნავთის შესახებ საერთოდ უკანასკნელ ათ წელში ბევრი თხუზულება დაიწერა და თუ აღნიშნულ წიგნზე შეგჩრდი, ეს იმ მიზეზის გამო, რომ მკითხველისათვის დამენახებია განსხვავება, ამ შრომასა და ხეშოაღნიშნულ წიგნს შორის რომ არსებობს. და ეს განსხვავება მეტად ნათელია, ბ-ნ პომარეს სასარგებლოდ ლაპარაკობს. და გვაცადობებს, რომ ეს უკანასკნელი მიუდგომელი მკვლევარია, ბოლშევიკური მასალით და მოვალეობით არ არის დატვირთული. სარეცენზიო წიგნი შეიცავს 418 გვერდს და თითქმის არაა გამოტოვებული ნავთის არც ერთი საკითხი, უკონომიური, კომერციული, პოლიტიკური და ტექნიკური რომ აქ გარჩეული არ იყოს. შრომის პირველი ნაწილი არჩევს ნავთის საერთოდ. მის წარმოებას, მისი მოძებნის პირობებს და საერთოდ ნავთის საკითხს საფრანგეთში; შემდეგ ავტორი ეხება ნავთისათვის საერთაშორისო ბრძოლას, რომელშიც არა მარტო სანავთო კომპანიები, არამედ მთავრობებიც არიან ჩარეული; შემდეგ იგი ახასიათებს საფრანგეთის საჯარო სანავთო პოლიტიკას სარგებლს კონფერენციებზე, პოლანეთში, ჩეხეთში, რუმინეთში, მექსიკოში, გენუას კონფერენციებზე და სხ. შემდეგ არკვევს საფრანგეთის საშინაო სანავთო პოლიტიკას და ამას მოსდევს სპეციალური გარჩევა ნავთის მოპოებისა და მზარების სხვადასხვა საშვალე-ბათა შესახებ. ქართველი მკითხველის ყურადღებას ეაჩრებ იმ საკითხზე, თუ ბ-ნი პომარე კავკასიის ნავთის საკითხს როგორ უყურებს. ვისაც ნავთის საკითხის შესახებ რაიმე დაუწერია, მე არ მიწახავს არც ერთი შრომა. რომელშიც კავკასიის ნავთის საკითხი სამართლიანათ ყოფილიყოს გარჩეული. დიდი უმრავლესობა ბ-ნ ფიშერის გზას მისდევს. ამ შემთხვევაში ბ-ნი პომარე სასიხარულო გამოჩაყლისია: მკვეთრი მიდგო-მით. საკითხის სწორი დასმით და სამართლიანი გადაწყვეტით. როდესაც ბ-ნი პომარე კავკასიის ნავთის საკითხს განიხილავს და გენუას კონფერენციის შედეგებს არკვევს, იგი ამბობს:

«როგორ წარმოგვიდგება ესლანდელი ნამდვილი მდგომარეობა? არის მოსახ-რება, რომელიც ბატონობს რუსეთის ნავთის მთელ საკითხზე და რომელსაც მეტად ნაკლებ ყურადღებას აქცევს. რამდენად არის საბუქოთა მთავრობა სუფიერული კავკასიაში? რამდენად არის იგი სრულყოფილი ილაპარაკო ნავთის საკითხზე?»

«კავკასია არის პოლიტიკური არსება რუსეთისაგან მეტად განსხვავებული. იგი წარმოადგენს ოთხ პატარა სახელმწიფოს. რომელნიც ესლა ფაქტიურად მოსკოვის დიკტატურაში იმყოფებიან, მაგრამ რომელთაც თავის დამოუკიდებლობაზე უარი არ უთქვამთ. ეს არის ის ოთხი სახელმწიფო, რომელნიც თავის ტერიტორიაზე მთელს ნავთსა და ყველა გადასახიდ საშვალეებას ფლობენ: სახელდობრ: აზერბაიჯანი, რომელსაც ბაქო ეკუთვნის; მთიულთა რესპუბლიკა, რომელსაც გროზნო ეკუთვნის; საქარ-თველო, რომელიც თავისი რეინისფითა და სანავთო მილით შავ ზღვასთან კავშირს უზრუნველყოფს...»

მ. კანდანი

გაღლოვის გამომცხადება

კრებულ „კავკასიონი“-ს რედაქცია და გამომცემლობა გულითადი მადლობას უცხადებს იმ ფრგანზავიას და პირთ, რძემელთაც დახმარება აღმდეგვინნეს.

მივიღეთ შემდეგი შექმნიწულეზანი:

ქ-ნ შნას ხსოვნისათვის	1,000 ფრანკი.
ერთი ქართველისაგან	600 „
ოდენკურის ქართველ საზოგადოების კოოპერატივისაგან	300 „
პ.	60 „
ე. დუმბაძე	50 „
ლ. ბალანჩივაძე	50 „
ბენო ამერიკელი	30 „
აღ. შარაბიძე	30 „
კ. კახიანი	10 „
<hr/>	
სულ	2,430 ფრანკი.
გენერ. ბაქრაძე	20 ზლოტი.
გენერ. ყაზბეგი	10 „
ი. სალაყაია	10 „
რ. ყაზბეგი	10 „
შაიორი ბ. ქუთათელაძე	10 „
ვ. ათაბეგიშვილი	10 „
პორ. ლ. მახარაძე	10 „
კაპ. კობიაშვილი	5 „
პორ. დ. ლალიძე	5 „
შაიორი თევზაძე	5 „
სტუდ. გიორგი ინჯია	5 „
პორ. შალიკაშვილი	5 „
კ. იმნაძე	5 „
პოლკ. ჩეჩელაშვილი	4 „
სტ. გრ. კერცელი	4 „
პორ. სხირტლაძე	4 „
პორ. ფურცელაძე	2 „
<hr/>	
სულ	124 ზლოტი.
ექ. გრ. ალშიბაია	5 დოლარი.
რ. გოკიელი	200 ბელგ. ფრ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

	(გვარები ანბანზე).	33
I.	რელი ამინი—დედაჩემი	3
	ვ. მარული—	5
	მ. ფაფიანი—დილა	6
	რადფი—სამშობლო	7
	ხ. ტაიფუნი—ალმასავლეთი	10
	ფატმან—ბარათი საქართველოდან	12
II.	პრ. აბულაძე—მთვარიდა	13
	ზტეფანე გასრაძე—სანაპირო ქალაქი	16
	ვლახა მეფლაძე—დღიურიდან	24
	ლაშენე—გარდახვეწილი (ფრანგულით)	26
	ლუი დე შიშასანი—დედმამის მკვლელი (ფრანგულით)	27
	რან. ტაფელე—სახლი და ქვეყანა (ინგლისურით)	32
III.	ვლ. ბაქრაძე—კრიტიკული შენიშენები, «ჯაყოს სიზნები»	51
	ვერვიკ სოხანი—ძველი ქართული მწერლობა	64
	თინათინ ჯავარიანი—ფრანგული ლიტერატურის ისტორიიდან	80
IV.	მაღვა ამირეჯიბი—მარიაშ დედოფალი	85
V.	ფდ. პაპავა—საქართველოს მოსახლეობა	98
	კაეი—ევრაზიელი	107
	ა. შათირიშვილი—ერის რაობა	114
VI.	აკ. ასათიანი—ქართული მწერლობა უცხოეთში	124
	მ. ვარდიანი—ნავთის შესახებ ლიტერატურა და საქართველოს საკითხი	125

ყდა: მხატვარ მილანიშვილის.

რედაქცია და გამომცემლობა:

ქართველ სტუდენტთა ეროვნული გაერთიანება.

მისამართი:

V. NOSADSÉ
3, Quartier de la Gare, 3
Leuville-sur-Orge (S.-et-O.)

